გარი ჩაფიძე

მარადიული სული

დეტექტივი

(სერიიდან საიდუმლო ანდერძი)

თბილისი 2012

გარი ჩაფიძის შემოქმედება წლების წინ აიტაცა არა მარტო ქართველმა, არამედ იმ ერის შვილებმა, რომელ ენაზედაც ითარგმნა მისი მხატვრული თუ სამეცნიერო შრომები. დღეს ოთხმოცზე მეტი წიგნის ავტორი, თავის შემოქმედებას სერიალებად გვთავაზობს, რომლის თითოეული ბწკარიც სიკეთის ჰიმნის ღაღადია და ღრმადაა დარწმუნებული, რომ მკითხველი გაცნობისთანავე გაითავისებს რეალობას არც თუ მოკლებულ პერსონაჟებს, რამეთუ ყოველ ადამიანს თავისი ბედი თუ ბედისწერა ამოძრავებს და ყოველ მათგანს თავისი წილი ტვირთი აქვს სატარებელი...

რედაქტორი — ლ. მარტაშვილი

ISBN 978-9941-0-4318-5

მარადიული სული

დამწუხრებულმა გავაცილე სამუდამო სასუფევლის გზაზე ჩემი მეგობარი და მასწავლებელი, მუჭით დავაფრქვიე მზის სხივებით გამთბარი მიწა და ჩუმად ჩავიდუდუნე: – „მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩემო მეგობარო და მასწავლებელო“. ვიღაც მადლიანს ეკლესიის რესტავრაცია განუზრახავს. დაკეტილია კარები და კარებთან კიბეზე ჩემი ვაჭარი მეზობელი ზურაბი ჩამომჯდარა, რომელიც ადრე პოეტობას იჩემებდა და პოეზიის სიყვარული დღემდე შემორჩენია, დამინახა თუ არა, რიხიანად წარმოთქვა:

– „დაკეტილია ჩემთვის საყდრის წმინდა კარები,
ჩამომჯდარი ვარ ეკლესიის კიბის კიდეზე,
გაუთავებლად ბუტბუტებენ ირგვლივ სულები,
ჩემს სულთან ერთად ზეიმობენ სასაფლაოზე“.

– შენ ისევ პოეზიის ლაბირინთებში იკარგები? – შევეხმიანე.

– ეჰ, ჩემო მეგობარო, პატრონი არ მყავდა, თორემ მე და გალაკტიონი ერთ დროს ვმეგობრობდით კიდეც! – მიპასუხა ზურაბმა.

– მერე პოეტთან მეგობრობა პოეტობის ტოლფასია?

– რა შუაშია ტოლფასობა და ტოლწახნაგობა. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მას მოსწონდა ჩემი ლექსები, არასოდეს არ დამავიწყდება იმისი სიტყვები. ერთხელ ასე მითხრა ცხონებულმა: „ნამდვილი პოეტი ხარ, ბიძიკო. შენში მთელი ქვეყნის სიბრძნეა თავმოყრილი და მეშინია, სამყარომ რომ ვერ დაგიტიოს, დროზე ადრე არ გასკდეო“.

– ოჰ, შენ გაგხეთქა შენივე გამჩენმა. კიდევ კარგი, პოეტობას რომ არ გაჰყევი, თორემ ვინ იცის, შეიძლება ახლა შენი ნაწილაკები გაფანტული იყოს ატმოსფეროში...

– იხუმრე, ბატონო, სახუმრად მოგცა ღმერთმა საქმე, უკვდავება გარგუნა წილად. მწერლები რომ კვდებიან, მე ასე მგო-

ნია, უფალს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიჰყავს იმ ქვეყანაში. აქ კი მათი წერილობითი უკვდავება რჩება. აბა, თვითონ წარმოიდგინე: რა იქნებოდა საქართველო, რომ არ ჰყოლოდა მწერალ-მემატიანენი?

მწერლის თანდაყოლილი ნიჭით თუკი აღმოაჩენს ვინმე ფენომენს, მას ნიჭი კი არ უნდა ჩაუკლან, პირიქით, სამშობლომ ხარჯები უნდა გაიღოს, მისი სიცოცხლისა და ცხოვრების უზრუნველყოფისათვის.

– რა თქმა უნდა, ხარჯები უნდა გაიღოს სამშობლომ და დროულად უნდა გააგზავნოს „კვალიფიკაციის“ ასამაღლებლად! – ისევ გავეხუმრე მე...

– მე რომ მწერლობას მივყოლოდი, „კვალიფიკაციის“ ასამაღლებლად წასვლა არ დამჭირდებოდა, ისედაც საკმარისი მაქვს ნიჭი და სიბრძნე, აქვე მასწავლიან და რჩევა-დარიგებას მაძლევენ ანგელოზები და ჩემი წინაპართა სულები. ჩემო მეგობარო, ჩვენ ახლა უზარმაზარ ქალაქში ვიმყოფებით, სადაც უამრავი მწერალია, სწორედ ისინი მასწავლიან, რაც უნდა ვიცოდე და არ ვიცი. ამ ქალაქს „სულთა ქალაქი“ ჰქვია, აბა, თვითონ წარმოიდგინე, რამდენი მილიონი მაცხოვრებელი იქნება ამ ქალაქში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ეს ეკლესია ხომ მეხუთე საუკუნეშია აშენებული. მაგრამ მთავარი ეს როდია, მიცვალებულები ეკლესიის აშენებამდეც მოჰყავდათ აქ და აქვე იმკვიდრებდნენ სამუდამო სასუფეველს სულები. ახლა მე მათ ვხედავ, თუ როგორ დადიან, როგორ ცეკვავენ, როგორ ზეიმობენ და როგორ ეგებებიან ჩვენი მეგობრის სულს.

თქვენ ხომ არ ისურვებდით ჩემთან ერთად ამ უზარმაზარი ქალაქის ღირსშესანიშნაობის დათვალიერებას? ხომ იცი, სოფლის სიმდიდრე სასაფლაოდან იწყება, დაუვიწყარი და კარგად მოვლილი საფლავი შთამომავალთა სიამაყეა და შემდეგ სოფლის დიდება...

მართლაც მრავალი უნიკალური ძეგლისა თუ ჩუქურთმის მხილველნი გავხდით, რომელნიც სხვადასხვა საუკუნეს მი-

ეკუთვნებოდა, დავდიოდით და ზურაბი ხმამაღლა კითხულობ-და საფლავის ქვებზე ამოტვიფრულ წარწერებს. ერთ-ერთ ეკალბარდით გადაბასრულ საფლავთან შეჩერდა. საფლავის ქვას ხავსი შიშველი ხელით გააცალა და წარწერა ხმამაღლა წაიკითხა:

– „აქ განისვენებს ღარიბ-ღატაკი,
ბედმა არგუნა ცხოვრება მძიმე...“

– „ჰო აღარ გინდა, ნუღარ კითხულობ,
ნაღდად მწერალი იქნება ვინმე!“...
დავაბოლოვე იქ დაუწერელი ლექსის სტროფი...
ზურაბმა გაკვირვებით შემომხედა.

– რით ხარ უკმაყოფილო? რაც მთავარია, მწერლებს დიდება არ გაკლიათ და არც მატერიალურად ხართ მაინცადამაინც...

– ეჰ, ჩემო მეგობარო, კარგია, რომ ხალხსაც ასევე ჰგონია, როგორც თქვენ ფიქრობთ. მე კი მწერალი მქვია სახელად და საწერი მაგიდაც არ გამაჩნია!

– კარგი რა, ბატონო გარი! მთლად საწყლად ნუ მომაჩვენებ თავს. მე ხომ ვიცი, ვინცა ხართ თქვენ და... საერთოდ მწერლები. მარტო ჰონორარით შეგიძლიათ უზრუნველყოთ მთელი უბანი. საწერი მაგიდა კი სავარძლითურთ, ალბათ, თქვენი ტომეულებივით ოქრო-ვერცხლით გაქვთ მომინანქრებულ-მოვარაყებულ-მოჩუქურთმებული.

– დიდი ნაკლია, იყო ურწმუნო. ჩვენს ეპოქაში მხოლოდ კაცურ სიტყვას დაეჯერება და თუ სიტყვის რწმენაც გვაქვს დაკარგული, რაღა დავრჩებით? ალბათ, სიცარიელე!

– მე მარტო თქვენი სიტყვის კი არა, თქვენი დეტექტივებისაც ისე მჯერა, შეულამაზებელ სინამდვილედ მიმაჩნია ყოველი, მაგრამ რატომღაც ვერ წარმომიდგენია, საწერი მაგიდა არ გქონდეთ ესოდენ სახელმოხვეჭილ ადამიანს!

– არა მაქვს, ძმაო, არა! და არც ვსაჭიროებ, არც ლუკას ჰქონდა საწერი მაგიდა!

– გთხოვთ, სწორედ გამიგოთ, მე თქვენი დეტექტივები ისე მომწონს, მსურს საუკეთესო საწერი მაგიდით დაგასაჩუქროთ!

– ოჰ, არა, არა! როგორ გეკადრებათ, დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობებში ვერავისაგან მივიღებ მცირე საჩუქარსაც კი და თქვენ ესოდენ უზარმაზარ საჩუქარს მპირდებით...

– ბატონო ჩემო, თქვენ მწერალი კაცი ბრძანდებით და რატომ გეშლებათ ჩემი სიტყვა, მე თქვენთვის დახმარება არ შემომითავაზებია, რომელიც გლახას უხარია და ვაჟკაცს სწყინს, მე თქვენ საჩუქარი შემოგთავაზეთ, კეთილი გულით მოძღვნილი, რომლის მსგავსზეც თვით უფალს არ უთქვამს უარი აბელისათვის და თქვენ არა გაქვთ უფლება, ჩემი ძღვენი მინდვრად მოფანტო კაენის ძღვენივით!

– აფსუს, მართლა რად არა ხარ მწერალი, შენ დიდ საგანძურს დაუტოვებდი კაცობრიობას! კარგი, თანახმა ვარ, მივიღებ თქვენს საჩუქარს! – ვუთხარი და ისე დავიმორცხვე, ყურებამდის გავწითლდი.

– ახლავე წავიდეთ! – სიხარულით წარმოთქვა ზურაბმა, და ახალი ლიმუზინი დაქოქა.

ქელეხს არ დავსწრებივართ. სასაფლაოდან პირდაპირ ავეჯის დამამზადებელ სახელოსნოში მივედით. მაგიდები მართლაც იყო ჩამწკრივებული, ნაირფერადი. მაგრამ რომ ჩემი მეგობრისათვის ბევრი ხარჯით ზიანი არ მიმეყენებინა, კუთხეში დადგმულ, დამკილულ, ძველ მაგიდას დავადგი თვალი.

– არა, ამას ვერ შემოგკადრებ! – ხელები გაასავსავა ზურაბმა...

საუბარიც არ გვქონდა დამთავრებული, რომ სახელოსნოს დირექტორი თუ გამგე მოგვიახლოვდა:

– ეჰ, ეს მაგიდა ვინ იცის რა არის, ამას რომ ლაპარაკი შეეძლოს, მხოლოდ მოუსმენდა ადამიანი. მასთან დაჯდომას კი ნამდვილად ვერავინ გაბედავდა. – თქვა გამგე-დირექტორმა და მაგიდას ისე სათუთად გადაუსვა ხელი, თითქოს

ცოცხალი არსება ყოფილიყოს და შეშინებოდეს, არაფერი ვატკინოო.

– მაინც რა არის ასეთი? – გაკვირვება იგრძნობოდა ზურაბის ხმაში.

– ყველამ როდი იცის, რომ ავეჯი ისე სუნთქავს, როგორც ადამიანი და ადამიანთან შერწყმულ ცოცხალ არსებას განასახიერებს! – გამგე-დირექტორმა, მაგიდას ისევ სათუთად გადაუსვა ხელი და განაგრძო: – ქართველები უძველესი ტომია ჩვენს პლანეტაზე მაცხოვრებელთა შორის. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე. იმ ძველი სარწმუნოების თანახმად, ყოველი ადამიანის ხასიათი თუ მომავალი დაკავშირებული იყო მიწასთან და მზესთან. ადამიანის ბედს მისი დაბადების დღიდანვე განსაზღვრავდნენ ამ ორი პლანეტის განლაგების მიხედვით. ქართველები ეყრდნობოდნენ მრავალსაუკუნოვან დაკვირვებებს და ირწმუნებოდნენ, რომ ამ ორი პლანეტის ზეგავლენით ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი ორეული, რომელმე ხის სახით, რომელთანაც მრავალმხრივი მსგავსება აკაშვირებს, ხეები ადამიანების მსგავსად ერთი მეორისაგან დიდად განსხვავდებიან. არიან ძლიერები და სუსტები, გამოსადეგნი და უვარგისნი, სათუთები და მტკიცენი, ნაყოფიერნი და უნაყოფონი. თქვენი დაბადების დღესთან დაკავშირებულია რომელიმე ხე, რომელი ხიდანაც სასურველია ავეჯის დამზადება თქვენი ყოველდღიური წარმატებისათვის. ეს დამკილული მაგიდა და ფეხებმორყეული სავარძელი სტალინის ნაავეჯარია, სწორედ ამ მაგიდაზე დაწერა პატარა სოსომ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“... ამ მაგიდასთან ეზიარა მარქსიზმს, რომლის იდეებით და სამართლიანი მტკიცე ხელით სტალინმა შექმნა უძლიერესი ზესახელმწიფო, რომლის მაგვარის შექმნასაც ევროპა ახლა ცდილობს! ამ სავარძელში, ამ მაგიდასთან იჯდა სოსო ჯუღაშვილი, მომავალი სტალინი, როდესაც მამამისი იოსები მის იდეებს გაეცნო, ღრმად ჩაფიქრებულმა უთხრა:

– „შვილო, შენ საქართველო ვერ დაგიტევსო“ – და მართლაც ვერ დაიტია საქართველომ, მან რუსეთის უძლიერესი იმპერია შექმნა, სწორედ ამიტომ რუსმა ბერმა პიჩუჟკინმა სტალინის ფენომენი ქრისტეს გაუთანაბრა, როგორც ხალხის ბედის სამართლიანად განკითხვის ჭეშმარიტება!

ეს მაგიდა და სავარძელი წიფელისაგან არის დამზადებული. წიფელი კი სოსოს დაბადების თარიღთან არის დაკავშირებული. დამერწმუნეთ, გორიდან ჩამოვიტანე ეს მაგიდა. აბა, როგორ მოგიყვეთ თუ როგორი ომი გადამხდა გორელებთან, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე, მართალია, სავარძელს ოდნავ მოერყა ფეხები, თუმცა ამის შეკეთება ადვილად შეიძლება...

– კარგი რა, ნუ დაგვტანჯე ზედმეტი ბიოგრაფიული ცნობებით, ბოლოსა და ბოლოს რამდენად ჰყიდით ამ სტალინისეულ მაგიდას? – შეეკითხა ზურაბი.

– ნუ ჩქარობ, მეგობარო! – უპასუხა გამგე-დირექტორმა – პირველად ის მითხარით, რა პროფესიის ხალხი ბრძანდებით, ნებისმიერ მოქალაქეს ვერ მივყიდი... ეს რელიქვია-განძი დიდ პოლიტიკოსს ან დიდ მწერალს ეკუთვნის.

– კი მაგრამ, მზარეული რომ ვიყო, არ მომყიდდით?

– მზარეულისთვის აგერ ჯირკი მაქვს ხორცის საკეპად, ეს კი სტალინისეული მაგიდა არის და ღირსეულ პატრონს ელოდება!

– თუ გასაყიდად არ გემეტებათ, მუზეუმს ჩააბარეთ!

– მუზეუმს, ბატონო, თქვენ ჩააბარეთ სერგო ორჯონიკიძის ხმალი და დააწერეთ – „ამ ხმლით დიდი ქართველი მამულიშვილი „რკინის სერგო ორჯონიკიძე“ თავის სამშობლო საქართველოში შემოუძღვა რუსეთის მეთერთმეტე არმიას, გაასაჩუქრა საქართველოს დიდი ტერიტორიული ნაწილი და ქართველებს შეპირდა – „თუ არ გაჩუმდებით, სომხეთის საზღვარს ავლაბარში გადმოვიტანო“. – ეს მაგიდა კი წმინდაა და წმინდა ოჯახში უნდა გააგრძელოს მოღვაწეობა.

– კარგი, რადგან ასეა, ამ ბატონს მიჰყიდე, მწერალია და ვფიქრობ, ღირსეული მამულიშვილის ოჯახში დაიდგმება ეს უძვირფასესი განძი. – უთხრა ზურაბმა.

გამგე-დირექტორმა მუშტრის თვალით შემათვალიერა, თავი მძიმედ გადააქნია და საკმაოდ გრძელი პაუზის შემდეგ შემეკითხა:

– მართლა მწერალი ხართ?

– კი, ბატონო!.. სიტყვიერი მტკიცებითა და თავის დაქნევით ვუპასუხე მე.

– რას წერთ?

– ძირითადად დეტექტივებს!

– სამწუხაროა, რომ ისტორიას არ წერთ! მაგრამ კაცურ-კაცად მეჩვენებით, ულვაშებს რომ ატარებდეთ, ერთი შეხედ-ვით სტალინსაც კი მაგონებთ, ამიტომ მხოლოდ თქვენ მოგყი-დით და არავითარ შემთხვევაში სხვას არავის! – მითხრა გამ-გე-დირექტორმა და მაგიდის საფასურად უზარმაზარი თანხა დაასახელა, მაგიდის ქებით ტვინდამძიმებულმა ზურაბმა პირი აღარ შეირცხვინა ჩემს წინაშე და ფულის დათვლა დაიწყო.

– შეჩერდი, ბიჭო! ამ ფასად სამ მაგიდას ვიყიდით! – ფულზე ხელი დავუფარე მეგობარს.

– სამ მაგიდას ვიყიდით, მაგრამ არცერთი არ იქნება სტა-ლინისეული. – მიპასუხა მან და ფულის გადათვლა განაგრძო. ერთმა დათვალა, მეორემ მიითვალა და მშვიდობითო, მითხრა, გამგე-დირექტორმა, შემდეგ იქვე რესტავრაციაზე მომუშავე მამაკაცებს უბრძანა: მაგიდა გარეთ გაეტანათ და სატვირთო ავტომობილზე მოეთავსებინათ. დირექტორის ბრძანება მყისვე შეასრულეს, ოთხმა მამაკაცმა მაგიდას ხელი მოჰკიდა და კა-რამდე მიიტანეს, მაგრამ გარეთ გატანა ვერ შესძლეს, მაგიდა კარებში არ გაეტია, ხან შეაბრუნეს, ხან წააქციეს, ხან ზეზე, ხანაც დაწოლილი, ხან პირდაპირ, ხანაც გვერდულად... მაგ-რამ მიზანს ვერ მიაღწიეს, გაწბილებულმა და მოტყუებულმა ზურაბმა გამგე-დირექტორს დაუძახა:

– არადა, მაგიდა გორიდან მოვიტანე და გვარიანი ომიც გადამხდაო? კარებში როგორ შემოიტანეთ? – გულმოსული შეეკითხა ზურაბი.

– ეს კარები მაგიდის მოტანის შემდეგ ამოვაშენე, რომ ეს უძვირფასესი განძი არავის მოეპარა. – არ დაიბნა გამგე-დირექტორი.

ზურაბს გაეღიმა დირექტორის სწრაფაზრიანობაზე, ცოტა გულმოსვლაც გაუნელდა და დირექტორს უთხრა:

– მეგობარო, ერთჯერ მომატყუე, იკმარე, ახლა კიდევ მატყუებ? ხომ ვხედავ ამ კარს დანგრევა-ამოშენების არაფერი ეტყობა. ესე იგი მაგიდა ადგილზეა დამზადებული და თქვენ ხოტბას ასხამთ ორ ცალ ფიცარს, რომელიც სტალინს თვალითაც არ უნახავს.

– მე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ კარები მართლაც შემცირებულია და თანამედროვე თუნუქის კარი მაქვს ჩასმული, მაგრამ ამჟამად თქვენს აზრს გავიზიარებ და რადგან თქვენ გსურთ, რომ ეს მაგიდა არ იყოს სტალინისეული, მეც დაგეთანხმებით, რადგან არ არის აუცილებელი, მართლაც ამ მაგიდაზე ზიარებოდეს მარქსიზმის იდეებს იოსებ ბესარიონის ძე, რა თქმა უნდა, არც ეს მაგიდა და არც სხვა მაგიდის ფიცრები არ არის გაჟღენთილი მარქსის იდეებითა და სტალინის სიმტკიცით. არც ერთს არ დაუტოვებია თავისი აზრები და თავის ტვინის უჯრედები მაგიდის ზედაპირზე, რომ ვისარგებლოთ მათი სიბრძნით. ნიჭიერი ადამიანი სრულებით არ ცდილობს, ძვირასი მაგიდითა და სავარძლით გაილამაზოს კაბინეტი, ბრძენი დიოგენის კასრიც კი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, რადგან ამ კაცის სხეულში რწმენა იყო დაგროვილი... რწმენა კი მტკიცე დამოკიდებულებაა მოვლენის ან საგნებისადმი, მტკიცე ხარ მაშინ, როდესაც სხეული ან საგანი მიგაჩნია ნამდვილად. მიუხედავად იმისა, მეცნიერულად არის თუ არა დამტკიცებული, სინამდვილედ და პრაქტიკულად შემოწმებული, ჩვენი გონება, უბრალო ლოგიკურ ოპერაციებს აწარმოებს,

მისთვის მიუწვდომელია ბუნების ყოფიერების შეცნობა რწმენის გარეშე. თქვენს რწმენაში თუ იქნება, რომ ეს მაგიდა სტალინისეულია, იქნებ უფრო თამამად და გაბედულად ჩაჯდეთ ამ სავარძელში, იქნებ შიშით ახლოსაც ვერ მიხვიდეთ, მაგრამ თუ თქვენ რწმენას დაკარგავთ, გატეხილ ცარიელ ჭურჭელს დაემსგავსებით, რომელშიც რამდენიც არ უნდა ჩაასხათ კეთილშობილი სითხე, მაინც ცარიელი იქნება, ესე იგი აქ მაგიდა და სავარძელი კი არ არის მთავარი, თქვენი რწმენაა უმთავრესი, ამ საგნის მიმართ, რა თქმა უნდა, თქვენ არ გინახავთ, რომ ამ მაგიდასთან იჯდა პატარა სოსო და წერდა „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“. მაგრამ ეს უნდა იწამოთ, რადგან კეთილი რჩევა ბიძგია ადამიანის გამარჯვებისა, შენ არც ღმერთი არ გინახავს, მაგრამ გწამს ლუკას თუ თომას მოძღვრებით, აბა ჩემი რად არ გჯერა? ტიბერადიის ტბაზე ფეხით გაიარა ქრისტემ, პეტრე კი იძირებოდა, მოციქულთა მარცხი რწმენის ნაკლოვანებამ გამოიწვია და მაშინ თქვა ქრისტემ: – ჰოი, ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი! ვიდრემდის ვიყო თქვენ-თანა?“

– შეჩერდი თუ კაცი ხარ! – ვიყვირე მე – თქვენ ისეთი ორატორი ყოფილხართ, თქვენს მიერ შემოთავაზებული, მგონი, ის მაგიდაც შევიძინო, რომელზედაც ქრისტემ უკანასკნელი სერობა მოაწყო! არც ფული გვინდა, არც მაგიდა, მხოლოდ უვნებელი გაგვიშვი აქედან!

– გამოანგრიეთ კარები! – გასცა ბრძანება დირექტორმა, შემდეგ ჩვენსკენ შემობრუნდა და განაგრძო:

– მე რომ უბრალო შეცდომა არ დამეშვა და მაგიდა კარებში თავისუფლად გასულიყო, თქვენს რწმენაში ხომ ის სტალინისეული იქნებოდა? ჰო და იმავე რწმენით იყოს თქვენთან ეს მაგიდა, ჩემს მარცხს კი მე თვითონ გამოვასწორებ, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად ეს მცირედი!

– ამ სიტყვებთან ერთად ფული ზურაბს ჯიბეში ჩაუტენა.

– არა! მაშინ მაგიდას არ წავიღებთ! – თქვა ზურაბმა.

– წაიღებთ! საჩუქარია, ნუ გამაწბილებთ, უარს ნუ მეტყვით, მე კი მასეთივე სტალინისეული მაგიდა ხვალვე მზად მექნება!

სამივეს გაგვეცინა...

– ჰო, რა გეცინებათ! – ისევ განაგრძო საუბარი დირექტორმა – მე მარტო ავეჯით კი არ ვვაჭრობ, ხალხში რწმენას და სიყვარულს ვამტკიცებ: ათასზე მეტი „სტალინისეული“ ჩიბუხი მაქვს გაყიდული, ზოგი ოჯახში გამოსაჩენ ადგილზე ინახავს ვიტრინაში, ზოგიც ჩვეულებრივ თუთუნს ეწევა იმ ჩიბუხით და ეამაყება, რომ სტალინისეულ ჩიბუხს აბოლებს, თუმცა თვითონაც კარგად იცის, რომ კვამლს სურნელება არც აკლდება და არც ემატება, მაგრამ რწმენა აქვს მტკიცე და თავიც სტალინივით მტკიცე ჰგონია.

სინანული არ გამომითქვამს, რომ მეგობრის ქელეხზე ვერ დავესწარი და შესანდობარი ვერ შევსვი იმის ოჯახში, ამხელა სიმდიდრეს ვერსად ვერ მიიღებდა ადამიანი, რაც ამ ნახევრად დანგრეული, ავეჯის სახელოსნოში მივიღეთ...

მაგიდა საკუთარი სატვირთო ავტომობილით მომიტანა სახლში დირექტორმა და სამივემ ჩემს ოჯახში აღვნიშნეთ ჩვენი მეგობრის, დავითის, სულის მოსახსენიებელი შესანდობარი!

ახლა ამაყად ვზივარ სტალინისეულ სავარძელში, ვწერ...

დეტექტივი დასასრულს უახლოვდება, რომანის გმირი ჩემს წინ უდარდელად ღრმად ჩამჯდარა სავარძელში, „მალბოროს“ თუთუნით გატენილ ჩიბუხს აბოლებს, ეამაყება, ალბათ, ეს ჩიბუხიც „სტალინისეულია“ და ამიტომ კვამლს უდიერად მაბოლებს თვალებში.

ბოროტმოქმედი უკვე ვავლინე და დატუქსული ბავშვივით ზის იატაკზე დაჭედებულ სკამზე...

კვალმაძიებელი, როგორც წესი უდისციპლინოა, ჩემი საწერი მაგიდის კუთხეზე ჩამომჯდარა და „პრიმას“ თუთუნით გატენილ ჩიბუხს ექაჩება, ალბათ, ესეც „სტალინისეული“ ჩიბუხია, რადგან ჩემს ცხვირთან ახლოს მოაქვს და ხელში ატრიალებს. „პრიმას“ შავი კვამლი „მალბოროს“ ნისლის-

ფერ კვამლში იკარგება და დროდადრო თავს მახსენებს ეს შერეული ნიკოტინი, მაგრამ მე ყურადღებას არაფერს ვაქცევ, არც თამბაქოს კვამლისაგან გამოწვეულ ხველებას, მხოლოდ ხელის აქნევით ვფანტავ ჩემკენ მოძალებულ კვამლს და საჭიროების მიხედვით ვესაუბრები ჩემი დეტექტივის მონაწილეებს.

ყოველგვარი შეკითხვის გარეშე ჩემი კაბინეტის კარები ფართოდ გაიღო და ოთახში შუახნის, საფეთქლებშევერცხლილი, სიმპათიური აღნაგობის მამაკაცი შემოვიდა.

– მოგესალმებით, დედაქალაქის პროკურატურის კვალმაძიებელი გიორგი ამაღლობელი, – დაღლილი კაცის იერით თქვა ახლად მოსულმა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა, ჩემი რომანის გმირები მყისვე ისეთი სისწრაფით გაჰქრნენ, ოთახში თამბაქოს კვამლიც აღარ დარჩენილა... ძლივს დავუჯერე საკუთარ მზერას, რომ ჩემს წინაშე საკუთარი დეტექტივის გმირები აღარ იყვნენ და მათი ადგილი ვიღაც, პროკურატურის კვალმაძიებელს ჰქონდა დაკავებული.

– თქვენ მაკლდით კიდევ! – უკმაყოფილოდ ჩავიბუზღუნე, საწერკალამი და ფურცლები გვერდზე გავწიე...

შემატყო, რომ არ მესიამოვნა დაუკითხავად გამომძიებლის ვიზიტი და შეცდომის თუ თავხედობის გამოსწორება მოინდომა.

– დეტექტივების მწერალი, ბატონი გარი ჩაფიძე თქვენ ბრძანდებით? – თავაზიანობა იგრძნობდა კვალმაძიებლის გამჭოლ მზერაში.

– დიახ, მე გახლავართ, მაგრამ ფრიად საინტერესოა, რატომ დაინტერესდა ჩემი პიროვნებით დედაქალაქის პროკურატურა და პირადად სახელმოხვეჭილი კვალმაძიებელი გიორგი ამაღლობელი?

– მინდა თქვენში ფუჭი სვლა აღმოვაჩინო და სისხლის სამართლის კოდექსი მოგარგოთ! – ღიმილით წარმოთქვა კვალმაძიებელმა.

ჩემს მიერ განვლილ ცხოვრებას ერთი თვალის გადავლებით გადავხედე და შეცოდება რომ ვერაფერი აღმოვაჩინე, მოსულს ჯიქურ მივახალე:

– ტყუილად გარჯილხართ, მეგობარო, საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსი არ მომერგება, თუ დანაშაულად არ ჩამითვლით, რომ ნერვიულობის დროს, ძალზე იშვიათად, სიგარეტს ვეწევი და თამბაქოს კვალი მეზიზღება...

– ცდებით, ბატონო მწერალო, თქვენ დანაშაულად არ თვლით დაწყებული დექტექტივის დაუსრულებლობას? მაშინ, როდესაც არა მარტო დაინტერესებულიმ ილიონობით მკითხველი, არამედ თვით ბოროტმოქმედიც მოუთმენლად ელოდება წიგნის განაჩენს!

– ღმერთო ჩემო, მე ისტორიკოსი კი არა ვარ დავათარიღო წარსულით ღირსშესანიშნავი დღეები, დეტექტივს ვწერ და სადაც მომესურვება, წიგნსაც იქ დავასრულებ!

– ცდებით, ბატონო გარი! რადგან მკითხველის თვალით არ უყურებთ ნაწარმოებს, თქვენ დეტექტივს წერთ და საგამომძიებლო დოკუმენტების საშუალებით ხელმძღვანელობთ. ასახელებთ ნაწარმოების გმირს, შემდეგ საინტერესო ადგილზე წყვეტთ წერას და რომანის მთლიან პერსონაჟს ჰაერში გამოკიდებულს ტოვებთ. განა ეს დანაშაული არ არის? – გივი ტაბტაძე გიჩივით, ბატონო ჩემო! უმაღლეს სასამართლოში შემოიტანა სარჩელი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სახელისა და გვარის დაბრუნებას მოითხოვს! გვწერს: – „მე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი გვარისა და სახელისათვის ვიბრძოდი, დიდი სასჯელის მოხდისა და ბევრი ტანჯვა-წვალების შედეგად დავიბრუნე ჩემი საკუთრება, მაგრამ თავი იჩინა ახალმა უბედურებამ, ვიღაც მწერალმა ერთი ხელის მოსმით ნაცარტუტად აქცია ჩემი სახელი და გვარი,თ უმცა წარსული კი ძირფესვიანად აღუწერია, რომელიც არ კი დაუსრულებია დალოცვილს!“

– ბატონო გიორგი, თქვენი გივი ტაბატაძე ბოროტმოქმედია, მას სხვადასხვა ერის ბევრი სისხლი მართებს, ამიტომ

მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მისი საკუთარი სახელისა და გვარის აღიარება, რადგან ვალი სისხლისა შესაძლებელია საშვილიშვილოდ მოითხოვოს შთამომავალმა! რა არის საწყენი თუ ფსევდონიმში გივიმ თავისი თავი შეიცნო? სიყმაწვილეში სოსო ჯუღაშვილი თუ იოსებ სტალინი გახდა, ულიანოვი – ლენინი, შიკლგრუბერი – ჰიტლერი და ასე შემდეგ... ამით არც საზოგადოებას დაშავებია რაიმე და არც პიროვნებას...

– ეს მე მესმის, რამეთუ კვალმაძიებელი ვარ და ძირითადად მე მეხება ადამიანთა უსაფრთხოება! მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, გივის სიჯიუტე, ის თავგანწირვით მოითხოვს მასზედ დაწერილი წიგნების განადგურებას ან საკუთარი სახელისა და გვარის დაბრუნებას! გივი ჩემი სიყრმის მეგობარია და ჩემზედ უკეთესად მას ვერავინ იცნობს, მართალია, ცხოვრების გზებმა გაგვყარა, მაგრამ ამით ჩვენი მეგობრობა არ დარღვეულა! მე ვაწარმოე ორჯერ მკვდარი ადამიანის კვალმაძიებლობა და როგორც იქნა ცოცხალი აღმოვაჩინე! თქვენს მიერ დაწერილ წიგნს „განძის საიდუმლოს“ თუ დავეყრდნობით, პროკურორმა დავით შეწირულმა მილიციის მუშაკის გეურძიმ პაპუაშვილის მკვლელობის საქმე მე გადმომცა გამოსაძიებლად, ძიება სწორი მიმართულებით წავიყვანე და გამართლდა ჩემი ვარაუდი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი გივი აღმოჩნდა.

... თქვენთვის მომირთმევია ძიების შედეგი, გივის მიერ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდის ცნობარი და მის მიერ შემდგომში განვლილი გზა...

– ბატონო გიორგი, მე წიგნი „განძის საიდუმლო“ დავამთავრე უწყინარი სიცრუით, სადაც წერილით ვატყობინებდი ნინოს ახლობლებს, თითქოს გივი და ნინო საფრანგეთშიწავიდნენ, ახლა კი როგორი იქნება, გივი ცოცხალი აღმოაჩინონ ნინოს ახლობლებმა საბჭოთა კოლონიაში?

– ნინოს ახლობლები არც ისეთი გიჟები არიან, გივის რომ ეგონა. ისინი ყველაფერს მიხვდნენ და გულისტიკივილით გამოიგლოვეს კიდეც ნინო, მიუხედავად წერილისა! მათ თქვენი

წიგნიც წაიკითხეს და როგორ ფიქრობთ, განაჩენს ვერ გამოიტანდნენ? თქვენ, როგორც მწერალს, მხოლოდ ერთადერთი გზა დაგრჩენიათ, თუ, რა თქმა უნდა, მტრული განწყობილება არ გსურთ გივისთან, სწორედ იქედან გააგრძელოთ ნაწარმოები, სადაც წიგნს ამთავრებთ და წერთ:

„მატარებლის ბორბლები, რიტმულად შეწყობილ ხმას გამოსცემდა და კუპირებულ ვაგონს ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა გივი“...

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საფრანგეთი ჩრდილოეთისაკენ არ არის და ამიტომ მოდი ჩრდილოეთში ვეძებოთ გივი ტაბატაძე, მწერალი მხოლოდ იმას კი არ უნდა წერდეს, რაც მკითხველისათვის სასიამოვნოა, არამედ, რაც სიმართლეა! რადგან ხშირად მწარე სიმართლე უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ტკბილი და შეფერადებული სიცრუე... თქვენი დეტექტივის გმირებს, დარბაისელ მკითხველებს და მითუმეტეს კვალმაძიებლებს უვიცებად ნუ ჩათვლით, მართალია ჩვენ წიგნების წასაკითხი დროც არა გვაქვს, რომ დეტექტივმა პრაქტიკულად დაახელოვნოს ჩვენი თეორიული ცოდნა, სამაგიეროდ კი ჩვენზე წერენ და სხვანი კითხულობენ; ვინ მოსთვლის, რამდენი ბრძნული და გმირული წიგნი დაუწერია გამოძიებაზე მოკრძალებულ, ხალათმოხურულ, ფოსტლებში შიშველფეხებგაყრილ, ბუხართან მოკალათებულ მწერლებს, ეჭვი არ მეპარება და თქვენც მათ რიცხვს მიეკუთვნებით, თქვენ წერთ თბილად ბუხართან, ჩვენ კი იარაღშემართული ვებრძვით თქვენი რომანის გმირებს!

– გეხარბებათ? ჩვენ ხომ უკვდავებას გჩუქნით, ბატონო კვალმაძიებელო, უკვალოდ არ ვკარგავთ თქვენს ღვაწლს, არ მოგწონთ? თვითონ დაწერეთ, ჩვენ ფიზიკური შრომაც შეგვიძლია, მეცნიერების დარგებსაც შევეჭიდებით... კალამი თქვენთვის დაგვითმია! ამჟამად კი ვინაიდან ორდენი არა მაქვს, კარგ წიგნს ჩამოგკიდებთ მკერდზე, რომ ბანდიტის ტყვიამ არ განგგმიროთ.

– გმადლობთ, თქვენი წიგნები ყველა მაქვს შეძენილი, აი, ამ წიგნს რომ დაწერთ, რომელ მასალასაც გიტოვებთ, ის მაჩუქეთ და წიგნში საზოგადოებას ჩვენს თავს მთლად პაწაწინას ნუ დაანახვებთ თქვენი ეგზომ მაღალი კვარცხლბეკიდან...

– კარგი, ვეცდები, ხოტბა შევასხა ბანდიტებთან ბრძოლაში თავდადებულ გმირებს! – ვუთხარი გამომძიებელს და ტკბილად გამოვემშვიდობე...

... ამ დროს გივი მართლაც ბუხართან იჯდა და კრიალოსანს მარცვლავდა, მაგრამ თუ ოდნავ უკან გადავიხედავთ, მატარებელი ჩრდილოეთისაკენ მიაქანებდა ჩვენი დეტექტივის გმირს, რომელსაც ფანჯარასთან მოეკალათებინა და ზაქროსთან გასაგზავნ წერილს თხზავდა, დროდადრო ლუდს გადახედავდა და უკვე წვერგაპარსულ სახეზე სინანული თუ დაღლილობა იბეჭდებოდა...

წერილი დაწერა და რომელიღაც სადგურიდან გააგზავნა კიდეც საქართველოში, მატარებელი გზას ამოკლებდა ჩრდილოეთისაკენ. საქართველოდან ოთხი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ საკუთარ ოჯახში მივიდა ლიუდა, ორთქლის აბანო გაახურეს და ლაზათიანად იბანავეს, გივიმ კონიაკით დათრობა მოისურვა აბანოს შემდეგ და ნატვრაც დაუყოვნებლივ შეუსრულეს, ალკოჰოლმა თავისი მოვალეობა შეასრულა, მიძინებული ტვინის უჯრედები გაუღვიძა და მერცხალივით ააჭიკჭიკა:

– ლიუდა, საძაგელ მიზანს მივაღწიე, რასაც შურისძიება და ხოცვა-ჟლეტა ჰქვია, ახლა ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო, შენ ბრძენი ხარ და რჩევა-დარიგება მინდა შენგან. ყველაფრის თქმა სისულელეა, მაგრამ რასაც იტყვი, ჩვენს ფიქრს უნდა უკავშირდებოდეს... მითხარი ლიუდა, რას ფიქრობ ჩემზე ან საერთოდ ჩვენზე?

– რა გირჩიო, მე შენი მეშინია, გივი! შენ ძალზედ დაუნდობელი ხარ! ახლაც მესმის ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ქალთამზეს ხელის მტევნის ძვლების ტკაცანი... მე გული მი-

წუხდა, შენ კი ეს პროცედურა გსიამოვნებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის და-ძმური სიყვარულია, მაინც მეშინია შენი, ვიცი, მცირედ შეცდომასაც არ მაპატიებ! შენში გამბედაობა სჭარბობს, მე შენდენი არ შემიძლია, გივი...

– შენ ჩემთან სიარული და თანამშრომლობა უკვე დაამთავრე, ლიუდა, არ იფიქრო, რადგან უბედურს მადლი მიყავი, როგორც მინდა, ისე მოგექცე, ტყუილად გქონია ჩემი შიში, დაო... ჩვენი შიში და ჩვენი სიხარული თვითონ ჩვენის აქმენი არიან, შენ ჩემს მიერ ჩადენილმა დაუნდობლობამ შეგაშინა, მაგრამ ის რომ დაგენახა და გეგრძნო, როგორ მიყვარდა ნინო, ვისთვისაც ეს დაუნდობლობა ჩავიდინე, ვიცი სიხარულით თვალები გაგიბრწყინდებოდა და სახე გაგებადრებოდა! შენ მე ბევრჯერ გადამარჩინე და ჩემი სიცოცხლეც შენ გეკუთვნის. მაგრამ სავალალოა, რომ შენთან დარჩენა არ შემიძლია...

– ნეტავ, სად აპირებ წასვლას, საქართველოში? დაგიჭერენ უბედურო! ჩემთან კი ვერავინ მოგაგნებს, იგრიალე და იცხოვრე ბედნიერად, ციმბირში ლამაზმანებს რა გამოლევს, ცოლსაც შეგრთავ და წარსულიც დაივიწყე, შვილები შეგეძინება და ახალი ცხოვრებით იცხოვრე!

– არა, ლიუდა, ნინო უკანასკნელი სიყვარული იყო ჩემი! აქ რომ ვიცხოვრო, ბოლოსდაბოლოს ვინ ვიქნები მე? ერთი უთვისტომო ქართველი და მეტი არავინ, ხომ სწორია?

– ასე რატომ მსჯელობ, განა ცოტა ქართველი ცხოვრობს რუსეთში? შეირთეს ცოლი, სამშობლოდ გაიხადეს აქაური მიწა-წყალი და ცხოვრობენ ბედნიერად!

– ან არიან ბედნიერნი ან არა, ეს საკითხავია კიდევ... დადგება დრო, სამშობლო მიწა დაუძახებს მათ და... მე კი, ჩემო ლიუდა, მინდა ვიყო „მე“. ისეთი, როგორიც დავიბადე და აღვიზარდე, ჩემი „მე“ უნდა დავიბრუნო და ჩემს საქართველოს ვემსახურო!

– ოჰ, შენც გააჭირე საქმე შენი სამშობლოთი, ნეტავი რა მოგიტანა შენმა საქართველომ, ციმბირში გაგატარებინა ყრმობა სანაცვლოდ შენი თავდადებისა, ეს არის საზღაური?

– მე დანაშაულისათვის ვიხდი სასჯელს! აქ არაფერ შუაშია სამშობლო! რა, დანაშაულისათვის თქვენთან ორდენებით აჯილდოვებენ?

– მცირე დანაშაულისათვის, მცირე სასჯელს აძლევენ, ბავშვებს კი დანაშაულს პატიებენ და აღსაზრდელად აგზავნიან!

– ვიცი, შენს მეუღლეს, იგორსაც აპატიეს, რად გვინდა ერთიმეორის მოტყუება, კანონი ყველგან ერთია საბჭოეთში, ახლა კი ყურადღებით მომისმინე და შეკამათება არ გაბედო, შენ ხომ გეშინია ჩემი და ხანდახან გაიხსენე დაუნდობლობა...

– გისმენ, ბრძანე და მიბრძანე – ლიუდა დარდიანად გამოიყურებოდა.

– ხომ მეგონა, დასრულდა ფათერაკი და უდარდელად ვიცხოვრებდი, ახალმა ფათერაკმა იჩინა თავი. ესე იგი დავასაფლავე წარსული და არა ფათერაკი, საქართველოში ჩვენს მიერ ჩადენილი დანაშაული აუცილებლად იჩენს თავს, რამდენიც არ უნდა ვიყვიროთ, რომ შენ ჩემთან ერთად არ ყოფილხარ, არავინ არ დაგვიჯერებს და გვერდი-გვერდ ჩაგვსვამენ საპყრობილეში, ამიტომ შენ უნდა დაგფარო და მე უნდა ჩავბარდე მილიციას! იქნებ ამ გზით საქართველოში ჩადენილი დანაშაული ავიცდინო და შენც გადაგარჩინო, ახლა ყოველგვარი ძველბიჭობის გარეშე, კეთილსინდისიერად მოვიხდი სასჯელს და საკუთარ „მესაც“ დავიბრუნებს!

– რას ამბობ, რას? დაგხვრეტენ! – წამოიყვირა ლიუდამ და ცრემლები ხელისგულით ამოიმშრალა.

– ცოცხალი ვარ, რას ვაკეთებ, დამხვრეტენ და შიში მაინც აღარავის ექნება ჩემი!

– არსადაც არ გაგიშვებ, თუ გაიპარები, იცოდე ყველაფერს ვაღიარებ და გვერდით მოგიჯდები!

– ლიუდა, ხომ გაგაფრთხილე, ნუ მეწინააღმდეგები, შენ პირველ რიგში ბავშვი გყავს აღსაზრდელი, მეორეც ის, რომ მხოლოდ შენგან მოველი „პერედაჩს“ ციხეში, ხომ იცი, შენს მეტი არავინ მყავს ამ ქვეყნად... მე დაბადებიდან დღემდე კარ-

გად გავატარე სიცოცხლის წუთები, რამდენადაც მეტი ფათერაკიანი იყო დღე, მე ვიმარჯვებდი და ძილიც მშვიდი მეძლეოდა... ვთვლი, ეს ხიფათიანი გზები და დღენი აზრიანად გამიტარებია, ახლა მხოლოდ მშვიდი სიკვდილი მაქვს საძებარი. დიდია ჩემი ცხოვრებისეული წარმატებანი, ჯერჯერობით თითქმის მარცხი არ განმიცდია, სიკვდილის არასოდეს მშინებია და არც ახლა მეშინია, როგორი ბედიც მაქვს, ღმერთიც იგივეს მომიმზადებს, დიდება უფალს, მეც ქედმოხრით შევეგებები ღმერთის განაჩენს!

– ღმერთის განაჩენს კი არა, საკუთარი თავის განაჩენს დაუგდე ყური, თუ მეგობრად მთვლი, მომისმინე: ცხოვრებაში, რაც დიდი წარმატება განგიცდია, ყველა დავიწყების არქივს ჩაბარდა, ახლა რას იქმ, ის მიჩვენე. თუ შენ მართლა განიცდი დანაშაულისათვის მხილებას და მტრების თავდასხმას, ისინი ისე ვერ შეგაწუხებენ, როგორც ჩემი რისხვა – ქოქოლა! თუ შენ უკუაგდებ ჩემს რჩევას და მაინც უნდა მოკვდე, უკუაგდე სულელური მიზეზები და მოკვდი მხოლოდ დიდი საქმისათვის, რომელ ჭკუათმყოფელს მიუკლავს თავი ცოლის დასაფლავებისათვის ერთი მაინც დამისახელე ვინმე...

– აღარ მინდა თავის შეხვევა, კომბოსტო ხომ არა ვარ... მე მაინც ასე მგონია, ჩვენს განსჯას თანხმობას აძლევ! მადლობას გიძღვნი, ვთქვი და მოვრჩი ამ საკითხზე საუბარს! ხვალ დილით ეკატერინობურგის შინაგან საქმეთა სამმართველოში გამოვცხადდები...

– რატომ მაინცდამაინც ეკატერინობურგის შინაგან საქმეთა სამმართველოში, ახლოს აღარაფერია, ხშირად მოგაკითხო მაინც?

– არა, ეკატერინობურგში მირჩევნია, იქ ჩვენი მეფეები განისვენებენ და თუ დამხვრეტავენ, მათ გვერდით უფრო განცხრომით განვისვენებ!

– ოჰ, გივი, რა უღმერთოდ მექცევი! – ცხარე ცრემლების ფრქვევით ამბობდა ლიუდა. – საკუთარი შეცდომისათვის,

ნუთუ არ მაკმარე სასჯელად, რაც თავს დაგვატყდა, ახლობელთა დაკარგვა, ჩხუბი, მკვლელობები და ურიცხვი ხიფათი... ახლა კიდევ უარესს მაიძულებ: „ჩუმად ვიყო და შენ ერთმა აგო პასუხი ყოველგვარ დანაშაულზე“. ალბათ, არცერთი მსაჯული არ იქნება შენებრ მკაცრი ქალის წინაშე...

– არ ვარ მკაცრი! ხომ ხედავ, შენმა ცრემლმა გული მომილბო! შეგიძლია, ხვალ ჩემთან ერთად წამოხვიდე ეკატერინობურგამდე. შეეშვი ცრემლის ღვრას, მომწყინდა სულ მუდამ ვაი-უშველებელი, მე შენგან მეტ სიმკაცრეს მოველოდი, ნუთუ გაგტეხა ბედის სიმუხთლემ, რომ მხოლოდ ცუდს გაფიქრებინებს ჩემს მიმართ? ხვედრის მიხედვით სჩვევია კაცს მომავლის დასკვნის გაკეთება, მე ვფიქრობ, შენი წინასწარმეტყველება კეთილის მომასწავებელია, არავინ დამხვრეტს! ჩემი დანაშაული დახვრეტას არ ითვალისწინებს და ნახავ, მე როგორი საღ-სალამათი დაგიბრუნდე, შემდეგ კი ორივე ერთად წავალთ საქართველოში, ერთად მოვინახულოთ მოხუცი მამა, თუ როგორ მოხდება ეს, შენთვის დაუჯერებელია, ჩემთვის კი არა, რადგან შენ სიცოცხლის რწმენა გაქვს და დაკარგული და წარმოგიდგენია? – შენს მიერ დაკარგული რწმენა მე ვიპოვე! ახლა ორი რწმენა მაქვს და მწამს, ვერავინ მოაკვდინებს ღმერთისაგან გადარჩენილ კაცს! ეს გულთამხილველმა მამცნო, თუმცა უბედურებისა და ფათერაკისაგან თავის დახსნისა არა მაუწყა რა, მოსალოდნელი ფათერაკის წინასწარ ხილვა შესაძლებელია, მისი თავიდან აცილება კი – არა! სასარგებლოა წინასწარ ჭვრეტა, ფათერაკის სიმძიმეს ანელებს იგი, თავსდატეხილი უცაბედი უბედურება ძნელი ასატანია, წინასწარხილული კი ბედთან შეგუებულად მიგაჩნია, აბა, თვითონ წარმოიდგინე, აქ რომ მილიცია მოგვადგეს და ორივე დაგვაპატიმროს, რამხელა მეხის დაცემა იქნება მოწმენდილი ციდან?! თუ წინასწარ განჭვრეტილ კაცს წარმოდგენილიხიფათი შეხვდება, თავზარი ნელ-ნელა უნელდება, ეჩვევა და ეგუება აუტანელ მდგომარეობასაც კი!

– დარდი ნუ გაქვს აქ ვერავინ მოგვაგნებს!

– გახსოვს მამაჩემის სიტყვები? – „მიწის ზევით რაც იყო, არ დაუტოვებია გადაუბრუნებელ-წაუბილწავი ახალ მთავრობასა და ახლა მიწაში რა არის იმას დაეძებენ!“ – გესმის ლიუდა? მიწაში რაც არის, იმას დაეძებენ და ჩემი აღმოჩენა გაუჭირდებათ? მითუმეტეს კვალს მოჰყვებიან უკვე, ხომ გახსოვს მამაჩემისათვის რომ უკითხავთ: „შენი გივი ცოცხალია და თუ იყო შენთან, ნუ დაგვიფიცავო“... ვერსადაც ვერ დავიმალებით ლიუდა და სიფიცხით შეიძლება შენც დაგღუპო, ნებაყოფლობით კანონს ჩაბარება კი ამსუბუქებს სასჯელს...

ლიუდა მიხვდა, რომ გივის განზრახვას ვერ გადაათქმევინებდა და მშვიდობიანი ღამეც არ უსურვა, უხმოდ წავიდა თავისი საძინებელი ოთახისაკენ. გივი მარტოდ დარჩა, ღრმად ჩაფიქრუბლი... მთელი სახლი სიჩუმემ მოიცვა. ლიუდამ საძინებელი ოთახის კარი ჩაკეტა და როდესაც გივის მომაბეზრებელი საუბრისაგან თავი მარტო დაიხელთა, ეულად აქვითინდა... ეტყობა, ღამეში უფრო მძაფრია ვარამი, როდესაც თვალსა და ყურს არაფერი იტაცებს და მწუხარებასთან მარტოდ რჩება ადამიანი... ტიროდა ქალი, თავისთავთან განმარტოებული, ტიროდა თავის უკუღმართ ბედს, მისტიროდა იგორს და ახლა გივის, რომლის ციხიდან დაბრუნება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა... მთელი ღამე არ სძინებია, თუმც, არც გივის მიჰკარებია რული თვალზე... ფიქრობდა ახალ ცხოვრებაზე. მაგრამ ხანდახან თავს შეახსენებდა ლიუდას სიტყვები: – „დაგხვრეტენ, შე უბედურო!“ – ნუთუ მართლა დამხვრეტენ იმ აქოთებული მილიციელისათვის, რომელმაც მკვდარიც კი არ დაინდო და გაძარცვა? მე ხომ მასთან საუბარი მინდოდა, მან სასიკვდილოდ გამიმეტა, შემთხვევით ლიუდამ გადამარჩინა, ნაღდად თავდაცვის მუხლი მეკუთვნის! – „მართალია, გეკუთვნის!“ – გაესაუბრა თავისივე ორეული – მაგრამ ვისაც რა ეკუთვნოდა, ყველამ მიიღო? მართლმსაჯულების საწყაო ცვალებადია, თუ გავითვალისწინებთ საკანონმდებლო ორგანოებში მოკალათე-

ბულ ჩინოვნიკებს, ისინი უფრო მკაცრად სჯიან მხდალთ, ვიდრე აჯილდოებენ მამაცთ!

– ჰო და მეც ამიტომ გადავწყვიტე შევგებებოდი ხიფათს, – თავის ორეულთან გასაბურება განაგრძო გივიმ. – სიყვარულისთვის ჩამედინა დიდი, გაუგონარი თავდადება, რაც ყველას გასაოცრად არც ისე ხშირად ხდება ღდევანდელი ცხოვრების სიყვარულის ეპოქაში! ვერ ვიამაყებ, არ ვიცი, ვის დაზაფრავს და ვის გააოცებს ჩემს მიერ ჩადენილი ეს ქმედება, ვისთვის სიკეთეა და ვისთვის ბოროტება! მხოლოდ ერთი კი ნაღდია, მე გავიმარჯვე, ბოროტების ჭია მოვკალი ჩემსავე ორგანიზმში! რაც ჩემზე იყო დამოკიდებული მოვიმოქმედე და კმაყოფილი ახლა ვბარდები ბედის განაჩენს!

ლიუდა ცრემლით და გივი ფიქრებით გათანგული შეეგებნენ განთიადს, დილით შემდურებულებივით შეხვდნენ ერთიმეორეს, კაცი რამდენიმე წუთს ოთახში ბოლთასა სცემდა, უაზროდ მიმოდიოდა, დუმილი ხანდახან ყვირილზე უარესია, ვეღარ გაუძლო; ოთახში მხოლოდ საათის ნერვებისმომშლელი წიკწიკი ისმოდა და მყუდროება პირველმა დაარღვია:

– ჩაიცვი, მოვემზადოთ, ლიუდა, უნდა წავიდე! არ მინდა, აქ მომისწრონ! გემუდარები, ჭკუის დარიგებას ნუღარ დამიწყებ, სხვა გამოსავალი არა მაქვს, საყვარელო! ცოტაოდენი ფული წამოიღე, ვინ იცის, შეიძლება, თავისი ზებუნებრივი ძალა გამოიჩინოს, ხომ იცი, ფული სიცოცხლეზე ძვირფასია ყაჩაღებისათვის და ჩვენ სწორედ კანონისაგან ნებადართულ ყაჩაღებთან მივდივართ ბედის განსაკითხავად, მათ არ იციან ფულის გარდა კეთილშობილება, მათი ნათესაური და მეგობრული გრძნობებიც ფულით იზომება, ფულის შოვნის სურვილით არსებობენ და მისი სიყვარულით სულდგმულობენ, გამოცდილი და შესწავლილი მყვანან!

– მე კი არ გეცოდები, გივი, რომ მიდიხარ და მტოვებ ღვთის ანაბარა? შენ ნუთუ მართლა გიყვარდა ნინო, არა მგონია, სიყვარული იცოდე, შენ ციხეში გაიზარდე და დიდად გაკ-

ლია ოჯახური აღზრდა, ციხე ცივია და გულჩათხრობილი, შენც ცივი ხარ, რომელსაც არ გაგაჩნია სიბრალული, ციხეში გაწვრთნილი ციხის ზედამხედველად გამოდგები მხოლოდ! ოჯხაში გაწვრთნილს ორი ფეხი რომ აქვს საყრდენად, თითოეული ნაბიჯის გადადგმაც სიბრძნესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ერთი კეთილზნეობას უნდა განსაზღვრავდეს, მეორე კეთილგონიერებას, პირველი ნაბიჯი საყრდენია სათნოებისა, მეორე კი ხმალი უნდა იყოს ბოროტების მოსაგერიებლად! შენ სათნოება საერთოდ არ გაგაჩნია. ხმალი კი ალესილი გაქვს არა ბოროტების მოსაგერიებლად, არამედ ციხეში მოძმეთა თავის წასაკვეთად! ახლა ნუ გამიწყრები და შემდეგში ცუდად არ მომიგონო მწარე სიმართლისათვის! მე მზადა ვარ, წამოდი, გაგაცილებ, ვინ იცის, იქნებ კარგი ფეხით გაგაცილო, თუმცა ქალური წინათგრძნობა ცუდს მკარნახობს, მაგრამ ზვავს უფრო ადვილად შეაჩერებს ადამიანი, ვიდრე შენ განზრახვას! ვგრძნობ, ვერ შეეგუე თავისუფლებას, თითქოს გდევნიან და ისევ ციხისკენ გეწევიან, ქვეყანას, რომელსაც ჩვენ თავისუფლებას ვეძახით, ვერ იპოვის ნამდვილი ადამიანი ჩვენს დღევანდელ ზნედაცემულ საზოგადოებაში, ამიტომ დაიწყე დიოგენის ფარნით ადამიანის ძებნა, მაგრამ გავიწყდება, როდესაც დიოგენის ფარნით დადიხარ, ყავარჯენიც უნდა ატარო დიოგენისეული და წელზე თოკი უნდა გქონდეს შებმული, აუცილებლად გაგითხრის ვიღაც ფეხებთან ორმოს და თოკი დაგჭირდება, რომ ადვილად ამოხვიდე იმ ორმოდან! თუმც ბევრჯერ ამოგიყვანეს შენმა მფარველმა ანგელოზებმა, ახლაც ადვილად ამოეყვანო მათ ძლევამოსილებას გასაჭირიდან! დამილოცნიხარ, ღმერთი იყოს შენი მფარველი! ახლა წავიდეთ! – თქვა და ამჟამად სახლი არ დაულოცია, როგორც ყოველთვის სჩადიოდა ამას, გივიმ შეაჩერა და შეახსენა, ჯვარი გადაესახა სახლისთვის, მაგრამ ლიუდამ უარის ნიშნად მძიმედ გადააქნია თავი და როდესაც ეზოს გასცილდნენ, მხოლოდ მაშინ გასცა პასუხი:

– ჯვარს აღარასოდეს გადავსახავ ამ სახლს, აქ მამაკაცი ვერ იხარებს, შენი გასამართლების შემდეგ მე ამ სახლს დავწვავ და იმ კოლონიასთან ახლოს ვიყიდი თავშესაფარს, სადაც შენ მოგიწევს სასჯელის მოხდა.

– ხომ არ გაგიჟდი, ლიუდა, რა მოგდის, შენ სხვაგვარი სიყვარული ხომ არ გიბიძგებს ჩემსკენ?

– არა, ძვირფასო, მადლიერების გრძნობა მამოძრავებს. სანაცვლოდ იმისა, რაც ჩემს მიმართ გააკეთე, შენთვის თავდადება არ მენანება.

გივისაც ჰქონდა გული საგულეში. ლუდას ლმობიერმა მოპყრობამ გული აუჩუყა და ცრემლიც კი მოჰგვარა, – ვინ იცის, რამდენი წელიწადი გაივლის და ვეღარ გავიგონებ შენს საყვედურებს – უთხრა ლიუდას და ეკატერინობურგამდე ხმა აღარ ამოუღია.

ეკატერინობურგი ნისლში იყო გახვეული, როდესაც გივი და ლიუდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას მიადგნენ, მინისტრთან შეხვედრა შეუძლებელი გახდა, მაგრამ მინისტრის მოადგილეს როდესაც მოახსენეს, „საქართველოდან არიან და პირადი შეხვედრა სურთო“ – მყისვე დაყაბულდა მდივანს და დაუბრკოლებლად მიიღო ორივენი.

როგორც ყველგან, აქაც იგივეა: ორმაგი კარები, ფართო კაბინეტი და სადღაც შორს უზარმაზარ მოჩუქურთმებულ საწერ მაგიდას უზის ალკოჰოლისგან ცხვირგაწითლებული მამაკაცი, რომლის მუნდირსაც გენერალ-მაიორის სამხრეები ამშვენებს.

გივიმ კაბინეტში შესვლის უფლება ითხოვა, გენერალმა თანხმობის ნიშნად მძიმედ დააქნია თავი. კაბინეტში შესვლისთანავე მასპინძელმა მოსულები შეათვალიერა, ფიზიკურად მოეწონა და სავარძელზე მიუთითა, ორივენი უხმოდ დასხდნენ. წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე გენერალმა შეახსენა, სადაც იმყოფებოდნენ და წყნარად წარმოთქვა:

– რისთვის შეწუხებულხართ და მობრძანებულხართ მზიური საქართველოდან?

გივი ზეზე წამოდგა.

– ბრძანდებოდეთ! ბრძანდებოდეთ, ასე უფრო თავისუფლად ვისაუბრებთ. – გენერალს მეთაურის ხმა ჰქონდა, ბრძანების კილოთი დასვა თავის ადგილზე.

გივი დაჯდა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ცოტაც დაიბნა კიდეც. საიდან დაეწყო, აღარ იცოდა... გენერალმა უხერხულობა შეამჩნია და გადაწყვიტა, ცოტა გაეთამამებინა და თითქოს სასხვათაშორისოდ თქვა:

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რომ ფართო კაბინეტში იმყოფებით გენერლის პირისპირ, მე ბევრი მყავს ქართველი მეგობარი, ასე რომ, თავისუფლად ისაუბრეთ, მე თქვენ გაგიგებთ!

– დიახ, პატივცუმლო გენერალო, რა თქმა უნდა, მიჭირს საუბარი, საქმე ის არის, რომ მე შრომა-გამასწორებელი კოლონიიდან ვარ გამოპარული!

– რაო?! – ზეზე წამოიჭრა გენერალი, მაგრამ მალევე მოთოკა ნერვები, დაჯდა და ძალით გაიღიმა.

– დიახ, როგორც მოგახსენეთ! – განაგრძო გივიმ. – კოლონიიდან ვარ გამოპარული, ჩემი გვარი ტაბატაძეა, სახელი – გივი, მამის სახელი – აკაკი!

– ვაი, ვაი, ეს თქვენა ხართ ლეგენდარული გივი, რომელიც მგლებმა შეჭამეს? – ახლა მართლა გაეღიმა გენერალს.

– დიახ, პატივცემულო! – გივიც იღიმებოდა.

– მერედა ცოცხალი როგორა ხარ, თუ შეგჭამეს?

– შხამიანი ხორცი აღმომაჩნდა, პატივცემულო და მგლები დაწყდა, მე გადავრჩი!

– არა უშავს, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. ერთ დროს მეც ვიყავი პატიმარი, მაგრამ ახლა გენერალი ვარ! მზის ჩასვლა, მზის ამოსვლის მაუწყებელია. შენც გაგიღიმებს ბედი, თავისუფლებაზე ყოფნის დროს რაიმე დანაშაული გაქვთ ჩადენილი?

– არა პატივცემულო!

– კარგი გავიგებთ! სხვა რაიმე სათხოვარიხომ არა გაქვთ?

– კი მაქვს ერთი სათხოვარი, აი, ეს შეკვრა აიღოთ და დღეს რესტორანში დალიოთ ჩემი მშვიდობით დაბრუნების სადღეგრძელო! – გივიმ ასმანეთიანების შეკვრა მაგიდაზე დაუდო გენერალს, რომელსაც ჩაბინდული თვალები გაუბრწყინდა, ფული ხელში აიღო და დაყნოსა.

– საქართველოს სუნი ასდის! – თქვა მან, – არა და დანაშაული არაფერი ჩამიდენიაო, ბანკი გაქურდეთ?

– არა, პატივცემულო. ეს ოჯახში მქონდა ბავშვობიდან ნაგროვები ფული, გივი საქართველოში არც კი ყოფილა, ჩემთან ცხოვრობს, ჩემზედ არის ჩასიძებული და ჯვარდაწერილი! – საჩქაროდ წამოიძახა ლიუდამ იმის შიშით, რომ გივის არაფერი წამოეროშა, რომელმაც ფულის მიცემაც შეცდომად ჩათვალა.

– ჰო, კარგი, რა მნიშვნელობა აქვს, ყველგან საბჭოეთია, ფულიც ერთია, მე მგონია, რესტორანში მიიღებენ! – გენერალმა ფულის შეკვრა მაგიდის უჯრაში ჩააგდო. შემდეგ თვალი თვალში გაუყარა გივის, რომ უსიტყვოდ გაეგო თუ რისთვის გასცეს ეს უზარმაზარი თანხა; თვალებში ჩახედვა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება, პირველი სიყვარული და უბოროტო ქმედებაა, როდესაც ბავშვები პირველი სიყვარულის უმანკოებით ერთმანეთს თვალებში მიჩერებიან და არ იციან თვალების გიპნოზური ძალა, მეორე შემთხვევაში მტრები მიჩერებიან ერთიმეორეს თვალებში, მაშინ, როდესაც შიშვლდება მათი მტრობა, დიახ, ფულის ძალამ გენერალში თავი იჩინა, გაავკაცდა და გადაწყვიტა ფულთან ერთად მოპოვების ადგილიც აღმოეჩინა! გივიმ შეამჩნია, გენერლის მხედველობის არე ადამიანურს არ ესადაგებოდა, მისი თვალების ბროლი, ეგრეთწოდებული მხედვლეობის ნერვის დისკო მრგვალად კი არა, გრძელ ჭრილად ჰქონდა თვალის კაკლის მაგიერ, ასეთი თვალის კაკალი მხოლოდ არწივს აქვს ფრინველთა შორის, გივის

გაეღიმა, მაგრამ მზერა არ დაუხრია, იგრძნო, ამჯერად წააგო ბრძოლა, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, გენერალმაც იგრძნო, ღირსეული მეტოქის მზერა. პირველმა დახარა არწივისებრი თვალები და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ფულის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე გონივრულად მისი დახარჯვა, თქვენ ამხელა თანხას იმიტომ არ გასცემდით, რომ ციხეში გაგაგზავნოთ, პირდაპირ მითხარით, რას მოითხოვთ?

გივიმ იგრძნო, რომ გენერალი არავითარი სიკეთის გამკეთებელი არ იყო, მაგრამ კატის თვალებით დაგიპნოზებულმა ჩაყოლა არჩია:

– თუ თქვენს ძალას არ აღემატება და თქვენს პიროვნებას ჩრდილს არ მოაყენებს ჩემი თქვენთან გამოცხადების თარიღი, ერთი კვირით ადრე გაატაროთ!

– ეს იოლი სამსახურია, მაგრამ რადგან აღიარებაა, ბოლომდე ითქვას სათქმელი, როგორც ვხედავ, დიდი დანაშაული გაქვს ჩადენილი, მკვლელობა არის?

– არავითარი მკვლელობა და არავითარი დანაშაული! უბრალოდ, მინდა ადრე მოვიხადო სასჯელი!

– ეჰ, ასეთ ფაფას ვინღა ჭამს, მეგობარო, კარგი, შენებურად იყოს. გამოძიება დაადგენს ყოველივეს! მე კი ერთი თვით ადრე აღვრიცხავ შენს ნებაყოფლობით ჩვენთან გამოცხადებას, მხოლოდ იცოდე, ფულის შესახებ კრინტიც არ დაძრა, თორემ შენი მცდელობა იმას დაემსგავსება, პარაშუტისტს, თვითმფრინავიდან გადმოხტომის დროს პარაშუტი რომ არ გაეხსნას...

სხვათაშორის თქვენზედ საკავშირო ძებნაა გამოცხადებული, ალბათ, საქართველოში მსუყე დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ამიტომ გამოაცხადეს „როზისკი“. აი თქვენი სურათი, თუმცა სრულებით არ ჰგავხარ ერთი-მეორეს. ახალგაზრდობაში ან ლამაზი იყავი ან კიდევ ცუდი ფოტოგრაფი გყავდათ!

– ძალით გადაღებული სურათებია, ნებაყოფლობით სურათი არასოდეს გადამიღია, თუ თქვენს შენაპირებს შემის-

რულებთ, საქართველოს გამოძიება, ალბათ, კოლონიაში მომაკითხავს; ბევრს საქმეს მოგაცდინეთ პატივცემულო, დროა, გასცეთ ბრძანება და წინასწარი ძიების საკანში გადამაგზავნოთ! არავითარი შეღავათი არ მინდა, როგორც ყველა დანაშაულში ეჭვმიტანილს, მეც ისე მომეპყრან! საკმაოდ ვისეირნე, კმარა! ახლა ჩემს ძველ სამყოფელს დავუბრუნდები, შემდეგ ისევ ახალს და ასე, ძველისა და ახლის ძიებაში გავლევ წუთისოფელს...

– კარგი, მე დავაკმაყოფილებ შენს ბოლო თხოვნას, მხოლოდ მუდამ გახსოვდეს, რომ შენი მთელი ცხოვრება წინ არის და ის აქ არ უნდა დამთავრდეს, იბრძოლე! მხოლოდ ჩვენთან ბრძოლას განერიდე, სანამ სათავეში გენიალური ადამიანები არიან, წითლები და უმარცხებლები ვართ!

გენერალმა მაგიდის ქვეშ დამონტაჟებულ ზარს თითი დაჭირა და წამზე უსწრაფესად კაბინეტში ორი კბილებამდის შეიარაღებული ჯარისკაცი შამოვიდა.

– გადაიყვანეთ ციხეში და ჩემი სახელით უთხარით ციხის უფროსს, გამოძიების საერთო საკანში ჩასვან და ყურადღების ქვეშ იყოლიონ. – თითქოს თავისთვის წარმოთქვა გენერალმა და ჯარისკაცებს თვალით ანიშნა, თუ ვინ უნდა წაეყვანათ, ისინიც ორივე მხარეს ამოუდგნენ გივის და კაბინეტიდან „პარადული“ ნაბიჯით გაიყვანეს.

ქალურმა გულჩვილობამ ვეღარ გაუძლო გივისთან უხმოდ განშორებას და ლიუდამ ცრემლით დანამული თვალები შეიმშრალა, შემდეგ თვითონაც წამოდგა და წასვლის წინ გენერალს შეეკითხა:

– მალე გაასამართლებენ?

გენერალს გაეღიმა:

– ჯერ არ დაუპატიმრებიათ და უკვე სასამართლოს ელოდებით?

ამ ორიოდე სიტყვით დაკმაყოფილდა ლიუდა, მეტი შეკითხვა აღარ მიუცია გენერლისათვის, ცივად გამოემშვიდობა...

როგორც კი ლიუდა კაბინეტიდან გავიდა, გენერალი ტელეფონის ყურმილს დასწვდა, პირდაპირი კავშირით გავიდა საქართველოსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა:

– „ქალაქში სეირნობის დროს, პირადად ამოვიცანი, ძებნილი, საშიში ბოროტმოქმედი გივი აკაკის ძე ტაბატაძე, წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, შევძელი მისი განიარაღება და დაპატიმრება! ამჟამად იმყოფება ეკეტერინობურგის წინასწარი პატიმრობის საგამომძიებლო იზოლიატორში“. – ეკატერინობურგის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რეჟიმის დარგში, გენერალ-მაიორი კოზლოვი კონსტანტინე კირილეს ძე.

... ბადრაგებმა პირნათლად შეასრულეს გენერლის დავალება, ციხის უფროსს წარუდგინეს საშიში ბოროტმოქედი გივი ტაბატაძე და გენერლის ბრძანებაც გადასცეს, ამ უკანასკნელმა კი ბრძანება გასცა და ხელქვეითებს ამცნო, ტაბატაძე შემთხვევით ჩადენილ დანაშაულთა პატიმრებთან ჩაესვათ საკანში, აქ იზოლიატორის უფროსის ბრძანება შესრულდა და ფართოდ გაუღეს რკინის კარი. გივიმ სიბნელეს თვალი შეაჩვია, თავისუფლება უსურვა დამხვედრ პატიმრებს და ჩანთა თავისუფალ ტახტ-ლოგინზე მოისროლა.

საკანში თორმეტიოდე პატიმარი აღმოჩნდა და თითქმის ყველამ ერთდროულად სხვადასხვა მხრიდან დააყარეს შეკითხვები... გივის გაეღიმა, არ მოეწონა საკანში უწესრიგობა და წყნარად წარმოთქვა:

– სათითაოდ შემეკითხეთ და შეგიძლიათ, პასუხი ყველამ მოისმინოთ. რასა ჰგავს ეს, საკანია თუ თათრების ბაზარი.

– Ох, какой гордый! – წარმოთქვა ერთ-ერთმა, ტახტ-ლოგინზე წამომჯდარმა ბუღალა წვერგაუპარსავმა ახალგაზრდამ, მაგრამ იმისი სიტყვა მის მოპირდაპირედ მჯდომმა უფრო ზორბა აღნაგობის ახალგაზრდამ შეცვალა:

– Земляк, первый раз?

– Да, первый раз... в этом камере!

პატიმრებს ხმამაღლა გაეცინათ. რომელმაც შეეკითხვა დაუსვა, იმ ზორბამაც გულიანად გადაიხარხარა და უფრო გამხიარულებულმა წარმოთქვა:

– მოდი, მიწა-წყალი, გავიცნოთ ერთმანეთი! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა არც თუ სახარბიელო ჩვენს საზოგადოებაში, მე ანატოლი მქვია, შეგიძლიათ, უბრალოდ, ტოლია დამიძახოთ!

– ძალიან კარგი, მე გივი მქვია, თუ ჩემი სახელი ძნელი სათქმელია, შეგიძლიათ ქართველი დამიძახოთ!

– რომელი მუხლით მოგიყვანეს?

– პატიმარი სანამ საკანში შემოვიდოდეს, მანამდე უნდა იცოდეთ იმის ბრალდება, მაგრამ თქვენ ალბათ პირველები ხართ, გეპატიებათ, მე კი – 2002 მუხლით მდებენ ბრალს.

– ვაჰ, ასეთი მუხლი პირველად მესმის, მაინც რა დანაშაულში გამხილეს?

– მაინცა და მაინც ბევრი არაფერი დამიშავებია, ბავშვი დავბანე „ტაშტზე“ და წყალი ფანჯრიდან გადავღვარე ქუჩაში!

– წყალი გადაღვარე ქუჩაში და მაგისთვის დაგიჭირეს?

– არა, წყლის გადაღვრისთვის კი არავის დავუჭერივარ, ბავშვის „ტაშტიდან“ ამოყვანა დამავიწყდა და იმისთვის დამიჭირეს!

– „ტაშტიდან“ ბაშვის ამოყვანა დაგავიწყდა? – აბა რა გაგახსენდა? – ერთხმად გაიცინა სუყველამ.

– ხომ იცით, მარცხი წამიერია! – გივისაც გაეღიმა თავის ნათქვამზე.

– მე კი მეგონა, ვინმე გამვლელს თავზე გადაასხი წყალი და სასჯელიც ცოტა გემუქრებოდა, შენ კი ბავშვი მოგიკლავს!

– ჰო, ხდება უბედური შემთხვევა, თქვენ როგორ ფიქრობთ, არ მაპატიებენ?

– ვინ გაპატიებს, მიწა-წყალო, ბავშვის სიკვდილს, თუ დახვრეტას გადაურჩები, ღმერთს სანთლები აუნთე და ბავშვს საკურთხი გაუგზავნე ყოველდღე!

– რატომ არ უნდა მაპატიონ? ბავშვი ჩემი იყო, მოსამართლესი კი არა! ჩემს ოჯახში კირკიმალს ვინ ეკითხება მოსამართლეს?

– შენ სწორი ხარ, მაგრამ კანონი შენებურად არ არის დაწერილი...

– რატომაც არ არის, კანონი ხალხმა შექმნა და დაწერა! იმ მამაცხონებულს ცოტა შერბილებულად რომ დაეწერა, არ შეიძლებოდა?

გივის კანონსაწინააღმდეგო სიტყვებმა საკანში მხიარულება შექმნა და გივის შემოსვლამაც პატიმრებს ოდნავ გაუქარვათ დარდი, აქ, საკანში, რკინის კარის მიღმა ყველანი გულუბრყვილონი არიან, მითუმეტეს ახალბედები, რომელთაც ჯერ არ გამოუცდიათ გრძელი სასჯელის სიმწვავე და გამოძიების ათასნაირად დახლართული ლაბირინთები... ორჯერ მკვდარი, გამოგლოვებული და უთვალავ ხიფათგამოვლილი გივი, გენერლის წყალობით, სწორედ ამ გულუბრყვილო პატიმართა საკანში მოხვდა და მათი სიყვარული და პატივისცემაც პირველი დღიდანვე დაიმსახურა... რა არის პატიმარი? იქნებ მართლაც საზოგადოების მუწუკია, რომელიც დროულად საჭიროებს განარიდონ ჯანმრთელ საზოგადოებას, სად გადის ზღვარი პატიმარსა და თავისუფალ საზოგადოებას შორის? რომელია მათ შორის ამ ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზანი? პატიმარი თუ მოუხელთებელი სუბიექტია, საიდუმლოებით მოცული, მისი აღწერა და გამოხატვა შეუძლებელია, მაშინ ვინღაა თავისუფალი საზოგადოება?

მეჩვენება, რაღაც საშინელი ზმანებაა ბოროტმოქმედთა და ჯანმრთელ საზოგადოებას შორის, ამ ორ სამყაროს შორის უხილავი ბეწვის ხიდია გაბმული, რომელზედაც თავისუფლად გასვლით ვერავინ იამაყებს, შეიძლება ცამდის აღზევებულსაც ჩაუწყდეს ბეწვის ხიდი და ბოროტმოქმედთა საკნის მკვიდრი გახდეს! ამას თავისუფალი სამყაროდან ვერ ვამჩნევთ, პატიმრები კი გამოკეტილი კარიდან ნათლად ხედავენ, რომ ჯანმრ-

თელ საზოგადოებათა სამყარო მკვდარია, ეს უკიდეგანო დედამიწაც მკვდარია, რა თქმა უნდა, პატიმრებიც მკვდრები არიან და სულებივით დაფარფატებენ, სულები კი უფრო ნათლად აღიქვამენ სულიერ და ხორციელ მარადისობას და ამ მარადისობიდან დანახულ საოცრებას, რომელსაც წარსული, აწმყო და მომავალი ჰქვია.

რად ჰგონია ვიმნეს დაზღვეული იყოს პატიმართა ხვედრისგან? პატიმარიხომ ცოდვის საზღაურია! ეს არ არის ფუფუნების ნაკლებობის გაუმჯობესებისაკენ მიმავალი გზა, არამედ სიცოცხლის სიწმინდეში დაშვებული შეცდომაა, რომლის გამოსწორებასაც უფალი სატანჯველით გვივლენს!

საკანში მხიარულება შეწყდა. – „რა მეცინებაო“ – ყველა თავს ჩაუფიქრდა და საკანიც მოიღრუბლა, საწვიმრად მოემზადა... გივის, რომ განემუხტა საკანში ჩამოწოლილი მძიმე მდგომარეობა, ანატოლის უთხრა:

– აი, მეგობარო, მე ხომ გითხარით, რისთვისაც დამაპატიმრეს, ახლა კეთილი ინებე და შენს ამბავს მოგვიყევი, შემდეგ სხვა თავისას იტყვის და სხვის დანაშაულთან საკუთარი დანაშაული იოლად მოგვეჩვენება, ასე გავლიოთ ეს დუხჭირი წუთისოფელი, თორემ, ხომ იცი, ფიქრი ამონებს ადამიანებს და ხანდისხან ძნელად მოსაფიქრებელსაც კი ანხორციელებინებს!

– ეჰ, ქართველო, ჩემი ამბავი არც ისე ადვილად მოსაყოლია, როგორც შენი „ტაშტის“ ამბავი იყო! არავისთვის მითქვამს და დავიფიცე, არც არავის ვუთხრა, მაგრამ გამიგონია, გაზიარებული ბედის სიდუხჭირე ამსუბუქებსო სევდას! ამიტომ სწორად იმას მოგიყვებით, რაც გამოძიებისთვისაც არ მითქვამს, მხოლოდ ერთი პირობით, შენი თქმის არ იყოს, ყველა მოყვეს თავის დანაშაულს...

– მოვყვებით! მხოლოდ ერთი-მეორეს არ დავცინოთ! ზოგს მდიდარიწარსული აქვს და მოსასმენადაც ღირსეული, ზოგს კიდევ ღარიბი და მოსასმენად უვარგისი! – თქვა ანატოლის მოპირდაპირედ წამოწოლილმა შუახნის მამაკაცმა.

– როგორ გეკადრებათ! – უპასუხა ანატოლიმ. – როგორც ჩვენ არ ვგავართ ერთი მეორეს, ასე ამბავიც არ ემსგავსება, მაგრამ აქ ოთხკედელშუა დამწყვდეულთათვის საუბარი მოსასმენად ყველა ტკბილია! წარმოშობით ებრაელი ვარ, გვარად როხლინი, ალბათ, ჩემი არცთუ უძველესი წინაპარი იყო ლევ როხლინი, რომელიც რუსეთის სიყვარულისთვის მოჰკლეს! მეც ასე ვარ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს რუსეთი და რუსი ხალხი, თუმცა ნაციზმი აქვთ სისხლსა და ხორცში გამჯდარი და დიდად არ უყვართ ებრაელები. მაგრამ როგორმა ავმა სურვილმაც არ უნდა მოუაროს თანამედროვე რუს პოლიტიკანებს და რამდენი ლოცვაც არ უნდა აღუვლინონ თავიანთ კერპს – რომელსაც ისინი ფულს ეძახიან, სპინოზას გზას ვერ აცდებიან! მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ებრაელები ალალ შრომას უკუაგდებენ და რუს ხალხს მიბაძავენ ბრძოლისუნარიანობაში! ჩვენ მთელი ევროპა რუს-ებრაელებს გვეძახის და არც არის გასაკვირი, დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, მანამ რუსი ხალხი შემოიჭრებოდა, ეს კი 862 წელს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვით, ებრაელი-ხალხი კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში დაფუძნდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა რუსეთი ჰქვია. ასე რომ, რუსი ხალხისგან, რომლებიც გაიჭრენ ხელისუფლების სივრცეში.

– კაცო, შენ ებრაელების ისტორიას გვიყვები, თუ პირადი დანაშაულის ირგვლივ გვესაბურები? – ვეღარ მოითმინა ჟღალწვერიანმა რუსმა და ანატოლის თხრობა შეაწყვეტინა.

– სახლს ისე ვერ ააშენებ, თუ ბალავარი არ ჩაუყარე! – ანატოლის ხმა თვითდაჯერებული იყო.

– ვახ! შენი ბალავარი ძალზე ღრმა გაიჭრა და გეშინოდეს შიგ არ ჩაიხრჩო! როგორც შენ ამბობ, თუ ებრაელიხალხი რამდენიმე საუკუნით ადრე დაფუძნდა რუსეთის ტერიტორიაზე, რატომ რუსი ხალხი გამრავლდა და ებრაელები ისევ იმდენი არიან, რამდენიც ჩვენს ერამდე იყვნენ?

– სწორი შეკითხვაა და პასუხსაც სწორს მოგახსენებ, რომელთაც ორი მიზეზი გააჩნია: პირველი ის, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული „რუსოფობებისაგან“ ყოველთვის განვიცდიდით ზნეობრივ ზეწოლას, რაც ხელს უშლიდა ჩვენს გამრავლებას! მეორე კი წინაპართა დიდი ცოდვა გვაძლევს ქრისტე ღმერთის ჯვარზე გაკვრის გამო, რომელიც არ გვაპატია უფალმა და სანამ იარსებებს ჩვენი ერი, ასე უნდა ვიცოდვილოთ...

– რაო?! მაგ კაცს დავეძებდი, ვინც ქრისტე ჯვარზე გაგვიკრა, ახლა კი ნამდვილად ვეღარ გადამირჩები! – თქვა ჟღალწვერიანმა და ზეზე წამოიმართა.

გივის გაეღიმა ჟღალწევრიანის გულუბრყვილობაზე და კიდეც მოეწონა თავისი ერისა და სამშობლოს დაცვა! თვალით ანიშნა, შენს ადგილზე დაჯექიო და როდესაც მოწინააღმდეგე თვალის ნუსხას დაემორჩილა, გივი შეეკითხა:

– რატომ ხარ კაცო, ასეთი აგრესიული, რატომ გავიწყდებათ სადაც ვიმყოფებით? საინტერესო ისტორიას ჰყვება ანატოლი! ჩვენც მოვუსმინოთ, ისე რომ ნერვებთან ნუ მივიტანთ მაგის ნურც გინებასა და ნურც შექებას!

– როგორ არ უნდა მივიტანო ნერვებთან მაგისი ნათქვამი, როდესაც ჩვენ, რუსები სრულებითაც არა ვართ ნაცისტები! შენ ხომ ხარ ქართველი, შეგავიწროვა რომელიმე რუსმა ოდესმე?

– რა თქმა უნდა არა! მაგრამ არც ანატოლი ასახელებს პირად შევიწროებას, ეს თავისი ლტოლვილი ერის მწუხარებას განიცდის!

– ივან, „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“... – უთხრა ანატოლიმ და გივიმაც გაიგო, რომ ჟღალწვერიანს ივანე ერქვა.

– რითა ხარ კარგი მთქმელი ან მე როგორა ვარ ცუდი გამგონე? – არ ცხრებოდა ივანე, – ჩემს მეზობლად ცხოვრობდი, არავისაგან შენს ოჯახს შევიწროება არ განუცდია, რუსი ეროვნების მზეთუნახავი გოგონა ცოლად შეგრთეთ, შენ ის

მოკალი ვაჟკაც კაცთან ერთად და ცუდი სიტყვაც არ დაგცდენია შენს მიმართ! შენ კი ამბობ, თითქოს ზეწოლას განიცდიდი რუსი ხალხის მიერ!

– რუსი ხალხი ცუდად არასოდეს მიხსენებია! მე ვთქვი: „რუსოფობები“, რომლებიც ნაღდ რუსობას იბრალებენ და ხელისუფლების სავარძლებზე არიან მოკალათებულნი, სწორედ მათ მიერ, არა მარტო ებრაელები, არამედ კეითლსინდისიერი, მშრომელი რუსი მოსახლეობაც განიცდიან ზეწოლას!

– ეგ მართალია! – ზეზე წამოდგა ვანო.

– ჰო და თუ მართალია, ამიტომ უნდა „კარგ მთქმელს კარგი გამგები!“ რაც შეეხება ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მათ ევაკუაციას სამშობლოდან და რუსეთის ტერიტორიაზე დასახლებას, ამ სიმართლეში თქვენც დამერწმუნებით, მე ძირძველ მოსახლედ ვთვლი ჩემს წინაპრებს ეკატერინობურგის მიდამოებზედაც კი, ვინაიდან ეკატერინობურგი, დღევანდელი სვერდლოვსკი, დაარსდა 1423 წლის 7 ნოემბერს. იმპერატორ ეკატერინე პირველის მიერ და იმისვე საპატივცემულოდ ეწოდა ეკატერინობურგი. სანამ ქალაქი დაარსდებოდა, ჩვენ იმავე ადგილზე ვცხოვრობდით, სადაც დღეს ვცხოვრობთ, იმ შეფენილ თხემზე, სადაც რასტორგუევ-ხარიტონოვის სახლი იდგა, ახლა კი პიონერთა სასახლედ არის გადაკეთებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ ქალაქის ერთ-ერთ ძირძველ მოსახლედ ვითვლები, მაქვს მამაპაპური საკუთარი სახლი, ეზო-ბაღჩა-ბაღი და ვცხოვრობდი, სანამ ეშმაკი ჩემს ბინას მოაგნებდა...

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ყოველგვარ საკუთარ შეცდომასა და უტვინობას ადამიანი ეშმაკს აბრალებს, მაგრამ წარმატების დროს უფალი არ ახსოვს! თუ წარუმატებლობის დროს იხსენებთ ეშმაკს, წარმატების დროსაც მოიხსენეთ კეთილად უფალი! ამით რა დაგიშავდებათ? – უთხრა ვანომ და ისევ თხრობა შეაწყვეტინა მოსაუბრეს.

– არა, ივან! – უპასუხა ანატოლიმ – ჩვენ, ებრალებს არც ღმერთი გვავიწყდება და არც სატანა, წარმატების ჟამს პატივს

მივაგებთ მოსეს, მაგრამ ცხოვრებაში წარმატება იშვიათად მქონია! ხშირად წარუმატებლობა მქონდა და ამიტომ ეშმაკსაც უფრო ხშირად ვიგონებ სალანძღავი სიტყვებით! ღმერთი კეთილია, ბევრი შეცდომის მიმტევებელი, მაგრამ ღმერთსაც ბევრი აქვს შეცდომა მამაკაცის წინაშე, კერძოდ ქალის გაჩენისათვის!

– შენ წეღანდელი რუსების გალანძღვის არ იყოს, ყველა ქალს ნუ ლანძღავ, თორემ!.. ქალია ჩემი დედა, დაცა და მეუღლეც! ქალმა თუ შეცოდა, თავისი შეცოდებანი კიდეც გამოისყიდა ქრისტე ღმერთის დაბადებითა და ჩვენი დედობით! – ისევ წამოენთო ივანე.

– ძველებრაული კანონის მოძღვრების საღვთო წიგნი თორა, რომლის ავტორი თვით მოსეა და მოთხრობილი აქვს ისტორიული მოვლენები და ბიბლიური ვერსიები: – სამყაროს შექმნის, წარღვნის, სოდომ-გომორის დაქცევის, ღმერთის გამოცხადებისა და მოსესათვის სჯულის წიგნის გადაცემის ამბავი, სწორედ ამ წიგნში ვკითხულობთ: „უფალმა პირველად ქალი ცეცხლისაგან შექმნა და დაარქვა სახელად ლილიეთი, გადასცა მიწისგან შექმნილ ადამს და უთხრა: – „გიყვარდეს და გაუფრთხილდი!“ მართლაც, ადამს თავდავიწყებით შეუყვარდა ლილიეთი, მაგრამ ვერც ერთი გზით ვერ შესძლო მისი დამორჩილება, ქალი ყოველ საღამოს სადღაც უჩინარდებოდა და ახლოსაც არ იკარებდა ადამს, ერთხელაც დაუწყო ძებნა... სამოთხეში რომ ვერსად იპოვა, ჯოჯოხეთის საზღვართან მივიდა, წყვდიადს გადახედა და შეძრწუნდა – ლილიეთი სატანასთან ნებივრობდა და ხორციელ ლტოლვას ეძლეოდა! მწარედ ატირდა ადამი და უფალს შეჰღაღადა: – მიშველეო! უფალმა გაიზიარა ადამის გასაჭირი, დააძინა, ნეკნი გამოუღო და საკუთარი ნეკნისაგან შეუქმნა მიწიერი ევა! მაგრამ ვაი, რომ ვერც მას მოუარა კაცმა, სატანამ კვლავ აცდუნა ქალი, რის გამოც ადამთან ერთად დაჰკარგა სამოთხე! შემდგომ ამისა იწყება კაცობრიობის ცოდვილთა მოდგმის ისტორია და ასე მგონია,

ამ უკიდეგანო, უზარმაზარ სამყაროში, ჩვენი დასჯილი ერი, მიწიერი ცივილიზაციის წინაპარია, რომელიც განადგურებით ემუქრება მთელ სამყაროს და თვით შემოქმედსაც კი! ჩვენ სწორედ ასეთი ცივილიზაციის პირობებში მოგვიხდა ცხოვრება...

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან შემიყვარდა გოგონა, რომლის სიყვარული დღითიდღე იზრდებოდა და ერთ დღეს იმხელაზე გაიზარდა, აფეთქდა კიდეც... ჩემი სიყვარული ცოლად შევირთე! მე მეგონა ერთადერთი და განუმეორებელი ვარდის მფლობელი ვიყავი, ის კი ჩვეულებრივი მინდვრის ველური ყვავილი ყოფილა...

დავიწყეთ ცხოვრება, ყოველ წუთს თვალებში შევციცინებდი, ის კი, ადამისი არ იყოს, ზედაც არ მიყურებდა, მაგრამ მე მის ცვლილებას ვერ ვამჩნევდი! ეზოში სათბურიც კი გავაკეთე. მწვანილს, კიტრსა და პომიდორს წყალში გახსნილი დარიშხანით ვრწყავდი, რომ ნერგებს ფესვში ჭია არ გასჩენოდა, შუა ზამთარში, ბაზარშიც რომ ვერსად ნახავდით კიტრსა და პომიდორს, ჩემს ბაღში ყოველგვარი ბოსტნეული ჰყვაოდა და მწიფდებოდა...

მაშინ მანქანათსამშენებლო ქარხანაში ვმუშაობდი უფროს ტექნოლოგად. ახალი წლის წინა დღეს დირექტორმა მოულოდნელად დამიბარა და პოლონეთში საავტომობილო ქარხანაში მივლინებით წასვლა მიბრძანა, მართალია, ახალ წელს საკუთარ ოჯახში მერჩია შეხვედრა, მაგრამ ჩემს დირექტორთან უარის თქმა სამსახური დაკარგვას ნიშნავდა, ამიტომ უყოყმანოდ დავემორჩილე!

სახლში მოვედი და ჩემს საყვარელ მეუღლეს გავაცანი საქმის ვითარება, ის ისე მოიქცა, თითქოს წინასწარ სცოდნოდეს ყოველივე...

– ეჰ, ბედი არ გინდა? – ვუთხარი, – მინდოდა შენთან ერთად ახალ წელს შევხვედროდი, გრიალითა და საკუთარი პომიდვრის სალათით, ახლა კი, ვინ იცის, პოლონეთში რა მელოდება!

– ნუ დარდობ, – მიპასუხა მეუღლემ. – ლამაზმანები პოლო-

ნეთშიც ბევრია, შენ კი ისეთი მყავხარ, შეუმჩნეველი არავის დარჩები!

იმ ღამეს ზომაზე მეტი დავლიეთ და ვისიამოვნეთ, დილით კი ტკბილად გამოვეთხოვეთ ერთიმეორეს და გავფრინდი...

ვარშავაში საუკეთესო სასტუმროში „ლუქსი“ გამომიყვეს. გულთბილად მიმიღეს პოლონელებმა და ტკბილადაც გამიმასპინძლდნენ. ახალწლის წინა დღეს სახალხო მოლოცვის მრავალი დეპეშა გამოვგზავნე ამხანაგებისა და კეთილი ნათესავების მისამართით, არც მე დავვიწყებივარ არავის და მეც უხვად მივიღე საახალწლო მოსალოცი დეპეშები, მათ შორის საყვარელი მეუღლისგანაც, რომელიც ყველაზე გრძელი ტექსტით მილოცავდა დამდეგ ახალ წელს!

ჩემს კოლეგებთან ერთად მეც ღირსეულად შევხვდი საახალწლო დღესასწაულს! პირველ ხანებში მარტოობას ვგრძნობდი, მაგრამ იმდენად თავმომწონედ გამოვიყურებოდი, რომ მართლაც მივიპყარი რამდენიმე „ლამაზმანის“ ყურადღება, თავმომწონეობა ყველა ამპარტავნობა როდია! არის ისეთი თავმომწონეობა, როდესაც ქებამ არ უნდა გაგვამედიდუროს, არც ძაგებამ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან არც ერთი საქმე არ არის იმისთანა, რომ არ ჰყავდეს მაქებარიცა და მძაგებელიც! პატიოსანი კაცი მარტო კარგს აქებს, ავი – ბოროტს, ხოლო სულელი – ყველაფერს! როდესაც ასეთ წრეში მოვხვდებით, სულგრძელობა გვმართებს, ყურადღებით მოვუსმინოთ სხვას, რადგან ხანდახან ბრძენიც როშავს სისულელეს და სულელსაც წამოცდება სიბრძნე! არ დავკარგოთ თავმომწონეობა და ღირსეულად მივიღოთ „ლამაზმანის“ გამოწვევა, ბოლოს და ბოლოს მეც ღირსეულად მოვიქცევი ლამაზმანების წინაშე!

სამ იანვარს სამსახურიდან ტელეგრამა მივიღე, – დირექტორი სამსახურში საჩქაროდ დაბრუნებას მიბრძანებდა! – გამიკვირდა მივლინებაში ერთი თვე უნდა ვყოფილიყავი და ჯერ ერთი კვირაც არ გასულიყო... მაგრამ ბრძანება ყოყმანს არ ექვემდებარება, მეც დაუყოვნებლივ გამოვფრინდი! ეკატე-

რინობურგში, დილის თერთმეტ საათზე ჩამოვფრინდი, ჩემი სამსახურიდან ყველა ჩემმა კოლეგამ შეხვედრა მომიწყო, ჩემი მეუღლე კადრების განყოფილებაში მსახურობდა და გამიკვირდა, შეხვედრაზე რომ არ იმყოფებოდა, ვერც კადრების განყოფილების უფროსი დავინახე, გულმა ცუდი მიგრძნო, მაგრამ არ შევიმჩნიე და დირექტორს მოკრძალებით შევეკითხე:

– ალექსანდრე ალექსანდრეს ძევ, მე ხომ ერთი თვე უნდა დავრჩენილიყავი მივლინებაში?

– რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენი მეუღლე, თამარა მაქსიმეს ასული, უკვე სამი დღეა სამსახურში არ გამოცხადებულა, შენი სახლის კარიც ვერ გავაღეთ, ამიტომ შეგატყობინეთ საჩქაროდ დაბრუნება! გვეშინია, რაიმე უბედური შემთხვევა არ იყოს. ხომ იცი, ახალი წლები იყო და ზედმეტი სასმელიც მავნებელია...

– კარი უნდა გაგეტეხათ, იქნებ მართლაც უბედური შემთხვევაა და შეგეძლოთ კრიტიკულ მომენტში მიგესწროთ ადამიანისათვის!

– სამი დღის შემდეგ კრიტიკული მომენტი აღარ არსებობს! მეორე ისიც, რომ თქვენს შეუთანხმებლად კარი ვერ გავტეხეთ!

დირექტორისთვის არაფერი მითქვამს, აეროპორტიდან პირდაპირ სახლში წამოვედით, გასაღები ამოვიღე და საკეტს მოვარგე, მაგრამ კარი შიგნიდან აღმოჩნდა ჩაკეტილი და მაინც იძულებული შევიქმენით, მილიციის თანდასწრებით გაგვეტეხა...

პირველად „ზალაში“ შევედით, აქ ჩემი უზარმაზარი მრგვალი მაგიდა ისეთი პურ-მარილითა და ნუგბარით იყო სავსე, რომ ჩიტის რძეც არ აკლდა, მაღალჩინოსანმა მილიციელმა გაგვაფრთხილა: – „ხელი არაფერს ახლოთ, ანაბეჭდები არ ამირიოთო“ – და ჩვენც მოკრძალებით ჯიბეში ჩავიწყვეთ ხელები.

„ზალიდან“ საძინებელ ოთახში გავედით... აქ კი შემზარავი სურათი გადგვეშალა თვალწინ: ჩემს საძინებელ ტახტზე ჩემს საყვარელ მეუღლესა და ჩემ საყვარელ მეგობარს, კადრების

განყოფილების უფროსს მთლად შიშვლებს ეძინათ სამუდამო სასუფევლის სანუკვარი ძილით...

თვალებგაფართოებული და პირდაფჩენილები მივჩერებოდით ერთიმეორეს, ვერავის მოეხერხებინა სამძიმარი ეთქვა ჩემთვის, ან მე შემეცხადებინა, ყველაზე ადრე მილიციის მაღალჩინოსანი მოეგო გონს, ტელეფონის ნომერი აკრიფა და სამედიცინო ექსპერტიზას დაუკავშირდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ექსპერტთა ოთხკაციანი ბრიგადა მოვიდა. სასმელსაჭმელიდან სინჯები აიღეს და მიცვალებულთა გვამები საავადმყოფოში გადაასვენეს სიკვდილის მიზეზის დასადგენად.

მეორე დღეს ექსპერტიზამ გარდაცვალებულთა სიკვდილის მიზეზი დაადგინა: – დარიშხოვანი წყალბადით – მწვავე მოწამლულობა, პროდუქტებიდან დიდი რაოდენობით მომწამლავი ნივთიერება: მწვანილში, კიტრსა და პომიდორში აღმოაჩინეს! ექსპერტიზამ მკვლელობის თუ თვითმკვლელობის საქმე პროკურატურას გადასცა. გამომძიებელმა ჩემი ბაღჩა-ბაღი შეამოწმა და როგორც პროდუქციაში, ასევე ნიადაგში დიდი რაოდენობით აღმოაჩინა მომწამლავი ნივთიერება, იმ დღესვე დამაპატიმრეს – „აგრონომიული ტექნოლოგიის“ დარღვევისათვის.

საკანში მდუმარება ჩამოწვა, მხოლოდ პატიმართა მძიმე სუნთქვა ისმოდა ირგვლივ... ბოლოს მყუდროება გივიმ დაარღვია:

– მდა! მძიმე მდგომარეობაა, ფიქრობ, რომ მაგ მუხლს შეგინარჩუნებენ?

– ეჭვიც არ მეპარება!

– თქვენ თუ იცოდით, თქვენს მეუღლეს საყვარელი რომ ჰყავდა?

– თქვენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს ვიცოდი თუ არა, გამომძიებელთან კი, – რა თქმა უნდა, არ ვიცოდი!

– ღმერთმა არ ინებოს, რომ ჩვენებურად მიუდგეს პროკურატურის გამომძიებელი საკითხს, შენ განათლებული ადამიანი

ხარ და ბრწყინვალედ იცოდი, ვინც იყო თქვენი მეუღლის საყვარელი, რამდენიმეჯერ კამათიც გქონდათ ცოლთან, მაგრამ არაფერი შეისმინა! შენ, როგორც ტექნოლოგმა, კარგად იცოდი დარიშხოვანი წყალბადის ზემოქმედება ხილ-ბოსტნეულზე, თუ როგორ მიიღებდა მომწამლავ ნივთიერებას წყლის მაგივრად და შემდეგ თუ რა გავლენას მოახდენდა ცოცხალ ადამიანზე, ორგანიზმში მოხვედრის შედეგად, ამ საკითხზე რამდენიმე თვე ემზადებოდი, სათბურიც კი გააკეთე და შედეგსაც მიაღწიე! შენთვის არავის დაუძალებია, მივლინებაში წასვლა, შენ თვითონ მოისურვე, რადგან იცოდი, შენი მეუღლე საყვარელთან ერთად მოწამლულ ხილ-ბოსტნეულს მიირთმევდა...

– შენებურად არ არის, მეგობარო, და კიდეც რომ იყოს, გამოძიება შენს ვერსიას ვერ დამიმტკიცებს, რადგან მე რკინის ტექნოლოგი ვარ და არა ხილ-ბოსტნეულის მეწარმე... წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ნიადაგიდან მღრღნელი ჭიების საწამლავს პროდუქტი მიიღებდა! ასევე არ არის სწორი ვერსია, რომ მე ჩემი სურვილით წავედი მივლინებაში, რადგან არსად არა ჩანს არც განცხადება და არც სიტყვიერი თხოვნა დირექციისადმი, სადაც გამოვხატავდე მივლინებაში წასვლის სურვილს! ეს საქმე კადრების განყოფილების უფროსის ჩაწყობილია, მას უნდოდა ერთი თვის განმავლობაში ეზეიმა ჩემს ბაღჩა-ბაღში და ენებივრა ჩემს ტახტზე, ჩემს მეუღლესთან ერთად, მაგრამ არ დასცალდა, სადაც მრუშობა და ბოროტი ზრახვანია, იქ სიკდვილია! ავ ზრახვას სჩვევია გარდაცვალება და მარადისობაში გადასვლა. იცის უფალმა, „სადაც აქვს საწრეტელი სიკვდილს“.

– შენებურად არ არის, მეგობარო, და კიდეც რომ იყოს, გამოძიება შენს ვერსიას ვერ დამიმტკიცებს, რადგანმე მე რკინის ტექნოლოგი ვარ და არა ხილ-ბოსტნეულის მეწარმე... წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ნიადაგიდან მღრღნელი ჭიების საწამლავს პროდუქტი მიიღებდა! ასევე არ არის სწორი ვერსია, რომ მე ჩემი სურვილით წავედი მივლინებაში, რადგან

არსად არა ჩანს არც განცხადება და არც სიტყვიერი თხოვნა დირექციისადმი, სადაც გამოვხატავდე მივლინებაში წასვლის სურვილს! ეს საქმე კადრების განყოფილების უფროსის ჩაწყობილია, მას უნდოდა ერთი თვის განმალვობაში ეზეიმა ჩემს ბაღჩა-ბაღში და ენებივრა ჩემს ტახტზე, ჩემს მეუღლესთან ერთად, მაგრამ არ დასცალდა, სადაც მრუშობა და ბოროტი ზრახვანია, იქ სიკდვილია! ავ ზრახვას სჩვევია გარდაცვალება და მარადისობაში გადასვლა. იცის უფალმა, „სადაც აქვს საწრეტელი სიკვდილს“.

– განათლებული ბარბაროსი ყოველ ბარბაროსზე უბოროტესი არსებაა! – წამოიძახა ივანემ, – შენ განათლებული გიწოდა გივიმ, მაგრამ ვერც ერთი განათლებული ბარბაროსი ვერ მოიგონებდა ასეთ მზაკვრობას, უმაღლეს დონეზე მოფიქრებულსა და განხორციელებულს.

– რას იზამ, მეგობარო, თუ თქვენ შეგუებული ხართ ცოლის ღალატს და ფეხქვეშ ეგებით იმის კაპრიზებს, თუ დიდგულად ეპყრობით ქვეშევრდომთ სამსახურში და გიყვართ დროსტარება სულელთა საზოგადოებაში, სადაც თქვენ ყველაზე ჭკვიანი ჩანხართ და პირველობთ, თუ პირფერობა და ლაქუცი უფრო მოგწონთ, ვიდრე ღირსეულად თავის დაჭერა, თუ სხვისი პატიოსანი მოქცევით სიხარულს არა გრძნობთ, რომელიც ძარღვებში სისხლს ათბობს და თვალებში სიხარულის ცრემლს გგვრით, მაშინ ეს სამყარო თქვენთვის არარაობაა, თქვენი გული ქვაა და სული უღირსად პატივმოყვარე! მე ციხეში ყოფნა მირჩევნია იმ საზოგადოებაში ყოფნას, სადაც თავლაფდასხმულ რქოსნად ვიქნები ცნობილი! სინდისის გასაწმენდად ადამიანს მხოლოდ ერთადერთი გზა აქვს, გზა მონასტრისაკენ, რომელიც ციხის ეზოზე გაივლის!

ჩემი საძრახისი ქმედება ბრწყინვალედ შედგენილი გეგმაა თუ სასჯელიდან თავის დაძვრენის მცდელობა, ჯერ კიდევ არ ვიცი! მაგრამ ძლიერ მაინტერესებს თქვენი უმანკოება, ბატონო ივან! ვფიქრობ, ცრემლს მოგვგვრის თქვენი უდანაშაულოდ

საკანში ყოფნა, გთხოვთ, მოგვიყვეთ თქვენი უდანაშაულობის შესახებ, – უთხრა ივანეს ანატოლიმ, რომლის თხოვნაშიც დაცინვა მეტი გამოიხატებოდა, ვიდრე მსჯავრდებულის უდანაშაულობა...

– არაფერსაც არ მოვყვები, მალე საბრალდებულო დასკვნა მომივა და წაიკითხეთ!

– ოჰ, როგორ გეკადრებათ, ივან! – უთხრა გივიმ. – სხვისი ჭირი ხომ კარგი მოსასმენი იყო, ხომ გულიანად გაიცინეთ, მე რომ „ტაშტიდან“ ბავშვის ამოყვანა დამავიწყდა და წყალთან ერთად ქუჩაში გადავდვარე? ანატოლის დანაშაულის მოსმენაც ხომ კარგი იყო, ხშირად შეეკამათე კიდეც, შენ რატომ უარობ მოგვითხრო შენი უდანაშაულობის ამბავი? თუ ჩვენთან ყოფნა არ გინდათ, მაშინ კეთილი ინებეთ და სხვა საკანში გადაბრძანდით!

– ოჰ, არა, სხვა საკანში რა მინდა! აქ მიჩვეული ვარ, ჯანდაბას თქვენი თავი, მოვყვები, მხოლოდ არ გამამასხარაოთ, არც შემრისხოთ და არც შემიბრალოთ, საკადრისს თქვენს დაუხმარებლად მომიზღავს მოსამართლე! ამჟამად კი დიდი მადლობელი ვარ ახლადმოსული ქართველის, კარგი წესი შემოიღო საკანში, თორემ ყოველი დღე ჩხუბით იწყებოდა და ჩხუბით მთავრდებოდა! ჭკვიანი ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს, საკანში თუ რესტორანში, სულერთია, ყოველი ადგილი შენი სამშობლო უნდა იყოს და შენს გვერდით მყოფი ადამიანი – შენი ძმა! რა გვაქვს საჩხუბარი, განა სულიერი ტანჯვა არ კმარა ჩვენთვის, რომ ხორციელი სატანჯველიც არ მივაყენოთ და არ დავლურჯდეთ?

– ეე, ბიჭო, რა ჭკვიანურად ლაპარაკობ, მგონი, მართლა უდანაშაულოდ ზიხარ ამ ბნელ საკანში! – უთხრა გივიმ.

– უდანაშაულოდ ვარ თუ დიდი დანაშაული მიმძღვის, შენი ტაშტიანად ბავშვის გადაგდებისა არ იყოს, თქვენ თვითონ განსაჯეთ, თორემ თქვენ დაუხმარებლადაც განსჯის მოსამართლე! ჩვენ, კაცებს ბევრი რამ გვეშლება, რა ბუნებაც გაგვაჩ-

ნია, იმავე ბუნებით ვართ სუსტები. მხოლოდ მაცხოვარი არის უცოდველი და შეუცდომელი, რადგან ის ორი ბუნების მქონეა – სრული ღმერთი და სრული კაცი! ადამიანებს მხოლოდ კაცური ბუნება გაგვაჩნია, მაცხოვარი კი კაცურ ბუნებაში აბსოლუტურად შეუშლელია, ისე როგორც ზეციურ სამყაროში! ამიტომ შეცოდებას ხშირად მოგვიტევებს ხოლმე უფალი, როგორ გეკადრებათ, უცოდველი მაშინაც არ ვიყავი, როდესაც თავისუფალ სამყაროში თავისუფლად დავსეირნობდი და ახალ როგორ ვიქნები უცოდველი ამ ცოდვილთა ბანაკში?

ადამიანი ღვთიური განათლებით უნდა იყოს შემოსილი და ნათელით შემკობილი, რომ ბოროტებისაკენ არ ჰქონდეს სწრაფვა, ამის გარეშე ადამიანის გულისთქმა ბოროტებისკენაა მიდრეკილი, ეს ქვეყანაც ბოროტებაზე არის დაფუძნებული, როდესაც დასასრული არ გააჩნია, იგი არის წესიერი ადამიანების თავისუფალი ნების დამახინჯება! ბოროტებამ მიიზიდა ჩემი მეუღლეც, დაამახინჯა და ოჯახის მოწინააღმდეგედ იქცა... ქმრის მორჩილი რომ უნდა ყოფილიყო ბუნებითა და ღვთის განგებით, ის შეიცვალა – ლამაზი იქცა მახინჯად, განათლებული – უვიცად, მოწყდა სიყვარულს და სიძულვილად ჩამოყალიბდა... კაენის თესლით შექმნილს შეშურდა ჩემი ოჯახის ბედნიერება. ყველანაირად ეცადა დაერღვია ოჯახის ტკბილი ჰარმონია და კიდეც მიაღწია მიზანს. მე კი ვიჩქარე, არ დაველოდე ღმერთის განაჩენს და თვითონ ვიძიე შური მოღალატეზე! მართალია, ჩვენი ოჯახი ქრისტიანული რწმენის მატარებელი ვართ და არ უნდა დამესწრო ღმერთისთვის დამნაშავის დასჯა, რადგან უფალი გვამცნობს: „ნუ გაიკითხავ, რათა არა განიკითხნეთ, რამეთუ, რომელთა განკითხვითა განიკითხვიდეთ და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“. თუ წმინდა წერილის არსი ის არის, რომ არ განვიკითხოთ დამნაშავე, მაშინ რატომ განიკითხა ღმერთისგან რჩეულმა ნოემ თავისი შვილი ქამი და დაუდგინა თავისი ძმების მონად ყოფნა? რატომ არ დაელოდა

ღმერთის განაჩენს ან რატომ აპატია უფალმა წინ წასწრება ნოეს?

ვფიქრობ, მეც მაპატიებს უფალი აჩქარებას, თუმცა სასჯელს ვერ გადავურჩები, მაგრამ ეს ეშმაკის განაჩენია!

– შენ, კაცო, სადღვთო ისტორიას და წმინდა წერილებს გვიკითხავ აქ თუ შენს დანაშაულს გვიყვები? – ვეღარ მოითმინა და ახლა ანატოლი ჩაეჭრა საუბარში ივანეს.

– შენ როგორ მითხარი? – „თუ ბალავარი არა აქვს, სახლს ვერ ააშენებო“ – ხომ სწორია! ჰოდა, იმ დიდ სიყვარულსაც დიდი ბალავარი უნდა, რომელიც მე განვიცადე და ბოლოს მოვკალი კიდეც. დიახ! თავდავიწყებით მიყვარდა ჩემი მეუღლე, ვერც კი წარმომედგინა, თუ ოდესმე მიღალატებდა, მაგრამ შენი თქმისა არ იყოს, ჩემო ტოლია, ქალს რჯულში სწერებია ღალატი, თურმე ცოლი მეც მღალატობდა და რა ვიცოდი, სამსახურში კი ყველას სცოდნია ჩემი უბედურება და ზურგსუკან დამცინოდნენ...

სამსახურში მაინცდამაინც გადატვირთული არ ვიყავით, ხან ჭადრაკს ვთამაშობდით და ხან კიდევ ბრძენ წინაპართა სიბრძნეს ვიზეპირებდით, ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა პეტრე პირველის ბიოგრაფიული ცნობების წაკითხვა დაიწყო; ის კითხულობდა, ჩვენ კი ყურადღებით ვუსმენდით:

– „ქალების მუსუსმა პეტრე პირველმა თავის გვირგვინოსან მეუღლეს – ეკატერინეს – საკუთარი საყვარლის ანა მონსის ძმასთან წაასწრო სექსუალური ნებივრობის დროს! პეტრემ ვილი მონსის დასჯა ბრძანა, ეკატერინე კი აიძულა ამ პროცესისათვის ეყურებინა... ვილის მოკვეთილი თავი პეტრემ სპირტიან ქილაში დალუქა და ეკატერინეს საწოლთან დაუდგა, თან უბრძანა: „არაფერი გადააფარო, თორემ შენც იგივე გელისო“.

– ჰო, ვანოც ასევე მოიქცევა, თუ წაასწრო თავის მეუღლეს საყვარელთან! – თქვა ჩემი მისამართით ჩვენმა თანამშრომელმა იური ტვერდახლებოვმა.

– როგორ, ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავს? – გაკვირვებით ვიკითხე მე.

– არ ვიცი, არა! – სიტყვა ბანზე ამიგდო იურიმ.

– როგორ თუ არ იცი, აბა რად სცოდავ სიტყვით?

– იმიტომ, რომ აწი უფრო ფრთხილი იყო! – მიპასუხა იურიმ და ოთახიდან გავიდა.

გავფრთხილდი და ჩემს მეუღლეს დავუდარაჯდი, ერთი კვირაც არ გასულა, ჩემს საყვარელ მეუღლეს ჩემი საყვარლის ქმართან წავასწარი... ისინი ჩემს აგარაკზე ეძლეოდნენ ხორციელ სიტკბოებას და თავდავიწყებით ნებივრობდნენ... ნაჯახის ერთი მოქნევით მოვკვეთე თავი – ჩემი ცოლის საყვარელს, თევზებით მონავარდე აკვარიუმი გავათავისუფლე, შიგ მოკვეთილი თავი მოვათავსე და სპირტით შევავსე... ჩემი ცოლი ამ დროს, იგონებდა თუ მართლა – არ ვიცი, გულშეწუხებული ესვენა იმავე საწოლზე, რომელზედაც ხუთიოდე წუთის წინ ნებივრობდნენ და ახლა ზედ საკმაოდ ღრმა სისხლის გუბე იდგა...

თითქოს ქათამი დამეკლას, აუჩქარებლად ვმოქმედებდი, ის ხომ რამდენიმეჯერ მყავდა ფიქრით მოკლული მსგავსი სიკვდილით და ამიტომ სრულებითაც არ მოქმედებდა იმისი სისხლი, პირიქით სიამოვნებასაც მგვრიდა! წინასწარ მომზადებული მაჯის სიმსხო ჯაჭვი მოვიტანე და ჩემს მეუღლეს ორივე ფეხზე სალტით შევაბი, ჯაჭვის მეორე თავი გახვრეტილ კედელში გავუყარე და რკინის პალოზე დავამაგრე.

მოკვეთილი თავი კი მაგიდაზე დავდგი ისე, რომ მსხვერპლს ყოველთვის ემზირა და ვერ მიწვდომოდა...

ამის შემდეგ მოღალატე გონს მოვიყვანე, ოთახიდან ყოველგვარი ავეჯი გამოვიტანე, მაგიდის გარდა, რომელზეც მოკვეთილი თავი იღიმებოდა აკვარიუმიდან.

– ყოველდღე საჭმელს მოგიტან! შენ კი ინებივრე შენს საყვარელთან! – ვუთხარი და კარი ურდულით გამოვიკეტე...

ჩემი აგარაკი ქალაქიდან თორმეტი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, რა თქმა უნდა, მეზობლად აგარაკიც მრავა-

ლია და მეზობელიც უხვად მყავს, მაგრამ ჩვენი აგარაკები ყოველთვის ადამიანთა სიმცირეს განიცდის, რადგან ივლისსა და აგვისტოში თუ იპოვი დამსვენებელს, თორემ სექტემბრიდან, როდესაც მოსწავლეები სკოლას უბრუნდებიან, იქაური ტყეც ცარიელდება. ასე რომ, დარწმუნებული ვიყავი, ჩემს „საყვარელ“ მეუღლეს იქ ვერავინ მიაგნებდა.

ჩემი ცოლის საყვარლის უთავო გვამი ავტომობილის საბარგულში მოვათავსე, წელზე ზორბა რკინის ნაჭერი შევაბი და შემდეგ მდინარე ისეტში გადავაგდე, რომელიც ჩვენს ქალაქს შუაზე ჰყოფს...

– შენ ამბობდი, ჩემზედ „სადისტი“ ხარო და გინდა უფალმა ეს მიუტევებელი ცოდვა შეგინდოს? – წამოიყვირა ანატოლიმ და ახლა ის წამოიმართა ტახტ-ლოგინიდან.

– დაჯექი, თუ კაცი ხარ, შენს ადგილზე, ხომ ხედავ, თავისი გასაჭირი ჰყოფნის ადამიანს! – მდგომარეობა გაანეიტრალა გივიმ.

– რას მეჭრებით საუბარში, არ გაინტერესებთ, რა მოხდა შემდეგ? – იკითხა ვანომ ისე, რომ ანატოლის აფხორვისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

– შემდეგ რა მოხდა, გააგრძელე, თორემ შემიწუხდა გული შენი ცოლის საცოდაობით! – წარმოთქვა გივიმ და მხარდაჭერით ცოტა კიდეც შეაგულიანა ივანე.

– ჰოდა, იმას გეუბნებოდით – განაგრძო ივანემ – გვამი თავიდან მოვიშორე და შვებით ამოვისუნთქე, მეორე დღეს ჩემს მეუღლეს ცოტაოდენი პროდუქტი მივუტანე, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, მაგრამ ის იმავე ღამეს გარდაცვლილიყო შიშისაგან, ახლა ესეც უნდა მომეშორებინა... საყვარლის თავი მკერდზე მივაბი, შემდეგ წელზე ზორბა რკინა და იმავე ადგილი მოვუძებნე, რომელიც იმის საყვარელს.

– ოჰ, ღმერთო, რა ადვილად ვიმეტებთ ერთმანეთს სასიკვდილოდ! – წარმოთქვა გივიმ. – შენც ხომ გყავდა საყვარელი, შენი საყვარლის ქმართან გამოიჭირე შენი მეუღლე და არ აპატიე?

– რატომ უნდა მეპატიებინა, ჩემი საყვარლის ქმარი იმავეს მომიზღავდა მე, რაც მე მივუზღვე მას! „რომელითა ჰსჯი მოყვასსა, თავსა თავისასა დაისჯით“. მე ჩემი ცოლის მრუშობა საკუთარ თავში დავინახე და სწორედ ეს არ ვაპატიე ჩემი ცოლის საყვარელს...

– ახლა შენი გარდაქმნა დაგვიანებულია, ჩემო მეგობარო, – უთხრა გივიმ. – ადამიანი ღმერთმა ხილული სამყაროს გვირგვინად შეჰქმნა. დაეცა ეშმაკის გავლენით და მასში ცოდვა და სიკვდილი შევიდა, – ხილული სამყაროც დაეცა ადამთან და ევასთან ერთად და დაცემამ ხრწნადობისაკენ უბიძგა სამყაროს! ცოდვა არ დაიკარგა, იშვა კაენი ბოროტების ნაყოფი და გაბატონდა სატანა ხილულ სამყაროზე... მართალია მრუშობა მტრობა არის ღმერთისა და სოფლისა, მაგრამ მოკვდინება მეტად შეცოდება არ არის? ადამიანთა სიყვარული, სამყაროს შემოქმედის სიყვარულს ნიშნავს. ეს ქვეყანაც ფარჩა-ატლასში გამოწყობილ მზეთუნახავ მეძავ დედაკაცს ჰგავს, ყველას თავისკენ იზიდავს მისდამი სიყვარულით განწყობილს, შენც ამა ქვეყნის სიკვდილი შეგიძლია? რომ შეგეძლოს მოკლავდი? ქვეყნის სიყვარულის ანკესით დაჭერილნი და სამყაროს მშვენებით მოჯადოებულნი ვერავინ შეძლებს სიყვარულის ნუგბარით მთვრალნი თავის დაღწევას ამა ქვეყნიდან, სანამ ცოცხლები ვართ, შემდეგ კი გაშიშვლდება ჩვენი ცოდვა-მადლი, მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რომ ამ ქვეყანას თავშეფარებული სატანის მსახურნი ვართ! მკვლელები, მემრუშენი, მეძავნი და ყოველგვარნი ავი საქმის შემსრულებელნი, რომელიც სატანას ახარებს... რად უნდა ემონოთ სატანას, ეს წუთისოფელი ხომ სარკეა, ჩაიხედე შიგ და საკუთარ თავს დაინახავ: შეიგინებ? – შეგაგინებენ! შეიყვარებ? – შეგიყვარებენ! გაიღიმებ? – შენს წინ მომცინარ ადამიანს დაინახავ... რატომ უნდა გძულდეს ადამიანი, იმ წუთიერი სიამოვნებისათვის, რომელიც მან განიცადა, ხომ უმჯობესი იქნება გიყვარდეს ანგელოზივით წმინდა სიყვარულით და იყო ტკბილი სიყვარულივით?

– შენ, ჰე, ქართველო, აქ ჩემი ჭკუის სასწავლებლად ხომ არავის მოუყვანიხარ? მე შენსავით ბავშვები არ გადამიყრია ფანჯრიდან, მე მოვკალი, ალბათ მოსაკლავი იყო და რომ გაცოცხლდეს, მეორედ მოვკლავ ჩემს სიკვდილს! – გივის აგიტაციით ნაწყენმა უკმეხად უპასუხა ივანემ.

– არა, ვანო, არ გეწყინოს, აქედან რომ გავალთ, მინდა ადამიანებად დავუბრუნდეთ სამყაროს!

– ან გავალთ, ან არა! – უპასუხა ვანომ და ნაღვლიანად წამოწვა ნარზე.

– აბა, ახლა ვისი რიგია? – რიხიანად იკითხა ანატოლიმ, მაგრამ მის შეკითხვას, სამწუხაროდ, არავინ გამოეპასუხა და თვითონ შეიქმნა იძულებული შეერჩია მოპასუხე. საკანს თვალი მოავლო, ოცდაათიოდე წლის მოხდენილი ახალგაზრდა შეარჩია და უთხრა:

– აბა, იური, რას გვეტყვი, შენც ტყუილ-უბრალოდ დაგაპატიმრეს, თუ შენს საქმეშიც გამოუსწორებელი ქალები ლიდერობენ?

– მრცხვენია გამხელა, მაგრამ ჩემს საქმეშიც ქალი თამაშობს მთავარ როლს; ქალი, რომელიც მთელმა სოფელმა ვერ მოარჯულა და მისი მეთორმეტე მსხვერპლ-პატიმარი გახლავართ! ქალს ზოია ერქვა სახელად, შურიანი, შუღლიანი, წუპაკი, ძუბახი, ცილისმწამებელი და ყველა ის ავთვისებიანზნე გააჩნდა, რომელიც კი შეიძლება სუსტი სქესის წარმომადგენელზე ითქვას... ზოიამ კარგად იცოდა, რომ უპირველესი იარაღი შურიანობისა – ცილისწამებაა და ენასაც ისე ასარსალებდა, როგორც კობრა. სადაც გაივლიდა ყველგან შხამს აფრქვევდა... ცილისმწამებლური ენით, როგორც სულმდაბალი, კაცის მკვლელი, ისე მოქმედებდა. აგროვებდა ახალ-ახალ ჯერ არ მომხდარ ინფორმაციებს და ბნელი სამალავიდან ისროდა და ანთხევდა შხამად, აწყლულებდა ყველას გულს განუკურნებლად და თვითონ ზეიმობდა ყოველთვის გამარჯვებას! უსამართლობა შეიძლება გამოსწორდეს, მაგრამ რას უზამ

ცილისმწამებლურ სიცრუეს, რომელსაც ბრალად დაგდებენ, რომელიც ხალხმა აიტაცა და უკვე დაიჯერა? ცილისწამება სულიერად ანადგურებს ადამიანს, მუსიკა და ჰანგი ენაა ადამიანის, ენას ადამიანის სიკდვილიც შეუძლია და გადარჩენაც!

მე სოფლელი კაცი ვარ, აქედან ორმოცი კილომეტრის მოშორებით ვცხოვრობ ტაიგაში. ჩვენთან ძირითადად მონადირეობას ვეწევით, უხვად არის სახორცე და საბეწვე ცხოველ-ნახირი. შორსა ვართ კანონთან და ვცხოვრობთ უზრუნველად, მაგრამ ზოია არავის გვაძლევს ცხოვრების საშუალებას! წელს შემოდგომაზე ჩვენს სოფელს დათვი შემოეჩვია, ოჯახი არ დარჩენილა ისეთი, რომ ძროხა არ დაეკლას, ვერ იქნა და ვერ მოვიხელთეთ, რომ მოგვეკლა, დათვი კი მტაცებლობას განაგრძობდა... ზოიას, ჩემს ფარულად მთელი სოფელი შემოუვლია და ყველა ოჯახი დაურწმუნებია, რომ ის დათვი მე ვიყავი, რომელიც პირუტყვს იტაცებდა. თითქოს თავისი თვალით ნახა, მე როგორ ვიცვალე ადამიანური იერი და როგორ გადავიქეცი დათვად. სოფელში მცხოვრებმა უწიგნურმა და გაუნათლებელმა ხალხმა დაუჯერა დაუჯერებელი სიცრუე ზოიას და მთელმა სოფელმა ჩემი დაწვა მოინდომა, როგორც ჯადოქრისა. სახლიდან გამომიყვანეს, მცემეს და ხეზე მიმაბეს დასაწვავად... ამ დროს ის სოფელს მოჩვეული დათვი, იქვე ახლოს მდებარე თავლაში შესულა და ძროხა ააბღავლა, ხალხი ხან დათვს მიჩერებოდა, ხან მე და მაინც არ სჯეროდათ, რომ ეს დათვი მე არ ვიყავი. ბოლოს ერთმა მადლიანმა მოხუცმა თქვა: „ხალხო რაებს ბოდავთ და ვისი გჯერათ, ხომ ხედავთ, კაცი ხეზე გვყავს მიბმული და დათვმა ძროხა დაგვიკლა! იური როგორ იქნებოდაო“. ზოია მაინც გაიძახოდა: – „ეს დათვი მაგისი სული იყოო“. ყველამ იცოდა, რომ ზოია ბოროტი ცილისმწამებელი იყო, მაგრამ ისეთი ენა ჰქონდა, ხალხი მაინც მას უსმენდა და ჩემი ხმის გაგონებაც არ უნდოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, ბევრი ყვირილითა და ვაი-ვაგლახით ხალხს აღვუთქვი, რომ დათვს მოვკლავდი, თუ გამათავისუფლებდნენ: – კარგიო!

– მითხრეს და სამი დღის დრო მომცეს, თუ სამ დღეში დათვს ვერ მოვკლავდი, მეოთხე დღეს დილას აუცილებლად დამწვავდნენ, როგორც გამოუსწორებელ ჯადოქარს! ზოიამ ბევრი იძახა „არ გაათავისუფლოთ, გაგვექცევაო“, მაგრამ ამჟამად ხალხმა თავისი სიტყვა აღარ გატეხა და გამათავისუფლეს. იმ დღიდანვე დავუდექი სოფელს დარაჯად და მეორე დღის საღამოს ჩემს თავლაში შემოჭრილი დათვი მოვკალი...

დაისვენა სოფელმა დათვისაგან, მაგრამ მე ვერ დავისვენე. დღისით თუ ღამით თავს მახსენებდა მოშხამული გულის ტკივილი.. ერთ დღეს ის მოხუცი, მე რომ დამიცვა, წავიყვანე და ზოიასთან სახლში მივედით:

– ქალბატონო ზოია, – ვუთხარი მე, – ნუთუ შენთვის დამიშავებია რამე, რომელი ჯადოქარი მე ვარ და როგორ შეიძლება-მეთქი ასეთი ცილისწამება?

– ის მე ვიცი ვინცა ხარ, სწორედ მაშინ დაგიჭერ, როდესაც სახეს იცვლი და სულერთია დაგწვავო, – მიპასუხა ბოდიშის მოხდის მაგიერ.

– თვით უსაშინლესი ავაზაკიც კი ცდილობს ბოდიში მოიხადოს დამნაშავის წინაშე და დაარწმუნოს, რომ შეცდა. შენს მიერ ჩადენილი ცილისწამება არც იმდენად დიდი ბოროტებაა, რომ არ გაპატიო, ბოდიში მომიხადე და აწი არ ჩაიდინო მსგავსი ბოროტება, რომელიც ყველას სძაგს და შენთვის რატომ არის თავმოწონება? ნუთუ არ წაგიკითხავს საღვთო წერილი: – „ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით, მიუტევეთ და მოგეტევებათ, ნუ განსჯით და არ განისჯებით“.

– ხახახახა! – გაეცინა ზოიას, – ყოჩაღ, ეშმაკსაც შეძლებია ღვთიური ენით საუბარი – ამ სიტყვებთან ერთად კარი ფართოდ გამოაღო და ტყისაკენ მიმითითა.... აღარც მე დამიწყია ბევრი საუბარი, ჩემს ერთგულ მოხუცს მკვლავში ხელი მოვკიდე და სახლში წამოვედი.

მეორე დღეს ზოია გაუჩინარდა, მესამე დღეს სოფელს მილიცია მოადგა ჩემს დასაჭერად, ზოიას მილიციაში განცხადე-

ბა შეუტანია – „გასაუპატიურებლად მომიხტაო სახლში“ – და მოწმედ იმ მოხუცს ასახელებდა, რომელიც მე მახლდა მასთან სტუმრობისას. კიდევ კარგი, დროულად გამაფრთხილეს. ტყეში გავუჩინარდი და მილიცია ხელმოცარული წავიდა სოფლიდან, მაგრამ ვიცოდი, ეს საქმე ასე არ ჩაივლიდა, მილიცია კიდევ მომაკითხავდა და ბოლოს და ბოლოს დამიჭერდნენ! ამიტომ გადავწყვიტე, შური მეძია ცილისმწამებელზე და დავუდარაჯე – მეორე დღესვე მოვიხელთე ტყეში სოკოს მოსაკრეფად გამოსული... ჩუმად მივეპარე და ზურგში თოფის ლულა მივაბჯინე: – არ გაინძრე, თორემ აქვე გაგათავებ-მეთქი, – დავუღრინე... უხმოდ დამემორჩილა და უფრო ღრმად შევედით ტყეში. აქ კაცის სიმსხო ჭადარი მუხლის სიმაღლაზე გადავჭერი, ზოიას თმაში ხელი მოვავლე და ერთი შემოკვრით გავთიშე, შემდეგ ბრტყელტუჩით ენა ამოვუღე და ჩემს მიერ გადაჭრილ ჭადარზე შიფერის დასაჭედებელი ლურსმანით დავაჭედე... იქვე რამოდენიმე წუთი დავყავი, სიგარეტი მოვუკიდე... ზოიას ენა გაუსივდა, რომ ამეშვა ალბათ პირშიც აღარ ჩაეტეოდა, მაგრამ მის აშვებას არ ვაპირებდი, რადგან თვალებით შველასა და პატიებას კი არ მთხოვდა, მემუქრებოდა და ვინ იცის, იმ წუთში რა ცილისმწამებლურ გეგმებს მიმზადებდა...

– კარგად ბრძანდებოდეთ, მადამ ზოია! – ვუთხარი იმის შხამითა და ღვარძლით სავსე თვალებს, უკვე ღამდებოდა, მთლად ახლოდან მგლების ყმული შემომესმა და ჩქარი ნაბიჯით შინისაკენ წამოვედი... დილით მილიციაში გამოვცხადდი და სამი მილიციელი წამოვიდა ზოიას ასაშვებად, რომლებიც საღამოს დაბრუნდნენ და ზოიას სხეულის რამდენიმე გახრული ძვალი მოიტანეს.

– მდაა, ეს კი ნაღდი სათავგადასავლო რომანია! – წამოიძახა ანატოლიმ.

– დიახ! – დაუმოწმა გივიმ. – ნუთუ ქვეყნად არსებობს ადამიანის ისეთი საწამებელი იარაღი, რომ თვით ადამიანს არ შეექმნას, არ გამოეგონოს და ადამიანთა სატანჯველად არ

გამოეყენებინოს? საიდან მოიფიქრა იურიმ ადამიანის ენით ჯირკზე დაჭედება, ეს რომ საავიაციო ქარხანაში კონსტრუქტორად მუშაობდეს, ვინ მოთვლის, რამდენ ახალ გამოგონებას შექმნიდა...

– საიდან მოვიგონე ასეთი სატანჯველი? – მყისვე გასცა იურიმ პასუხი. – იქიდან, საიდანაც ზოიამ მოიგონა ჩემი დათვობა და ხალხი დააჯერა ჩემს ჯადოქრობაში. დაწვა მომინდომეს. არაფრის არ მეშინია, მაგრამ სიკვდილის შიში ყველა ადამიანს აქვს. რომ არ დაგიმალოთ, მეც შემეშინდა, თმაში ჭაღარა იმ ღამეს შემომეპარა და ვიფიქრე, თუ როგორი სამაგიერო მიმეზღო ზოიასათვის და მოვიფიქრე ასეთი ჯერ არ მომხდარი და არ გაგონილი სასჯელი! ადამიანს ყველაფრის მოფიქრება და გამოგონება შეუძლია, ვინ მოსთვლის, ჯერ კიდევ რამდენი რამ არის გამოსაგონებელი და განსახორციელებელი... ადამიანის თავის ტვინს თუ საშუალებას მივცემთ, რომ განვითარდეს და უმოქმედოდ არ დაგროვდეს თავის ქალაში, ის გადაიქცევა სულის ძარღვად და მომავლის ჭეშმარიტ გენიად, შეიძლება პატიმარს ვიღაც ყურში ჰკიდებდეს ხელს და ის კი არ იცოდეს, რომ მრავალი გამოგონების ავტორები პატიმრები არიან! შეიძლება ვიღაცას უბრალოდ მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ რომ პატიმართა სხეულის მოხატულობანი გადავიღოთ და მისი გამოფენა მოვაწყოთ, ეს იქნება უნიკალური გამოფენა, რომელსაც მსოფლიოს ვერცერთი გალერეა ვერ შეედრება ვერც ფერწერითა და ვერც რაოდენობით! ეს იქნება ღრმა აზრის გაზიარება, რომელ სიბრძნესაც ხალხს ტუში გაუზიარებს, რადიო-ტელევიზიისა და პრესის გარეშე.

– სწორი ბრძანებაა, – დაემოწმა ანატოლი – ჯერჯერობით არავინ გამოსულა საპყრობილედან, რომ რაღაც არ ჰქონდეს სხეულზე ამოსვირინგებული და თქვენც კარგად იცით, რა ცოტანი არიან სასჯელმოხდილნი!

– დიახ, სწორია! – ჩაერია საუბარში აქამდის ძილმოგონებული ივანე. – საპყრობილეში ბევრს სწავლობს ადამიანი,

ბევრი ბრძენი და უვიცი ხვდება ერთმანეთს, თავისუფლებაზე ხალხი ლუკმა პურის მოსაპოვებლად ისე არის გადატვირთული, მეზობელთან დალაპარაკების დროც კი არა აქვს, აქ კი ეს პრობლემა მოხსნილია... ჭამე, გასუქდი, ისაუბრე და გაამდიდრე შენი ტვინის უჯრედები! თავისუფლებისას, ხალხს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ არავითარი ჯადოქარი არ არსებობს. ეს სიტყვა მხოლოდ შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს, ინკვიზიცია სასტიკად დევნიდა ჯადოქრობაში ეჭვმიტანილთ და მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ჰყავთ დამწვარი. მათ შორის გამომგონებლები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებიც კი... ტრიალიერმა თეოლოგმა თავის წიგნში ეჭვი გამოთქვა ადამიანთა საქმეებში ეშმაკის ჩარევის თაობაზე, ავტორი ციხეში ჩასვეს და აწამეს, რიჩარდ ბეკონი ინკვიზიტორებმა სათვალის გამოგონებისათვის დაწვეს! ცილისმწამებლებმა მიზეზად დაასახელეს: „სამყაროს ისე უნდა უცქირო, როგორც ღმერთმა შეჰქმნაო“, და ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ ვერ მისულა ხალხი იმ შეგნებამდე, რომ არავითარი ჯადოქრობა არ არსებობს, რომ დაეწვათ იურა, ვიღა მოგვიყვებოდა ასეთ საინტერესო ამბავს? ისე კარგი მოგონებაა ცილისმწამებლის ენით ჯირკზე დაჭედება. ცილისმწამებლობა დასაბამიდან მოსდევს ადამიანს და დღემდე გრძელდება მასთან ბრძოლა, 39 წლის ეგვიპტელმა ქალბატონმა ბოტაინა აჰმედმა შური იძია ადამიანზე, რომელმაც მას ჭორები დაუყარა, ბოტაინა თითქოს შეურიგდა ცილისმწამებელს და ნება დართო მისთვის ეკოცნა, მაგრამ კოცნის დროს ბოტაინამ ცილისმწამებელს ენა წააკვნიტა...

– ვახ, რა განათლებული კაცი გვყოლია საკანში! ნეტავი აქამდე სად იმალებოდა? – აღტაცება ვერ დაფარა ანატოლიმ.

– აბე, შენ როგორ გეგონა, მარტო ებრაელები არიან განათლებულები? სწორს სჩადიოდა ჰიტლერი, ადამიანი, რომელიც ატომურ ბომბს გამოიგონებს ხალხის გასანადგურებლად, ის ერი თვითონ არის გასანადგურებელი!

– შენთვის წერა-კითხვა უსწავლებიათ და საუბარი კი არა, ერთეულმა სიკვდილი გამოიგონა, ერს რას ემართლები? უბრაელმა დუსტიც გამოიგონა, რომ ტილი მოგეშორებია, მაგრამ მისთვის ორდენი არ ჩამოგიკიდებია, მასაც ატომის გამომგონებელთან უპირებ სიკვდილს?

– საუბარს კამათში ნუ გადაიყვანთ და კამათს ჩხუბში! – გააფრთხილა გივიმ მოკამათეები და ანატოლის თვალით ანიშნა, მოეძებნა შემდეგი საინტერესო დანაშაულის ჩამდენი. ამჟამად პატიმრებს ხვეწნა აღარ დასჭირვებიათ, სხვების ამბის მოსმენით აზარტში შესულიყვნენ და ყველას უნდოდა გაეცნო ერთიმეორისათვის თავისი „საგმირო“ დანაშაული, მაგრამ ანატოლიმ სწორედ ის შეარჩია, რომელიც არ აქტიურობდა და განმარტოებით წყნარად იჯდა კუთხეში.

– საშა, რატომ არ აქტიურობ? ხომ არ გესირცხვილება საკუთარი დანაშაულის გამხელა? – უთხრა ანატოლიმ კუთხეში მჯდომ ახალგაზრდას.

– როგორ არ მესირცხვება, დანაშაული ყველა სამარცხვინოა, ზოგი სასჯელს აღიქვამს სამარცხვინოდ, მაგრამ დანაშაულია სამარცხვინო და არა სასჯელი... – უპასუხა საშამ.

– აქ სამარცხვინო არც დანაშაულია და არც სასჯელი! ყველას გვაქვს პირველი ჩადენილი და ყველანი ველოდებით მეორეს, დაიწყეთ თუ შენი დანაშაულიც ქალს არ ეხება, თორემ აქედან გასვლის შემდეგ ქალებზე ნადირობას დავიწყებ, რომ გადავაშენო მაგათი მოდგმა!

– გადავაშენოთ, მაგრამ, სავალალოდ, ქალების გარეშე არც ჩვენ, მამაკაცები არ ვარგივართ! შეიძლება, ქალების წინააღმდეგ გავილაშქროთ მაშინ, როდესაც ტექნიკა საყოველთაოდ მიაღწევს რეზინის ქალების, ანუ ეგრეთწოდებული რობოტი ქალების გამოშვებას და მედიცინა – ნებისმიერი ქვაბიდან ბავშვის ამოყვანას. მაშინ მდედრობით სქესს ქვაბშივე გავანადგურებთ, აღარ გვეყოლება მოენე და მოკამათე ქალები! რეზინის

რობოტს, როდესაც მოგვესურვება, მაშინ გავბერავთ და გვერ-
დით მოვიწვენთ!

– არა, არა, არ ივარგებს, მამაკაცები ისე ვართ ქალების
გესლსა და კამათს შეჩვეულნი, მათ გარეშე ვერ გავძლებთ.
ქალი ერთგვარი ნარკოტიკია, თუ მიეჩვიე, ძნელია განშორება
მასთან...

– შეიძლება შენც მართალი ხარ, მაგრამ მე ისე ვარ გულ-
გატეხილი ქალების მიმართ, საკუთარ დედასაც არ დავინდობ,
თორემ სხვაზე ხომ ზედმეტია საუბარი... ახლა კი მეტს ვე-
ღარაფერს მოვყვები, რადგანაც ჩემი დანაშაულიც საყვარელ
ქალს ეხება!

– მოყევი! მოყევი! რადგან დადგა ქალების განკითხვის ჟამი!
ბოლომდე განვიკითხოთ და ამ საკანსაც ქალების განკითხვის
საკანი ვუწოდოთ!

– მძიმეა, მძიმე... წარსულის მოგონება, მე ყოველ წუთში
მეხსიერების სიკვდილს ვნატრობ, რომ არ გამახსენდეს ის
პირველი სიყვარული, რომელთანაც ოდესღაც ბედნიერი ვიყა-
ვი...

სიყვარული ჩემში პირველი კლასის მერხიდან, შვიდი წლის
ასაკიდან დაიწყო... ჩვენი სოფლის ბოლოში ერთი ათასწლო-
ვანი მუხა იდგა. იმის ფუღუროში გავიზარდეთ მე და მაია, აქვე
ვეზიარეთ პირველ სიყვარულს, რომლის სიტკბო და უკვდავე-
ბა არასოდეს წაიშლება ჩემს მეხსიერებაში. იმ მუხას გასულ
წელს მეხი დაეცა და ცეცხლი გაუჩნდა. კარგი იყო მაშინ დაგვ-
ცემოდა, როდესაც თავს ვაფარებდით იმის ფუღუროში, მაგ-
რამ ღმერთის განაჩენს ვერსად გავექცევით, ასე ინება ალბათ
უფალმა.

სიყვარულში და სიტკბოებაში დავამთავრეთ საშუალო
სკოლის სრული კურსი და იმავე წელს ცოლად შევირთე,
შემდეგ უნივერსიტეტში ვცადეთ მისაღები გამოცდების ჩაბა-
რება, მე იმ წელსვე ჩავირიცხე ქიმიურ ფაკულტეტზე, მაიამ
კი სამჯერ სცადა გამოცდების ჩაბარება და სამივეჯერ უშე-

დეგოდ. ამიტომ იძულებული გახდა სავაჭრო კურსები დაემთავრებინა, რაზედაც არც მე წავსულვარ წინააღმდეგი, მესამე კურსიდან დაუსწრებელ ფაკულტეტზე გადავედი და მუშაობა ქიმიურ ლაბორატორიაში დავიწყე. მაიამაც დაამთავრა სავაჭრო კურსები და მუშაობა ცენტრალურ უნივერსალურ მაღაზიაში დაიწყო პროდუქტის სექციაში გამყიდველად. ნელ-ნელა ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მხოლოდ ეს იყო სავალალო, რომ მაიამ ალკოჰოლის სმას მოუხშირა. სარგებლობდა ჩემი სიყვარულით და დალევის მიზეზად თავის კოლეგა გოგონებთან სადილს ასახელებდა. დღითიდღე მიძნელდებოდა ასეთ ოჯახში ცხოვრება, სადაც თავს დამცირებულად ვგრძნობდი. ჩემი ღირსება პატივაყრილად მიმაჩნდა, რადგან ჩემს სიტყვას ფასი აღარ ჰქონდა ოჯახში... ალკოჰოლმა თავის ჭკუაზე გადაიყვანა და მთლად ზნედაცემული შეიქმნა. ნუ გგონიათ ზნედაცემული ადამიანი უღონო იყოს ოჯახში, არა, ძლიარია არა მარტო იმით, რომ ზნედაცემულია, არამედ იმიათაც, რომ ზნედაცემულობას ურცხვობა ახლავს, ბარაქიანი ტყუილიც, უნამუსობა, ცილისწამება და ყოველგვარი უწმინდურობა, რომელიც შეიძლება დაგუბდეს ზნედაცემული ადამიანის სულში. სინდისი და პატიოსნება კი ჰქმნის ოჯახის სიყვარულს, აშუქებს მომავლის იმედებს, ისე როგორც ამომავალი მზე ასხივოსნებს ჯანმრთელსა და მდიდარ ბუნებას!

ახალგაზრდა თაობათა შეუღლება, სიკვდილ-სიცოცხლის საგანია ოჯახისათვის, რომლის არსებობაზეც მისი მერმისია დამოკიდებული, ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯით იღუპება ოჯახი, მისი მერმისი, მომავალი და შთამომავალი...

ჩემს მეუღლეს რომ სწორი ნაბიჯი გადაედგა, ან მე მომეთმინა იმისი არასწორი სვლა, ცოტად თუ ბევრად ბოროტს ავცდებოდით და კეთილს წავეპოტინებოდით, მაგრამ არ მეყო სულგრძელობა, ვერ გამოვიჩინე ნებისყოფა და ვერ შევინარჩუნე ოჯახის სიმტკიცე! რამდენადაც მტკიცეა ოჯახის ბურჯი, იმდენად ამაღლდება ოჯახის წევრთა სიცოცხლე, ცხოვ-

რება, დოვლათი და ბარაქა, რომელიც არა მარტო ოჯახის სიმდიდრეა, არამედ ერისა და საზოგადოების წინსვლაცაა... მე ნებისყოფა არ მეყო, ჩემს მეუღლეს კი ტვინის ნატამალი არ აღმოაჩნდა და კარგად მოგეხსენებათ, ვისაც ტვინი და ჭკუა არ გააჩნია, მას ეშმაკი უფრო ადვილად იმორჩილებს და თავის სასარგებლო იარაღად იყენებს, გზიდან აცდენილი ვეღარ ცნობს ღმერთის ანგელოზს, რომელსაც შეუძლია შეუნდოს შეცოდებანი და ღვთიურ ცხოვრებას დაუბრუნოს! ჩემი დედა იყო კეთილ ანგელოზად მოვლენილი ოჯახში, მაგრამ ხშირად დამარცხდა ეშმაკთან ბრძოლაში! პირველ ხანებში სამუშაოდან მოსვლას აგვიანებდა ჩემი საყვარელი მეუღლე, შემდეგ თანდათან უმატა და იყო შემთხვევები, მთელი ღამე არ მოსულა ოჯახში. ტკბილი საუბრით რომ ვერაფერს გავხდი, ცემაც მოვსინჯე, მაგრამ ამაოდ. ერთჯერ ნაშუაღამევს, უგრძნობი მთვრალი მოვიდა: – „გაღმით შეედავე და გამოღმით დაგრჩებაო“, სწორედ ასე მოიქცა. ჩვენ რომ არაფერი გვეთქვა, თვითონ დაგვიწყო ჩხუბი და აყალ-მაყალი. ვიფიქრე – ახლა მაინც ვერაფერს შევაგნებინებ და დილას ვცემ-მეთქი. დიდხანს იყვირა, რამდენიმე ჭურჭელიც კი დაამსხვრია, შემდეგ დაიღალა და დაიძინა. არ მჩვევია სხვისი ნივთების ჩხრეკა, მაგრამ რატომღაც იმისი ჩანთა ავიღე და გავხსენი, შიგ რამდენიმე ნახმარი ცხვირსახოცი იყო და უხმარი პრეზერვატივების მთელი კოლოფი, რომელსაც მხოლოდ ორი ცალი აკლდა, თვალთ დამიღამდა, მინდოდა მძინარესთან მივსულიყავი, სახეზე ბალიში დამეფარებინა და კნუტივით მიმეხრჩო! მკვლელობა ხახვივით შემრჩებოდა, რადგან ექსპერტიზა ალკოჰოლს დააბრალებდა, მაგრამ გადავიფიქრე, ის ვიღაც, რომელიც მე მიცნობდა და მოურიდებლად რქებს მადგამდა, ხომ უვნებელი დარჩებოდა? ამიტომ დავფიქრდი და უფრო მზაკვრული საშუალება მოვიგონე: პრეზერვატივები ამოვიღე, ფრთხილად გავხსენი, სათითაოდ ყველანი ქიმიურ ხსნარში ამოვავლე და შეუმჩნევლად დავაწყე. (სანამ ქიმიური ხსნარი დაასახელა, მაგრამ შეგნებულად

არ ვასახელებ სიფრთხილისათვის. გ. ჩ.). დილით გამოიღვიძა, ზედაც არ შემიხედავს, იმ წუთში მაიას სახით მთელი საქალეთი შემძულდა. სამი დღე ხმა არ გამიცია, არც იმას მოუსაკლისებივარ დიდად... მეოთხე დღეს მილიციამ მომაკითხა:

– სად არის თქვენი მეუღლე? – შემეკითხა ერთ-ერთი ჩინოსანი მილიციელი. ვუთხარი, რომ სამუშაოზეა წასული. ამ დროს სასწრაფო დახმარების ავტომობილიც მოადგა ჩემს ჭიშკარს და სანიტრებმა მაიას გვამი გადმოასვენეს... ის სასტიკად იყო ნაცემი, მაგრამ ცემის შედეგად არ იყო გარდაცვლილი. შევიცხადე საყვარელი მეუღლე და საქვეყნოდ გავყვიროდი, – ვინ მომიკლა შენი თავი-მეთქი! მილიციელებმა სამძიმარი მითხრეს, დამამშვიდეს და წავიდნენ.

როგორც შემდეგ გავიგე, ის სექციის გამგეს, რომელშიც მაია მუშაობდა, რომანი გაუბამს ჩემს ცოლთან, ქიმიურმა ხსნარმა თავისი მოვალეობა შეასრულა და სამ დღეში მაიაც დაალპო და იმისი საყვარელიც, გამგე მაიას აბრალებდა – სიფილისტი შემყარეო და მაია – გამგეს... ასე რომ, საკმაო ჩხუბიც მოსვლიათ, რა თქმა უნდა, გამგე მორევია კაფანდარა გოგოს, ცხვირში ხელი მოუჭერია, რომ არ ესუნთქა და პირში დამპალი ასო ჩაუდევს... ასეთი სასტიკი სიკდვილით დაახრჩო გამგემ ჩემი პირველი სიყვარული.

რა თქმა უნდა, გამგე დააპატიმრეს, მაგრამ ექსპერტიზა გაოცდა, როდესაც ვერც მაიას და ვერც გამგეს ვენერიული დაავადება ვერ აღმოუჩინეს, გამგეს ასო მოჰკვეთეს და რაღაც უცნობი ავადმყოფობა უნდა დაემტკიცებიათ, რომ ახლად გამომცხვარმა ლაბორანტმა, მიკროსკოპში ქიმიური ელემენტი შენიშნა, რომელმაც მალე დაადგინა ნივთიერების შემცველობა და ცოცხალ ორგანიზმზე მისი ზემოქმედება. ერთი კვირის შემდეგ დამაპატიმრეს, როგორც მომწამლავი ქიმიური ნივთიერების გამავრცელებელი... მკვლელობაში ვერ დამდეს ბრალი, არც მოკვდებოდა მაია, რომ გამგეს არ დაეხრჩო.

– კიდევ ახალი, ჯერ არ მომხდარი მკვლელობა, სად მოვხვდი ამ მკვლელებში ეს უმწიკვლო ადამიანი! – წამოიძახა გივიმ, რომლის ნათქვამიც უმეტესობამ სერიოზულად მიიღო.

* * *

როდესაც გივი საკანში არხეინად იყო და პატიმართა დანაშაულებრივ აღსარებას ისმენდა, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა დავით შეწირულმა ახალგზრდა გამომძიებელი გიორგი ამაღლობელი გამოიძახა:

– გიხაროდეს, გამართლდა შენი ვარაუდი, გივი ტაბატაძე ცოლცხალი აღმოჩნდა!

გიორგის თვალები გაუფართოვდა:

– ეს როგორ, ამხანაგო დავით, როგორ მიაკვლიეთ ან სად იმყოფება ამჟამად?

– ეკატერინობურგიდან გვაცნობეს, მაგრამ თუ ნამდვილად გივი დაიჭირეს და ის ცოცხალია, ციხის ღირსი კი არა, ორდენის ღირსია! ჩემი აზრით, რაღაც მიზეზის გამო თავისი ნებით ჩაბარდა, თორემ ასე ადვილად მას ვერ დაიჭერდნენ!

– მიზეზი ჩვენთვის ცნობილია, ამხანაგო დავით, იგრძნო, გურძიმის მკვლელობაში დავდებთ ბრალს...

– მივლინებას მოგცემთ, ხვალვე გაემგზავრე ეკატერინობურგში, აწარმოე გამოძიება, არა ისე, როგორც ახალბედასთან, ხომ იცი გივის სხვაგვარი მიდგომა უნდა! თუ საჭიროდ სცნო, საქართველოში წამოიყვანე და თუ არა, ადგილზე დატოვე... ვინ იცის, იქნებ იქ მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი!

გამომძიებელი დროებით გამოემშვიდობა პროკურორს, ადრიანად დაბრუნდა სახლში და მგზავრობისათვის მზადებას შეუდგა.

მეორე დღეს თვითმფრინავი ტუ-154 – თბილისი-სვერდლოვსკი-თბილისიდან სამი საათის ფრენის შემდეგ სვერდლოვსკის აეროპორტზე რბილად დაეშვა, გიორგი პირველად სასტუმროში მივიდა, სათანადო საბუთები და მივლინების

ფურცელი წარადგინა, ნომერი აიღო, ცოტა ხანს დაისვენა და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ესტუმრა.

ტელეგრამას გენერალ-მაიორი კოზლოვი გზავნიდა საქართველოში, რომელიც ტაბატაძის დაპატიმრებას იტყობინებოდა და გიორგიც პირდაპირ კოზლოვის კაბინეტისაკენ გაემართა, გენერალი ადგილზე დაუხვდა, მდივანმა მოახსენა საქართველოდან სტუმრის ჩამოსვლა და მასპინძელმაც დაუყოვნებლივ მიიღო გამომძიებელი ამაღლობელი.

კაბინეტში შესვლისთანავე გიორგიმ სალამის მიცემაც ვერ მოასწრო, გენერალი ფეხზე წამოდგა და დიდი ხნის უნახავი მეგობარივით მიესალმა სტუმარს, შემდეგ სავარძელი შესთავაზა.

– ალბათ, დღეს ჩამოფრინდით, საქართველოდან? როგორი ამინდებია თქვენთან?

– კარგი, ამხანაგო გენერალო!

– ჰო, აქ ურალის ცვალებადი ჰავაა, ვერ გაიგებ, დღეს რომ სიცხეა, ხვალ შეიძლება თოვლი წამოვიდეს!

– მობრძანდით საქართველოში, დაისვენეთ, ყოველთვის მე ვიქნები თქვენი მასპინძელი!

– ოჰ, გმადლობთ, ისე კი მინდა საქართველო ერთხელ კიდევ მოვინახულო, მაგრამ დღეს თქვენ ბრძანდებით ჩემი სტუმარი. არავითარ შემთხვევაში სასტუმრო! იცოდე, სანამ აქ იქნებით, ჩემთან დაიდებთ ბინას!

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო, მაგრამ ნომერი უკვე აღებული მაქვს და არც მინდა შეგაწუხოთ, უხერხულია...

– რა არის უხერხული? ჩემზე უფროსი არც ჩინითა და არც წლოვანებით მე არავინ არა მყავს ოჯახში, ასე რომ, ნუ მოგერიდება, მითუმეტეს თუ თან „ჭაჭა“ გაქვს წამოღებული...

– არა მარტო „ჭაჭა“, ხაჭაპურებიც, ამხანაგო გენერალო! – გიორგის გაეღიმა.

– მაშინ არავითარი „ამხანაგო გენერალო“, უბრალოდ კოლია დამიძახე. მე ხომ კონსტანტინ კირილეს ძე ვარ!

გიორგი გაოცებული დარჩა, თუ რამ გამოიწვია ასეთი ტკბილი შეხვედრა გენერალთან ვერ წარმოედგინა, გენერალს მოსვლის მიზეზიც არ უკითხავს და სახლში მიიპატიჟა ვიღაც ლეიტენანტი. ნამდვილად გასაოცარია!

საღამოს, მართლაც, გენერლის ოჯახს ეწვია ხელდამშვენებული გიორგი, ქართულ-რუსული მაგიდა გაიწყო გენერლის საკადრისი, ჭაჭის არაყით შეისვა საქართველოს სადღეგრძელო და მხოლოდ ახლა შეეკითხა გენერალი გიორგის მივლინებით ჩამოსვლის მიზეზს:

– თქვენი მივლინებით ჩამოსვლის მიზეზი, ალბათ, ჩემი მიერ გამოგზავნილ ტელეგრამასთან იქნება დაკავშირებული.

– დიახ, ამხანაგო გენერალო, ჩემი ჩამოსვლის მიზეზი გივი ტაბატაძეს ეხება!

– ჰო, დიდებული ბიჭია, ცოდვაა მასეთები საპყრობილეში, საქართველოში თუ უზარმაზარი დანაშაული არ აქვს ჩადენილი, ვაკმაროთ კოლონიიდან გაქცევის სასჯელი!

– ძიება გვიჩვენებს, ამხანაგო გენერალო! – წარმოთქვა გიორგიმ და შუბლი დაეცვარა.

– ხომ გითხარი, მე მეგობრებთან და მითუმეტეს ქართულ სუფრასთან არა ვარ გენერალი, უბრალოდ, კოლია დამიძახე!

კოლია გენერალი გულკეთილიც აღმოჩნდა და გულუხვიც, მესამე ჭიქის დალევის შემდეგ ჯიბიდან ოქროს სანთებელა ამოიღო და გიორგის გაუწოდა.

– გქონდეს ჩემგან საჩუქრად და მოსაგონებლად! – უთხრა და მთვრალი კაცის იერით გაუღიმა, შემდეგ ქართველებზე ჩამოაგდო საუბარი და ძირითადად გიორგის უფროსს, დავით შეწირულს შეეხო:

– მე და დავითი, ერთად ვმსახურობდით, ერთად ვომობდით, სიცოცხლისათვის ერთად ვიბრძოდით. მე ქართველები ძალიან მიყვარს, ერთმა ქართველმა, ლუკა ამაღლობელმა, მე სიცოცხლე შემინარჩუნა, თვითონ დაიღუპა, მე გადამარჩინა...

– ვინ?

– ვინ და ლუკა ამაღლობელმა, ვერ გაიგე?

– ეს ხომ მამაჩემია, გენერალო?

– ვინ? მამაშენი?

ხმამაღლა ატირდა გენერალი და ლეიტენანტი, ერთმანეთს ჩახვეულები...

– მომიყევი! მომიყევი! როგორ დაიღუპა მამაჩემი! მასზე ლეგენდა დადის და სიმართლე დღემდე არ ვიცი!

– მოგიყვები, მხოლოდ ერთი კიდევ დავლიოთ, ლუკას სულის ნათელი შევუთვალოთ! მე სანამ პურის ჭამას დავიწყებდე, ჩუმად ვამბობ მისი ხსოვნის შესანდობარს, უბრალოდ, მეშინია ხმამაღლა რომ ვთქვა, შეიძლება ვერ გამიგონ... ვისაც სიკვდილთან ჭიდილი არ განუცდია, მან არ იცის, რა არის სიცოცხლე! აი, ჩემ ჯამთან დადებულ ლუკმას და შევსებულ ჭიქას ხედავ? რატომ არავინ მეკითხება, რად ჩავდივარ ასე? არავინ არ იცის, მხოლოდ შენ ერთმა იცი დღეიდან, ეს ლუკმა და ეს სასმისი ყოველთვის ჩემი ჯამის გვერდით დგას და ლუკას ეკუთვნის!

იმისი დაღუპვის ამბავი გაინტერესებს? მხოლოდ სიმართლე? მართლაც არავინ იცის ჩემს მეტმა სიმართლე: – მამაშენი ლუკა მფრინავი იყო, მე კი მისი ადიუტანტი, წლების მანძილზე ერთ თვითმფრინავს ვემსახურებოდით, თავგანწირული ბრძოლა იცოდა და მრავალი ფაშისტის ცოდვაც აიკიდა კისერზე. ორმოცდასამი იყო, მაშინ გომელს ვანთავისუფლებდით, ოთხმა გერმანელმა ბომბდამშენმა რკალში მოგვიმწყვდია, ლუკა არ დანებდა, ზევიდან მოექცა მოიერიშეებს და ორი ზედიზედ ჩამოაგდო. მესამემ კუდი მოანგრია ჩვენს თვითმფრინავს და წონასწორობა დავკარგეთ... ლუკამ მიბრძანა გადავმხტარვიყავი, მაგრამ მე სიკვდილი მერჩია, არ ვტოვებდი მეგობარს. „გიბრძანებ!“ – მიყვირა მან და პისტოლეტი მომაბჯინა, მე ტყვიის არ შემშინებია, ბრძანების შეუსრულებლობის კი შემრცხვა და გადმოვხტი! პარაშუტი გავშალე და ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, როდესაც დავინახე ჩვენმა თვითმფრინავმა

თუ როგორ ააფეთქა გერმანელთა ასეულთვითმფრინავიანი აეროდრომი.

მაგიდასთან სიწყნარე ჩამოწვა.

გენერალმა ცრემლები მოიწურა.

– შემდეგ? – დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა... წყნარად იკითხა გიორგიმ.

– შემდეგ რა? – არაფერი? იქ ძვლის პოვნაც შეუძლებელი იყო. ალბათ, თქვენ მიიღეთ სახლში ცნობის ბარათი: „გმირულად დაიღუპა სმოლენსკის განთავისუფლებისათვის“. ეს სიცრუეც არ არის, მართლაც მიანიჭეს გმირის წოდება დაღუპვის შემდეგ! ეჰ, ლუკა! მაგარი იყო ცხონებული! – თქვა გენერალმა და ჭიქები თვითონ შეავსო. – ჩაფიქრდა და შემდეგ ძალზედ ძუნწად განაგრძო თხრობა.

– მე ჰაერშივე დამჭრეს და ტყვედ ჩავვარდი, მიმკურნალეს და გერმანიაში წასაყვანად მომამზადეს, მაგრამ იმ ღამეს ჩვენებმა, რკინიგზის სადგური დაბომბეს, გერმანელებმა უკან დაიხიეს. ჩვენი ცოცხლად დატოვება დაენანათ და დაგვხვრიტეს! მალე ჩვენებიც შემოვიდნენ, როგორც შემდეგ მითხრეს, ვსუნთქავდი და ჰოსპიტალში მიმიყვანეს, მკერდიდან სამი ტყვია ამომიღეს და გადავრჩი! ეს იყო სულ...

– ჰო, მოსაყოლად მთლად ადვილია! – ამოიხვნეშა გიორგიმ.

– ჰო, მოსაყოლად ადვილია, დასაჯერებლად კი ძნელი! ზოგიერთი ეპიზოდი ხალხს ფანტაზია ჰგონია. მე გივი ტაბატაძის წარსულს გავეცანი. სიმართლეა, მაგრამ ზოგს ფანტაზიად მოეჩვენება. მაგ ბიჭისგან კარგი მეომარიც დადგებოდა, მაგრამ ცუდ დროსა და გარემოებაში მოხვდა! ცხონებულ ლუკას მაგონებს, ესეც ისე მკვირცხლია, თუ სუყველა ერთმანეთს ჰგავხართ ქართველები და ყველანი გმირები ხართ, რა ვიცი...

გივი ბოროტმოქმედი საზოგადოებამ გახადა, დარჩა ბოროტმოქმედად, მაგრამ სამართლიანია!

– ბოროტმოქმედი და სამართლიანი ვის უნახავს? – გაიკვირვა გიორგიმ.

– მე ვნახე! მათ მოსამართლეებს ეძახიან და იმაზე მეტ ბოროტებას სჩადიან, რაც გივის აღრიცხვაზეა!

– ეს კანონმდებლობაა, მართლმსაჯულები უფლებამოსილები არიან, კონსტანტინ კირილეს ძევ!

– თუ კანონიერად და სამართლიანად მოიქცევი, უფლებამოსილება რას მიქვიან, დანაშაულად არ უნდა ითვლებოდეს დასახვრეტ ადამიანს თუ თვითონ დავხვრიტავთ და მართლმსაჯულებას არ წარვუდგენთ!

– ბოროტმოქმედმა რა იცის, იმის მსხვერპლი დახვრეტას ითვალისწინებს თუ არა?

– დიახ! სწორედ ამაში იმალება სიმართლე, მართლმსაჯულებამ პირველად მოკლულის საქმე უნდა გამოიძიოს და შემდეგ მკვლელის! თუ მოკლული სისხლის სამართლის კანონით ისჯება და დახვრეტას ითვალისწინებს, რატომღა მივიჩნევთ მკვლელს ბოროტმოქმედად და არ ვანთავისუფლებთ სასჯელისაგან?!

– აბა რა ვიცი?! მკვდარი ყოველთვის მართალია და იმის საქმეს უბრალოდ ვეკითხებით მოწმეებს თუ როგორი იყო პიროვნება.

– ჩვენ გვყავს ჯალათი, რომელიც მოსამართლის გადაწყვეტილებას ასრულებს, ნაღდი მკვლელია! ისიც გავასამართლოთ და სიკვდილით დავსაჯოთ?

– იმისი ასეთია სამსახური, კანონის თხოვნას თუ ბრძანებას ასრულებს და ამისთვის გასამრჯელოს ღებულობს!

– ესე იგი ქილერები, რომლებსაც ჩვენ გასამრჯელოს ვაძლევთ და ადამიანის მოასაკლავად ვუშვებთ, მკვლელები არ არიან?

– გენერალო კონსტანტინ, კირილეს ძევ! ასე რომ პატიმარი მელაპარაკებოდეს, დასაშვებია, თქვენ კი თვითონ ბრძანდებით კანონმდებელი!

– დღევანდელი კანონმდებელი, მაგრამ გუშინდელი ტყვე და პატიმარი, რომელმაც ბრწყინვალედ ვიცი მათი ხვედრი!

– როგორ? თქვენ პატიმრობაც გამოსცადეთ?

– დიახ! ომი რომ დამთავრდა, აკადემიაში გავაგრძელე სწავლა, ერთ დღეს ქუჩაში ვსეირნობდი კურსანტებთან ერთად და თითქოს მიწიდან ამოძვრა, ჩემს წინ ჯალათი იდგა, რომელიც სმოლენსკის ტყვეთა ბანაკში საბჭოთა ტყვეებს ხვრეტდა და კრემატორიუმში წვავდა. მეც პირადად მრავალჯერ მაქვს ტყავი გადამძვრალი იმისი მათრახით... მან გამიღიმა, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს ჩემს წინაშე, თითქოს თავისი ღიმილით დამცინოდა კიდეც... ფიქრის დრო არ იყო, შეიძლება გამქცეოდა და ყელი გამოვჭამე ისე, როგორც „ბულდოგმა“ იცის! დამიჭირეს. დიდხანს ვხეხე „გულაგი“! შემდეგ კი სტალინის ბრძანებით გამანთავისუფლეს! დიახ, მე მოვკალი რუსი, თანამემამულე, მაგრამ არავის გამოუძიებია ვინ იყო ეს ადამიანი სულიერად! „არა, შენ არ მოკლა“, – გვაფრთხილებს კანონი. – თუ არის მოსაკლავი, მე მოვკლავ, ფაშისტები რომ გაასამართლეს, დახვრეტა მიუსაჯეს. საკუთარი განაჩენით რომ მომეკლა, ალბათ, მეც დამხვრეტდნენ! არაა სწორი, ფაშისტური იტალიის ფიურერი ბენიტო მუსოლინი, იგივე დუჩე, პარტიზანებმა თავის საყვარელთან – კლარა პეტაჩთან ერთად, მიტოვებული ფერმის ფიცრულ ქოხში შეიმწყვდიეს, 1949 წლის თებერვალი იდგა, ციოდა... დადგა მუსოლინის ოცდაოთხწლიანი განუყოფელი მმართველობის უკანასკნელი ღამე. დიქტატორ-ყოფილმა უკვე კარგად იცოდა, რომ აღარ განმეორდებოდა 1944 წლის სასწაული, როდესაც ცით მოვლენილმა მხსნელმა ოტო სკორცენიმ იგი სახრჩობელას ყულფიდან გამოიხსნა... დილით ისინი აგურის კედელთან მიაყენეს: – თქვენ ვერ გაბედავთ ესროლოთ დუჩეს! – შესძახა ქალმა. ცივი ქარი უწეწავდა თმას, თვალებში სიძულვილი ედგა, მაინც ლამაზი იყო...

– „გულში მესროლეთ!“ – თქვა დუჩემ და მაგრად ჩასჭიდა ხელი ხელში თავის საყვარელ კლარა პეტაჩის....

დახვრიტეს! პარტიზანებმა რატომღაც ტანსაცმელი შემოახიეს და მთლიანად გააშიშვლეს დახვრეტილთა გვამები, მაგრამ ხელები ერთმანეთისათვის ვერ გააშვებინეს და ასე ხელიხელჩაკიდებულნი, ფეხებით დაჰკიდეს ხეზე...

თქვენ როგორ ფიქრობთ, იტალიის მართლმსაჯულება დახვრეტდა პარტიზანებს თვით გამოტანილი განაჩენისათვის?

გიორგიმ არაფერი უპასუხა, არ უნდოდა კამათი გაეგრძელებია გენერალთან, გულში კი გაიფიქრა: „ვინ იცის, შეიძლება დახვრიტეს კიდეც“. და საუბარი შეცვალა:

– სტალინმა რატომ გაპატიათ დანაშაული, პატიება სთხოვეთ?

– არავითარი პატიება, უბრალოდ, წერილი მივწერე: – „კაცი მოვკალი და გთხოვთ შეისწავლოთ იმის ბიოგრაფია, ვინც მოვკალი-მეთქი“. სტალინმა ჩემს წერილზე წააწერა – „შეისწავლეთ“ და პროკურატურას გადაუგზავნა. ახლა უკვე შიშის ქვეშ აღმოჩნდა პროკურატურა და შეისწავლეს, საშმობლოს მოღალატის ამოცნობისათვის ორდენით დამაჯილდოვეს და აკადემიაში აღმადგინეს!

– არადა, სტალინი უსამართლო იყო, უდანაშაულო ხალხს ხვრეტდაო?!

– ვინც მაგას ამბობს, ის არის უსამართლო! სტალინს არცერთ მძიმე დანაშაულზე არა აქვს ხელი მოწერილი, რომ ვინმე დაეხვრიტათ, მასთან მოხვედრილ საქმეებზე აწერია – „შეისწავლეთ!“ რა თქმა უნდა, სწავლობდნენ, მაგრამ მკაცრად და ბევრი იხვრიტებოდა სტალინის სახელით! ღალატი იყო სამშობლოში, ზოგი თეთრგვარდიელების მხარეზე იყო, ზოგიც კიდევ ჰიტლერის მხარეზე, ვინ მოთვლის ფრონტზე ტყვიების მაგივრად რამდენჯერ მიგვიღია ყუთებით ლურსმანი, როდესაც ჩვენგან საჩივარს მიიღებდა სტალინი, არ დაეწერა განცხადებაზე – „შეისწავლეთ“? და შენ როგორ ფიქრობ, „შესწავლის“ შემდეგ არ იყვნენ საშმობლოს მოღალატეები დასახვრეტი? ნუ მიწყენ და თქვენ, ახალი თაობა ვერ გაიგებთ, საიდან მოვიდა ეს გამაძღარი ერა!

მართლაც, ბევრი სიდუხჭირეგამოვლილი ჩანდა გენერალი, მართალია თავის თავზე არაფერს ჰყვებოდა გაზვიადებულად, მაგრამ დაკვირვებულ კაცს და მითუმეტეს გამომძიებელს შეეძლო თვალებში ამოეკითხა მის მიერ განვლილი გზა.

გვიან ღამით დაამთავრეს საუბარი. ბოლოს გენერალმა დაღლილი კაცის იერით ღრმად ამოიხვნეშა, წამოდგა, გიორგის საძინებელ ოთახში მოსასვენებელი ადგილი უჩვენა და თავის ოთახში დააპირა წასვლა, მაგრამ გიორგიმ იუარა დარჩენა, ალბათ, იუხერხულა კიდეც და სასტუმროშიწავიდა.

მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამმართველოში ადრიანად მივიდა ამაღლობელი, ყოველგვარი ფორმალობა მოაგვარა გივისთან შესახვედრად და ციხეს მიადგა. ზედამხედველმა გივი ტაბატაძე გამოიძახა და ძიებისათვის განკუთვნილ კაბინეტში წარუდგინა გამომძიებელს.

შეხედვის უმალ იცნო სკოლის მეგობარი გივიმ. მაგრამ არ შეიმჩნია. როგორც უცხოს, ისე მიესალმა და პატიმრისათვის განკუთვნილ სკამზე დაჯდა, რომელიც იატაკზე იყო დაჭედებული.

გიორგიმ სალამზე უპასუხა. წამოდგა და ხელი ჩამოართვა პატიმარს, შემდეგ თვალებში ჩახედა: „გაშიშვლდა ჩვენი მტრობა“, გაიფიქრა გივიმ და თვალი გაუსწორა გამომიძებელს.

– ვერ მიცანი? – შეეკითხა გამომძიებელი.

– ვერა, ვერ გიცანი! – იცრუა გივიმ.

– მე გიორგი ვარ, ამაღლობელი, გახსოვს? ბავშვობაში ერთად ვსწავლობდით.

– არა, არ მახსოვს! – ისევ იცრუა გივიმ. – თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მახსოვს თუ არა ბავშვობა. ამით მე რა შეღავათი მექნება. შენ შენი საქმე გაბარია, ნუ გამოიყენებ ბოროტად ბავშვობის მეგობრობას და საქმეს მიხედე კანონიერად!

– არა, გივი, ჩემს მიმართ აგრესიული ნუ იქნები, იცოდე, ჩინის მომატების სურვილით მე არავის დავღუპავ, მომანდეს

შენს მიერ ჩადენილი კეთილი თუ ბოროტი საქმეებისგამოძიება და ვდგავარ შენს წინაშე! თუ ჩემს კაცობაში ეჭვი გეპარება, შეგიძლია, აცილება მომცე და სხვა გამომძიებელს დაგინიშნავენ!

– პატიმრის მოსაწონი გამომძიებელი, პრკოურორი და მოსამართლე არ არსებობს! სხვა გამომძიებელი რომ დამინიშნონ, ის სხვა სახიერი გამომძიებელი იქნება და არა სხვა წიაღიდან, თქვენ ხომ ერთ საქმეს ემსახურებით და მგონია, თქვენს შორის განსხვავება არ უნდა იყოს! თუმცა, მე მოხარული ვარ, რომ ქართველი კვალმაძიებელი იძიებს ჩემს საქმეს, მართალია, შეღავათს არაფერს არ მოველი არავისაგან, მაგრამ, რატომღაც მგონია, ქართველი სატანა უფრო ლმობიერი იქნება ჩემს მიმართ, ვიდრე სხვა რჯულისა და ტომის ოჩოპინტრე!

– რატომ სატანა ან ოჩოპინტრე, ნუთუ კაცობრიობა ჩვენს გარეშე ივარგებდა ან იარსებებდა?

– რატომაც არა, თქვენ ხომ ქრისტიანი ხართ, მართლმადიდებელი, ალბათ, იცით რასაც გვასწავლის მათეს სახარება: „ნუ განიკითხავ, რათა არა განიკითხნეთ“.

– როგორ გეკადრებათ, განკითხვასაც თავისი ზღვარი აქვს, უფალი არ კრძალავს კეთილგანზრახულ განკითხვას, არამედ გვიკრძალავს განსჯას შეუწყალებელს! თქვენ რატომ გგონიათ, რომ განვიკითხოთ ის, ვინც სასიკვდილო ცოდვა ჩაიდინა? მე კი ასე მგონია, ჩვენა ვართ უფლისაგან მოვლენილნი განმკითხველებად და საკდრისი სასჯელი დავადოთ განსაკითხველებს, როდესაც უფალი ამბობს: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“, მას მხედველობაში ჰყავს ფარისევლები და მწიგნობრები, რომლებიც სხვებს განიკითხავდნენ, მაგრამ არ განიკითხავდნენ და არ მართავდნენ საკუთარ თავებს, ხელს აფარებდნენ თავიანთ დანაშაულს, განიკითხავდნენ და აღიარებდნენ სხვისას...

– ჰო, კარგი შენებურად იყოს, გია, ჯერ კიდევ ამოუცნობია ბიბლიური საიდუმლოება და ჩვენ ვერ შევძლებთ ამოვხსნათ

ღვთიური განგების ძალა, უფრო რეალურ საკითხს დავუბრუნ-დეთ, რისთვის ჩამოხვედით საქართველოდან?

– არა და ვერ გიცანიო? შენი საყვარელი სახელი გაიხსე-ნე? ბავშვობაში მხოლოდ შენ მეძახდი „გიას“! რატომ ფარავ, ბიჭო, ჩემს ნაცნობობას? სამტროდ არა ვარ მოსული, ამას ძი-ება გიჩვენებს!

– როდესაც მიჩვენებს, შემდეგ ვაღიარებ შენს ნაცნობობას, ჩემო ბავშვობის გია!

– კარგი, მომავალი გვიჩვენებს „განკითხვის“ პროცესს, ახლა კი რამდენიმე შეკითხვას მოგცემ, გინდა თუ არა, შეკით-ხვაზე უნდა მიპასუხო, ძიების შედეგი პროკურორთან უნდა წარვადგინო...

– ბრძანეთ!

– საქართვლეოში უნდა წაგიყვანოთ და საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსით უნდა გასამართლდეთ, რადგან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული საქართველოში გაქვთ ჩადენილი!

– ეგ თქვენი ფიქრია, ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელსაც თქვენ ფიქრობთ და სინამდვიელში არ მომხდარა, დამტკიცებას საჭიროებს. იცოდეთ, მე თავს დამნაშავედ არ ვიცნობ, სანამ თქვენ არ დამიმტკიცებთ დანაშაულს, როდესაც თქვენ დანაშაულს დამიმტკიცებთ, საქართველოს აცილებას ვაძლევ და რუსეთმა გამასამართლოს!

– სასამართლო პროცესის აცილებას საფუძველი უნდა. აცილების მიზეზს რას დაასახელებ?

– ქართველი რომ ვარ, მიზეზად ესეც კმარა!

– როგორ, შენს მიმართ ქართული მართლმსაჯულება მტრულად არის განწყობილი? ამას დამტკიცება უნდა!

– მაქვს დამამტკიცებელი საბუთი! პირველ სასამართლო პროცესს გადახედეთ და როგორც გამომძიებელი ყველაფერს მიხვდებით!

– ესე იგი, თანახმა ხარ, საქმე მე გამოვიძიო და რუსეთის

სახალხო სასამართლომ გაგასამართლოს?

– დიახ! მაგრამ საქართველოს თუ საერთოდ ამოვიღებდით დანაშაულის სფეროდან, უკეთესი იქნებოდა!

– არ შეიძლება, იქ მკვლელობაა მომხდარი!

– იქნებ თვითმკვლელობაა!

– არა, მკვლელობა! მკვლელობის ადგილზე შენი ხელის ანაბეჭდებია აღმოჩენილი!

– ხანდახან ექსპერტიზაც ცდება!

– შენთან ერთად კიდევ ორი ანაბეჭდია, ერთი უცნობის, ერთი – კოზლოვის.

– ეს უცნობი და კოზლოვი ვინღაა?

– უცნობი, უცნობია... კოზლოვი კი თქვენთან იხდიდა სასჯელს შრომა-გამასწორებელ კოლონიაში, თითქოს ის ტრანსპორტიორმა დაგლიჯა, სინამდვილეში კი ცოცხალი არის და თქვენთან ერთად დათარეშობდა.

– ხომ გითხარი, ცდება-მეთქი შენი ექსპერტიზა! კოზლოვი ათასი კაცის თვალის წინ დაგლიჯა ტრანსპორტიორმა და პატიმართა სასაფლაოზე დაასაფლავეს ლაგირის ადმინისტრაციის თანდასწრებით.

– შენც დაგასაფლავეს მგლებისგან დაგლეჯილი, მაგრამ სინამდვილეში მგელი ზოოპარკშიც არა გყავს ნანახი...

– არა, ის ნამდვილად დაასაფლავეს!

– აბა, როგორ მოხდა შენთან ერთად იმისი ხელის ანაბეჭდები?

– პიჯაკი გაიხადე, შემამოწმებინე, ხმის გადამცემი, ან ჩამწერი ხომ არა გაქვს და შემდეგ ვილაპარაკოთ მეგობრულად.

– არ მენდობი? – ხმა გაებზარა გამომძიებელს.

– როგორ არა, მაგრამ ხანდახანს საკუთარ თავსაც – არა...

გიორგიმ კარი ჩაკეტა, პიჯაკი გაიხადა და ზედ შარვალიც მიაყოლა, ჯერ ერთი მიაწოდა გივის და შემდეგ მეორე, გივიმ გულდასმით შეამოწმა ტანსაცმელი, ვერაფერი აღმოაჩინა საეჭვო და მფლობელს დაუბრუნა საკუთრება.

– დარწმუნდი, რომ შენსკენ ვარ და არა ეშმაკისკენ? – შეეკითხა გიორგი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ტანსაცმელი ჩაიცვა და გამომძიებლის სავარძელში ჩაჯდა.

– დავრწმუნდი, გია, მაგრამ მაინც გაფრთხილებ, არ მიღალატო, თორემ იცოდე, მე სული ვარ და არა ხორციელი ადამიანი! მეტს არაფერს გეტყვი, რადგან შენ არც ბავშვობაში იყავი უნიჭო, ყველაფერს უთქმელად ხვდებოდი!

– ნუ მაშინებ, თუ ღმერთი გწამს და შეურაცხყოფას ნუ მაყენებ! ღალატი თქვენს შორის მოდის, პატიმრები ყველაფერს კადრულობთ ტყავის გადასარჩენად! ჩვენ კი რაში გვჭირდება ან ღალატი და ან მოფერება? რომ შენი დახმარება არ მინდოდეს, შენი თვალის წინ დავწერ, რომ: „გურძიმის გვამზე აღმოჩენილია ტაბატაძისა და კოზლოვის ხელის ანაბეჭდები, ტაბატაძე დაკითხვის პროცესში უარყოფს კოზლოვის ნაცნობობას და გურძიმ პაპუაშვილის მკვლელობას, რასაც გამოძიება ვერ გაითვალისწინებს! ჩვენება წავუკითხე ტაბატაძეს და ხელის მოწერით უარყო“. ამის შემდეგ კარგად მეყოლე მეგობარო, არ თქვა ახლა, საქართველოში ვერ წამიყვანენ და ვერ გამასამართლებენ, აცილებას მივცემ რესპუბლიკასო, ეს ჩემო მეგობარო კონსტიტუციაში წერია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის კანონი, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას ამ კანონს? შენ უნდა იყო ვიღაც პოლიტიკური მოღვაწე, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიიღო მხარდაჭერა და მაშინაც სახიფათოა შენი სიცოცხლე, ძიებაში ამოგხდიან სულს, ნუთუ დაგავიწყდა, რისთვისაც გაქვს სასჯელი აკიდებული? რომ ხელისუფლება ადამიანთა მხარეზე იყოს, ასე არ მოხდებოდა, მაგრამ ისიც შეიძლებოდა, მე აღმოვჩენილიყავი შენს ადგილზე, რომ იმ გზით წამოვსულიყავი სკოლიდან, რომელიც გზითაც შენ წამოხვედი...

ახლა თუ სურვილი გაქვს, ვისაუბროთ, თუ გინდა, დაფიქრდი, ნდობა გამომიცხადე და ხვალ მოვალ! მე არსადაც არ მეჩქარება, მივლინებაში ვარ, აქ მივლინების ფულს მაძლევენ, იქ

კი ხელფასი მენახება! ასე რომ რა დიდხანსაც გაჭიანურდება ჩემი აქ ყოფნა, ჩემთვის სასარგებლოა...

– თქვენთვის კარგია მივლინებაში ყოფნა, მაგრამ ჩემთვის ცუდია საკანში ჯდომა, ამიტომ კოლონიაში ყოფნა მირჩევნია, და უმჯობესია დროულად მოვრჩეთ საქმეს, რასაც დღეს ვერ მოვასწრებთ, ხვალ გავაგრძელოთ.

– კარგი. მაშინ დავიწყოთ, სად არის კოზლოვი?

– ხომ გითხარი კოზლოვი მკვდარია-მეთქი!

– ისევ შენსას გაიძახი, მკვდარი თუ არის, იმის ხელის ანაბეჭდები როგორ გაჩნდა გურძიმის პისტოლეტზე?

– მე მისი ხელები მოვიპარე, გავატყავე და ხელთათმანები გავაკეთე, მარტო ვიყავი, ჩემთან არავითარი კოზლოვი არ ყოფილა.

– რა თქვი? ხელები გაატყავე?

– ჰო, როდესაც კოზლოვი ტრანსპორტიორმა დაგლიჯა, მე იმისი ხელები მოვიპარე, გავატყავე და ხელთათმანები გავიკეთე.

– დაუჯერებელია!

– თქვენ ჩემი არაფერი არ გჯერათ, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს ვლაპარაკობ!

– ახლა სად ინახავ, რომ ნივთმტკიცებაში ჩავდო?

– გავანადგურე ისიც და იარაღიც! მე ისინი აღარ მესაჭიროება, სასჯელის მოხდის შემდეგ მშვიდობიანად უნდა ვიცხოვრო!

– თუ კოზლოვის ხელების ხელთათმანები გეცვა, შენი ხელის ანაბეჭდი როგორღა აღმოჩნდა გურძიმის პისტოლეტზე?

– მარჯვენა ხელის ხელთათმანი გამეხა, როდესაც ჩემი ცოლის სადგომს ვასვენებდი მიწაში.

– ვაი, ეს შენი ცოლი იყო, რომელიც გურძიმმა აღმოაჩინა?

– დიახ!

– გურძიმი მაგის აღმოჩენისთვის მოკალი?

– არა, გვამის აღმოჩენა მისი სამსახური იყო, ქურდობისთ-

ვის მოვკალი! მკვდარი გამიქურდა. ბეჭედი წამოაძრო თითზე და თავის ცოლს აჩუქა.

– და იმიტომ ჩააყოფინე ხელი ქალთამზეს ხორცის საკებ მანქანაში?

– დიახ!

– სამართლიანიაო, შენზედ ამბობენ, ეს არის სამართლიანობა?

– დიახ, ეს არის სამართლიანობა! მე ამ დანაშაულს არ ჩავიდენდი, რომ ჩემი მიცვალებული ნებისმიერ ადამიანს გაეძარცვა და არა წესრიგის დამცველს!

– არ შეგეცოდა, როდესაც ხელს ხორცის საკეპ მანქანაში ატარებდი და ძვლების მტვრევის ხმა გესმოდა?

– ქალთამზემ და გურძიმმა, ქათამაძეების ოჯახი რომ დაეაჩაღეს, ჩვილი ბავშვიც არ დაინდეს და სახლი მაცხოვრებლებთან ერთად გადაწვეს, შეეცოდათ ვინმე?

– ეს შენ საიდან იცი?

– ხალიჩა ვიცანი, კედელზე არის გაკრული გურძიმის ოჯახში!

– ხალიჩა კი არა, ადამიანი ჰგავს ერთი მეორეს. ეგ რა დასამტკიცებელი საბუთია?

– გემახსოვრება, ჩვენთან ერთად გოჩა ქათამაძე რომ სწავლობდა, მე მასთან ხშირად დავდიოდი ოჯახში, ერთხელ მე და გოჩამ ხალიჩას უკანა მხარეს ჩვენი გვარი და სახელები დავაწერეთ ტუშით, რისთვისაც გვარიანი საყვედურიც მივიღეთ, იმ ხალიჩას ისევ ისე აწერია ჩვენი სახელები! გოჩა კი, შენც კარგად იცი, საკუთარი სახლის ხანძარში მოჰყვა მშობლებითა და ცოლ-შვილით... იგივე განმეორდა დავითაძეების ოჯახში, მართალია დავითაძეების ნივთი ვერაფერი ამოვიცანი გურძიმის სახლში, მაგრამ ქალთამზემ თორმეტი ოჯახი დამისახელა, რომელიც ქმართან ერთად გადაწვა და გაანადგურა სახელმწიფო არეულობის დროს...

– მომცემ უფლებას, რომ მე დავკითხო ქალთამზე?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ სასჯელის გარეშე, რადგან სასჯელი ქალთამზემაც მიიღო და მისმა მეუღლემაც!

– გვამი ვისი იყო, რომელიც გურძიმმა აღმოაჩინა?

– ხომ გითხარი, ჩემი მეუღლე იყო-მეთქი.

– როგორ თუ მეუღლე, ნუთუ ასეთი უპატრონო იყო, რომ არავინ მოიკითხა და ვერც ვერავინ ამოიცნო?!

– ჰო, მართლაც უპატრონო იყო, კაზანის სადგურზე ვნახე უპატრონო გოგონა, რომელიც მათხოვრობდა, შემეცოდა და ცოლად შევირთე! – ამჟამად იცრუა გივიმ, რომ ნინოს წარმოშობა დაემალა, გიორგის კი მეტი გზა არ ჰქონდა, სიმართლედ უნდა აღექვა გივის ყოველი სიტყვა.

– გურძიმი როგორ მოჰკალი, დაღლილ მგზავრს ჰგავდა ჩამომჯდარი, თვითმკვლელობას უფრო ჰგავდა, ვიდრე მკვლელობას...

– სრული სიმართლეა, მე ის მკვდარი ვნახე წყაროსთან, დაძინებული მეგონა და გამოღვიძებაც კი დავუწყე, სწორედ მაშინ დავტოვე მის ტანსაცმელზე ხელის ანაბეჭდები, თორემ რომ მომეკლა, ხელს რაღატომ მოვკიდებდი?

– გურძიმის პისტოლეტზე როგორ აღმოჩნდა შენი, ანუ კოზლოვის ხელის ანაბეჭდები?

– გურძიმს გამოღვიძება რომ დავუწყე, მხოლოდ ამის შემდეგ შევამჩნიე ძირს დაგდებული პისტოლეტი, მივხვდი, რომ თვითმკვლელობა იყო, პისტოლეტი ხელში ავიღე და მინდოდა მიმეთვისებია, მაგრამ გამახსენდა, რომ ის ტაბელური იქნებოდა, წამოღება გადავიფიქრე და იქვე დავაგდე, სადაც იყო.

– ყველაფერი სწორი მითხარი, მაგას მატყუებ, მაგრამ არ ჩაგეძიები, იყოს შენებურად. ახლა კი მითხარი, ის ახალგაზრდა ვინ იყო შენთან, რომელიც ქალთამზეს კარგად ახსოვს?

– ის ახალგაზრდა ქალი იყო, ზესტაფონელი, რომ სწორი გითხრა, გვარი და სახელიც არ ვიცი... თუმცა მითხარა ია ვაროიაშვილი, მაგრამ ვგრძნობდი, ცრუობდა! დავიქირავე, რომ ცოლის დამარხვაში დამხმარებოდა, არ ვიცი, შეიძლება არც

ზესტაფონელი იყო, ჩემთან ერთად იმგზავრა მატარებლით... არ მახსოვს, რომელიღაც სადგურზე ამოვიდა, კუპეში ჩემთან მოვხდა და ჩემი ხელგაშლილობა მოეწონა... შეიძლება, ჩემი ქისის დაპატრონება უნდოდა, იმიტომ წამოვიდა ჩემთან და ვფიქრობ, სწორი გვარი და სახელიც არ გაუმხელია! მე როგორ ჩავეძიებოდი. თუ სიმართლეს არ იტყოდა, ეს უფრო მაწყობდა, მაგრამ ბარი-ბარში გამოვედით, არც მე მითქვამს მისთვის სწორი გვარი და სახელი...

– მოგეხმარა ცოლის დასაფლავებაში?

– კი, ერთგულად!

– გასამარჯელო რამდენი მიეცი?

– გასამრჯელო კი არა, როდესაც ქალთამზე ვაწამე, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სადღაც და მის შემდეგ აღარც მინახავს...

– ეს შენ დააწერე სასვენიაში მაგიდაზე „დევნილი სული“?

– ჰო, მე დავაწერე, იმ ცხონებულის სულაც დევნილი იყო და ჩემიც! მადლობა ღმერთს, რაღაი მიწას მივაბარე და კიდევ აღარ ამოთხარეს, აღარაფერს დავეძებ!

– შენც სხვაგან დაგემარხა, რატომ მარხავდა თვალსაჩინო ადგილზე?

– ეჰ, გია, შენ არ იცი სამშობლოსა და წინაპართა ძვალშესალაგის ნაკურთხი მიწის ფასი, იმიტომ, რომ სამშობლოს გარეთ, ფეხზე სიცივე არ გიგრძვნია და ამ სიცივით სამშობლოს თბილი მიწა არ მოგგონებია...

– გივი, ვიცი ვინცა ხარ, მართალია ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ვიცი; ჩემზე მეტი სიცივეც გამოგივლია და შიმშილიც, სამშობლოს გეფიცები, მინდა დაგეხმარო, დღეს ამით დავამთავროთ საუბარი! მართალია, ბევრი სიცრუე მაგემე და ცოტა სიმართლე, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, ალბათ, ასე იყო საჭირო, ახლა ჩვენ ორივემ მოვიფიქროთ, როგორ აჯობებს ჩვენების დაწერა, რაც მთავარია, ისე უნდა დავწეროთ, რომ ორდენს თუ არ მოგცემენ, არც სასჯელი არ მიიღო საქართ-

ველოს მხრიდან! რუსეთში კი თუ არაფერი დანაშაული ჩაგიდენია, გაქცევის სასჯელით დაგაკმაყოფილებენ...

– გია, შენ რასაც ამბობ, მაგის შემსრულებელი ხარ?

– ჰო, ვარ! იფიქრე, ხვალ მოვალ! – უთხრა ამაღლობელმა და ციხის ზედამხედველი გამოიძახა.

თავდამძიმებული დაბრუნდა საკანში გივი – ნუთუ ღმერთმა გამომიგზავნა და მფარველ ანგელოზად მომევლინა გიორგი – ფიქრობდა იგი – ნუთუ ქართველებს შემორჩათ სიყვარული და თანაგრძნობა? გმადლობთ შენ, უფალო, ისევ შენ მიწინამძღვრებ ხვალ და შემინდობ ცოდვილთა სისხლს... წამოწვა, ვიღაც რაღაცას ჰყვებოდა, მაგრამ აღარაფერი აინტერესებდა ამქვეყნიური, თავის ფიქრებში იყო ჩაფლული.

– შენ, ჰე, ქართველო, რას ჩაფიქრებულხარ... გამომძიებელთან იყავი? – ყურში ჩასძახა ანატოლიმ და ფიქრებიდან გამოიყვანა.

– ჰო, გამომძიებელთან ვიყავი, ბავშვი შენი არ იყო და იმიტომ მოკალიო, – მითხრა.

– რაო? როგორ თუ შენი არ იყო?

– ცოლს უთქვამს, იმისი არ იყო, ალბათ, გაიგო და იმიტომ გადააგდო ქუჩაში, თორემ „ტაშტზე“ ბავშვი როგორ ვერ დაინახაო.

– ახლა რომ გახვალ, ალბათ, ცოლიც უნდა მოკლა. ასე არ არის?

– არა, გამომძიებელმა მითხრა, ვერ გაგიშვებო!

– უჰ, ეს ვერ არის კარგი საქმე, ცოლი მაინც არ უნდა დაგეტოვებინა ცოცხალი!

– რატომ? იცოცხლოს, აკეთოს ბავშვები და მოაშენოს ქვეყანა, თქვენსავით ძუნწი ხომ არა ვარ, სხვისი ქონება მივისაკუთრო და სხვაზე გასანათხოვრებლად დამენანოს?

– იხუმრე, იხუმრე და თუ მართლა დაგახვედრა ქალ-ვაჟთა კოლონა, ნახავ მერე... – მიუხვდა ხუმრობას ანატოლი.

– ახლა ვისი რიგია? – იკითხა გივიმ.

– შენს აქ არყოფნაში უკვე მოყვნენ ერთ კარგ საინტერეო ამბავს, ახლა კი ძილის რიგია! – თქვა ივანემ და კედლისკენ გადაბრუნდა.

გივისაც ეს უნდოდა, თავი მოიმძინარა და ფიქრს მიეცა...

თითქმის მთელი ღამე არ სძინებია. თავისდასასარგებლოდ ბევრი რამ მოიფიქრა. – თუ გიორგი დამეთანხმა, ნამდვილად გამოვძვრებიო, – თქვა და ძილი დააპირა, მაგრამ უკვე საუზმე მოიტანეს და ახმაურდა ალუმინის ჯამები.

გივის დიდხანს არ მოუწია ლოდინმა, ნასაუზმევს გამომძიებელმა დაუძახა, დანახვისთანავე მიესალმა ამაღლობელი და საწერ მაგიდასთან ახლოს დაისვა...

– კიდევ გავიხადო თუ მენდობი? – წინა დღეს წყენინება ახლა გაახსენდა გიორგის...

– არა, აღარ არის საჭირო, ახლა გენდობი!

– მაშინ დავიწყოთ და იქნებ ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ სისხლის სამართლის კოდექსი. – გიორგიმ სუფთა ფურცლების დასტა წინ დაიწყო და ავტოკალამი მოიმარჯვა. დავიწყოთ იქიდან, რომ უპატრონო, მათხოვარი გოგონა შეგეცოდა და ცოლად შეირთე, რომელიც ერთი წლის შემდეგ მიწისძვრის შედეგად დაგეღუპა და გადაწყვიტე ფარულად დაგესაფლავებინა გარდაცვლილი მშობელი დედის გვერდით, ნაკურთხ მიწაზე. განზრახვა სისრულეში მოიყვანე. მაგრამ უცხო საფლავი მილიციის რწმუნებულმა პაპუაშვილმა აღმოაჩინა, რის გამოც გვამი ამოღებულ იქნა საექსპერტო შემოწმებისათვის. საექსპერტო შემოწმების შემდეგ, იძულებული გახდი, გვამი მოგეპარა და მეორედ დაგესაფლავებინა, რაზედაც დაქირავებული უცხო პირი, ვინმე ია იაშვილი გეხმარებოდა. ღამე იყო, ხელების დასაბანად წყაროზე ჩახვედით, იქ ქვაზე ჩამოჯდარი კაცი შენიშნეთ, გეგონათ ეძინა და გამოღვიძება დაუწყეთ, შემდეგ შენიშნეთ ძირს დაგდებული პისტოლეტი, აიღეთ და მისაკუთრება გინდოდათ, მაგრამ გადაიფიქრეთ, როდესაც დარწმუნდით წყაროსთან დამჯდარ კაცს არ ეძინა და ამ პისტოლეტით იყო

მკვდარი... თქვენ შეგეშინდათ, პისტოლეტი იქვე დააგდეთ და გამოიქეცით... – ესეც ასე, მე მგონია, ამ ამბავს დაგვიჯერებენ, მაგრამ ამ ქალთამზეს რა ვუყოთ? სხეულის მსუბუქი დაზიანება რომ მოგცეთ, მსუბუქი არ არის, ქალს მაჯის სახსარში აქვს ხელი მოკვეთილი, მძიმე მოგცე და სასჯელს მოგცემენ!

– ეგ საკითხი მე შევიმუშავე! – თქვა გივიმ.

– აბა როგორ?

– წყაროზე ხელიც არ დაგვიბანია და როდესაც დაფეთებული გამოვრბოდი, ერთ-ერთი სახლიდან შემწვარი ხორცის სუნი გამოდიოდა, მე კი ძალიან მშიოდა, ეზოში შევედი, რათა პური და ხორცი მეთხოვა, დავინახე ვიღაც ქალი ხორცსაკეპ მანქანაში ხორცს ატარებდა, მოხუცი ქალი კი სახელურს ატრიალებდა, როდესაც მათ შემამჩნიეს შეეშინდათ და იმ ქალს, რომელიც ხორცს ატარებდა, ხორცსაკეპ მანქანაში ხელი მოუყვა... მან იყვირა და მე საშველად გავიქეცი, იმ ქალს კიდევ მეტად შეეშინდა, რომელიც სახელურს ატრიალებდა და სახელურის ტრიალს მოუმატა! მათ ყვირილზე მეც შემეშინდა და გამოვიქეცი...

– ის დაქირავებული ქალი სადღა იყო ამ დროს, იმასაც შეეშინდა? – დამცინავად შეეკითხა გიორგი.

– არა, მას წყაროზე შეეშინდა და იქიდან გაიქცა! – უპასუხა გივიმ.

– გიორგის გაეცინა.

– ვითომ ბავშვობაა. ქვიშის სახლს ვაგებთ, ვინ დაგვიჯერებს ასეთ მონაჩმახს?

– თუ არ დაგვიჯერებენ, გაიგეთ, რომ აღარსად გავრბივარ! აღარც ინტერესი აღარავისი მაქვს, ვისაც ეკუთვნის ჩემს მიერ პატივისცემა, რა ვქნა დაივიწყონ...

– კარგი, რაც არის, არის, მე მაქვს ერთი მტკიცე საყრდენი, იქნებ იმან გაგვამართლოს! ახლა კი წავალ, სასტუმროში ჩავიკეტები და ვიმუშავებ, შევთხზავ ტყუილსა და მართალს, ორ ან სამ დღეში მოგიტან მასალას ხელის მოსაწერად.

– კარგი, გია, მაგრამ „მტკიცე საყრდენი“ რა გაქვს, არ მეტყვი?

– ჯერ არა, საიდუმლოდ ვინახავ, სასამართლოს შემდეგ თვითონ გაიგებ!

– კარგი შენებურად იყო, საიდუმლოს გაცემას არც მე გთხოვ...

– ახლა წავალ, „პერედაჩს“ შემოგიგზავნი, მხოლოდ საკანში არ დაიტრაბახო ბიჭებთან – გამომძიებელმა „პერედაჩი“ გამომიგზავნაო...

– გამაფრთხილე, გამაფრთხილე, თუ კაცი ხარ, მთლად გამოუცდელი ვარ და გეშინოდეს, შენც არავინ დაგიჭიროს!

გიორგი გულთბილად გამოეთხოვა გივის, შემდეგ ზედამხედველი გამოიძახა და ჩააბარა პატიმარი...

სადილი უკვე ყოფილიყო, გივის ჯამით დაახვედრეს სიმინდის ფაფა და ერთი ნაჭერი პური, რომელსაც ერთი ნამცეცი ჰქონდა დაწონილი და ნაჭერზე ასანთის ღერით იყო დამაგრებული, გივიმ უარი განაცხადა სადილზე და ბიჭებმა დაცინეს.

– ალბათ გამომძიებელმა გამოაძღო და აღარ უნდაო. – თქვა ერთმა, მეორემ კი უფრო საოხუნჯოდ დაუმატა.

– აბა რა ჭაჭის არყის სუნი ასდისო.

– გივის არაფერი უთქვამს ბიჭებისათვის, გაეღიმა მხოლოდ. ამ დროს რკინის კარში ჩაყენებული „ფორტოჩკა“ გაიღო და გივი გამოიძახეს:

– „პერედაჩია“ თქვენს სახელზე – უთხრა ზედამხედველმა და იმდენი რამე შემოაწოდეს, რაც მთელი კვირის განმავლობაში არ მიუღიათ საერთოდ მთელ საკანში.

– აი, თურმე რატომ არა ჭამა ფაფა! – იხუმრა ისევ ვიღაცამ.

– კარგად დაყნოსე მაგ კოკა-კოლას ბოთლში ჭაჭის არაყი ხომ არ არის? – იხუმრა მეორემ.

გივიმ ხელი მოუწერა ზედამხედველს პროდუქტის მიღებაზე და ბიჭები მაგიდასთან მიიპატიჟა, კარგად დანაყრდნენ... ძეხვსა და შემწვარ ქათმებს დანატრებულნი, მაგრამ ყველას

გასაოცრად, კოკ-კოლას ორ ბოთლში მართლაც ჭაჭის არაყი აღმოჩნდა...

– ახლა კი უნდა გავიცინო და თუ ხარხარით გარდავიცვალო, როგორც ბაბილონისა და სხვა მრავალი ქალაქის დამანგრეველი, სპარსეთის მეფე ქსერქსე, არ დამძრახოთ, – თქვა ისევ იმან, ვინც ბოთლზე დაყნოსვა შემოთავაზა გივის. დიდხანს ალკოჰოლ მიუღებელ ბიჭებს ცოტა ეყოთ, თუმცა არც ცოტა არ არის სამი ლიტრი არაყი თორმეტ კაცზე...

ყველას ზუსტად გაუნაწილეს ულუფა და ერთი საათის შემდეგ ყველაზე სხვადასხვაგვარად იმოქმედა ალკოჰოლმა, ზოგი სიცილით იჭაჭებოდა, ზოგს კიდევ მიტოვებული ცოლ-შვილი გაახსენდა და ცრემლად იღვრებოდა, ზოგი კიდევ მისი ხელით მოკლულს დასტიროდა, მაგრამ ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ერთმა სიმღერა წამოიწყო და ისე ხმამაღლა სჭექა „კატიუშა“, ძლივს შეძლო გივიმ პირზე ხელი აეფარებინა და გაეჩუმებინა მოსიმღერე... ხშირ შემთხვევაში კარგია ალკოჰოლი ადამიანისათვის, მას დროებით მაინც ავიწყდება თავისი ხვედრი, აკვარიუმში გამომწყვდეული თევზებივით არიან საკანში... ალკოჰოლის ძალით კი გამოფხიზლებამდის მაინც არ იციან, სადაც იმყოფებიან, არ იციან, რომ დახშულია მათთვის ყველა კარი, ყველა გასასვლელი, აკვარიუმის მკვიდრი თევზები ბევრად ბედნიერი არიან საკან-აკვარიუმში გამომწყვდეულ ადამიანებზედ, რადგან ისინი ვერ აზროვნებენ და თავი ოკეანეში ჰგონიათ, მათ არ იციან აკვარიუმი და არ იციან თუ არსებობს სამუდამო ტყვეობა, ისინი ხომ ყველგან თავისუფლების ილუზიით იკვებებიან; ეს საბრალონი კი, ჩვენ ადამიანებს რომ ვეძახით, მხოლოდ იმედის ნაპერწკლით იკვებებიან და თევზებისაგან ხშირ შემთხვევაში არაფრით განსხვავდებიან, რადგან გულისაურევლად ყლაპავენ ერთი-მეორეს! ჩემი აზრით, პატიმარს თვეში ერთჯერ მაინც უნდა მისცეს მთავრობამ ალკოჰოლი, რომ ყოველ პატიმარს ჰქონდეს წარსულის დავიწყების საშუალება, თორემ შესაძლოა, უსაშველო ტკივილსა და სიმძიმეს ვერ გაუძლოს.

რაღაც უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რომ რწმენდაკარგულ პატიმრებს დაუბრუნოს მომავლის იმედი... აქ რწმენაჩამკვდარია ყველა და ერთი ფიქრით ფიქრობენ: დავუშვათ არც დავბადებულვარ, არც მიცხოვრია, რაც იყო ყველაფერი სიზამარში ხილულია, თუკი ვცოცხლობდი, წამიერი ყოფილა ეს ცხოვრება, ცვალებადი, წარმავალი, წარსული არავის ახსოვს... არც ხვალინდელი დღის შესახებ იცის ვინმემ რამე... ცოცხლობენ დღევანდელი დღით და ეშინიათ ხვალინდელი დღის გათენება, რადგან არავინ იცის, რას მოუტანს ხვალინდელი დღე, კარგს არავინ ელის...

რომ ჰკითხო, ყველა აგინებს კანონმდებელს, თითქოს ყველა უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს საკანში, მაგრამ სინამდვილეში არავინ დაუჭერიათ უდანაშაულოდ: ვიღაცამ ვიღაცა გაძარცვა, გააუპატიურა, სიცოცხლე მოუსპო, მოჰკლა... განა ეს დანაშაული არ არის? ალბათ, იმიტომ არ თვლიან დანაშაულად, რომ სასჯელის ნაცვლადაც კარგა გვარიანად იტანჯებიან, წარსული დანაშაულისა და ცოდვის შეგრძნება არ ასვენებს პატიმარს, კვნესის და ხტის, ძილში გაიძახის მოკლულის სახელს და შველას თხოვს უხილავ ძალას! საკნის მიღმა ადვილი ჩანს ყოველი დანაშაული და ყოველი შეცოდება! არავის არ ებრალება საბრალონი, რომელმაც ერთი პარაზიტი გასრისა და ერთი სისხლისმწოვლით ნაკლები დატოვა სამყაროში, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ის პარაზიტი როდია, სიკვდილმა შემოქმედად აქცია და კანონმა ცოტა დააკლდა, არ გააღმერთა... ცოცხალს მიცვალებული ჯობნის, რადგან მკვდრის სახელით კანონი ლაპარაკობს და ღრმა სავარძელში მოკალათებული კანონმდებელი ცოცხალს ჰკლავს, რადგან ეშინია, იმის წინააღმდეგაც არ გაილაშქროს სიმართლემ...

საკანში დღეს თითქოს პატარა დღე იყო, ადრე დაღამდა სხვა დღეებთან შედარებით, ყველა გივის უმადლოდა დანაყრებასა და მხიარულებას. გივის კი ძილი მოეგონებინა და ფიქრებში ჩაძირულიყო... – იქნებ არა ვარ სწორი, – ფიქ-

რობდა ის, – ვაჟკაცს არც დანაშაულის უნდა ეშინოდეს და არც სასჯელის! ხომ არ აჯობებს, ვუთხრა სიმართლე გიორგის და არ მივიღო არავითარი შეღავათი? – არა! – ჩასძახა თავისივე ორეულმა. – შენ გათოხნე ყანა და სიმინდს ფესვში გამოაცალე სარეველა, ამ შემთხვევაში სიმინდი პატიოსანი მოსახლეობაა, სარეველა გურძიმი და გურძიმის მაგვარი კანონდამცველები, რომლებიც კანონს თავის სასარგებლოდ იყენებენ... ერთბაშად გული შეეკუმშა, წარსულის მოგონებებითა და იმ განუხორციელებელი მიზნების გახსენებით, რასაც ხშირ შემთხვევაში ულმობელი წლები შეუმჩნევლად ტოვებს ადამიანის სულში, როგორც არასდროს, ახლა მოუნდა საკნის კედლის განგრევა... არა ორბივით, არასდროს, ახლა მოუნდა საკნის კედლის განგრევა... არა ორბივით, არამედ ჩვეულებრივი ადამიანივით, საკუთარი სახით მოვლინებოდა უსამართლობას, გადაეშალა კანონის წიგნი და ეკითხა კანონმდებლებისათვის, რატომ იყენებდნენ კანონს ბოროტად.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, იქნებ არაყმა მომცა ასეთი სიმსუბუქე, რომ ვერ ვგრძნობ, სადაც ვიმყოფები. – ფიქრობდა გივი და მართლაც ამ წუთში ტყვეობა ისე საამო და ტკბილი იყო, მთელი სხეული ისე მსუბუქი და მჩატე ჰქონდა, რომ ეჩვენებოდა, სადაც არის მოწყდება დედამიწას, გაანგრევს შავად დაჭვარტლული საკნის ჭერს და მზის სხივით განათებულ უსასრულობას შეუერთდება...

წინაღამის უძინარს ზმანებასავით ტკბილ ფიქრებში ჩაეძინა. ორი დღის განმავლობაში პატიმრები ჰყვებოდნენ თავიანთ ჩადენილ „საგმირო“ თუ საზოგადოებისაგან დასაგმობ საქმეებს. მესამე დღეს ზედამხედველმა გივის გამოუძახა და გამომძიებელს წარუდგინა.

გივიმ დიდი მადლობა გადაუხადა გიორგის „პერედაჩისათვის“. შემდეგ პატიმართა სიმთვრალის ამბავს მოუყვა და ბევრი იცინეს, როდესაც საუბრით გული იჯერეს, რომელიც ძიებას

არ ეხებოდა, ამაღლობელმა საქაღალდე გახსნა და მაგიდაზე უამრავი ხელნაწერი ფურცლები დაახვავა:

– შენ მართლა ბევრი გიმუშავია, გია!

– დაჯექი და თანმიმდევრობით წაიკითხე, რაც არ მოგეწონოს, წაშალე, შემდეგ კი ყოველ ფურცელს ბოლოში ხელი მოაწერე! – უთხრა გიორგიმ და ფურცლები წინ დაუწყო. გივის ფურცლების ნუმერაციაც არ დაუნახავს, მხოლოდ ხელის მოწერა დააწყო...

– რაზე აწერ ხელს, არ უნდა იცოდე? – უსაყვედურა გამომძიებელმა.

– ვიცი, როგორ არა! – გივის პეპელა აუთამაშდა ბაგეზე...

– აბა მითხარი რაზე? რა წერია მაგ ფურცლებზე?

– ხელს მკვლელობაზე ვაწერ და ფურცლებზე რა წერია, არ მაინტერესებს.

გიორგიმ მძიმედ გადააქნია თავი და შემდეგ, თითქოს ახლა გაახსენდაო:

– შენთან ვიღაც ქალი იყო მოსული, პერედაჩს გზავნიდა, ალბათ, ისიც რკინიგზის სადგურზე გყავს გაცნობილი.

– რას იზამ, მე მარტო ქალები დამიტირებენ, როგორც ქრისტეს!

– მართალია, შენც ქრისტესავით ხარ უცოდველი და იმიტომ...

– შენ ხუმრობ და მართლაც არ არის განსხვავება, რომ იცოდე!

ქრისტე ღვთის ძალით იბრძოდა ფარისევლების წინააღმდეგ, მე კიდევ ქრისტეს ძალით ვიბრძვი უსამართლობის წინააღმდეგ, ხომ ხედავ, სწორედ ღმერთმა მომივლინა შენი თავი ანგელოზად...

– მიდი, მიდი, ხელი მოაწერე მაგ ფურცლებს, როგორც შენ გავხარ ქრისტეს, მეც ისე ვგავარ ანგელოზს! – უთხრა გიორგიმ და ორივეს ისე ძლიერად გაეცინა, ზედამხვედველმა შემოიხედა, ჭერი ხომ არ ჩამონგრეულაო.

ოცდათვრამეტ ფურცელზე მოაწერა ხელი გივიმ და – რომ მეუბნებოდი წაიკითხეო, ამდენ ნაწერს მე განთავისუფლებამდის ვერ წავიკითხავდი და შენც ციხეში გინდოდა ჩემთან ერთად ყოფილიყავი?

– როგორ ფიქრობ, გგონია გამორიცხულია ჩემი დანაშაული რაც შენს წინაშე ჩავიდინე?

– რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ამის გახსენება არ იყოს ცხოვრებაში, თორემ მეც იმას ვიზამ, რაც იმ კაცმა ჰქნა ჭიდან რომ ამოიყვანეს.

– მე არა ვარ ის კაცი, ჭიდან რომ კაცი ამოიყვანა და არც შენა ხარ ის, ჭაში რომ კაცი იყო... ახლა ყურადღებით მომისმინე: ჩემი დარიგება არ გესაჭიროება, ამ სამყაროში წყალგაღმა შეიძლება კიდევ მეთქმოდეს სიტყვა, ჭკუას მოუხმე, მე ყოველ ღონეს ვიხმარ, საქართველოში ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა აგაცილო, ახლა შენს საქმეს ეკატერინობურგის პროკურატურას გადავულოცავ, ისინი ძიებას აწარმოებენ კოლონიიდან შენი გამოქცევის თაობაზე და თუ აქ რუსეთში დანაშაული არა გაქვს ჩადენილი, არც სასჯელი გემუქრება აუტანელი...

– მიგულე ძმად და მეგობრად, უფროსო! – უთხრა გივიმ, შემდეგ... შემდეგ გამომშვიდობების ჟამს დიდხანს იყვნენ ერთიმეორეს ჩახვეულნი.

ამაღლობელი გულჩვილი აღმოჩნდა. წასვლისას ცრემლები მოიწურა, გივის კი გაეცინა მეგობრის გულჩვილობაზე და სიტყვა დაადევნა: – პროკურატურა რა შენი საქმე იყო, ბიჭო?

... საკანში დაბრუნებულს ლიუდმილას შემოგზავნილი „პერედაჩი“ და წერილი დაუხვდა. იწერებოდა: „მე დროებით ეკატერინობურგში გადმოვედი საცხოვრებლად! არ იდარდო, არაფერი გაგიჭირდება, ჩვენ, ყველანი კარგად ვართ!“

გივის გაეცინა, გაახსენდა საკანში მოყოლილი ამბები. – ნუთუ ყველა ქალი, ქალია; ლიუდას ამბავი რომ მოუყვეს, საკანში არ დაიჯერებენ! მე მგონია, ყოველთვის მამაკაცია

დამნაშავე ოჯახში, თორემ ქალია ლიუდაც, ყველა ქალების მაგალითი... მამაკაცმა ოჯახში რწმენისა და სიყვარულის ილუზიით უნდა იკვებოს. „თუ ვინმე გიყვარს, ადამიანი ხარ, თუ ვინმეს უყვარხარ – ღმერთი“. მე კიდეც მიყვარს და კიდეც ვუყვარვარ, ესე იგი ღმერთკაცი ვყოფილვარ, ვუთხარი და გიორგიმ არ დამიჯერა...

– რას ჩაფიქრებულხარ! – ხელით შეანძრია ანატოლიმ – ქალის წერილმა ხომ არ იმოქმედა?!

– ჰო, იმოქმედა... აქ რომ ქალებზე ამბავს მოყევით, კინაღამ დავკარგე რწმენა ყველა ქალისადმი, მაგრამ ყველა ერთნაირი როდი ყოფილა.

– მართალია, ერთნაირი კი არა, ერთი მეორეზე უარესები არიან!

– მე არ დაგეთანხმები, ეს, ვინც „პერედაჩი“ გამომიგზავნა, ჩემი მეგობრის ცოლია და ძმასავით ვუყვარვარ!

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ქალებმა ძმის სიყვარულიც არ იციან ძმასავით! შენ კი არა, როდესაც ქრისტემ შვიდი ეშმაკისგან შეპყრობილი მარიამ მაგდალელი განკურნა, ეს იყო ხორციელი განკურნება, რომელიც შორს არის სრულყოფილებისაგან, იგი გაჰყვება და დაემოწაფება ქრისტეს, არა როგორც სულიერი მოწაფე, მასში ხორციელი სჭარბობს სულიერს... მოციქულების მსგავსად იესოში ისიც მომავალ იუდეის ხორციელ მეფეს ხედავს, მხოლოდ მან იწამა მკვდრეთით აღმდგარი იესო! მისი ხედვა გასცდა ხორციელ საზღვარს! მიწიერი სიყვარული შეცვალა ზეციურმა და მხოლოდ შემდეგ გახდა სრული დედაკაცი. რაც ღმერთმა გააკეთა, განა ჩვენ ამას შევძლებთ? ჩვენ ვერ გარდავქმნით ქალებს სულიერ არსებად! მწამს შენ მაგ ქალს, ვიღაც არის, უყვარხარ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ზეციური სიყვარულით, რადგან მაგის შემოგზავნილ პურსაც კი ქალის ხორციელი სურნელება დაჰკრავს...

– შენ თუ ახლავე არ გაჩერდები და ყველა ქალის კიცხვას თავს არ დაანებებ, ნამდვილად ვერ გადამირჩები! – უთხრა

გივიმ და ისე გადახედა, რომ მოსაუბრემ მყისვე დაიდო ენაზე ბოქლომი... მაგრამ ქალებზე განაწყენებულმა ივანემ წამოყო თავი და თქვა: ქალის ალერსი გულს არ უნდა მიაკარო, თავი ყინულში უნდა შეინახო, რომ მისმა ალერსმა ტვინამდე არ მიაღწიოს, ყველა ქალი ნამდვილად არ არის დასაგმობი, მაგრამ უმეტესობა, მართლაც, შვიდი ეშმაკით არის შეპყრობილი! ჩვენ ვინა ვართ, პეტრე პირველმაც კი ვერ მოარჯულა თავისი პირველი ცოლი, ილარიონ ლოპუხინის ქალიშვილი ევდოკია ლოპუხინა, რომელსაც არ მოსწონდა პეტრეს თავდადებული შრომა, პეტრემ ის ვერ გარდაქმნა, ამიტომ სუდალსკის – პეტროვსკის მონასტერში გადააგზავნა, სადაც ის გაპარსეს და ელენედ მონათლეს...

თუ ქალი ბუნებით არ არის მორჩილი, მას ქორწინებით კაცი ვერ დაიმორჩილებს!

– თქვენ მხოლოდ ხორციელ სიყვარულს მიჩერებიხართ ქალში და ვერ წარმოგიდგენიათ, თუ მათ მეგობრობაც შეუძლია! – თქვა გივიმ და აღარ მოყოლია, თუ როგორი მეგობარია გივისთვის ლიუდმილა.

* * *

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაუძახა გივის ციხის ზედამხედველმა და ახალ გამომძიებელს წარუდგინა: კაბინეტში შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა ქერათმაშევერცხლილი გამომძიებელი, გივის მაგრად ჩამოართვა ხელი და გაეცნო.

– მე ვალერი ალექსანდრეს ძე სემიონოვი გახლავართ, ოლქის პროკურორისგან დავალებული მაქვს თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

– არა, როგორ გეკადრებათ, წინააღმდეგი არა ვარ, რომ თქვენ აწარმოოთ ძიება, მაგრამ მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის არავის წინაშე...

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამას ძიება გვიჩვენებს! მე გავეცანი

თქვენს საქმეს, აქ ბევრი რამე არის დაუჯერებელი და თქვენთვის უმჯობესი იქნება, დამაჯერებლად გაგვაცნოთ საქმის ვითარება: პირველი ვინ დაგეხმარათ სასჯელის მოხდის ადგილიდან გამოქცევაში?

– მე არასოდეს არ მყოლია დამხმარეები და თანამოსაქმეები, სასჯელის მოხდის ადგილიდან კარგად მოფიქრებული ნაბიჯით მარტო გამოვიქეცი!

– ეს დაუჯერებელია და გპირდებით, ყველაფერს გაღიარებინებთ!

– რა? მემუქრებით?!

– არა, მაგრამ უბრალოდ მინდა შეგახსენოთ პროკურატურის ძიების სიმკაცრე...

– მეც შეგახსენებთ, რომ იმ პროკურატურაში, სადაც თქვენ მუშაობთ, კიდევ არიან სხვა გამომძიებლები, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანთა სიყვარულითა და ლმობიერებით...

– სად იმალებოდით ამ ხნის განმავლობაში, რაც გაქცევაში იმყოფებოდით? – გამომძიებელმა სიტყვა ბანზე აუგდო გივის და ახალი შეკითხვა დაუსვა.

– ყველგან, საბჭოეთი დიდია!

– ქურდობდი?

– არა!

– აბა, თავს როგორ ირჩენდი?

– სანაგვე ყუთში გადაყრილ ნამცეცებს დავეძებდი!

– რაღაც არ გეტყობა, ნამცეცებით იყო ნაკვები! არ მოგწყინდა ასეთი ცხოვრება?

– რომ მომწყინდა, იმიტომ ჩავბარდი ნებაყოფლობით...

– ნებაყოფლობით მხოლოდ მაშინ ბარდებიან, როდესაც მძიმე დანაშაულს ჩადიან!

– თქვენ არა გაქვთ მაგის მონაცემები, ჩემზე რაიმე ცუდი ვერსიები გამოთქვათ, თუ ადამიანურად არ მიუდგებით ძიებას, დღესვე შევატყობინებ წერილობით ოლქის პროკურორს და თქვენს შეცვლას მოვითხოვ, ასევე შევატყობინებ ადამიანთა

უფლებათა დაცვის კომიტეტს და ვფიქრობ, ჯილდოს მაგივრად გაკიცხვას დაიმსახურებთ!

– არ გირჩევთ საჩივრები აღძრათ ერთი მეორის მიმართ!

– საკუთარი ბედის გაკითხვა საჩივარი არ არის და მე მგონია, არც გამომძიებლის ჩივილი არ ჩამეთვლება ქურდულ ცოდვაში! მე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვაღიარებ: გამოვიპარე შრომა-გამოსასწორებელი კოლონიიდან, არავინ დამხმარებია, არც არავისთვის მითქვამს ჩემი გადაწყვეტილება, თავისუფლებაზე ყოფნის დროს არ ჩამიდენია არავითარი დანაშაული! სადაც მიღამდებოდა, იქვე მითენდებოდა, ვეწეოდი „ბრადიაგულ“ ცხოვრებას, მომწყინდა და საკუთარი ნება-სურვილით ჩავბარდი შინაგან საქმეთა სამინისტროს! თქვენ თუ ჩემი პატიოსნების მიმართ რაიმე ეჭვი გაგაჩნიათ, გთხოვთ დამიმტკიცოთ, დანაშაულს ბოროტმოქმედები არ აღიარებენ, მას გამომძიებლები უმტკიცებენ, ახლა კარგად ბრძანდებოდეთ, უბრძანეთ ზედამხედველს, გამიყვანოს!

– ო! რა ცხელი გული გქონიათ, აბა, თქვენ როგორ გინდათ, შეხვედრისთანავე თმის ვარცხნა დაგიწყოთ? გამოძიება, ჩემო მეგობარო, სიმკაცრით უნდა დაიწყო და ლმობიერებით დაამთავრო, ჩვენში დარჩეს და ამაღლობელი გუშინ გაემგზავრა საქართველოში, შენზე ბევრი მელაპარაკა...

გამომძიებელმა საქაღალდე გახსნა, საიდანაც მხოლოდ და მხოლოდ სუფთა ხელით დაწერილი ორი ფურცელი ამოიღო:

– წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ! – უკვე ლმობიერად წარმოთქვა გამომძიებელმა.

გივიმ ფურცლები ჩამოართვა, სადაც შრომა გამასწორებელი კოლონიიდან გივის გამოპარვა სწორედ ისე იყო აღწერილი, როგორც გივის საქმეს აწყობდა, აქვე იყო აღნიშნული, რომ ოპერატიული ძიების შედეგად საკავშირო მასშტაბით ტაბატაძეს დანაშაული არსად არ აღერიცხება...

– შე დალოცვილო, ასეთი კარგი კაცი თუ იყავი, გეთქვა,

რატომ ამიწეწე ნერვები? – წარმოთქვა გივიმ და ორივე ფურცელზე ხელი მოაწერა.

გამომძიებელი ისევ ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა ტაბატაძეს და აღუთქვა, სასამართლოს ერთ კვირაში დავნიშნავთო, მაგრამ სანამ გივის სასამართლო პროცესი დაინიშნებოდა, სემიონოვის ქართველი კოლეგა გიორგი ამაღლობელი წარსდგა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წინაშე და ძიების შედეგები წარუდგინა. დავითმა გულთბილად მოიკითხა გიორგი და გამოკითხა მივლინებაში გატარებული დრო. ამაღლობელს სწორედ ეს უნდოდა, რომ გამოევლინა გენერალ-მაიორის კონსტანტინ კირილეს ძის გულთბილი დახვედრა და თან უზარმაზარი მოკითხვა გადაეცა დავითისთვის.

– ჰო, დიდი ნაცნობობა მაკავშირებს გენერალთან! – თქვა დავითმა და მასთან ერთად განვლილ ცხოვრებას გადახედა – ერთად ვიბრძოდით და აკადემიაშიც ერთად ვსწავლობდით, თუმცა დიდად არ განსხვავდებოდა ბრძოლა და სწავლა ერთი მეორისაგან, მაგრამ რეჟიმი იყო აკადემიაში... ცხოვრებაც ხომ ბრძოლაა! სულ უნდა იბრძოლოს ადამიანმა სიცოცხლის მანძილზე! – ხელი ჩაიქნია პროკურორმა.

– ეტყობა კიდეც, ბევრი გასაჭირი აქვს გამოვლილი გენერალს, ამხანაგო დავით! მამაჩემთანაც უბრძოლია, სწორედ ის მომიყვა მამაჩემის დაღუპვის ამბავს, რაც აქამდე არავინ არ იცოდა...

– რატომ არავინ! მე ვიცოდი, მთელმა პოლკმა იცოდა, მაგრამ კირილოვიჩმა – ყველაზე უკეთესად, რადგან საკუთარი თვალით ნახა ყოველივე!

სიჩუმე ჩამოწვა, დავითი ბრძოლის ველს – 1418 დაუვიწყარ დღე-ღამეს დაუბრუნდა ფიქრით... გიორგი კი დაუმარხავი მამის ძვლებს დაეძებდა სადღაც, შორეულ აეროდრომზე მიმოფანტულს.

გრძელი დუმილის შემდეგ გიორგი წამოდგა:

– მე წავალ, ამხანაგო დავით, გაეცანით ძიების მასალებს, გენერალმა კირილეს ძემ მოკითხვასთან ერთად შემოგითვალათ: „თუ ქვეყანა არ დაუქცევია გივის, ნუ დაღუპავთო“.

– ოჰ, ამ გივიმ თვითონ ჩვენ დაგვწყვიტოს, მგონი! რამდენჯერ უნდა მოკვდეს, ვეღარ გავიგე!

– ახლა ასე თქვა, „მე ხორციელი ადამიანი აღარ ვარ და არასოდეს მოკვდებიო“.

– მაგისაგან ესეც დასაჯერებელია! კარგი, წადი, დაისვენე! მე კი ძიების მასალას გავეცნობი, ხვალ თავის დროზე გამოცხადდი, ერთი მკვლელობის აწეწილი საქმე მაქვს, ის უნდა გადმოგცე...

– კარგად ბრძანდებოდეთ, ამხანაგო დავით! – წარმოთქვა გიორგიმ და ტყავგადაკრული კარს მიღმა გაუჩინარდა...

მეორე დღეს, ჩვეულებრივ, თავის დროზე გამოცხადდა ამაღლობელი სამსახურში. პროკურორმა სიცილი ვერ შეიკავა გამომძიებლის დანახვაზე.

– გიორგი, მე რომ ორდენი მაქვს მიღებული ბოროტმოქმედთა სამყაროსთან ბრძოლაში თავდადებისათვის, ხომ იცი?

– კი, როგორ არ ვიცი, ბატონო დავით!

– ჰო და ის ორდენი წაიღე და გივის ჩამოკიდე მკერდზე, შენი ძიებით ის ყოფილა, რაც ყოფილა! მაგრამ ნახევარი თუ მაინც არის მართალი, ხუმრობა ხუმრობად დარჩეს და მართლა ეკუთვნის ორდენი!

– ესე იგი, საქართველოში ძებნილად არ ითვლება გივი ტაბატაძე?

– რა თქმა უნდა! აიღე და არქივში შეინახე ეს შენი მასალები! – პროკურორმა საქაღალდე გადააწოდა გამომძიებელს.

გამომძიებლის კაბინეტიდან საკანში დაბრუნებულ გივის ოვაციით შეხვდნენ პატიმრები:

– სად იყავით ამდენ ხანს, ალბათ, გამოგიჭედა ტვინი აბდაუბდა შეკითხვებით გამომძიებელმა – საკანში შესვლისთანავე უთხრა ანატოლიმ.

– მაგენთან ჩემს მტერს მიეცა საქმე, თორემ ხომ იცი, ბუზს აქლემად აქცევენ, – უპასუხა გივიმ.

– ჩვენთან კი ისეთი საინტერესო ამბების მოყოლა მიმდინარეობს, რომ ამ საპყრობილეს თამამად შემიძლია სიბრძნის წყარო ვუწოდო.

– სიბრძნე ბრძენისთვის არის გამოსადეგი, ჩემო მეგობარო, თორემ ბრიყვისათვის როგორც ძნელად მოსაპოვებელია, ასევე ფუჭად გამოსაყენებელიცაა. ბევრი მომისმენია და წამიკითხავს სიბრძნე, საკმაოდ დავაგროვე კიდეც, მაგრამ სიბრძნეცა და სიმდიდრეც ერთნაირად გამოვიყენე. – თქვა გივიმ, წამიერად თვალი გადაავლო წარსულს და ისე ღრმად ამოიხვნეშა, ყველას ეგონა სევდას გულიც თან ამოაყოლაო.

– გაუძელი, ქართველო, სევდას, არ შეგშვენის ვაი და ვიში, შენ ხომ ძლიერი ტომის ერთ-ერთი წარმომადგენელიხარ. – უთხრა იურიმ – რა გინახავს, რომ ხვნეში, ერთი ბავშვი გარეცხე და ისიც წყლისთვის გაგიტანებია, გასაჭირს ის გაივლიდა და ვაჟკაცობაც იმან უნდა დაიქადოს; ვიღაც ქართველს უსურიის ტაიგა ფეხით გადმოუვლია კატორღიდან გამოქცეულს და დღესაც ვერ უნახავთ. მეტი სალაპარაკო აღარაფერი აქვს ხალხს არც გარეთ და არც შიგნით. შენდენი გასაჭირი კი ტანის ამოსვირინგებაზე მაქვს გადატანილი.

გივის გაეღიმა. ტანთ არ გაუხდია, მითუმეტეს ამოსვირინგებული მთები რომ არ გამოეჩინა. თავის ადგილზე წამოწვა და იურის უთხრა:

– ზედმეტ-ნაკლებობა ყოველთვის არსებობს ადამიანებში. როგორც სიძლიერე, ასევე გასაჭირი, ყოველთვის ჭიდილი აქვს უბედობას და ბედნიერებას, ზოგი ადამიანის სხეულში ბედნიერება იმარჯვებს, ზოგისაში – უბედობა. აქ მოხვედრილი ადამიანი ყველანი უბედობას უჩივის. როგორც სხვას, მეც ეს საკითხი მაწუხებს. ახლა კი აქ მოსმენილი სიბრძნით რომ ტრაბახობდით, ვისი რიგიცაა, მოყვეს თავის გასაჭირა და თქვენთან ერთად მეც მოვისმენ.

– ჰო, ეს სხვა ამბავია, ახლა ნიკიტას რიგია, შენც ხედავ ვაჟკაცური აღნაგობის ბიჭია, მაგრამ ხმა ისეთი ხავერდოვანი აქვს, რომ ეჭვგარეშეა სასიამოვნო მოსაუბრე იქნება. ჩვენ კი ყურადღებით მოვუსმინოთ, როგორც ამას განათლებული და ზრდილობიანი საზოგადოება მოითხოვს. უნდა მივცეთ მოსაუბრეს აზრის გამოთქმის საშუალება და არ შევაწყვეტინოთ საუბარი – პათეტიკურად წარმოთქვა იურიმ.

– როგორ გეკადრება. – შეეკამათა ანატოლი – როცა განუწყვეტლივ ერთი ჰყვება რაღაცას, საუბარი კი არა, მონოლოგია. აზრი კი კითხვა-პასუხში გამოიხატება და არა მემუარში. კარგი მოსაუბრე არასოდეს წინ არ წამოსწევს თავის საუბარს. ადამიანის თავმდაბლობა და თავაზიანობა, მისი ინტელექტუალობა და ცოდნის გამომხატველი აზრის მტკიცება ტკბილი საუბრით იწყება და საზოგადოებრივი კამათით მთავრდება. რაც უფრო ღრმად აზროვნებს ადამიანი, რაც უფრო განათლებული და კულტურულია, მით უფრო თავმდაბალია და მსმენელს აძლევს შეკითხვისა და შეკამათების საშუალებას, ვერაფერი ზრდილობაა თანამოკამათის აზრს სულელური და სასაცილო უწოდო, რაც უაზრობას არ უნდა წარმოადგენდეს მისი ნათქვამი. კარგმა მოსაუბრემ არასწორი შეხედულება მოკამათის მიმართ მხოლოდ კონკრეტული და საფუძვლიანი არგუმენტით უნდა გაუბათილოს მსმენელს; მოსაუბრეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ნებისმიერი მოკამათის აზრს, საკუთარი შეხედულებისა და განათლების ძალით, მაგრამ უფლება არა აქვს მოკამათე აბუჩად აიგდოს და უვიცად გამოაცხადოს მსმენელთა შორის.

– ყოჩაღ ანატოლი! შენ მართლა სიბრძნეს აფრქვევ ამ საპყრობილეში, რომელსაც შენ სამართლიანად უწოდე „სიბრძნის წყარო“. – უთხრა გივიმ და ნიკიტას გადახედა: „დაიწყე, რაღას ელოდები“.

ნიკიტა, მიუხედავად იმისა, რომ რომანოვთა გვარის სუფთა სისხლის წარმომადგენელი გახლდათ, რატომღაც მაინც მუ-

სულმანური წესის მიხედვით წამოჯდა ტახტზე და მართლა ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

– ჩვენი ქალაქიდან პერვოურალსკში მივემგზავრებოდი ავტობუსით სარწმუნოების გასაგრძელებლად... ავტობუსში ხალხმრავლობა იყო, მე საპატიო ადგილზე ვიჯექი. ჩემი ყოფილი მასწავლებელი, სხვისი შვილების აღზრდას რომ გადაყვა თან და თვითონ უშვილოდ იყო დაბერებული, უსირცხვილოდ თავზე დამჩერებოდა. მე კი თითქოს ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ერთმა ხნიერმა მამაკაცმა მხარზე ხელი დამადო და მთხოვა, მოხუცი მასწავლებლისათვის ადგილი დამეთმო. მყისვე გუნება-განწყობილება გამიფუჭდა და მივუგე: – „მაგას ჯერ არავინ გაუჩენია ქვეყანაზე, რომ შემდეგ მან მეც დამითმოს ადგილი-მეთქი“. „იჯექი, შვილო, იჯექი, მე მეტის ღირსი ვარ, ვერ აღმიზრდიხარო!“ – მითხრა ყოფილმა მასწავლებელმა და ზურგი შემაქცია.

პერვოურალსკი, მოგეხსენებათ, შორს არ არის ეკატერინობურგიდან, მალე მივედით და ჩემს საქმეს შევუდექი: დავიწყე წიგნების დარიგება და ქადაგება ჩვენი სარწმუნოების გასამტკიცებლად.

– რომელი სარწმუნოების განმტკიცებას შეუდექით? – თხრობა შეაწყვეტინა ანატოლიმ.

– მე იაღოველთა სექტას ვხელმძღვანელობ, კარგად, გვარიანად მაფინანსებენ და მეც ვქადაგებ, რა მენაღვლება?

– იაღოვა ხომ ჩვენი – ისრაელთა და იუდეველთა უზენაესი ბიბლიური ღმერთია. შენ რა, მართლმადიდებლური ქრისტიანობა უარყავი და ებრაელთა სარწმუნოებაზე გადმოხვედი?

– ალბათ, ასე უკეთესია. სწორედ ისრაელი გვაფინანსებს და მგონია, ეს სარწმუნოება უფრო ახლოსაა ღმერთთან...

– როგორ ფიქრობ, რომ იაღოველთა სექტა უფრო ახლოსაა ღმერთთან, რომელიც უთანხმოების, შუღლის, სარწმუნოების დაქუცმაცების, პროტესტის ნიშანია და ასუსტებს იმ მოძღვრებას, რომელსაც გამოეყო? ადამიანი, რომელიც მამა-

პაპათა სარწმუნოებას უარყოფს, ის ღმერთს ვერ მიუახლოვდება.

– ჩვენ, იაღოველები, აქაურ ღმერთთან ვართ ახლოს, რომელსაც ცხოვრების უზრუნველყოფა ჰქვია, გვეკრძალება სამხედრო სავალდებულო სამსახური, ჩხუბი, აყალ-მაყალი... უფლება გვაქვს მივიღოთ ცხოვრებისაგან ყოველგვარი სიამოვნება, რაც შეიძლება მეტი და მეტი სიტკბო გამოვწუწნოთ სამყაროს. იქაური ცხოვრება კი არც იაღოველებმა იციან და არც ქრისტიანებმა, აქ ნუ მოვატყუებთ ერთი მეორეს, ისე როგორც თავისუფლებაზე ვატყუებდით...

– ვაი შენს პატრონს, მასეთი რწმენით გინდა შენ ღმერთის სამსახურში ჩადგე? შემდეგ... შემდეგ ის მოყევი, რისთვის დაგატუსაღეს... როგორ სამსახურშიც ყოფილხარ, ისეთ ადგილზეც მოგიყვანა უფალმა. – უთხრა ანატოლიმ და ზურგი შეაქცია მოსაუბრეს.

– შემდეგ რა, – განაგრძო ნიკიტამ – საღამო იყო მოახლოვებული. სახლში უნდა დავბრუნებულიყავი და ავტოსადგურისაკენ წავედი, მდინარე ჩეხოვაიას ხიდზე შევდექი, შუამდის მივედი თუ არა, ვიღაც მუტრუკი მეცა უკნიდან, ხიდის მოაჯირზე მიმიმწყვდია და გაუპატიურება დამიწყო, ხელიდან ვერ დავუძვერი... წინ მდინარე იყო, ხომ არ გადავარდებოდი, ბოლოს გამიჭირდა და ვიყვირე, მალე მილიცია მოვარდა, ის ვიღაც იყო, მოძალადე, გაიქცა, მე შევრჩი სამართალდამცავებს ხელში და დამიჭრეს. გაჩხრეკის დროს დანა და პისტოლეტი აღმომაჩნდა, ახლა ორი მუხლით იძიებენ ჩემს საქმეს – იარაღის უკანონო ტარებისა და მამათმავლობისათვის.

– იარაღი რისთვის გინდოდა, რომ ატარებდი? – კბილებში გამოსცრა ანატოლიმ.

– როგორ თუ რისთვის, რომ შეურაცხყოფა არავის მოუყენებინა!

გივიმ ვეღარ მოითმინა, საყლოში სწვდა ნიკიტას და კედელზე ისე ღონივრად მიარტყმევინა შუბლი, რომ ბათქაში

ჩამოინგრა და კედელზეც კარგა გვარიანი სისხლის ანაბეჭდი დარჩა, შემდეგ საწოლიდან ძირს გადმოუძახა და კი არ უთხრა უბრძანა:

– ახლავე მორიგე ზედამხედველი გამოიძახე და ამ „კამერიდან“, სხვა საკანში გადაგათრიონ, თორემ კარის ცხაურზე ჩამოგკიდებ!

– ეს კი არის ქრისტიანობა, რასაც თქვენ ჩადიხართ? – წარმოთქვა ნიკიტამ და კარზე ბრახუნი ატეხა. ზედამხედველი იქვე მდგარიყო, ვინ იცის, იქნებ ესმოდა კიდეც მათი საუბარი, გაიყვანეს ნიკიტა და მის შემდეგ აღარავის უნახავს...

რა თქმა უნდა, ნიკიტას წაყვანის შემდეგ არ შეწყვეტილა საკანში არც ახალი პატიმრების მოყვანა, არც ძველი პატიმრების წაყვანა და არც საინტერესო ამბების თხრობა, მაგრამ გამომძიებელმა ვალერი სემიონოვმა სიტყვა შეასრულა, მართლაც ერთ კვირაში დაინიშნა სახალხო სასამართლო პროცესი, სადაც მარტოდმარტო გივი აკაკის ძე ტაბატაძე იჯდა საბრალდებო სკამზე.

დამცველზე გივიმ უარი განაცხადა: – ნეტავი თქვენც არ ესწრებოდეთ ჩემს სასამართლოსო! – უთხრა მოსამართლეს, მაგრამ სახელმწიფო ხარჯით დაუნიშნეს უფასო ადვოკატი, როგორც უპატრონო პატიმარს.

– სასამართლო მოდის! – განაცხადა მდივანმა და ყველამ თავთავისი ადგილი დაიკავა.

მოსამართლემ სიწყნარე ბრძანა და არცთუმცირე ტომეულის კითხვას შეუდგა: – წაიკითხა, თუ როგორ ტექნიკურად დატოვა გივიმ შორეული კატორღის აუტანელი პირობები, როგორ გამოიარა ფეხით უსურიის ტაიგა, როგორ სასწაულით გადაურჩა გრიგალს, თუ როგორ გამოაცხადეს დაღუპულად, რადგან მისი სიცოცხლე აღარავის სჯეროდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ისევ გამოჩნდა ბოროტმოქმედთა სამყაროში საღი და უვნებელი. ვერც ახლა შეეგუა ქართველი ციმბირის მკაცრ კლიმატს და ისევ სასწაული, ზებუნებრივი მოფიქრება. სასაფ-

ლაოზე იპარავს რომელიღაც მიცვალებული პატიმრის გვამს, აცმევს თავის ტანსაცმელს, უტოვებს მგლებს შესაჭმელად და თვითონ არხეინად უჩინარდება ტაიგაში...

კოლონიის ადმინისტრაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროც კი რწმუნდება, რომ გივი ტაბატაძე მგლებმა შეჭამეს და სადაც ორიოდე გახრული ძვალი იპოვეს, ძეგლიც კი აუგეს თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანს! მაგრამ, როდესაც ყველა ნაცნობს გამოგლოვებული ჰყავს მგლებისგან მონელებული „გმირი", ისევ იჩინა თავი ბოროტმოქმედთა სამყაროში, რომელიც თავისი ნება-სურვილით ჩაბარდა მართლმსაჯულებას, რადგან როგორც თვითონ ამბობს, მოსწყინდა დევნილი ცხოვრება და გადაწყვიტა სასჯელი მოიხადოს კეთილსინდისიერად. ტომეულს თან ერთვის მალვაში ყოფნის დროს ძებნილის დანაშაულებრივი ქმედებანი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება...

სიტყვა ეძლევა მბრალმდებელს, პირველი კლასის იუსტიციის პროკურორს სლავა ივანოვს! – გამოაცხადა მოსამართლე გრიგოლი ალექსანდროვმა და სავარძელში ჩაჯდა.

პროკურორი კი რისი ბრალმდებელია თუ არ ავლინა ბრალდებული და მისი ნამდვილი სახე არ უჩვენა სასამართლოს? ამიტომ პირდაპირ დაიწყო გივის განადგურება. მოახსენა სასამართლოს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა ძებნის დროს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, ფაქტია, თავი აარიდა სასჯელის კეთილსინდისიერად მოხდას, იყო წლების მანძილზე ძებნილი, არ ეწეოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, წარმოადგენდა და ამჟამადაც ითვლება საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებად, რის გამოც სასჯელში ვერ აღმოვაჩინე ვერავითარი შეღავათი ბოროტმოქმედის სარეაბილიტაციოდ და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია უმაღლესი სასჯელისაგან უმცირესის გადაფარვა, პირიქით, დაემატოს ყველა ერთი მეორეს და ხალხის მტერს, საშიშ ბოროტმოქმედს, გივი აკაკის ძე ტაბატაძეს შეეფარდოს თხუთმე-

ტი წლით თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სავალალოა, რომ ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული არ ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას!

გივის გაეღიმა, რადგან იცოდა, რომ პროკურორი სასამართლო პროცესზე, მოსამართლესთან შეუთანხმებლად არარაობაა! მოსამართლემ დაფიონს კვერთხი შემოჰკრა, დარბაზს სიმშვიდისაკენ მოუწოდა და გივის დამცველი ბორის ნიკოლსკი გამოიძახა.

დამცველმა თავისი ადგილი დაიკავა ბრალმდებელსა და ბრალდებულს შუა:

– ბატონო მოსამართლენო! პატივცემულო სასამართლო კოლეგავ, როგორც მოგეხსენებათ, მე უფლებამოსილი ვარ, დავიცვა სამართალში მიცემული გივი აკაკის ძე ტაბატაძე, ვავლინო ძიებაში დაშვებული შეცდომა და ნამდვილი სახით წარვუდგინო სასამართლო კოლეგიას.

მე და ბრალმდებელი სლავა ივანოვი, მერხის მეგობრები ვართ, იურიდიული ფაკულტეტიც ერთად დავამთავრეთ და მგონია, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს ადვოკატსა და პროკურორს შორის, მაგრამ პირველი ბრალდების აღმოჩენას ეძებს ადამიანში, მეორე კი სიმართლეს! კარგია, როდესაც ადამიანი კანონს ემორჩილება, მაგრამ ძალზედ ცუდია, თუ კანონის მონამორჩილი ხარ, ივანოვი რომ ტაბატაძის დამცველი ყოფილიყო, იმის უდანაშაულობას ჩემზე უკეთესად დაამტკიცებდა, რადგან მთელს უნივერსიტეტში, სადაც ჩვენ ვსწავლობდით წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა, მაგრამ ტაბატაძეს ბედი არ აღმოაჩნდა, ადვოკატის მაგივრად ივანოვი ბრალმდებელია და ბრალდებებიც ისე ოსტატურად მოარგო, მე კი არა, მგონი ბატონი მოსამართლეც უძლური აღმოჩნდეს ცვლილება შეიტანოს პროკურორის გადაწყვეტილებაში...

დარბაზი ახმაურდა, მოსამართლეს გაეღიმა ადვოკატის ენამზიანობაზე და დაფიონს კვერთხი შემოჰკრა, გივისაც გა-

ელიმა და გაიფიქრა: – „დამაჯერებლად ლაპარაკობს, უფასოდ და უგასამრჯელოდ, ამისათვის, რომ ცოტაოდენი ფული მიმეცა, ნამდვილად დაიჭერდა პროკურორს და მე გამანთავისუფლებდაო“, ის კი არ იცოდა, რომ კარგა გვარიანი თანხა გადაიხადა ლიუდმილამ და მოსალოდნელი სასჯელიც უკვე იცოდა ქალმა. წინასწარ ჩაწყობილი საქმეა, პროკურორს შეურაცხყოფად უნდა მიეღო ადვოკატის რეპლიკა და უნდა ანთებულიყო, მაგრამ შეურაცხყოფას ფულის სიყვარულმა სძლია და მოსამართლესთან ერთად ისიც იღიმებოდა.

ადვოკატი ღიმილისთვის დროს არ ჰკარგავდა, თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და განაგრძობდა:

– დიახ! ბატონო მოსამართლენო, ჩვენ, მართლმსახურების მუშაკებმა, ადამიანებში არ უნდა ვეძებოთ მხოლოდ უარყოფითი მხარე და ეჭვის თვალით არ უნდა დავინახოთ ყველანი, არამედ ჩვენი მოვალეობაა, სიკეთე აღმოვაჩინოთ დროებით იზოლირებულ ადამიანებში, ჩვენ, მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში მრავალი მაგალითი გვაქვს, რომ ნამდვილ გმირებთან გვიხდებოდა მუშაობა და არა საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებებთან, მე შემიძლია ამოვიცნო ადამიანებში ფენომენი და თამამად ვთქვა, გივი ტაბატაძეც სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს მიეკუთვნება, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე ზის საბრალდებო სკამზე და რომ ვხედავ, პატიმართა სარდალი როკოსოვსკი მაგონდება...

ახლა კი ვეღარ მოითმინა გივიმ, ამდენი ხნის ნაგროვებმა სიცრუემ ერთად იფეთქა და გულიანად გადაიხარხარა, ეს ადვოკატს არ დარჩენია შეუმჩნეველი და პატიმრის სიამოვნებით გათამამებულმა კიდევ უფრო რიხიანად განაგრძო:

– ბატონმა მოსამართლემ თვითონ ბრძანა, თუ რაოდენ სიძნელეს შეეჭიდა ყოფილი პატიმარი, უსურიის ტაიგის გადმოლახვისას, რომლის მიმართაც ათასგვარი საექიმო ექსპერტიზა და იურიდიული გამოკვლევები ჩავატარეთ, რათა დაგვემტკიცებინა და ეს პიროვნება სინამდვილეში იყო თუ

არა გივი ტ აბატაძე, რომელმაც ჯერ არ გაგონილი საგმირო საქმე ჩაიდინა, დამტკიცებულია, რომ პიროვნება გრიგალმა იმსხვერპლა, მეორედ მგლებმა შეჭამეს, და მაინც ცოცხალია! ჩვენს წინაშე დგას! ადამიანები, გმირებიც კი ხორციელად მხოლოდ ერთჯერ კვდებიან! ეს კი ორჯერ მოკვდა და მაინც ცოცხალია, მსოფლიოში მეორე ასეთი ადამიანი არ არსებობს და ამიტომ ეს უნიკალური პიროვნება გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი და ნობელის პრემიით დასაჯილდოებელი!

რამდენიმე წუთის წინ აღვნიშნე: „ყოფილი პატიმარი“, დიახ ეს სიტყვა შეესაბამება გივი აკაკის ძე ტაბატაძეს და საბჭოთა კანონიერი მართლმსაჯულებისაგან მოვითხოვ სასჯელისაგან მის განთავისუფლებას!

– სახალხო სასამართლო კოლეგია გადის განაჩენის გამოსატანად!

დარბაზიდან თითქმის ყველა გავიდა, იცოდნენ, განაჩენი მხოლოდ ორი ან სამი საათის შემდეგ იქნებოდა და ზოგიერთმა ეზოში ლოდინი არჩია.

ლიუდა პატიმრის დამცველ ბადრაგებს არ მორიდებია, დაუკითხავად მივიდა გივისთან და ვნებიანად აკოცა. შემდეგ სიწითლემ გადაურბინა სახეზე და თვალები დახარა.

– როგორ ხარ, ლიუდა? – გაუღიმა გივიმ.

– კარგად! მე რა მიჭირს, შენ როგორა ხარ?

– ხომ იცი, მე ყველგან კარგად ვარ! – უპასუხა გივიმ.

– ექვს წელიწადს მოგისჯიან! ყაბულსა ხარ?

– მე კი მეგონა, ჩემს მაგივრად პროკურორს დაიჭერდნენ!

– პროკურორი კი არ დაიჭირეს, გამოიჭირეს!

– რამდენი დაგიჯდა?

– ნუ დარდობ, ჩვენი სიმდიდრე საკმარისია! ცოტაც კიდევ დაგვრჩება საარსებოდ! ჰო, მართლა საქმეს ჩავაწყობ, კარგ ზონაში მოხვდე და მეც იქ უნდა გადმოვიდე საცხოვრებლად. მე შენ ყოველდღე უნდა დაგინახო, ისე ვერ გავძლებ, არც მაინ-

ცდამაინც დიდი დროა ექვსი წელიწადი, მაგრამ უკვე შეპირებულები არიან, ნახევარში გამოგიშვებენ.

– ვისთან და როგორ ჩააწყვე ასე სასწაულად საქმე?

– არ ვიცოდი თუ ასეთი ძლევამოსილი იყო ფული. თურმე ყველაფერი შეძლებია, პირველად ის შენი ქართველი გამომძიებელი ვნახე. სასტუმროში ვიყავი მასთან. მოველაპარაკე. ყველაფერზე დამთანხმდა, შემდეგ სარეცელი შემომთავაზა, თქვენ ქართველი მამაკაცები ხომ სუყველანი ბოზები ხართ, მე მისი შემოთავაზება შეურაცხყოფად მივიღე და ისეთი ალიყური ვაჭამე, წასვლამდის დადიოდა თვალებამოლურჯებული, მეგონა, საქმეს აღარ გამიკეთებდა და ჩვენი გენერალი შევაწუხე, კონსტანტინ კირილოვიჩი, არ ვიცი, რა მოილაპარაკეს, მაგრამ შენი ის ქართველი გამომძიებელი ციხის კარებთან ვნახე. როდესაც „პერედაჩს“ გიგზავნიდი, მოვიდა, მომესალმა და ისე თავაზიანად მომეპყრო, ბოდიში მოვუხადე შეურაცხყოფისათვის...

– არა, ღირსი ვიყავი! – მითხრა მან და მოწიწებით სასტუმროს ნომერში მიმიპატიჟა, მე მისი მიპატიჟება მივიღე, მადლობა გადავუხადე და არ წავსულვარ, მას შემდეგ აღარ მინახავს, ალბათ, დაბრუნდებოდა სამშობლოში.

– კი მაგრამ არ გეკითხებოდნენ, რატომ იყავი ასეთი თავგამოდებული ჩემთვის?

– კი, როგორ არა, მეკითხებოდნენ და მეც სიმართლეს ვლაპარაკობდი, რომ მიყვარხარ და უშენოდ არსებობა არ შემიძლია!

– მგონი, შენ ხორციელად გიყვარვარ, ლიუდა!

– რა შეკითხვაა, ნუთუ ვერ მამჩნევ! ჰო, მიყვარხარ!

– ეს როგორ შეიძლება, შენ ხომ ჩემი მეგობრის ცოლი ხარ!

– მეგობრის ცოლი ვიყავი და სხვის საჯიჯგნად მიმეტებ? შენ გავიწყდება, რომ მე ცოცხალი ორგანიზმი მაქვს, მინდა არსებობა სიცოცხლე და ტკბილი სიბერე...

– ნუთუ შენ ასეთი სიყვარული შეგიძლია, ნუთუ ყველა ასე

გიყვარდა, როგორც მე, მაინტერესებს მერამდენე სიყვარული ვარ?

– როგორც მე მგონია ყველა ქართველი მამაკაცი ბოზი, თქვენც ასევე გგონიათ ყველა რუსის ქალი გახრწნილი! ალბათ, თქვენც ასევე ცდებით რუსი ქალების მიმართ, როგორც მე, შენ პირველი სიყვარული ხარ ჩემი, კაცი კი – მეორე! არ გარწმუნებ, გინდ დაიჯერე, გინდ არა...

– რატომ შემიყვარე, ლიუდა, ხომ იცი, მე ცუდი კაცი ვარ, დიდიხანია, მეც მიყვარხარ, მაგრამ თქმა ვერ გაგიბედე! არ მინდოდა შენთვის გრძნობები ამეფორიაქებინა, თუ შეძლო, გადამიყვარე ან შემიძულე, ხომ იცი, სიყვარულში არ მიმართლებს! დაფიქრდი, აბა, რად გინდა ცუდი ადამიანის სიყვარული?

– ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ კარგი ყველას უყვარს, ცუდი – არავის! ამიტომ მინდა ვიყო ერთადერთი, ვისაც ცუდი მეყვარება, შენ ვერასოდეს გაიგებ ცუდ ადამიანში კარგ თვისებებს რომ აღმოაჩენ, როგორ შეგიყვარდება! არცერთი მამაკაცი არ ამბობს, ცუდი ვარო შენს მეტი და ყველა შენზედ უარესები არიან, მე არც გამიგია და არც წამიკითხავს, ისეთი ძლიერი სიყვარული თუ არსებობდა, როგორიც შენ გცოდნია, ამიტომ მიყვარხარ, რომ ვარ ჩემს სიყვარულში დარწმუნებული და სწორედ შენა ხარ ჩემი სიყვარულის ღირსი!

– ნუთუ იგორი ასე ძლიერ არ გიყვარდა?

– არა, იგორმა სიყვარული არ იცოდა, ის სიყვარულს ჩაგვრასა და მონობაში ხედავდა, რუსი ქალი არასოდეს არ ყოფილა ცუდი მეუღლე, ცუდი დედა და ცუდი ოჯახის დიასახლისი, ქალის ცუდობა და მითუმეტეს, ბოზობა ქმრის ბრალია! ენებით, მოლანდებებითა და ეჭვებით შეპყრობილმა არ უნდა შეურაცხყო ქალი, მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ ის შენი მეუღლეა, შენი შვილის დედა და შენი ყოველგვარი ჭირ-ვარამის გამზიარებელ-შემსრულებელი!

– ჰო, კარგი, მთლად ნუ ამაფორიაქე, ხომ ხედავ, მეც მიყვარხარ, მალე, ალბათ, განაჩენს გამომიტანენ! შენ კი ჯერ კი-

დევ არ გითქვამს ბოლომდის, შემდეგ ვისთან და როგორ ჩააწყვე ჩემი სასჯელის შემსუბუქების საქმე.

– რაკი შენ, სიყვარულზე თანხმობა მომეცი, მოვასწრებთ ამბის მოყოლას, შენს გვერდით დავიდებ ბინას და სიკდვილის მეტი ვერვინ დაგვაშორებს!

– გიჟი ხარ, ლიუდა, შენც ნახე რა შესაყვარებელი ადამიანი!

– სწორედაც რომ ვნახე, ბევრი ვერ გაიგებს შენს ფასს, სწორი თქვა შენმა ადვოკატმა „გინესის რეკორდების წიგნში ხარ შესატანი და ნობელის პრემიით დასაჯილდოვებელი", ეს რაც იციან, იმისათვის და რაც არ იციან, ისიც რომ გაიგონ, ალბათ, ახალ რეკორდსა და პრემიას დააწესებენ შენთვის, ჰო! იმას მეკითხებოდი: „შემდეგ ვისთან ჩააწყვეო საქმე", ვალერი სემიონოვი ვნახე, შენი ახალი გამომძიებელი თავაზიანად მიმიღო, გულისყურით მომისმინა, თანხა დამისახელა და საქმეც გააკეთა...

– ჯერ რა იცი, რომ გააკეთა?

– ვიცი! ასეთ საქმეში რუსები არ იტყუებიან, შენ ფული და არაყი მიეცი მხოლოდ და შენს მაგივრად ჩაჯდებიან ციხეში!

– იმასაც ხომ არ შემოუთავაზებია სარეცელი?

– ოჰ, მაგათი არ მეშინია, თავიანთ ცოლებსაც ვერ უზრუნველყოფენ, ქალს არაყი ურჩევნიათ, დათვრებიან და საკუთარ თავს ესაუბრებიან...

– დაამთავრეთ საუბარი, ახლა ხომ არ უხსნით სიყვარულის ერთიმეორეს! – მსუბუქად უბიძგა გივის ზედამხვედველმა და რა იცოდა, რომ მართლა პირველად უხსნიდა დიდი ხნის გულში ნაგროვებ სიყვარულს ქალი ვაჟს.

დარბაზში მოსამართლის მდივანი შემოვიდა და ხავერდოვანი ხმით გამოაცხადა:

– ადექით! სასამართლო მოდის!

დარბაზში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ, ლიუდა თავის ადგილს დაუბრუნდა, დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით, სასამართლო კოლეგია შემოვიდა, ყველამ თავთავისი ადგილი დაიკავა.

მოსამართლემ გრძელი შესავალი მისცა განაჩენს და ნახევარსაათიანი წაკითხვის შემდეგ განაჩენის ტექსტი ასე დააბოლოა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის ბ-პუნქტისა და 138-ე მუხლის ა-პუნქტის თანახმად, სვერდლოვსკის სახალხო სასამართლო ადგენს: სამართალში მიცემული გივი აკაკის ძე ტაბატაძეს 124-ე მუხლის ბ-პუნქტის თანახმად, მოსახდელ დარჩენილ სასჯელს ოთხ წელიწადსა და რვა თვეს დაემატოს 138-ე მუხლის ა-პუნქტის თანახმად სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევის სისრულეში მოყვანის სასჯელი ერთი წელიწადი და ორი თვე, რაც საერთო ჯამში შეაგენს ხუთ წელიწადსა და ათ თვეს. ბრალდებულმა სასჯელი მოიხადოს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში! სასჯელის გასაჩივრება შეიძლება ათი დღის განმავლობაში!

მოსამართლემ განაჩენის წაკითხვა დაამთავრა, მაგიდაზე მიმოფანტული ფურცლები აკრიბა და სასამართლო დარბაზი დატოვა, რომელსაც თან გაჰყვა სასამართლო კოლეგია, მხოლოდ დამცველი ბორის ნიკოლსკი დარჩა დარბაზში და როდესაც სასამართლო კოლეგიის ბოლო წევრი დარბაზიდან გავიდა, ნიკოლსკი გივისთან მივიდა, გაუღიმა, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

– ჩვენ გავიმარჯვეთ! წარმატებას გისურვებ, ვეცდები სასჯელის ნახევარი გაკმარო!

– ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდა. თუ კაცი ხარ სიმართლის ძებნა აღარ დაიწყო, მეშინია ცოდვა არაფერი აღმომიჩინო, მაკმარეთ ეს სასჯელი, თქვენს მიმართ მუდამ მადლობელი ვიქნები!

– არაფერ ჩხრეკას არ დავიწყებ, გპირდები სამ წელიწადში გაგათავისუფლებ, მხოლოდ კოლონიაში არაფერი დანაშაული ჩაიდინო!

მაგრად ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა ადვოკატი

გივის და თავისი ადგილი ლიუდას დაუთმო, რომ გამომშვიდობებოდა საყვარელ ადამიანს.

ლიუდას თვალზე ცრემლი აუკიაფდა, მაგრამ გივი ამჟამად ნამდვილად ვერ მიხვდა, როგორი ცრემლი იყო ეს სიხარულის თუ მწუხარებისა, ალბათ, ლიუდასათვის რომ გვეკითხა, ვერც ის გვიპასუხებდა. ბავშვური სიყვარულით შებოჭილებივით იდგნენ პირისპირ უკვე დაბრძენებული ქალ-ვაჟი და უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთი მეორეს. ასე იდგნენ რამდენიმე ხანს, სანამ ბადრაგმა არ შეახსენა განშორება...

ამჟამად გივისთვის ბორკილები აღარ დაუდვიათ, ყველამ იცოდა, ის აღარ გაიქცეოდა, მართლაც თავისი ნება-სურვილით, სხვის დაუხმარებლად ჩაჯდა ავტომობილში, რომელსაც „შავ ყვავს“ ეძახიან და პატიმრების გადასაადგილებლად იყენებენ.

პატიმარი ციხეში უნდა დაელოდოს განაჩენს, შემდეგ კი შრომა-გამასწორებელ კოლონიაში გადაჰყავთ. ამიტომ გივიც ციხეში მოიყვანეს გასამართლების შემდეგ და სულ სხვა – „სასჯელდიდებულთა“ – საკანში შეუშვეს... გაუკვირდა, საკანში არავინ იყო და ბადრაგს შეეკითხა:

– ამხელა „კამერა“ და ასე ცარიელი?

– ნუ დარდობ, მოვლენ, ჯერ ყველგან არ დამთავრებულა სასამართლო, შენ პირველი მერცხალი ხარ და სასჯელიც პატარა მოიტანე, აქ კი თხუთმეტიანებიც ბევრნი არიან.

ბევრი არა და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ორი მოვიდა მსჯავრდებული. ერთი მართლაც თხუთმეტით, მეორე კი ორით და წარმოგიდგენიათ? თხუთმეტწლიანი უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ვიდრე ორწლიანი, გივის არ გაკვირვებია, ასეც ხდება, არიან ადამიანები, სულით ძლიერები, რომლებიც ვითომ, აქაც არაფერი, იტანენ ჭირსაც და თამამად ხვდებიან ლხინსაც, მეორენი კი, ლხინი მოგცეს ღმერთმა, ადამიანი სუფთა იუმორია, იცინე მასთან და ატარე დრო, უკეთესს რას ინატრებ, მაგრამ ფეხს წამოკრავს თუ არა, მასთან ვერ გაჩერდები! ვაი-ვიშით აგიკლებს, ყოველ წუთს მხოლოდ თავის

სატკივარს გაიძახის და არ დაგიდევს, უსმენ თუ არა, ასე იყო ეს „ორწლიანი“ პეტრეც, რომელიც მიტოვებულ თავის ულამაზეს ცოლს მისტიროდა, ითმინა თხუთმეტწელმისჯილმა იგორმა, ითმინა და:

– რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, მეცა მყავს ცოლი! სასჯელიც, მადლობა ღმერთს, არ დაუკლიათ ჩემთვის, მაგრამ რას გავხდებით ტირილითა და კვნესით? აქ ხომ არიან შენს გარდა, რომელთაც თავიანთი მწუხარება აწუხებთ და კიდეც შენი სევდის დამატება გვესაჭიროება?

– შემეშვი რა, თუ კაცი ხარ, მე უნდა ვიტირო, შენ ნუ მომისმენ, შენს სასჯელს ადარებ ჩემსას? შენ კანონიერად მოგისაჯეს, მე უკანონოდ! შენს ცოლს ადარებ ჩემსას? ჩემი პრინცესსა, შენი – მანძუხი! მე ამიტომ ვტირივარ, შენ კი იცინი, გიხარია მასთან განშორება.

– ვისი ცოლია მანძუხი? – კბილების ღრჭიალით შეეკითხა იგორი და პასუხს არ დალოდებია, „შტანგისტივით“ ჰაერში აიტაცა და ბეტონის იატაკზე დაანარცხა. პეტრემ მოშიებული შოშიასავით დააღო პირი. ენა კბილებში გამოიმწყვდია და სუნთქვა შეწყვიტა. გივი ზეზე წამოხტა, წყალი დაასხა, მაგრამ იგორმა შეაჩერა:

– დაანებე თავი, ასე ჯობია, ნაკლებად შეგვაწუხებს.

– თხუთმეტი გაქვს, ახლა დაგხვრეტენ, საბრალოვ! – უპასუხა გივიმ და პეტრეს მოსულიერებას შეუდგა, რომელმაც ბევრი მასაჟის შემდეგ, როგორც იქნა ამოიხროტინა.

– როგორ გრძნობ თავს? – შეეკითხა გივი.

– რა მოხდა? – როგორც იქნა ამოილუღლუღა პეტრემ.

– არაფერი, ჭერი ჩამოინგრა, ეს ციხის კანონია, ღმერთს მადლი შესწირე, მგონი გადარჩი!

– მე თქვენ ორივეს ჩაგაყუდებთ! – ისევ ამოილუღლუღა პეტრემ.

– შენ უკვე ჩაყუდებული ხარ, პიდარასტო, კიდევ ერთი ზედმეტი სიტყვა და დაგაკრეფინებ გულზე ხელს! – უთხრა

გივიმ და ხელი შეუშვა, თავმა იატაკზე ბრაგვანი მოადინა.

– აი, ასეთი პიდარასტები რომ არ სჭარბობდეს, შინ დაგარეთ, ადვილი იქნებოდა ცხოვრება ჩვენისთანა ხალხისთვის. – თქვა იგორმა და გივის დააკვირდა. შემდეგ გვერდზე გაიხედა, თითქოს რაღაცას იგონებსო, თავზე ხელები შემოიჭირა და უეცრად იყვირა – „ის არის“.

– შენ გივი ხარ, ხომ სწორია? – თავისი აღმოჩენით აღფრთოვანებულმა უთხრა და პასუხს არ დალოდებია, უზარმაზარ მკერდზე მიიხუტა! – ვფიქრობდი, სად მინახავს-მეთქი! – განაგრძო იგორმა – და როგორც იქნა მოვიგონე, იქნებ შენც გახსოვს, პირველ „სროკზე“ ვიყავი შენთან, მაშინ, თითქოს მგლებმა რომ შეგჭამეს. უჰ, რამდენი ვიტირე, მაშინ სუყველა ტიროდა. რომ სწორი გითხრა, არ მეგონა თუ ცოცხალს გნახავდი. ახლა გაქცევის გულისათვის დაგიჭირეს ხომ? მე კი მითხრეს „ვიღაც ქართველი მოიყვანეს, ბავშვი დაუბანია, ტაშტიდან ამოყვანა დავიწყებია და წყალთან ერთად ბავშვიც გადაუგდიაო“ – ახლა კი ვხედავ, როგორი დანაშაულიც გექნება ჩადენილი, მაგრამ რა ჩვენი საქმეა!

– ჰო. მეც გიცანი, იგორ, – იცრუა გივიმ. – გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ, როგორა ხარ, როგორ მიდის შენი ცხოვრება. ეს ამხელა სასჯელი რიღასთვის აიკიდე? მახსოვს, პირველ „სროკზე“ არ გქონდა დიდი სასჯელი.

– ჰო, გივი, „ვენაცვალე“ – სხვათაშორის ქართულად დამარცვლა იგორმა ბოლო სიტყვა და გაიღიმა! – მაშინ, პირველ „სროკზე“ ოთხი წელი მქონდა ხულიგნობისათვის და კეთილსინდისიერად მოვიხადე, გამოვედი, ცოლი შევირთე და მოსიყვარულებაც ვერ მოვასწარი, ჩამსვეს თხუთმეტი წლით, პროკურორმა დახვრეტა გამომიტანა. ნეტავი მოსამართლესაც დაემტკიცებინა, გადავრჩებოდი მომავალ უსაზღვრო ტანჯვა-წვალებას!

– რას ამბობ, იგორ, ჯერ ხომ შენ მთლად ახალგაზრდა ხარ, როგორ შეიძლება ასეთი საუბარი?

– იცი გივი? ახალგაზრდა ვარ, მაგრამ პირველი „სროკის“ შემდეგ ისე ფართოდ ამეხილა თვალები, ნათლად ვხედავ ბოროტებას, უსამართლობას, ძმაკაცთა ღალატს და ძალმომრეობას, რომელსაც მე ადრე ვერ ვამჩნევდი.ა ხლა თითქოს ფეხებში მებლანდება უბედობა. აი, ასეთებმა იმძლავრა – ხელი გაიშვირა პეტრესაკენ – მოშენდნენ, თავიანთ თავს „ახალი რუსი“ უწოდეს, დადიან ხროვად ტურებივით და ყოველგვარი განუკითხაობა მაგათი ხელიდან გამოდის! მართალია, მე ბოროტმოქმედი ვარ, მაგრამ უსამართლო არასოდეს ვყოფილვარ, მაგათი ძველბიჭობისათვის ხელი არასოდეს შემიშლია, იმიტომ კი არა – მეშინოდა, უბრალოდ, არ მეხებოდნენ და არ ვეხებოდი. ფრინველებს ვერ დავუშლით თავზე გადაფრენას, მაგრამ იმის უფლებას სწორედ ვერც ერთ ფრინველს ვერ მივცემ, თუგინდ არწივი იყოს, თავზე ბუდე რომ გამიკეთოს, ასე არიან ეს „ახალი რუსებიც“ დაქრიან თავზე, არ ვუკრძალავ, იქროლონ, მაგრამ ტვინში დაბუდების უფლებას ვერ მივცემ ბოროტების გამოსაჩეკად.

– ცოდვაა, იგორ, შენ ბოროტმოქმედი გერქვას და საკანში იყო გამომწყვდეული, შენ გარეთ მეტ სარგებლობას მოუტანდი ხალხს, მაგრამ ჩემი არ იყოს, შენც ფეხდაფეხ დაგდევს უბედობა! აბა, მომიყევი, ახლა როგორღა წამოჰკარი ფეხი ასე მძლავრად, რომ თხუთმეტი წლით მოადინე აქ ზღართანი!

– რად გინდა, გივი, ჩემი ამბის მოყოლა, ხვალ თუ ზეგ სასამართლო განაჩენი მოგვივა, წაგაკითხებ, თორემ რომ მოგიყვე დაუჯერებლად მოგეჩვენება, ხომ იცი, სადაც ორი ადამიანია, იქ ერთსა და იმავე საკითხზე ორი სხვადასხვა აზრი იბადება.

– შენ როგორ გგონია, განაჩენს რომ მიიღებ და ჩვენთან მოსამართლის აზრი დაიბადება მესამე აზრად, ჩვენ შეგვეცვლება შეხედულება შენი სასჯელის მიმართ და შეგიმსუბუქებთ?

– ჰო, არა, მაგრამ...

– ვიცი, რისი თქმაც გინდა, ჩემო მეგობარო, კაეშანი, მოგეხსენება, გადავუშალოთ ერთიმეორეს გული, სასამართლო

დასკვნაში არასოდეს არ სწერია სიმართლე. მაგათ ხალხის დაჭერისა და გასამართლების გეგმა აქვთ, ჩემო ძმაო, მაგენი ყოველთვის სტყუიან; სტყუიან განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სტყუიან, რომ მართლები არიან, სტყუიან, რომ ხალხი უსამართლოდ განიკითხავს მათ საქმეს. სტყუიან, რომ სხვათა შემწე და დამხმარე არიან. სტყუიან, რომ მუდამ სიკეთეს სთესავენ და მადლიერი არავინ ჰყავთ და ბოლოს იმასაც სტყუიან, რომ ტყუილი არ იციან! დღევანდელი სამართალდამცავები იმ ნადირ ადამიანებს ჰგვანან, ინდიელებში რომ სახლობენ ერთერთი ტომნი, როდესაც ხეზე ნაყოფის მოკრეფა უნდათ, ხეს ძირში სჭრიან და ასე ჰკრეფენ ხილს, ასევე იქცევა დღევანდელი მტარვალი მმართველობა და მათი ხელქვეითი სამართალდამცავები, მათ კანონიერი სასჯელი კი არ გამოაქვთ დამნაშავის მიმართ, უსამართლოდ სჭრიან ოჯახის საყრდენ ბოძს და ანადგურებენ ოჯახის მთელ ნაყოფს!

– ასე მგონია, ჩვენ კაენის შვილები ვართ, ცოდვის შვილები, მაგენი კი აბელის შვილები არიან, ღმერთი მფარველობს და კიდეც ფოფინებენ. მე ახლა რასაც გეუბნები, ასეთი რაღაც ნაღდად მჯერა, ყველაზე მეტად კი ბედისწერა და ქალის მზაკვრობა მწამს.

ბედისწერა, განგება, სვე, ხვედრი, კარგი და ცუდი მოვლენა ყველა ადამიანშია და ნებისმიერი ადამიანის მიმართ გარდაუვალია, თვით ღმერთებიც უძლურნი არიან ბედისწერის წინაშე, აპოლონმა ვერ გააცოცხლა თავისი მეგობარი კიპარისი. ქალის მზაკვრობაზე კი ახლავე მოგახსენებთ: – სანამ პირველად დამიჭერდნენ, შეყვარებული მყავდა. როგორც ყველა ახალგაზრდა, ჩვენც ვატარებდით დროს. გადაწყვეტილი გვქონდა, უნდა გვექორწინა, მაგრამ პატიმრობაში აღმოვჩნდი და ჩვენი გეგმებიც ჩაიშალა. პატიმრობიდან რომ გავნთავისუფლდი, სანამ ახალ მეგობარს გავიჩენდი, ისევ ძველთან დავიწყე დროის ტარება, თან იმის წარსული გავიკითხე: აღმოჩნდა, რომ ჩემი პატიმრობაში ყოფნის დროს, პატიმრის დღეებივით ჩამოუმარ-

ცვლავს საყვარლები, ამიტომ გულახდილად ვუთხარი, რომ მას ცოლად აღარ შევირთავდი!

– არა, არ გამოგივა კვინტრიში, პირველი კაცი შენ იყავი ჩემს ცხოვრებაში და ბოლოც შენ იქნებიო, – მითხრა.

– მაშ, სხვასთან რატომ სეირნობდი?

– ყოფილიყავი ჩემთან და აღარ ვისეირნებდი, მერა რა, რომ ვსეირნობდი, განა ის მიყვარდა და შენ მძულდი? სექსუალური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება ორგანიზმი გადაწვას და ცხოვრებაში შთამომალვობის გარეშე დარჩეო, – მიპასუხა.

– მე არ ვიცი, ვინ როგორ უნდა დარჩეს, ვიცი მხოლოდ ერთი, სხვასთან ნაგორავებ ქალს ცოლად არ შევირთავ-მეთქი.

– მეც შევიტყვე შენზე ბევრი რამ, რომელიც უყოყმანოდ უნდა გაპატიო, თავი უცოდველად ნუ მოგაქვს. ამბობენ, იმ ადგილებში, სადაც შენ სასჯელს იხდიდი, მამაკაცებთან ამყარებენო სექსუალურ კავშირს, მე თუ ვბოზობდი, არც შენ დამბრუნებიხარ წმინდანიო.

– მართლაც გადავხედე ჩემს ცხოვრებას და წუთიერად სიცოცხლე შემეზიზღა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და ვუთხარი:

– ჰო, იქაც ვბოზობდი, აქაც ვბოზობ, მაგრამ არ მინდა ცოლიც ბოზი მყავდეს-მეთქი.

კისერზე ჩამომეკიდა და ქალური სათნოების ყველა ხერხი იხმარა. ცრემლი ხომ პირველი თავდაცვისა და სიბრალულის წამალია ქალთა შორის, მაგრამ ვერცერთმა ხერხმა გული ვერ მომილბო და ისე გავშორდი, არც დამშვიდობებივარ.

ამ დროს მე უკვე საცოლე შერჩეული მყავდა და მასთან გააქტიურე შეხვედრა. მალე ქორწილის დღეც დავნიშნეთ, იმ ჩემს პირველ სიყვარულს მხედველობიდან არ გამოპარვია ჩვენი აქტიურობა და ქორწილის წინა დღეს მინახულა:

– იგორ! – მითხრა მან, – გავიგე, ხვალ ქორწილი გაქვს, ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ, მე მუდამ შენზე და შენს

ოჯახზე მლოცველი და კარგის მსურველი ვიქნები, მხოლოდ ერთი თხოვნა უნდა შემისრულო, ცოლის მოყვანის შემდეგ ჩემთან რომ მოხვიდე, არავითარ შემთხვევაში აღარ მიგიღებ, ამიტომ დღეს, ეს ბოლო ღამე ჩემთან გაათიე და საბოლოოდ გამოვემშვიდობოთ ერთიმეორეს!

მართალია, ქორწილისწინა ღამეს უამრავი საქმე მქონდა, მაგრამ შემეცოდა ჩემი და მისი პირველი სიყვარული, უარი ვეღარ ვუთხარი, დავთანხმდი და პირდაპირ სამსახურიდან გავყევი სახლში, ძვირფასი მაგიდა ჰქონდა გაწყობილი. ქართული შამპანური და ფრანგული კონიაკები ერთმანეთს ცვლიდა და კარგადაც მოვილხინეთ.

– ახლა კი დროა, დავისვენოთ, გადი საძინებელში, გაიხადე და მეც მოვალ! – მითხრა და თვითონ აბაზანაში შევიდა.

საძინებელ ოთახში შევედი, გავიხადე, ქვეშაგები ავშალე და ლოგინში შევწექი, ჩვენს ტახტს ყოველთვის ორი ბალიში ჰქონდა, მე ჩემს მხარეზე დავწექი და საყვარელს დაველოდე, რატომღაც მისი ბალიშის ქვეშ ხელი შევაცურე, რაც აქამდის არასოდეს არ გამიკეთებია, ხელი რაღაც ცივ საგანს შეეხო, ბალიში ავიღე და რას ვხედავ – პისტოლეტი – წამსვე გამოვფხიზლდი, – „ესე იგი ჩემს საყვარელს ჩემი მოკვლა უნდა!“ – გამიელვა თავში – „მაშ კარგი, ვინ ვის!“ გავიფიქრე და პისტოლეტიდან ჰილზები გამოვიღე, შემდეგ შევამოწმე შეცდომა ხომ არ დავუშვი და როდესაც დავრწმუნდი პისტოლეტი ცარიელი იყო, თავის ადგილზე დავდე. ჰილზები კი ჯიბეში ჩავიყარე... ცოტა ხნის შემდეგ ჩემი საყვარელიც მოვიდა და შევცურეთ თავდავიწყების განუმეორებელ მორევში... ასე თამამად არასოდეს მოქცეულა, მთლად გამომწოვა, რაც რამ მამაკაცური სიტკბო გამაჩნდა და არც თვითონ დაუშურებია ქალური სითბოს გაცემა, შემდეგ თითქოს ყველაფერი მობეზრდაო, მუცელზე დამაჯდა და ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა, საზიზღარი ძალა აქვს პისტოლეტს, ხომ ვიცოდი, ცარიელი იყო და ტყვიას ვერ გაისვროდა, მაგრამ სიკდვილის შიშისგრძნობამ მაინც ისე

შემიპყრო, კინაღამ ვიღრიალე... პისტოლეტის ლულა შუბლთან გამისწორა და მითხრა:

– შენ მართალი ხარ იგორ, შენი პატიმრობაში ყოფნა, ბოროტად გამოვიყენე, შენ თითქოს ყველაფერი იცი, ცოტა ზედმეტიც, ბოროტი ენებისგან გაზვიადებული, მაგრამ რატომ არ გინდა გამიგო, რომ მე ხორციელ მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებდი, რომლის მოთმინებამაც შეიძლება დროზე ადრე დამართოს ადამიანს კლიმაქსი და ჭკუიდან შეშალოს. სულიერი გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია, შენ გეკუთვნოდა, მე უშენოდ არსებობა არ შემიძლია! ვერავის ვერ დავუთმობ სარეცელს, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის! დარდი არ იქონიო, შენს შემდეგ არც მე ვიცოცხლებ, ჩვენს გვამს არ ვიცი ვინ ნახავს პირველი, მაგრამ ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა ექნება! მშვიდობით, იგორ, ჩვენ მხოლოდ საიქიოში შევხდებით ერთიმეორეს! – მითხრა და სასხლეტი დაუშვა, მაგრამ ფაფუ! გაუკვირდა, როგორც ჩანდა, ნავარჯიშევი იყო და იარაღს მისთვის არასოდეს არ ემტყუნა, მაგრამ არც ახლა დაიბნა, ჩახმახს მოსწია, რათა ახალი ჰილზი ჩაედო ლულაში, მაგრამ ამჟამად უმტყუნა იარაღმა და ქალი აფთრად გადაიქცა. ამბობენ აფთარი მხეცთა შორის ყველაზე მეტად დაუნდობელი ნადირიაო, მაგრამ არა მგონია, ქალზე მეტად მძვინვარე და დაუნდობელი იყოს, სადღაც ოთახის კუთხისკენ ელვის სიწრაფით მოისროლა პისტოლეტი და ორივე ხელებით ყელში მწვდა, ხუთსანტიმეტრიანი ფრჩხილები ხორხში გამიყარა და სუნთქვა შემიკრა, ჩემი მკლავის ძალას მისმა აჯობა, ხელები ვერ ავაღებინე ყელიდან, წუთიც კიდევ და გრძნობას დავკარგავდი, მაგრამ მოვისაზრე, მუხლი მუცელში შევაპარე და მთელი ძალით დავკარი, საწოლიდან თავდაყირა გადმოვარდა, მაგრამ არ დაიბნა და ისევ იერიშზე გადმოვიდა, ჩვენ ხომ მთლად შიშვლები ვიყავით, მე ის ვერ დავიჭირე, ვერ დავიმორჩილე, თევზივით მისრიალდებოდა ხელიდან და იბრძოდა სხეულის ყველა ნაკვთით, ხელით,

ფრჩხილებით, ფეხებით, კბილებით და რა ვიცი კიდევ რით არა, არ ვიცი, როგორ შესძლო, სახეში ფეხი დამარტყა და დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რაღაც ძალით ჰაერში ავვარდი და ძირს დავენარცხე, სათესლე ორგანოზე ფრჩხილებით ჩამაფრინდა, მაგრამ ფრჩხილებით რომ ვერ გამოგლიჯა, კბილებით მეცა და პირველსავე მცდელობაზე ასო წამაკვნიტა, გავმწარდი, წამებაში მკლავდა „აფთარი“ და სანამ გრძნობას დავკარგავდი, კისერში მოვასწარი ხელის მოკიდება, წარმოგიდგენია, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, გამიღიმა კიდეც და ახლოს მოიწია ჩემსკენ, შევატყვე, უკვე კმაყოფილი იყო, მიზანს მიაღწია და დამნებდა! მე ყელთან ორივე ხელი შევაერთე და მარწუხივით შემოვუჭირე, მან ხელები წელზე შემომხვია, მკერდი ჩემს მკერდს მოასრისა და გაიტრუნა. ასე ვიყავი რამდენიმე წუთი, შემდეგ ფეხის თითები აუძიგძიგდა, ხელები უფრო მაგრად შემომიჭირა, წუთიც კიდევ და ყველაფერი დაწყნარდა...

სისხლისაგან ვიცლებოდი, გაჭირვებით ჩავიცვი და ტელეფონამდის მივხოხდი. სასწრაფო დახმარებას გამოვუძახე. ყურმილი დავდე თუ არა, იატაკზე პისტოლეტი ავიღე, ლულაში მხოლოდ ერთი ჰილზი მოვათავსე და შუბლზე მივაბიჯინე ჩემს შეყვარებულს... ამჟამად პისტოლეტს არ უმტყუნია, დამპალი საზამთროსავით გასკდა თავის ქალა...

მე ჰოლში გამოვედი, კარი ჩავკეტე და სასწრაფოდ დახმარებას დაველოდე, მახსოვს, საკაცეზე რომ დამაწვინეს და სასწრაფო დახმარების ავტომობილში შემაცურეს, შემდეგ გრძნობა დავკარგე და მხოლოდ საავადმყოფოში დამაბრუნეს სააქაოს, მეზობლების დახმარებით ადვილად მომაკვლიეს და მეორე დღესვე დამიყენეს მცველები პალატის კართან!

– აბა ახლა რაღა გეშველება, იარაღწაკვნეტილ ადამიანს? – ნაღდად შეებრალა გივის მამაკაცის ღირსებადაკარგული ადამიანი...

– ხელოვნური გამიკეთეს საავადმყოფოში და ნაპოლეონის ჯარისკაცივით სულ ფეხზე დგას თავის სადარაჯოზე, – კმაყოფილებით გაეღიმა იგორს.

– ხომ იყავი დარწმუნებული, რომ დაახრჩვე, ტყვიას რატომ ესროდი?

– სწორედ ეგ მითხრა გამომძიებელმაც, სუფთა თავდაცვა მქონდა, რომ ტყვია არ მესროლა, მაგრამ ისე ვიყავი გამწარებული, შემწვარი რომ ყოფილიყო შევჭამდი!

– აი, ხომ ხედავ! – წამოიკნავლა კუთხეში ნარზე წამომჯდარმა პეტრემ – ადამიანი მოუკლავს, აქ კიდევ მე მიპირებს მოკვლას, შემცდარია მართლმსაჯულება, უნდა დაეხვრიტათ! მე თუთიყუში მოვკალი და ამიტომ დამიჭირეს. ადამიანი ადამიანია, თუთიყუში კი თუთიყუში, მაგრამ კანონი არ არის კანონი და სამართალი საერთოდ არ არსებობს!

– თითიყუში მოკალი? მერე ამისთვის დაგაპატიმრეს? არ უნდა მოგეკლა, ალბათ, არ იყო ნადირობის სეზონი! – გამოეპასუხა გივი.

– ნადირობის სეზონი კი არა, ის კიდევ! თუთიყუში ბაზარში მოვკალი!

– ბაზარში?! არ შეგეშინდა, ტყვია ადამიანს რომ მოხვედროდა?

– ტყვია არა ის კიდევ, თავი წავაწყვიტე!

– ვახ, რა საინტერესო ამბავია, მოგვიყევი რა!

– რა მოყოლა მოგინდათ, საინტერესო ამბავი კი არის, მაგარმ არ არის იმ სიგრძე ისტორია, იგორმა რომ გაჭიმა ვიღაც ბოზის მკვლელობაზე...

– შენ არ გაჩუმდები, სანამ ფეხებს არ გაგაჭიმინებ? – გადაუბღვირა იგორმა.

– ჰო, კარგი, კარგი! მყავდეს ჩემი ბიჭები აქ, ჩვენ სხვაგვარად ვილაპარაკებდით, ახლა კი შენმა აჯობა, მაგრამ მოვა დრო, ჩემი აჯობებს!

– შენ გითხრეს, მოეშვი ასეთ ლაპარაკს და მოგვიყევი თუ-

თიყუშის ამბავს, შე მართლა თუთიყუშო, თორემ თუთიყუშივით რაღაცას დაიჩურჩუტებ და სწრაფად თუთიყუშივით გაგბდღვნიან... – გააფრთხილა გივიმ.

– ჰო, ხომ გითხარით, თქვენმა ავჯობა, მითუმეტეს ორნი ხართ...

– შენი დედა... მარტო, რომ ვიყო, ნეტავი რას იზამ? – კბილები დააკრაჭუნა იგორმა და ზეზე წამოდგა.

– ჰო, კარგი, დაბრძანდი, თქვენ მგონი თუთიყუშის ამბავი გაინტერესებდათ! – წამოიძახა პეტრემ და გასაქცევ ადგილს დაუწყო ძებნა, მაგრამ იგორი დამჯდარი რომ დაინახა, დამშვიდდა და ხმის კანკალით დაიწყო:

– ჩემს ახლად შერთულ ცოლთან ერთად ბაზარში დავსეირნობდი, სწორედ იქ გავიარეთ, სადაც ფრინველები იყიდება, ერთ პატარა ბიჭს თუთიყუში ჰყავდა გასაყიდად. მომეწონა და შევევაჭრე, თუთიყუშს კი რატომღაც არ მოვეწონე და შემაგინა, ახლად მოყვანილ ცოლთან შეურაცხყოფა მომაყენა და მოვუთმენდი?

– არ უნდა მოგეთმინა! – შეაგულიანა გივიმ.

– ჰო და არც მომითმენია, ბიჭს ხელიდან გამოვსტაცე თუთიყუში და თავი წავაწყვიტე.

– ყოჩაღ! – ახლა კი შეაქო გივიმ.

– ჰო და ატირდა თუთიყუშის მფლობელი ბიჭი. სად იყო და სად არა, მილიცია გაჩნდა, გაქცევა ვერ მოვასაწრი და დამიჭირეს!

– მე მაინც ვერ გავიგე, ბიჭმა შეგაგინა და თუთიყუშზე იყარე ჯავრი? თუთიყუში რა შუაში იყო?

– როგორ ვერ გაიგე, ბიჭმა კი არა, თუთიყუშმა შემაგინა!

– ვახ! მოლაპარაკე თუთიყუში იყო? თავი წააწყვიტე მოლაპარაკე თუთიყუშს და ორ წელიწადს დაგავჯერეს?

– მოლაპარაკე ჩემი სიდედრი რომ არის, ისეთი უნდა, მუქთად დავუთმობდი იმ ბიჭს თუთიყუშის სანაცვლოდ!

– მერე რაო, ბიჭმა არ ისურვა შენი სიდედრი?

– ბიჭი აღარ მინახავს, მოსამართლეს ვუთხარი და ბევრი იცინა, ჩემი სიდედრიც იქ იყო სასამართლოზე. მგონი მოეწონა კიდეც, მაგრამ რომ მოწონებოდა ორ წელიწადს რაღატომ მომისჯიდა?

– ვაი, შენს ჭკუაზე იარა შენმა მოსამართლემ! – უთხრა გივიმ და იგორთან ერთად ბევრი იცინა...

– ცოდოა საპყრობილეში ადამიანი, მითუმეტეს თუ ასეთები სჭარბობს, – თქვა იგორმა. – პატიმრობა ადამიანის ცხოვრებაში, ყველაზე რთული პერიოდია, ამას ვერ გაიგებს ის ადამიანი, ვისაც პრაქტიკულად არ განუცდია, არა მარტო ხელისუფალთა, არამედ მოძმეთა მტრობაც, სუფრის კოვზით არ გადაუთვლია ხამსას თევზის თავებით მოხარშული სალაფავი, რომელსაც ჩვენ „უხას“ ვეძახით... ეჰ, საპყრობილე რა იქნებოდა უჩვენოდ, ვერ წარმომიდგენია, გული მტკივა, რომ ვხედავ ჩვენზედ უარესებს, საპყრობილეს მიღმა რანიც არიან, შენ სხვაგვარად არ გამიგო, გივი, თითქოს მე ვემალებოდე სასჯელს ჩადენილ დანაშაულზე! არა, ღმერთია მოწამე, თავის ბედს თვითონ ატრიალებს კაცი წაღმაც და უკუღმაც, წაღმა ტრიალსაც ტკბილად შევხვდი და უკუღმა ტრიალსაც ვაჟკაცურად დავუხვდი! მაგრამ მე გული იმ ჩინოვნიკებზე მწყდება, ვინც ჩვენზე მეტ ბოროტებას სჩადიან და პასუხისმგებლობის კი არა იციან რა, ვერ გამიგია, უფალმა სახარება მარტო ჩვენთვის იქადაგა და კანონმდებლებმა სისხლის სამართლის კოდექსი მარტო ჩვენთვის დაწერეს? გიჟთა ფერხული ყოფილა ეს ცხოვრება, გინდა თუ არა, უნდა ჩადგე წრეში და იტრიალო ხან წაღმა, ხანაც უკღუღმა...

– შენც სულ წაღმა იტრიალე, შენი ნება არ არის?

– არ გამოგივა, ერთ მხარეზე ტრიალმა ბრუ იცის, ვიცი, შენ ბევრი გეყოლება ნანახი წაღმა ტრიალით მწვერვალს მიღწეული და შემდეგ უფსკრულს დანარცხებული!

– უკუღმა რომ ვიტრიალოთ?

– უკუღმა ვტრიალებთ და ეს არის, მაგრამ ასეთი ტრიალით მწვერვალს ვერასოდეს მივაღწევთ, ასეთმა ტრიალმა უფსკულლი იცის და იშვიათად თუ ასწევს თავს ადამიანი, იხილოს მწვერვალი...

– როგორ? გქონიათ ოდესმე სურვილი მწვერვალისთვის მიგეღწიათ?

– სურვილი ყველა ადამიანს აქვს, ზოგიერთი შეუძლებელსაც კი ეპოტინება, მე ოთხწლიანი „სკოლით“ იმხელა გამოცდილება დავაგროვე, რომ თავისუფლად დავიპყრობდი ნებისმიერი მწვერვალის სიმაღლეს, მაგრამ ეშმაკი გადამეღობა წინ ქალის სახით, მომხიბლა მომაჯადოვებელი ღიმილით, რა ვიცოდი, რომ ღიმილის მიღმა ბოროტება იმალებოდა. მე ვერც წარმომედგინა თუ ქალებს ესოდენ ძლიერი სიყვარული შეეძლოთ, ქალმა ნებაყოფლობით თავი მოგაკვლევინოს, ეს ფაქტი დღესაც შეუძლებლად მესახება!

– სამყაროს ორი საწყისი აქვს, – წამოიკნავლა კუთხეში წამომჯდარმა პეტრემ, – სინათლე და წყვდიადი, სიკეთე და ბოროტება! პირველის მეუფე ღმერთია, მეორისა – ეშმაკი! შენი შეყვარებული პირველის მფარველობის ქვეშ ყოფილა, შენ კი ეშმაკის ცდუნების ქვეშ მოხვედრილხარ, შენ დამარცხდი!

– მერ როგორ დავმარცხდი, ის მოკვდა!

– სწორედ, რომ სიკვდილით გაიმარჯვა შენზე! ის უნდა მომკვდარიყო, რადგან სიკეთე სულია, ბოროტება კი მძორი, შენ ბოროტება გამოავლინე არა ნებისყოფის სრულ თავისუფლებაში, არამედ სიყვარულისა და ცხოვრების სახეობაში! მოკალი და გგონია ამით დაამარცხე სიყვარული! მაგრამ დაგავიწყდა, რომ სიყვარული უკვდავია, შენი ხელით მოკლულმა შენზედ ისე გაიმარჯვა, როგორც ქრისტემ იუდეველთა მეფეზე!

– ენა გაიჩუმე, თქვენ მაინც გიცნობთ „ახალ რუსებს“, ბოროტების მეტი არაფერი გიტრიალებს თავში, შენ მაკლიხარ კიდევ, განიკითხო ჩემი დანაშაული!

– ღმერთმა დამიფაროს, შენი დანაშაული განვიკითხო, ჩვენ არც ფიზიკურად ვგევართ ერთი-მეორეს და არც ბუნებით! თქვენ მკვლელი ხართ და თქვენში მხოლოდ ერთი ბუნებაა – „ბოროტება“, მე კი ორბუნებოვანი ვარ, ჩემში ბოროტებაც არის და სიკეთეც ბლომად მოიძებნება. აბა, თვითონ განსაჯე! მე „ახალმა რუსმა“ ბოროტება ჩავიდინე, კაცი გავძარცვე, რომელიც ერთი ხელის დაკვრით იყო გამდიდრებული! თანხა არ მიმითვისებია, ერთი ბოთლი ლუდიც არ დამილევია ნაძარცვი ფულით, სულ მთლიანად მათხოვრებს დავურიგე და სიკეთე დავიმსახურე! მე არ ვიცი, ბოროტება სიკეთემ გადაფარა თუ არა და არც მაინტერესებ, მხოლოდ მეამაყება, რომ ჩემს ორგანიზმში ორი ბუნებაა და მე შემიძლია ბოროტება ჩავიდინო და სიკეთით გადავფარო, შენ კი ქალი მოკალი, ოჯახის ანგელოზი, რომელზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული, პირველ რიგში, შენი ჭირვეული ხასიათის მორბილება, ოჯახის კეთილდღეობა, შენი პიროვნების სიკეთისაკენ შემოტრიალება... ჯანმრთელი მამაკაცის ტვინზე, ლამაზი ქალის დანახვამ ისე უნდა იმოქმედოს, როგორც ახალბედას ორგანიზმზე ნარკოტიკმა, შენ კი ჰკლავ, ჰო, თუმცა დიდი დოზით მიღებული ნარკოტიკიც ჰკლავს ადამიანს!

– შენ, ჰეი, თუთიყუშა, არ გეჩვენება, ბევრს რომ ლაყობობ?

– რა თქმა უნდა, გთხოვთ, მომიტევოთ! ჩემში ხომ ორი ბუნებაა, მე შემიძლია ჩემი შეურაცხყოფა მოგიტეოთ!

იგორს გაეღიმა, გივი კი სიცილს ვერ იკავებდა, პეტიას შიშით ნალაპარაკებს სიმართლეზე.

... სასამართლო პროცესიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ ფართოდ გააღეს გივის საკნის კარები და გამოიძახეს: „ტაბატაძე სვეშამი“. ეს გამოძახება კი იმას ნიშნავდა, რომ სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა გივის ამ ციხის კედლები, პატიმრების გადასაყვანად განკუთვნილი სპეციალური ავტომობილი ციხის კარებთან ელოდებოდათ, შემდეგ რკინიგზის სადგური, ჩიხში ჩაყენებული პატიმრებისათვის განკუთნვილი სპეციალური ვაგონი... ორთქლმავლის შეუჩერებელი რვასაათიანი სვლის

შემდეგ სეროვის რაიონის დაბა სოსვაში მიიყვანეს პატიმრები... ისევ ტაიგა, აქ რამდენიმე შრომა-გამასწორებელი კოლონია იყო ერთიმეორეზე გადაბმული, სახელმწიფოსათვის ტყის მოჭრისა და ჩაბარების გეგმა უნდა შეესრულებინათ პატიმრებს. ტაიგა კი მკაცრია და დაუნდობელი, რაღაც თვისებებით ქალსა ჰგავს, ლამაზი, თვლწარმტაცი, მაგრამ ღმერთმა არ ინებოს სიღრმეში შეგიტყუოს, ზამთარში გაგთოშავს, ზაფხულში კოღო გამოგწოვს სისხლს, თუ რამ დაგრჩენია ზონის ზედამხედველობისაგან...

„იატაკნიკები“ საკმაოდ ალოდინეს ალაყაფის დიდ ჭიშკართან, შემდეგ გვარით, სახელითა, მამის სახელითა და სასჯელის მიხედვით გამოიძახეს. დაახარისხეს და ზონაში შეუშვეს. ზონაში შესვლისთანავე პოლკოვნიკი ჩიბატოვი დალანდა გივიმ და გადაწყვიტა მისალმებოდა.

– სალამი, პატივცემულო მოქალაქე – ლეიტენანტო!

– ოჰ, გამარჯობა გივი! შენს მოსვლას ვახლავართ, მაგრამ მე ლეიტენანტი კი არა, პოლკოვნიკი გახლავართ! – უპასუხა ჩიბატკოვმა.

– ვხედავ, უფროსო, თქვენს სამხრეებს, მაგრამ მე თქვენ ლეიტენანტი მახსოვხართ და მინდა ჩემს მეხსიერებაში ახალგაზრდად დარჩეთ!

– ეჰ, გივი, არ ველოდი თუ გნახავდი კიდევ, მე თქვენ გულით გამოგიტირეთ!

– რომელი სიკდვილით მიტირეთ უფროსო?

– რა ვიცი, დაგწყვეველოს ეშმაკმა, აწი თუ მოკვდები, იცოდე აღარ გიტირებ!

– არა, აწი აღარ მოვკვდები, გადავწყვიტე, კეთილსინდისიერად მოვიხადო სასჯელი!

– ჰო, ასე სჯობია, ვაჟკაცი ხალხი მეც მენანება. – უთხრა პოლკოვნიკმა.

რამდენიმე წუთში ზონამ გაიგო გივის დაბრუნება და საპატიო ადგილიც მიუჩინეს.

მეორე დღეს ლიუდამ მოახერხა გრძელვადიანი პაემნის უფლება მოეპოვებინა გივისთან შესახვედრად.

– როგორ მოახერხე ასე უცებ ჩემთან შეხვედრა? – შეეკითხა გივი.

– აქ ბინა ვიყიდე და ერთი კვირაა გელოდები, წინასწარ ვიცოდი, რომ აქ მოგიყვანდნენ, შენი თავი კი თანამეცხედრედ გამოვაცხადე და შეხვედრის უფლებაც მოვიპოვე.

– თანამეცხედრობას ხელის მოწერის საბუთი არ უნდა?

– არ არის აუცილებელი, არც ლენინს ჰქონდა ხელი კრუპსკაიასთან მოწერილი, მაგრამ შეხვედრის უფლებას აძლევდნენ...

– ის ლენინი იყო, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი!

– შენ გივი ხარ, ჯოჯოხეთის დევნილი სული!

– ნუთუ ამ ამბით რაიმე პრივილეგიები მაქვს?

– როგორ არა, შენ დაუსწრებლად მთელი სამმართველო გიცნობს, თვით გენერალიც კი, ახლა ყველა ესწრაფვის შენთან შეხვედრას!

– მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, მაღალჩინოსნებმა მოინდომონ ჩემი ნახვა...

– ეს მათ უთხარი, როდესაც შეხვდები, მე რას მიყვები, ისედაც კარგად ვიცი, რაც გააკეთე! ალბათ მათ იციან ცოტა რამ, ხომ ხედავ შეხვედრას გიწყობენ...

– მე მგონია, მაშინ მეტი ხალხი მომიწყობდა შეხვედრას, ჯალათებს დასახვრეტად რომ წავეყვანე!

– ოჰ, ღმერთმა დაგვიფაროს! ისე კი ძალიან შიში მქონდა. ვერ გიმხელდი ჩემს მწუხარებას და ჩუმად მუდამ თვალცრემლიანი დავიარებოდი...

– ეშმაკი არც ისე საშიში ყოფილა, როგორც ხატავენ, ხომ ხედავ, ყველაფერი კეთილად დასრულდა!

– ნეტავი გენახა ნატაშა და ჩემი დედამთილი, იგორის დედა, როგორ განიცდიდა შენს დაპატიმრებას, მე საკუთარი დარდი მ კლავდა და მათმა წუწუნმა მთლად მომიღო ბოლო...

– ახლა სად არიან, შენთან ერთად ცხოვრობენ თუ იქვე დარჩნენ მამა-პაპისეულ კერაზე?

– ჩემი დედამთილი არ შორდება თავის თბილ კერას, ამბობს, რომ არსადაც არა ვარ წამსლველი, აქ უნდა დავიმარხოო... ნატაშა კი შენ პატარა ხომ აღარ გგონია, შეყვარებული ჰყავს ქალბატონს და დღეს თუ ხვალ გვირგვინს დაიდგამს! დედამთილს კი უნდა თავისთან მიიყვანოს სიძე და იცხოვრონ ბედნიერად! მითხრეს: „წადი, თავს მიხედე. შენ კიდევ გაატარებ ერთ ახალგაზრდობასო“ და არ დაუშლიათ შენი სიყვარული!

– შენც ნახე კაცი, ვინც უნდა შეიყვარო...

– მართლაც შესაყვარებელი ხარ და იშვიათი ეგზემპლიარი, შენისთანა ადამიანი რომ ყველა იყოს, არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი მსოფლიო დღეს კომუნიზმში იცხოვრებდა. არ თქვა ახლა, „კომუნიზმი მცდარი მოძღვრებააო“...

– მთლად ნუ გადაამლაშებ ჩემს ქებას, მე ხომ ვიცი, ვინცა ვარ?

– არ იცი, არა, გივი! შენ მხოლოდ ცუდ ზნეს მისჩერებიხარ შენში და ვერ წარმოგიდგენია თუ სიკეთეც ბუდობს შენს ორგანიზმში! მე შენს სიყვარულში არ შევმცდავარ, კაცს ყველაფერი უნდა შეეძლოს, კეთილიც უნდა იყოს და ბოროტიც! სწორედ ისეთი, როგორიც შენა ხარ. კაცი მარტო იმისათვის რომ შეიყვარო, რომ ის კარგი მშრომელია და ხელფასი უკლებლივ მოაქვს ოჯახში, ეს იგივეა, სახლი რომ იყიდო ქოთნის გულისათვის, რომელშიც ყვავილია ჩარგული!

– ღმერთმა კეთილად დააგვირგვინოს შენი ფიქრები, ყველა დიდი თუ პატარა საქმის საყრდენი იმედია, თუ გამარჯვების იმედი გაქვს, გაიმარჯვებ კიდეც, თუ რწმენა და იმედი დაჰკარგე, წასაქცევად ფეხის გადაბრუნებაც კმარა, ჩემი შეყვარება, არა მარტო მომავლის იმედთან, არამედ გამბედაობასთანაც არის დაკავშირებული, შენ გავიწყდება, მე დღეს პატიმარი, რომ ვარ, პიროვნება დაცემული და დაჩაჩანაკებული, ვიმყოფე-

ბი სიკვდილის ბანაკში და შენ რა გარანტია გაქვს, ცოცხალი რომ დაგიბრუნდები?

– თავს ნუ იკატუნებ, შენისთანა ვაჟკაცები არ კვდებიან, ხშირად არწივი ქათამზეც დაბლა დაეშვება ხოლმე, მაგრამ ამით არწივს ღირსება არ ეკარგება და ვერც ქათმებიგაინავარდებენ ლაჟვარდში არწივივით... შენ ამ სასჯელსაც მოიხდი და ისევ ძველებურად აფრინდები!

სამი დღე-ღამე, რომელსაც გრძელვადიანი პაემანი ჰქვია, არ მარტო ხორციელ ალერსში გაილია, არამედ სულიერ იმედში და მომავლის გრანდიოზული გეგმების დასახვაშიც! გივიმ რომ იგრძნო ქვეყნად ვიღაცას უყვარდა, სულ სხვა თვალით შეხედა სამყაროს, მას უკვე ბოროტმოქმედი აღარ ეთქმოდა, მის ორგანიზმში ბრალდებულის სისხლიც ბობოქრობდა და ბრალმდებელისაც! თვითონ გახდა თავისი თავის მოწმეც, მსაჯულიც, მოსამართლეც და ჯალათიც! შეიცვალა ახალი სტილის სასიკეთო მოაზროვნედ! გააღრმავა სიბრალული და დამოკიდებულება პატიმართა მიმართ. გახდა უფრო შემწყნარებელი, ჰუმანური, გულახდილი, თბილი და კეთილი! გადაწყვიტა პატიმრებისათვის მიეცა მთლიანი თავისუფლება! არ განეკითხა მათი არც კარგი და არც ცუდი საქმიანობა! მოკლედ „არ შემეხო – არ შეგეხების“ მორალით განშორდა ლიუდას და შეაბიჯა ბოროტმოქმედთა სამყაროში...

„ადამიანი არის მთლიანად კაცობრიობა“ – ამბობს გოეთე და მართლაც მოაზროვნე არსება თავისი გონებრივი მონაცემებით დაუკავშირდა ბუნებას და შესძლო თავის სასარგებლოდ გარდაექმნა იგი. მეცნიერების მონაცემებით ადამიანის თანამედროვე ტიპი, ხანგრძლივი ევოლუციის მანძილზე და აუტანელი კლიმატური პირობების მიხედვით, შედარებით უცვლელ ანატომიურ და ფიზიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ამით აიხსნება, რომ ადამიანის ორგანიზმი ყოველგვარ პირობებს ეგუება.

მცდარი მოსაზრებაა, თითქოს მაიმუნისაგან წარმოიშვა ადამიანი, არა! ადამიანი – ადამიანისაგან არის წარმოშობილი. მაიმუნისაგან რომ იყოს წარმოშობილი, მაშინ მეტი ურთიერთობა ექნებოდა ადამიანს ადამიანთან და მეტი ლმობიერება. „ადამიანი არის საზოგადოებრივი განვითარებული ცხოველი" – ამბობს არისტოტელე და ჩემი აზრით, არისტოტელეს მოსაზრებაც მცდარია... თუ ჩვენ ერთი წუთით შევიხედავთ დამნაშავეთა სამყაროში, დავრწმუნდებით რომ ადამიანს არავითარი განვითარებული ცხოველობა არ ეთქმის. აქ არ იციან, რომ ადამიანი – ადამიანის სხეულის ნაწილია! არ იციან, რომ საკუთარ გულს ისეთივე სისხლი ამოძრავებს, როგორიც გვერდით მყოფი ადამიანისას, არ იციან, რომ ადამიანის ღალატით საკუთარ სხეულს ღალატობენ! არ იციან, რომ აქ ყველანი ძალმომრეობისათვის არიან თავმოყრილი და მაინც ძალმომრეობაზე ოცნებობენ, რომელიც თავისუფალი სამყაროდან მოედინება... აქ მხოლოდ ცოტა ზედმეტად იჩინა თავი შუღლმა, სიხარბემ და ბოროტებამ, რადგან მათი მატერიალური შესაძლებლობა შემცირდა და ადამიანზე რა ცვლილებებიც ვერ მოახდინა ბუნების სიმკაცრემ, თვით ადამანის ზეგავლენამ შესძლო...

ადამიანმა ძლიერმა და სუსტმაც, ორივემ, განიცადა აკლიმატიზაცია, და ორივე მხარე შეეგუა ახალ საარსებო პირობებს, ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლა მემკვიდრეობით არ გადაიცემა, არამედ განისაზღვრება ორგანიზმის მოთხოვნილებათა ნორმით.

დანაშაული ადამიანის ბუნებასა და თვისებებში იმალება, და არავინ არ არის დაზღვეული, პატიმართა ხვედრი თავიდან აიცილოს. დანაშაული ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიცაა დაბადება და სიკვდილი!

დაბადება ინდივიდუალური მოწიფულობისა და განვითარების კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც მოწიფულობის პერიოდს მოსდევს და ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების კანონზომიერი განვითარებით ხასიათდება. დაბადება ასაკობ-

რივი უჯრედების განვითარებისა და მოწიფულობის ერთობლიობაა, რომლებიც თანდათან ვითარდებიან და გარემოსადმი ორგანიზმის შეგუების შესაძლებლობას ქმნიან!

სიკვდილი კი ორგანიზმის ცხოველმოქმედების შეწყვეტაა, რაც განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმის დაღუპვას! სიკვდილი ცოცხალ ორგანიზმში უჯრედთა კომპლექსის, მთელი ორგანოს ან სხეულის ფუნქციათა განვითარებისა და არსებობის შეწყვეტაა. რაც ბუნებრივ კანონზომიერებად ითვლება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტრავმულ ან ხელოვნურ მოკვდინებას! ასეთივე კანონზომიერებას ვხვდებით მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშიც. დანაშაული, როგორც ადამიანთა ცხოვრებაში, ასევე ბუნებაშიც გვხვდება: ჩვენ არ შევეხებით ტროპიკულ მცენარეთა ჯგუფს, რომლებიც ერთი-მეორის სიცოცხლით იკვებებიან. მხოლოდ თვალი გადავავლოთ საქართველოს ბუნებას და დავინახოთ მსხალზე ან სხვა კულტურულ მცენარეზე ამაყად წამოსკუპებული ფითრი და წარმოვიდგინოთ, თუ რა თავგამოდებით წუწნის „სისხლს“ კეთილშობილ მცენარეს ეს პარაზიტი... დანარჩენს მკითხველი თვითონ მიმიხვდება და არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, უფრო დაწვრილებით მოგითხროთ თუ როგორ იკვებებიან ცხოველები ერთიმეორის სისხლით, თუ როგორ შთანთქავენ თევზები ერთიმეორეს და მწერებიც კი როგორ ცხოვრობენ ერთიმეორის ხარჯზე, როდესაც თავისუფალ სამყაროში ასეთ ქაოსს ვხვდებით, ახლა თვითონ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რა პირობები იქნება ბოროტმოქმედთა სამყაროში და როგორი ბრძოლა – პირველობისათვის.

გივის აზრადაც არ ჰქონდა ბრძოლა პირველობისათვის! მან სასჯელის მიღებამდე გადაწყვიტა, კეთილსინდისიერად მოიხადოს სასჯელი და საკუთარი გვარითა და სახელით დაუბრუნდეს ოჯახსა და სამშობლოს, ამ რწმენითვე შეაბიჯა მკაცრი რეჟიმის შრომა-გამასწორებელ კოლონიაში, წყნარად და თავაზიანად ეპყრობოდა ყველას, მაგრამ ზონას ელვის სისწ-

რაფით მოედო ამბავი მისი წარსულისა და ბევრმა გადაწყვიტა გივიზე ბატონობა, რათა თვითონ აემაღლებინა თავისი სიმამაცე და ხელსაყრელ დროსა და ვითარებას ეძებდნენ, ბრძოლაში გამოეწვიათ...

ადრესატი გრძნობდა ზოგიერთი თვითმარქვია „მაგარიბიჭის“ გამომწვევ მზერას, მაგრამ პირველს არ უნდოდა მათთან დაპირისპირება და გადაწყვიტა ჩაგრული მუშების ქომაგი გამხდარიყო... ასე გადიოდა დღეები და თვეები. ტყეში მომუშავე მშრომელმა პატიმრებმა შვებით ამოისუნთქეს. მათ უკვე ველარავინ ართმევდა კუთვნილ ულუფას, მაგრამ გივიმ მტრებიც ბლომად შეიძინა. ვინც დაჩაგრულ პატიმრებს ულუფას უწუწნიდა, ყველა მისი მტერი გახდა, იგი თითქოს ვერ ამჩნევდა მათ აგრესიას, მაგრამ გრძნობდა, რომ მის მტრებს კარგი არაფერი დაემართებოდათ, ყოველ შემთხვევაში იყო თავდასაცავად და მაშინაც კი სიტუაციის განმუხტვას ეცდებოდა.

„სიკეთისათვის ვარ დაბადებული, ჩემი გზა ფართოა, უფალი მფარველობს“, იტყოდა ხოლმე გივი და წყნარად დააბიჯებდა მავთულხლართების მიღმა... კარგად იცოდა სიკეთის ეთიკა, რომ ქცევა მაშინ ჩაითვლება სიკეთედ, როცა მისი შედეგი სასარგებლოა ვინმესთვის და არავისთვის საზიანო არ არის, როცა იგი ემსახურება სიმართლეს და ჩაგრულთა დაცვის ინტერესებს, სიკეთე სუბიექტური გამოხატულებაა ადამიანის კეთილი ნებისა. კეთილ ნებად კი მიიჩნევა: სიმპათიით, თანაგრძნობითა და სიყვარულით აღსავსე ნება. პიროვნება მაშინ არის კეთილი, როცა იგი ეხმარება სხვა ადამიანებს და ემსახურება საზოგადოებას, შეგნებულად, საკუთარი ნებით და უანგაროდ. გივი კმაყოფილი იყო თავისი თავისა, რომ თავის ხვედრს ხიფათში იგდებდა და ემსახურებოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმეს, სამართლიანობისა და ჩაგრულთა დაცვის ინტერესებს. არავის აშრომებდა თავის სასარგებლოდ, ეჯავრებოდა მონაცა და ბატონიც, წინდასაც არ გაარეცხინებდა დაჩაგრულს და არც სხვას აძლევდა უფ-

ლებას ებატონათ... თვითონ ლიუდას წყალობით, მუდამ სუფთად დადიოდა, მუდამ სავსე იყო სხვადასხვა პროდუქტით მისი განჯინა...

ლამაზია ციმბირის ზაფხული, მართალია კოღო ძალზედ შემაწუხებელია, მაგრამ ადამიანი ბუნების ამ პარაზიტს დიდ ყურადღებას არ უთმობს და სიკოხტავე ყველგან ძირითადი საკითხია ადამიანისათვის, ამიტომ ახალი ტანსაცმელი მოუტანა ლიუდამ გივის, მაგრამ შეხვეული ოდნავ დაკუჭულიყო და ხალათი ხელახლა გაუთოებას საჭიროებდა. ამიტომ გივი მეორე დღეს სწორედ იმ ოთახში შევიდა, რომელიც ტანსაცმლის გასაუთოებლად იყო განკუთვნილი, აქ ორი გრძელი მაგიდა იდგა და ზედ ორი ელექტროუთო ემსახურებოდა ნებისმიერ პატიმარს. გივიმ ელექტროუთო ჩართო და ხალათის გაუთოება იწყო, კარები ჯიქურ გაიღო, ოთახში წელზევით შიშველი მიშენკოვი შემოვიდა, მას ხელში დაკუჭული ხალათი ეჭირა, მიშენკოვი დროს ეძებდა, როგორმე გივი დაემცირებინა და თავისი მარკა აემაღლებინა, ამიტომ სწორედ ხელსაყრელ დროდ ჩათვალა ეს მომენტი და ორი ამხანაგის თანხლებით გივის მიუახლოვდა: მიშენკოვი წარმოსადეგი ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ქერა, ერთი მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი სიმაღლის იქნებოდა, ჩაცმული უკეთესი ჩანდა, ხოლო ახლა წელზევით შიშველი არც თუ ლამაზად გამოიყურებოდა, თავისი უკუნთო, უთმო და თეთრი მკერდით. მიშენკოვმა ხალათი მიუგდო გივის და უბრძანა – პირველად ჩემი გააუთოვეო!

გივის არც მიუხედავს მიშენკოვისაკენ, უთოს ნელი მოძრაობით მიაწვა მიშენკოვის ხალათს და მაგიდიდან ძირს გადმოაგდო...

– შენ გელაპარაკებიან, ახვარო! – კბილებში გამოსცრა მიშენკოვმა და გივის ხელი ისე გამეტებით მოუქნია, აცდენილის შედეგად ადგილზე შემოტრიალდა, გივის გაეღიმა, მიშენკოვი კი ახალი თავდასხმისათვის მოემზადა, მაგრამ ხელი აღმართა თუ არა, გივიმ დაასწრო და ცხელი უთო ისე მაგრად შემოჰკ-

რა ყბაში, რომ ღრანჭის ძვლის ლაწანმა მიშენკოვის ამხანაგები დააფრთხო და მყისვე მიიმალნენ, მიშენკოვმა იატაკზე მოადინა ბრაგვანი. გივიმ მუცელზე მუხლი დააჭირა, რომ არ განძრეულიყო და შიშველ მკერდზე ცხელი უთო დაადო. რამდენიმეჯერ მოვიდა მიშენკოვი აზრზე, გაბრძოლებაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ, უთომ კი ქონის გუბე დააყენა და ნავივით დაიწყო შიგ ცურაობა.. გრძნობადაკარგული მიშენკოვი უთოს ქვეშ დატოვა გივიმ, გაუთოებული ხალათი ჩაიცვა და მშვიდი ნაბიჯით გამოვიდა ოთახიდან, მაგრამ ოთახის კარებთან ადმინისტრაციის თანამშრომლები შეეჩეხნენ, მიშენკოვის ორმა მეგობარმა, რომლებიც გაიქცნენ, ადმინისტრაციას შეატყობინეს გივის „თავხედობა“, ოპერატიული მუშაკებიც დაუყოვნებლივ წამოვიდნენ შემთხვევის ადგილისაკენ. ასეთია მიშენკოვისებური ძმაბიჭების „კარგი ბიჭობა“ ზონაშიც უნდათ პირველი ადგილი დაიკავონ და ადმინისტრაციის მუშაკებთანაც არიან შეკრულნი... ღმერთო ჩემო, ყველაფერს კადრულობს ადამიანი მოძმეთა დასამარცხებლად და გასანადგურებლად...

არ ვიცი, ვინ შექმნა ადამიანი, მაიმუნმა თუ ღმერთმა, მაგრამ ერთი კი ნათელია, არც ღმერთი და არც მაიმუნი არ ურევია ადამიანის გაჩენაში, მაიმუნი რომ იყოს ადამიანის წინაპარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად ლმობიერი იქნებოდა ადამიანი მოძმეთა მიმართ, – ღმერთი რომ იყოს მონაწილე ადამიანის გაჩენაში, მაშინ იმ 15 მილიარდი თავის ტვინის უჯრედში, ერთ უჯრედს მაინც ჩადებდა ღვთიურს, რომელიც ღმერთსაც შეაყვარებდა როგორც მოძმეს და მოძმესაც, როგორც ღმერთს, ახლა კი ადამიანი საკუთარი სხეულის ნაწილის მტერი და ასე წარმოიდგინეთ, მოძმეზედ კი არა, მშობელზეც და ხშირად საკუთარ თავზეც აღმართავენ ხოლმე ხელს გასანადგურებლად.

გივი იმ დღესვე იზოლატორში ჩასვეს. მიშენკოვი კი ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსეს...

მძიმე სტადიის დამწვრობის დიაგნოზი დაუსვეს მიშენკოვს და მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა გრძნობაზე. საგამომძიებლო

დაკითხვის დროს აღიარა საკუთარი დანაშაული: „ღირსი ვარ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვატარო უადამიანობის დაღი“.

გივი როდესაც გაეცნო მიშენკოვის ჩვენებას თქვა: – „არაკაცებსაც ჰქონიათ სინდისის ნატამალი“.

იზოლატორიდან გივი მეორე დღეს გაიყვანეს ადგილობრივი საგამომძიებლო ორგანოს უფროს გამომძიებელთან დასაკითხავად ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ საქმის საწარმოებლად, გამომძიებელი თანამდებობის პირია, რომლის ძირითადი მოვალეობაა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოება. წინასწარი გამოძიებისას გამომძიებელი დამოუკიდებელია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოთხოვნით და თავის შინაგანი რწმენით... კანონის თანახმად, იგი ვალდებულია გამოიკვლიოს ბრალდებულის მამხილებელი თუ გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები. გამომძიებელს ევალება გამოავლინოს დანაშაულის ჩადენისა და მასთან დამაკავშირებელი მიზეზები, სწორედ ასეთი გამომძიებლის კაბინეტში შეიყვანეს გივი. გამომძიებლის გვერდით სამმართველოს უფროსის მოადგილე ჩიბატკოვი იჯდა.

– კეთილი იყოს თქვენ მობრძანება, გივი! – შინაურულად მიესალმა ჩიბატკოვი.

– მერჩია საქართველოში მეხილეთ ჩემს მამაპაპურ მარანში!

გამომძიებელი გივის სამმართველოს უფროსის მოადგილესთან საუბრებისას მიხვდა, რომ პატიმარი არ მიეკუთვნებოდა იმ მოკანკალე დამნაშავეებს, რომელთა საქმეც გამოუძიებია და გადაწყვიტა საქმეს სხვა მიდგომოდა. ამიტომ პირველი კითხვა ლმობიერებითა და ღიმილით დასვა:

– რა პირობებში ჩაიდინეთ ასეთი მძიმე დანაშაული და რატომ?

– ბატონო გამომძიებელო, გთხოვთ, ჩემს პასუხს ნუ დაენდობით, რაც დაზარალებულმა აღიაროს, მას დაეყრდენით!

– თუ დაზარალებული მკვდარია?

– როდესაც ცოცხალია?

– ცოცხალია, მაგრამ ექიმების მიერ გამომძიებელთან საუბარი აკრძალული აქვს.

– მე ხომ ხუთი წელიწადი მაქვს სასჯელი მოსახდელი, ასე რომ, დაველოდები მის გამოჯანმრთელებას ან უკიდურეს შემთხვევაში – სიკვდილს, გთხოვთ თქვენც დაელოდოთ!

გამომძიებელს გაეღიმა, ჩიბატკოვს კი ხმამაღლა გაეცინა:

– გივი, ნუთუ არ გრცხვენია, რომ ადამიანს, იგივე შენს მოძმეს სამუდამოდ დაღი დაუსვი და ჯერ საკითხავია გადარჩება თუ არა?

– ბატონო ლეიტენანტო, დასაბამიდან დანაშაულისათვის სხვადასხვა სასჯელი არსებობდა, მიშენკოვმა ეს სასჯელი დაიმსახურა, ჩემი ლმობიერების გამო, თუმცა უფრო მკაცრი სასჯელი ეკუთვნოდა. ჩადენილი დანაშაულისათვის სწორედაც არ მრცხვენია, მეამაყება კიდეც, რადგან თქვენ გბაძავთ, როდესაც ადამიანისათვის უმაღლესი სასჯელი „დახვრეტის“ განაჩენი გამოგაქვთ და სისრულეში მოგყავთ,. სრულებით არ გრძნობთ თავს დამცირებულად...

– გივი, შენ ნაღდი მებრძოლი ხარ და მინდა აქედან დაზარალებული არ გაგიშვა, გირჩევ ფრთხილად იყო!

– მე კი მინდა, ბატონებო, დამნაშავეთა სამყარო გავაადამიანო, მათში ჩაბუდებული მხეცი გავწვრთნა, დათვს ბაჯბაჯის ნაცვლად სწორად სიარული ვასწავლო, ავაზას, აგრესიის ნაცვლად – სიყვარული! რაც მთავარია, სასჯელმოხდილი პატიმრები ადამიანებად დაუბრუნდნენ სამყაროს...

– ოცდაათი წელიწადია ამ სისტემას ვემსახურები. მე ვერ შევძელი ის, რისი გაკეთების სურვილიც შენა გაქვს! ახლა წადი ზონაში, ერიდე დანაშაულს, თორემ იცოდე თავდებში აღარ დაგიდგები!

– ბატონებო, იცოდეთ, ჩემს ღირსებას მუდამ დავიცავ! – თქვა გივიმ და კარი გაიხარა.

– ამ ქართველმა არ იცის რუსის ძალა, – თუ აღსდგა რუსი, მან არ იცის მართალი და მტყუანი, სიკეთე და ბოროტება! ერთიანად თელავს ყოველივეს! – აგრესია იგრძნობოდა გამომძიებლის ხმაში.

– სწორედ ამაშია გივის სიძლიერე არ ეშინია სიმართლისათვის გათელვის! – გაეპასუხა ჩიბატკოვი ახალბედა გამომძიებელს.

– გივის სიძლიერეს და სიამაყეს რა მნიშვნელობა აქვს მათლმსაჯულებისათვის ამხანაგო პოლკოვნიკო, დანაშაული არის ჩადენილი ადამიანის მკვლელობის მცდელობით და ეს ბოროტმოქმედება სასჯელს ითვალისწინებს...

– სწორი ბრძანებაა, ამხანაგო ლეიტენანტო, სწორედაც სასჯელს ითვალისწინებს ასეთი დანაშაული განვითარებულ ადამიანთა სამყაროში. აქ კი, სადაც აღმზრდელობითი საწარმოა, სიმართლისათვის მებრძოლი აღმზრდელები სასჯელისაგან თავისუფლდებიან.

– ეს არა მარტო დანაშაულია, ამხანაგო პოლკოვნიკო, არამედ სადიზმია და ასეთი რეციდივისტის დაუსჯელობა დანაშაულად მიმაჩნია.

– სწორედ ასეთები არ უნდა დაისაჯოს, რომ მსჯავრდებულებმა იგრძნონ სიმართლისა და კანონის ძალა! მარცხმა უნდა შესძინოს მსჯავრდებულს გამოცდილება და გაუხსნას გონება, თორემ ციხემ მიჩვევა იცის. აქედან თუ გამარჯვებული გავიდოდა მიშენკოვი, თავს დაუმარცხებელ ტიტანად წარმოიდგენდა და ხვალ თუ არა ზეგ, ისევ ციხის კარებს მოადგებოდა... ახლა უკვე იწვნია ციხის სუსხი. ჩახვდა, რომ მასზედ ძლიერებიც არიან და გწამდეს ჩემი, ციხეს სათოფეზედაც აღარ გაეკარება.

– ჩვენ მიშენკოვს მეტად უნდა ვმფარველობდეთ. სხვა თუ არაფერი, ჩვენი კაცია, ზონის ყოველგვარ ცნობებს მაგისგან ვგებულობთ...

– სწორედ მასეთი ადამიანები არიან საშიში პიროვნებანი, გესტაპოელთა სამსახურს მაგონებს მაგათი თავდადება,

მტერთან – მტრისაა მოყვარე, მოყვარესთან მტერი! თავს კი მოყვარედ აჩვენებს! შენ არ იფიქრო, თითქოს მე მესიამოვნა მიშენკოვის წამება, არა, ღმერთო ჩემო, მეც ყოველდღე ისე ვილოცები, როგორც ძველი ინდოელები ილოცებოდნენ წარმოდგენების დამთავრების დროს: „იყოს ყველა ერი ტანჯვისგან თავისუფალი“. მაგრამ ადამიანი თვითონ ჰქმნის თავის ბედსაც და უბედობასაც. ლოცვა იმედია მხოლოდ. ადამიანს იშვიათად ასაზრდოებს იგი. თქვენ კი ნუ მიწყენთ და ჯერ ახალბედა ბრძანდებით ამ სისტემისათვის.

– სწორი ბრძანებაა, ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენ ჩემი წლოვანების პრაქტიკა გაქვთ მიღებული და მწამს პატიმრების ფიქრს, აღიარების გარეშე ხვდებით, მაგრამ პატიმრების აუღიარებელი ფიქრის ცოდნა როდი ნიშნავს, დანაშაული ჩრდილის ქვეშ მოვაქციოთ. თქვენ ბრძანეთ, „მიშენკოვი ციხეს მიეჩვეოდა თუ ციხის სუსხს არ იგემებდაო“, შეიძლება სწორი იყოს თქვენი მოსაზრება, მაგრამ ნუთუ ტაბატაძე არ ჩაიდენს მსგავს სადისტურ დანაშაულს დაუსჯელობით გათამამებული?

– არა! ტაბატაძე მსგავს დანაშაულს არ ჩაიდენს, თუ მის პირად ცხოვრებაში არავინ შეიჭრება!

– რატომ? რის საფუძველზე გაქვს ასეთი მტკიცე იმედი?

– ტაბატაძე თავისი ნება-სურვილით დაუბრუნდა ამ ჯოჯოხეთრ სამყაროს, რომ ადამიანური ყოველგვარი ვალი გაისტუმროს და სუფთა სინდისით ვალმოხდილი დაუბრუნდეს თავისუფლებას და იცხოვროს უშიშრად. შენ იცი ციხე რა არის და გამოცდილი ადამიანისათვის იქ დაბრუნება?

– ვიცი ციხე რაც არის, ამხანაგო პოლკოვნიკო. თურმე ზამთარში სიცივეა, ზაფხულში სიცხე და ულუფა კი არასოდეს არ არის საკმარისი...

– ჰო, ასეა, გცოდნია, მხოლოდ კარგი იყო ამ ცოდნისათვის „თურმე“ არ დაგეყოლებია. სხვადასხვაგვარად ყალიბდება ადამიანის ბედი. ტაბაქაძის ბედიც ნამდვილად არ იქნებოდა ჩვენს მიერ განკითხვის ღირსი, რომ ბედნიერი ვარსკვლავის

ბრუნვის ქვეშ მოხვედრილიყო. ადამიანისათვის მიუწვდომელია ბედის განაჩენი, ვერ გაიგებ, ზოგს რა ხიფათს უმზადებს, ზოგს რა სიამეს. გივიმ ბრწყინვალედ იცის მაცდური ბედის განაჩენი, მაგრამ არასოდეს არ დაუყრია ფარ-ხმალი. არასოდეს არ დაცემულა სულით, არ შეუწყვეტია განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის დახმარება, მუდამ იყო და არის ჩაგრულთა ქომაგი. „დიდი გონების წინაშე თავს დაბლა ვხრი, დიდი კეთილშობილი გულის წინაშე კი მუხლს ვიყრი“ – ამბობდა გოეთე და მიუხედავად ამისა გივი პატიმარია, მაინც ღირსია თავიც დავხაროთ და მუხლიც მოვიდრიკოთ მის წინაშე! მართალია მიშენკოვი სიამოვნებას ელოდა და უსიამოვნება მიიღო და ამით გივიმ ორმაგი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ გამიგეთ, როგორც სიკეთე ათბობს გულს, ასევე დანაშაულიც თბილია ხანდისხან!

– კი მაგრამ, რა მოხდებოდა, ტაბატაძეს ხალათი რომ გაეუთოვებინა მიშენკოვისათვის? დანაშაულიც არ მოხდებოდა და იქნებ მეგობრებადაც დარჩენილიყვნენ...

– შენ კი შეასრულებდი ასეთ ბრძანებას?

– უყოყმანოდ!

– ჰო, გივი იმიტომ არის დასაფასებელი, რომ შენისთანებს არა ჰგავს. გივი ბრძანების გარეშე გაურეცხავდა და გაუუთოვებდა ხალათს მიშენკოვს ან ნებისმიერ ადამიანს, თუ ის ავადმყოფი იქნებოდა, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანის ბრძანებას არც ამჟამად შეასრულებს.

ცხოვრება წიგნია. რასაც ყველა ადამიანი თვითონ წერს, მაგრამ როგორ უნდა დაწერო ცხოვრების წიგნი იცით. ღამით უნდა წაიკითხო ჯერ კიდევ დაუწერელი წიგნი. დღისით უნდა დაწერო სხვის წასაკითხად, სუფთად, ლაქების გარეშე... ისე, რომ ერთი სიტყვის გადაშლაც არ მოისურვო სიცოცხლის დასასრულის ჟამს.

თქვენ გამომძიებელი ხართ, სახელმწიფო მმართველობის სამსახურში იმყოფებით, მაგრამ ხანდისხან აუცილებელი ხდე-

ბა გვერდი ავუაროთ სახელმწიფოს მიერ დაწერილ კანონს და საკუთარი სინდისის კანონით ვიმოქმედოთ!

– მოხარული ვარ, რომ თქვენს გვერდით მიწევს სამსახური, ამხანაგო პოლკოვნიკო, იმედი მაქვს, თქვენგან ბევრ სიძნელეს შევიძენ!

– მე კი აღშფოთებული ვარ, რომ ვეკუთვნი მხეცების მომთვინიერებელთა ოჯახს, რომელიც თავის წიაღში ლაჩარ მხეცთა უნიკალურ ჯიშს ითვლის. თქვენ არ იფიქროთ, გაუწვრთნელ მხეცთა სილაჩრე გადმომდებოდეს, და სიმამაცე მაკლდეს, სასოწარკვეთილი ვიყო პატიმართა გამარჯვების თაობაზე. არა, პატიმრები ჩემი მტრებიც არიან და მეგობრებიც! რო მახსენდება როკასოვსკი! დღეს მეტი იმედი მაქვს ვაჟკაცი მსჯავრდებულებისა, ვიდრე ოდესმე დაუსჯელად შეიძლება ერთ პატიმარს აჰყარო მომავლის იმედი, მაგრამ შეუძლებელია პატივი აჰყარო პატიმართა ჯგუფს. მტრისას! ერიდეთ მათი ერთ მუშტად შეკვრას. მსჯავრდებულთა ლაგერის გული ფეთქავს, თუმცა იგი სრულიად ჯანსაღი არ არის, მაინც ძალა შესწევს დაავადებული და დასნეულებული გვერდით დაუდგეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ ადამიანებს, მიშენკოველებმა ღალატითა და თაღლითობით შესძლეს პატიმართა დაშინება, მაგრამ მსჯავრდებულთა შორის ყოველთვის გამოჩნდება უშიშარი მებრძოლი და როდესაც პატიმრები შიშისაგან განთავისუფლდებიან, საშინელი გააფთრებით აღსდგება და გაანადგურებს მოღალატეთა ბადეს.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, მეჩვენება, რომ თქვენ ზედმეტი იმედებს ამყარებთ ტაბატაძის მაგვარ პატიმრებზე.

– ზედმეტ იმედებს კი არა, გული წყდება, რომ სათანადო იმედებს ვერ ვამყარებ, მათ დიდებას მეტი ეკუთვნის. შენ არ გინახავს პატიმართა თავდადება ბრძოლის ველზე. შენ არ გინახავს გივის თავგანწირვა ადამიანის გადარჩენისათვის: მაშინ მეც შენსავით ახალბედა ვიყავი ლეიტენანტის ჩინით. როდესაც უმცროს გამომძიებლად დამნიშნეს, სიძულვილი არც მა-

შინ მქონდა მსჯავრებულების, ჩემს საქმესაც ბრწყინვალედ ვართმევდი თავს და მათთანაც ვმეგობრობდი.

ზაფხული დადგა, ყინვამ ლღობა დაიწყო და მდინარე კამაზე ხე-ტყე უნდა დაგვეცურებინა: შენ გინახავს ხე-ტყის დაცურება მდინარეზე?

– არა. ამხანაგო პოლკოვნიკო, არ მინახავს!

– ჰოდა პირველ რიგში მაგ, „ამხანაგო პოლკოვნიკოს“ მოეშვი. უბრალოდ სახელით მომართე და გეტყვი. რომ ხე-ტყის მდინარეზე დაცურება, ეს აღუწერელი სილამაზეა და განუმეორებელი შთაბეჭდილება... აბა, თვითონ წარმოიდგინე, როდესაც მდინარის ზედაპირი იყინება. პატიმართა მრავალრიცხოვანი ბრიგადა მდინარეში აშტაბელებს რამოდენიმე ათას კუბურ მეტრ ხე-ტყეს, ხოლო როცა მდინარე ყინულისაგან განთავისუფლებას იწყებს, ხის უზარმაზარი მორები მდინარეში ცვივდება და დროებით აგუბებენ მას, ბოლოსდაბოლოს გაივსება ავზი, მდინარე გადაანგრევს ხის ჯებირს და ამ მომენტში გამოჩნდება წყლის ძალა, აგორდება მილიონობით კუბური მეტრი ხის მასალა და უზარმაზარი მორები წკეპლებივით იმსხვრევა ერთი-მეორის შენარცხებით. სწორედ ამ სანახაობას ვუყურებდით და თან მდინარეს ვეხმარებოდით ნაპირზე დარჩენილი მორების გატანებაში... მე თან ჩემი ახლად შერთული მეუღლე ტატიანა მაქსიმოვნა მახლდა და უნიკალური სანახაობით ტკბებოდა, საჭმლის ჭამაც გადაგვავიწყდა... მთელი დღე ვუცქერდით აბობოქრებული მდინარის ბრძოლას, საღამო ჟამს წყალი კალაპოტს დაუბრუნდა, მაგრამ აზვირთებულ ტალღებს მაინც დიდი რაოდენობით მიჰქოდა ყინულის ლოდები და ხე-ტყის მორები.

ის იყო სახლში უნდა წამოვსულიყავით, რომ ჩემს გვერდით ხის მორზე შემდგარ ტატიანას ფეხების ქვეშ მორი აუგორდა და მდინარეში მოადინა ზღართანი. ქალს ტალღამ გადაუარა და მხედველობიდან დამეკარგა, სახტად დავრჩი და დათვივით ვიღრიალე. შველას ვთხოვდი დიდსა და პატარას, მაგრამ თავი

არავინ გაწირა და აბობოქრებულ მდინარეში ვერავინ გაბედა შეეცურა... გივიმ პატიმრის ლაბადა გაიძრო, მდინარეში გადაეშვა, ისიც ულმობლად ჩაყლაპა მდინარემ... ბადრაგმა სროლა ატეხა. ეგონათ, რომ გივი გაქცევის მიზნით გადახტა მდინარეში, რა ემოქმედა, წყალშიც საფრთხე ემუქრებოდა და წყლის ზედაპირზეც, ჩვენ კი უიმედოდ მივდევდით ყველანი მდინარის სანაპიროს და ვვიშვიშებდით, იმედი გადაგვიწყდა და სწორედ ამ დროს წყლიდან ტატიანას ჩალისფერი თმა ამოტივტივდა. ცოტაც კიდევ და ტატიანას წელი გამოჩნდა. მისთვის გივის მაგრად შემოეხვია წელზედ ხელი და მეორე თავისუფალი ხელით მდინარის ტალღებს მოარღვევდა... ნაპირს მოადგა, ჩვენც მივეშველეთ და პირველ რიგში წყლიდან ნახევრად დამხრჩვალი ტატიანა ამოვიყვანეთ. ლაბადა გავიძვრე, ზედ დავაწვინეთ და ხელოვნური სუნთქვა ჩავუტარეთ. იღბლად ექიმიც თან გვახლდა და როგორც იქნა ტატიანა სააქაოს მოვაბრუნეთ. როდესაც ყველაფერი დამშვიდდა. გივისთან მივედი და მადლობა გადავუხადე მეუღლის გადარჩენისათვის და იცი რა მიპასუხა?

,,– მადლობას რისთვის მიხდი, ლეიტენანტო, მადლობელი მე ვარ, განგებამ რომ საშუალება მომცა ასეთ მზეთუნახავს ჩავხუტებოდი'', – ყველას გულიანად გაგვეცინა, ტატიანასაც კი!

– რომ დამხრჩვალიყავი, არ შეგეშინდა? – ისევ შევეკითხე.

– ჩვენ, პატიმრები კურდღლებსა ვგავართ, ბუჩქში ვზივართ და გვეშინია, სანამ ძაღლები გამოგვახტუნებდნენ. გამოგვახტუნებენ და შემდეგ შიში გვავიწყდება, ვიბრძვით ისე არნახულად, ძაღლებიც კი გაკვირვებულები არიან კურდღლების ბრძოლით... ჩვენ პატიმრები ვართ, ლეიტენანტო, განა ვარ ღირსი ლმობიერებისა? მხოლოდ თქვენში და თქვენი მეუღლის გულში აღვძარი ლმობიერება, დანარჩენისთვის კი გაყინული წყლიდან გარეწარი ამოვიდა... მე კი მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ ერთი მისხალი სიკეთე შევწირე უფალს ადამიანის გადარჩენით. დიახ, არ გადამირჩენია თავის დასახრჩობად

წყალში გადამხტარი გარეწარი. მე გადავარჩინე ადამიანი, ვისაც სიცოცხლე სწყურია და პატიოსნების განსახიერებაა. პატიოსნება, ალბათ, ყველამ შეამჩნიეთ როდესაც გრძნობაზე მოვიდა, მისი პირველი მოძრაობა იყო, კაბა მუხლებამდის ჩაეწია...

სახტად დავრჩი. პირდაღებული შევცქეროდი ჩემთვის უცნობ არა რუსსა და სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე. დიახ, მე შევამჩნიე ტატიანამ მუხლებამდის რომ ჩაიწია ტანზე შემოტმასნილი სველი კაბა, მაგრამ ამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიცია. გივის კი ამ მოძრაობაში პატიოსნება დაუნახავს...

– აი, თურმე რატომ გეძახით ლეიტენანტს. ალბათ, თქვენ გივის ხსოვნაში ლეიტენანტად შემორჩით.

– დიახ! მაგრამ თქვენ ის არ იფიქროთ, დაუვიწყებელი სიკეთისათვის დანაშაულს ვპატიობდე. მე ის გასტუმრებული მყავს, როდესაც მგლებმა შეჭამეს, ძეგლი ავუგე!

– სიკეთის დავიწყება შეუძლებელია. შეიძლება გივის აღარ ახსოვდეს ეს სიკეთე, თორემ თქვენს მეუღლეს რა დაავიწყებს.

– გივის ნამდვილად აღარ ახსოვს, თორემ ერთჯერ მაინც შემახსენებდა...

– სწორედ ამაში გამოიხატება გივის სულგრძელობა, დავიწყებული არაფერიც არ იქნება, მაგრამ სიკეთის განმეორება სირცხვილად მიაჩნია.

– შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სიკეთის გაკეთებისათვის დანაშაულს არავინ აპატიებს, მე ის იზოლატორიდან რომ გამოვუშვი, ეს იმას როდი ნიშნავს, დანაშაული ვაპატიე. შენ გამომძიებელი ხარ და უფლებამოსილი, იმოქმედო კანონის შესაბამისად, დაკითხე კოლონიის მუშათა უმეტესობა და შეიძლება იმ დასკვნამდის მივიდეთ, ტაბატაძე დაავჯილდოვოთ და მიშენკოვი დახვრიტოთ, ან კიდევ – პირიქით.

მართლაც სიკეთემ და სიბოროტემ მიშენკოვის დამარცხების შემდეგ იჩინა თავი, ასე ხდება თავისუფალ სამყაროშიც,

გამარჯვებულს მოწიწებით ეპყრობიან, წაქცეულს უვარგისად თვლიან და ფეხს აჭერენ. უმეტესწილად წაქცეულ ხეს ესევა მატლი, კოლონიაშიც ასე მოხდა. მიშენკოვი მუდამ გამარჯვებული იყო, მოწიწებით ეპყრობოდნენ და დაუმარცხებელ „ჰერაკლედ“ მიაჩნდათ, მაგრამ როდესაც ნამდვილი ჰერაკლე გამოჩნდა, თვითმარქვია დაეცა და მატლიც დაესია.

გივის შეებრალა საზოგადოებისაგან გარიყული მიშენკოვი და გადაწყვიტა საავადმყოფოში მოენახულებია. გვარიანად დაიტვირთა ლიუდას მოტანილი სანოვაგით და მიშენკოვის პალატის კარი შეაღო... დაინახა თუ არა, მოზვერივით მიშენკოვმა რადგან ღრანჭის ძვლის მოტეხილობის შესახორცებლად კბილები ერთიმეორესთან მავთულებით ჰქონდა დაბმული და ამიტომ ყვირილი ვერ შესძლო, საბანი თავზე წაიფარა და მოიკუნტა. გივი საწოლზე ჩამოუჯდა: – ნუ გეშინია, ბორის, შურისსაძიებლად არა ვარ შენთან მოსული, ვაჟკაცს გამაჯვებულიც უნდა უყვარდეს, მტერი და დამარცხებულიც!

– აბა რისთვის მოსულხარ? – კბილებში გამოსცრა ბორისმა.

– შემებრალე დამარცხებული ვაჟკაცი და ამიტომ მოვედი... მოგინახულე. შენ არ იფიქრო, შენი მეშინოდეს და შესარიგებლად მოვედი. არც იფიქრო შურისძიება მამოძრავებდეს და არც ის იფიქრო დანაშაულს გავურბოდე და სასჯელის შემსუბუქებას გთხოვდე. ახლა, ალბათ, შენ დაფიქრდი დამარცხებულს ყოველთვის მეტი აქვს საფიქრალი. დროც საკმარისი გვაქვს და შენი შეცდომის შედეგიც არ არის შორს, ალბათ, დამწვრობაცა და კბილების ტკივილი საშუალებას გაძლევს დაინახო დიდების მწვერვალზე აცოცებული როგორ დაენარცხე ყველაზე დაბალ ჭაობს.

– ვერაფრის ტკივილს ვერა ვგრძნობ, – მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ჩაიჩიფჩიფა ბორისმა – სინდისის ტკივილს ვგრძნობ მხოლოდ, არ ვიცი რა მინდოდა შენგან. შენ მე არ მეხებოდი, ნუთუ შენი დამცირებით ზენიტზე ავფრინდებოდი?

– არა უშავს, ბორის, გაუმაძღარ ადამიანებში ხშირია ასეთი შემთხვევა. დღეიდან მეტად დაკვირვებული და ჭკვიანი იქნები!

– რა თქმა უნდა, თუ გადავრჩი!

– მაინც ვერ გამიგია, რა გეძველბიჭება ზონაში. უმჯობესი იქნება, წყნარად იყო და არავინ განიკითხოს შენს მიერ ჩადენილი დანაშაული. მე პირადად გავეცანი შენს სასამართლო განაჩენს... მამა მოგიკლავს, ბიჭო, და მამის მკვლელს თავი კარგ ბიჭად მოგაქვს?

– ეჰ, შენ ვერც წარმოიდგენ ვინ იყო ჩემი მამა. ის მომენტს არ გაუშვებდა, რომ არ ვეცემე. ყოველ ღონეს ხმარობდა დავემცირებინე და მიწასთან გავესწორებინე, ერთხელ უმიზეზოდ ჭიშკართან დამაბა ძაღლის გვერდით, ძაღლის პალოზე. აუტანელი სიცხე იყო. ძაღლი თავის ქოხ-საძაღლეში არ მიშვებდა, რომ თავი შემეფარებინა და კინაღამ სული განვუტევე. მაგრამ ღმერთმა მხსნელად ბიძა მომივლინა, მამაჩემის ძმა... იმას გაუმარჯოს ღმერთმა, ნამდვილი ვაჟკაცია, გულკეთილი, გასაჭირის დროს გვერდით მდგომი და ჭირვარამის განმკითხავი. ჰოდა მომივლინა მხსნელად ღმერთმა ბიძა, დამინახა გასაჭირში მყოფი, შეევბრალე, ამიშვა, წამიყვანა და მსხლის ქვეშ დამაბა ჩრდილში. ღორის გვერდით თავი ბედნიერად ვიგრძენი, თუ მსხალი ჩამოვარდებოდა, ღორი ვერ მოასწრებდა მის შეჭმას და უკიდურეს შემთხვევაში საღორეც შემეძლო საცხოვრებლად გამომეყენებინა.

– ამიტომ მოკალი მამა?

– არა, მამა მე არ მომიკლავს! ბოლო ხანებში ის ძალზედ ლმობიერი გახლდათ და რასაც ბავშვობაში მიჰქარავდა, ის დიდიხანია დამავიწყდა. არა, ის მე არ მომიკლავს! მაგრამ არ შეიძლება სხვას მოეკლა ვინმეს, რადგან სახლში მხოლოდ მარტო მე და ის ვიყავით... დაწოლის დროს კარები შიგნიდან ჩავკეტეთ და დილასაც ასეთივე ჩაკეტილი იყო, მამაჩემი კი ნაჯახით თავგაჩეხილი ვიპოვეთ. მართალია, მკვლელობის იარაღი ვერც ჩვენ ვიპოვეთ და ვერც გამოძიებამ აღმო-

აჩინა, მაგრამ საექიმო ექსპერტიზამ ივარაუდა, მკვლელობა ნაჯახით უნდა მომხდარიყო. ბევრი ვიყვირე არ მომიკლავს-მეთქი, შენც იგივეს გეუბნები, მაგრამ არავის სჯერა ჩემი სიმართლის, ახლა შენ მეუბნები – „რა გეძველბიჭებაო“ – რა მეძველბიჭება და არ მინდა აქედან გავიდე ცოცხალი მამის მკვლელის იარლიყით!

– მთვრალები იყავით, როდესაც დაწექით? – შეეკითხა გივი.

– არა, არავითარი, მთვრალი, ცოტა გვშიოდა, ცოტა გვციოდა კიდეც!

– აბა, ასეთი რა უნდა მომხდარიყო, ვინ შემოაღწევდა სახლის დაკეტილ კარებში?

– არ ვიცი, წარმოდგენაც არა მაქვს, ხადისხან რომ დავფიქრდები, საკუთარ სიმართლეში ეჭვი მეპარება, მაგრამ გამოძიება ხომ იმიტომ არსებობს, დაგვეხმაროს სიმართლის დადგენაში? როდესაც ძიება დაფარულია და მკვლელობის იარაღი – უჩინო. მე ვის ვენაღვლები? მითუმეტეს ყველამ იცოდა თუ როგორ მტანჯავდა მამა ბავშვობაში და არავის ეჭვი არ ეპარება, რომ მე მოვკვლავდი...

– მძიმე ისტორიაა, მაგრამ თუ არ ცრუობ, ერთს გირჩევ, შენთან სამმართველოს გამომძიებელი მოვა, იური პროკოპოვი. მას გაანდე წარსული, ვინ იცის, იქნებ გიშველოს კიდეც სიმართლის დადგენაში. ახლა წავალ, მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ! – უთხრა გივიმ და წასასვლელად წამოდგა, კართან შეჩედა, შემობრუნდა, ჰო მართლა, ის არ იფიქრო შენ მოსანახულებლად იმიტომ მოვედი, დანაშაულისთვის პატიებას გთხოვდე! ჩვენი ჩხუბის შესახებ გამომძიებელს ისე ელაპარაკე, როგორც შენთვის სჯობდეს, და როგორც სასარგებლო და შეღავათიანი იყოს! – გივიმ წყნარად გამოიხურა კარი და პალატიდან გამოვიდა,

მეორე დღეს მართლაც შეაღო მიშენკოვის პალატის კარი გამომძიებელმა, უხვად მოჰფინა მაგიდაზე ფურცლები და ბორისის დაკითხვა დაიწყო:

– თქვენ მიღებული გაქვთ სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება, რომელიც 108-ე მუხლის თანახმად რვა წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თქვენ ვალდებული ხართ, გამაცნოთ ჩადენილი ბოროტმოქმედების არსი, თუ რა გარემოებაში მოხდა დანაშაული და სხვა.

– აღარაფერი მახსოვს, ბატონო!

– როგორ თუ არ გახსოვს, გონებადაკარგულმა დაიწყე ჩხუბი და ასევე გონებადაკარგული მოხვდი საავადმყოფოში?

– როგორ გეკადრებათ, დასაწყისი მახსოვს, იმ ოთახში შევედი სადაც გივი ხალათს აუთოვებდა, რაღაც ეშმაკი შემიჯდა და მინდოდა მეცემა, შემოვკარი კიდეც, ეს იყო და ეს, მეტი მართლა აღარაფერი მახსოვს.

– პირველად ნამდვილად შენ შემოკარი?

– ნამდვილად!

– კარგად დაფიქრდი, იქნებ გივიმ შემოგკრათ პირველი?

– ხომ გითხარით, დასაწყისი კარგად მახსოვს-მეთქი.

– კარგად გახსოვს, მაგრამ ჩვენების შეცვლაც შეიძლება, დაზარალებულს მეტი დაეჯერება!

– იცი რა გითხრა, მოქალაქე გამომძიებელო? ისიც ვერ მომინელებია რაც დავაშავე და გთხოვთ ახალი დანაშაულისკენ ნუ მიბიძგებთ! გივი კეთილშობილი ადამიანია, მე რომ გამემარჯვა მასთან ჩუბში, იქნებ შემომკვდომოდა კიდეც, ჩხუბიც ამ განზრახვთ დავიწყე, მაგრამ მან გაიმარჯვა და ჩემზედ გაცილებით დიდი ბუნების ადამიანი აღმოჩნდა – არ მომკლა, სიცოცხლე შემინარჩუნა!

– მასეთი აღიარებით იძულებული ვარ თქვენ გადაგცეთ სასამართლოს მკვლელობის მცდელობისათვის!

– უფლებამოსილი ბრძანდებით, მაგრამ ასეთი გამოძიებით გამიკვირდება დიდებას მიაღწიოთ, ჩემი აზრით, გამომძიებელმა კი არ უნდა გააღრმავოს და გააზვიადოს საქმე, არამედ საზოგადოებაში დანაშაულის აღმოფხვრას უნდა ეცადოს, თქვენ თუ ასეთი ადამიანური სწრაფვა გაგაჩნიათ, აიღეთ ჩემი საბ-

რალდებულო დასკვნა და გამამართლეთ, უფრო სწორად, სიმართლე აღმიდგინეთ.

– მაგას ვერ შეგპირდებით, თქვენი საქმე ალბათ ჩემზედ გამოცდილმა კეთილმაძიებელმა აწარმოა და სასამართლომ სათანადო დასკვნა გამოიტანა, მე კი თქვენი სხეულის მძიმედ დაზიანების საკითხის გამოძიება მავალია.

– რომ პირველი გამოძიება სწორედ წარმართულიყო, თქვენ აგცდებოდათ ჩემი სხეულის დაზიანების გამოძიება, რადგან უდანაშაულოდ აქ არ მოვხვდებოდი!

– მსჯავრდებულთა უმეტესობა ყველანი უდანაშაულონი ხართ, მე რომ შენი საქმის გამოძიება დავიწყო, ვათენო უძილო ღამეები და მაინც შენი პირველი გამომძიებელი მართალი აღმოჩნდეს?

– თუ საქმეს სწორად გამოიძიებთ, მართალი მხოლოდ მე აღმოვჩნდები!

– კარგი! გპირდებით, გადავხედავ თქვენს საბრალდებო დასკვნას, შევისწავლი მაგრამ საბოლოო გამართლებას ვერ შეგპირდებით!

– რატომ?

– მართალიც რომ იყოთ, თავს არ გაიმტყუნებს მართლმსაჯულება, მეორეც საკმაო დრო არის გასული მკვლელობიდან და ყოველგვარი კვალი წაშლილი იქნება... თუ შეიძლება, აღმიწერეთ ის ადგილი, სადაც მკვლელობა მოხდა!

– ჩვეულებრივი რუსული ხატა, ერთი ზალა, ორი საძინებელი ოთახი და სამზარეულო.

– სახლში ვინ იყო მკვლელობის ღამეს?

– მე და მამაჩემი, მეტი არავინ, არც არავინ შეიძლება შემოპარულიყო რადგან ფანჯრებზე რკინის გისოსები გვაქვს გაკეთებული და თითოეული ოთახის კარი შიგნიდან ურდულით იკეტება!

– ნამდვილად გამაგიჟებ! ამბობ ჩვენს გარდა სახლში არავინ იყო და არც არავინ შეიძლებოდა შემოპარულიყოო, მკვლე-

ლობას კი უარყოფ! აბა, როგორ მოხდებოდა მკვლელობა?

– სწორედ ამიტომ მესაჭიროება თქვენი დახმარება! მე არ მომიკლავს!

– მართლაც ფრიად საინტერესოა, საერთოდ ოჯახში რამდენი ცხოვრობდით?

– მე, მამაჩემი და ჩემი ბიძა. მამაჩემის ძმა, ძალზე კეთილი და პატიოსანი ადამიანი.

– დედა არა გყავს?

– არა! ათი წლის ასაკში დამეღუპა!

– შენი ბიძაც უცოლოა?

– დიახ, არც არასოდეს ჰყოლია. სანამ დამაპატიმრებდნენ მანამდე იყო თქმულება ერთ ქვრივ ქალზე, მაგრამ რატომღაც არ მოხდა მათი საქმე!

– მკვლელობის ღამეს ბიძაშენიც სახლში იყო?

– არა! სამი დღით წასული იყო ჩელიაბინსკში თავის დასთან, რომლის ქმარიც სატრაქტორო ქარხნის ინჟინერია და შეძლებულადაც ცხოვრობენ.

– კარგი, გავეცნობი თქვენს საბრალდებო დასკვნას! – აღუთქვა გამომძიებელმა მიშენკოვს და არ გამომშვიდობებია, განაწყენებულივით დატოვა საავადმყოფოს შემოგარენი.

პატიმრობა ადამიანის სულიერი ავადმყოფობაა, თავისუფალი ადამიანის სულსა და პატიმარს შორის არსებითი პრინციპები ერთნაირია, მაგრამ ადამიანი, თავისი სიხარბით თვითონ ჰქმნის აუტანელ პირობებს, მე კი რისთვის ავიტკიო აუტკივარი თავი? – ფიქრობდა გამომძიებელი იური პროკოპოვი – მითუმეტეს მიშენკოვი ამბობს: „სახლში მარტო მე და მამაჩემი ვიყავით და შეუძლებელია ვინმე სხვა შემოსულიყოო“ – აბა მე როგორ ვეძებო ქარი მინდორში? მე დავამტკიცო, რომ მკვლელობაში სატანას ხელი ურევია? არსადაც არ წავალ! საქმე, რომელიც მევალება გამოსაძიებლად, იმას გამოვიძიებ მკაცრად, ყოველგვარი შეღავათების გარეშე! – მიუხედავად იმისა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა ბოლოს ნაფიქრი ფრაზა, დილით

სხვაგვარად უკარნახა თავის ტვინის ახლად გამოღვიძებულმა უჯრედმა.

– შორს არ არის სოფელი რომანოვკა, გავივლი, თვალს წყალს დავალევინებ და მიშენკოვების საცხოვრებელ სახლსაც გადავავლებ თვალს. – გაიფიქრა და ფიქრი მყისვე მოიყვანა სისრულეში. ორიოდე საათის შემდეგ სოფელ რომანოვკაში იყო და არც მიშენკოვების სახლის მიგნება გასჭირვებია. სახლში, რომელიც მიტოვებული ეგონა, ბორისის ბიძა მიშა მიშენკოვი ცხოვრობდა, რომელსაც ცოლი ბორისის გასამართლებამდე ორი კვირით ადრე შეერთო, გამომძიებელმა ყოფილ პატიმრად გაასაღა თავი და მიშას ძმისშვილის დიდი სიყვარულითა და მოკითხვით წარუდგა:

– როგორ ცხოვრობს ის არამზადა, ნუთუ გამოვა ციხიდან მამის მკვლელი? – იკითხა მიშამ.

– რა ვიცი, ისე ასე ამბობს, არ მომიკლავსო! – თქვა გამომძიებელმა და მიშას შუბლზე ნერვის შეტოკებას მიაქცია ყურადღება.

– არა, აბა ვის უნდა მოეკლა, ვინ შემოაღწევდა ამ სახლში. ეს სახლი კი არა ნამდვილი ციხე-სიმაგრეა მოდი თვითონ დაათვალიერე?! – უთხრა მიშამ და წინ გაუძღვა ოთახების დასათვალიერებლად. როგორც ბორისმა აღწერა, თავისი სახლი სწორედ ასე იყო. ფანჯრები რკინის გისოსებში ჩასმული, კარებებს კი რკინის ურდულები ჰქონდა საკეტად გაკეთებული. გამომძიებელმა გულდასმით დაათვალიერა სახლის ყოველი კუნჭული. სამზარეულოში ოთხი ცალი ფიცარი ერთჯერ გადაღებილს ჰგავდა, დანარჩენები კი მრავალჯერ შეღებილს. აშკარა იყო, რომ სამზარეულოში ოთხი ცალი ფიცარი გამოეცვალათ, მაგრამ რატომ? რისთვის? – შეკითხვა დაუსვა თავის თავს გამომძიებელმა, მაგრამ სანამ პასუხს მოძებნიდა, მიშას შეეკითხა.

– რისთვის გინდოდათ ასეთი ციხე-სიმაგრე რომ აგიშენებიათ, შენს ძმას პიმენ მიშენკოვს მტერი ჰყავდა ვინმე?

– არა, ისეთი მტერი არავინ ჰყავდა, რომ მოეკლათ. ისე კი მთელი სოფელი ემდუროდა, უცნაური ადამიანი იყო ცხონებული, მოესურვებობდა შეგიმადლიერდებოდა. წლობით აღარ დაგელაპარაკებოდა! ჭიშკარს რომ მოდგომოდი დილიდან საღამომდის გეძახა, სახლში იყო და არ გაგაგონებდა, არ გამოგხედავდა, არ გაიაზრებდა შენს ჭირ-ვარამს, თვითონ მუცელი რომ ასტკივდებოდა მთელ სოფელს შეჰყრიდა, ლანძღვა-გინებით აიკლებდა ყველას – „სასთუმალთან რატომ არ მიზიხართო“ – ასეთი ადამიანი იყო ცხონებული, მაგრამ ჩემთვის საძულველი როდი იყო, ძმა იყო ჩემი და რამდენადაც აუტანელი იყო, იმდენად საყვარელი გახლდათ ჩემთვის.

მართალია, ბორისი ძმისშვილია ჩემი, მაწუხებს იმისი ნაწილი სისხლი, ერთჯერაც არ მინახავს ციხეში, მაგრამ რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ძმა მომიკლა და როგორ შევურიგდე?

– ჰო, რა თქმა უნდა, ძნელია, ბორისი კი, არ გემდურის, მთხოვა მომენახულებიე და მოკითხვა გადმომეცა შენთვის!

– იმას რა აქვს სამდურავი, ძმა მომიკლა, ალბათ, უნდა რომ შევურიგდე, მაგრამ ვერ ეღირსება და თუ მოხდა სასწაული და განთავისუფლდა, ვერც ვერასოდეს დაბრუნდება ამ სოფელში...

– თქვენი საქმისა თქვენ იცით, მე წავედი, კარგად ბრძანდებოდეთ! – თქვა იურიმ და წამოდგა.

– მოიცადე „სამაგონი“* მაქვს სადღაც, აღგვენიშნა შენი თავისუფლება.

– არა, გმადლობთ, ათი წელიწადია, რაც არ დამილევია და მეშინია, ცუდად არ იმოქმედოს, – იური კეთილი სურვილებით გამოემშვიდობა მიშა მიშენკოვს.

– რატომ უნდა შეეცვალათ ოთხი ცალი ფიცარი სამზარეულოში? – ფიქრობდა გზად მიმავალი გამომძიებელი, – იატაკი დამპალი რომ ყოფილიყო, მაშინ მთლიანად უნდა შეეცვალათ,

---

* სამაგონი – თვითნახადი არაყი, რომელსაც შაქრითა და საფუარით ხდიან.

მაგრამ იატაკი საღი ჩანს, ნუთუ რაიმე კავშირი აქვს მკვლელობასთან ოთხ ცალ ფიცარს. ხოსვაში დაბრუნდა თუ არა გამომძიებელი, პირდაპირ ზონაში შევიდა და ბორის მიშენკოვი მოინახულა.

– დიდებულად გიცხოვრია სოფლის პირობაზე, ბორის! – უთხრა მისალმების შემდეგ გამომძიებელმა პატიმარს.

– როგორ? ნუთუ მართლა მოინახულე ჩემი სოფელი და ჩემი სახლი? – სიხარულის ნაპერწკალი აუკიაფდა თვალებში მსჯავრდებულს.

– ჰო, მართლა მოვინახულე, ახლა მოვდივარ იქედან...

– ნამდვილად გამახარე, სახლში ალბათ ვერ შეხვედით, კარები დაკეტილი იქნება და სახლი მიტოვებული...

– არავითარი მიტოვება, სახლში შენი კეთილი ბიძა ცხოვრობს, ცოლი შეურთავს და ყვავილების ბაღად არის გადაქცეული ეზო-კარი.

– კარგია! ღმერთმა გაუმარჯოს, ცოდვაა მიტოვებული კერა და მიშაც ცოდვა იყო მარტოსული ამხელა სახლში.

– ბორის, აი შენი სახლის პროექტი (ხელით ნახაზი წინ გაუშალა გამომძიებელმა) კარგად დაუკვირდი მხედველობიდან არაფერი გამოგრჩეს და ჩემს შეკითხვებზე სწორი პასუხი გაეცი: ეს შესასვლელი „ტამბორი“, ეს ზალა, ეს საძინებელი ოთახები. ეს კიდევ სამზარეულო. ამიწერე შენ რომელ ოთახში ნახე თავგაჩეხილი მამა?

– მე და მამამ ერთად ვივახშმეთ სამზარეულოში, შემდეგ ტანსაცმელი არ გაუხდია, ისე მიწვა ტახტ-ლოგინზე და იქვე ჩაეძინა. ღამით არავითარი ხმაური არ გამიგონია. დილით კი თავგაჩეხილი ვიპოვე ჩემი მამა, სადაც დაიძინა, იქვე მოეკლათ... პირველად ჩემს ცხოვრებაში ვიხილე მოკლული ადამიანი და შემეშინდა, რაღაც არაადამიანური ღრიალით გამოვვარდი სახლიდან და თითქმის ყველა მეზობელს ვაუწყე მამაჩემის გარდაცვალება. იმ დილით ბიძაჩემიც დაბრუნებულიყო ჩელიაბინსკიდან და გზაზე შემომხვდა, როდესაც მეზობლებიდან

მთლად აფორიაქებული სახლში ვბრუნდებოდი, იმანაც შეიცხადა, ცოტა დამამშვიდა კიდეც, მამა ქრისტიანულად დაასაფლავეს და მეორე დღეს არგაგონილი ბრალდება წამომიყენეს.

– თქვენს სახლს „პოგრები“* აქვს?

– კი, როგორ არა, საკუთარი ხელით გავთხარე, სამზარეულოდან აქვს ჩასასვლელი და მთელი წლის სანოვაგეს იქ ვინახავდით ხოლმე...

„აი, თურმე, რატომ არის ფიცრები შეცვლილი სამზარეულოში“ – გაიფიქრა გამომძიებელმა და პატიმარს მისი ფიქრი რომ არ ამოეკითხა, სასაუბრო თემა შეცვალა.

– ჰო, ალბათ, ახლაც გამოტენილია ის სათავსო, ნუგბარი პროდუქტებით, ბიძაშენმა კი მოკითხვა შემოგითვალა, კეთილი ადამიანი ჩანს, აღგითქვა აუცილებლად გინახულებო.

– ჰო, კეთილი ადამიანია, მამაჩემი ორივეს ერთნაირად გვავიწროვებდა და იმიტომ შემორჩა აქამდის უცოლოდ.

– რა თავსატეხი გავიჩინე. – ჩაილაპარაკა თავისთვის გამომძიებელმა და პალატიდან გამოვიდა. სახლში დაბრუნებული მაგიდას მიუჯდა. დიდხანს იფიქრა, შემდეგ როგორც იქნა, აზრს თავი მოუყარა და წერა დაიწყო: ვრცელი წერილი გამოუვიდა. საოლქო-სამხარეო, უმაღლეს სასამართლოს ატყობინებდა, რომ ბორის მიშენკოვი მამის მკვლელობისათვის არაკანონიერად იხდის სასჯელს! მკვლელობაში ეჭვმიტანილად მიმაჩნია, ბორის მიშენკოვის ბიძა მიშა მიშენკოვი, რომელსაც ხელოვნურად ამოუქოლავს „პოგრიბი“. სათავსო ჩასასვლელი სამზარეულოდან ჰქონია, რომელიც ამჟამად შენიღბულია და გამორიცხული არ არის, „პოგრიბში“ იმალებოდეს მკვლელობის ნივთმტკიცება... მოხსენებით ბარათს გამომძიებელმა ხელი მოაწერა: „შრომაგამასწორებელი კოლონიის გამომძიებელი იური პროკოპოვი“.

---

* „პოგრები“ – სათავსო, სახლის იატაკის ქვეშ თხრიან მიწას და ხელოვნურად აკეთებენ, სადაც გრილად ინახავენ: მჟავეს, კომპოტს, კონსერვებს, კარტოფილს და სხვა პროდუქტებს.

კიდევ დაფიქრდა, გაეგზავნა თუ არა წერილი, ცდუნებამ სძლია, გაიფიქრა – „მაინც არავინ წაიკითხავსო“ და საფოსტო ყუთში ჩაუშვა...

ორი კვირა გავიდა უმაღლეს ინსტანციაში განცხადების გაგზავნიდან, გამომძიებელს კიდეც დაავიწყდა იმის არსებობა და აი, მოულოდნელად გამოიძახეს პროკოპოვი სამმართველოში. სამხარეო უმაღლესი საგამომძიებლო ორგანოდან იყვნენ მოსული, გამომძიებლის განცხადების შესამოწმებლად. პროკოპოვი უტყუარი მოხსენებით წარსდგა მოსულთა წინაშე. სტუმრებმა მოიწონეს კიდეც ახალგაზრდა კაცის ძიების შედეგი და იმ დღესვე აიყვანეს პატიმრობაში მიშა მიშენკოკი, რომელსაც იატაკის ქვეშ აღმოუჩინეს სისხლმიჟანგული ნაჯახი და რომელმაც პირველსავე დაკითხვის შემდეგ აღიარა:

– ჩემი უფროსი ძმა, პიმენი, ხშირად მცემდა და ცოლის შერთვის უფლებას არ მაძლევდა, ამიტომ გადავწყვიტე, გზიდან ჩამომეშორებინა. ერთ დღეს თითქოს ჩემი დის მოსანახულებლად წაველი ჩელიაბინსკში. მატარებლის სადგურამდე თვითონ პიმენმა გამაცილა, მატარებლიდან პირველსავე გაჩერებაზე ჩამოვედი და შენიღბული გზით სახლში დავბრუნდი, პიმენი და ბორისი სახლში არ დამხვდნენ, სამუშაოდ იყვნენ გასული. კარი საკუთარი გასაღებით გავაღე და სათავსოში დავიმალე, სამი დღე და ღამე ვიყავით იატაკის ქვეშ, ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდი, ერთ დღეს გამთენიისას ამოვედი, ნაჯახით თავი გავუჩეხე პიმენს და ისევ „პოგრებში“ დავიმალე, დილით არაადამიანური ღრიალით გამოვარდა სახლიდან ბორისი და მეზობლებს ატყობინებდა მომხდარ უბედურებას, მე შეუმჩნევლად ამოვედი „პოგრებიდან“, სახლიდან გარეთ გამოვედი და დავიმალე... როდესაც მეზობლებიდან ბორისი უკან ბრუნდებოდა, წინ შევეჩეხე, თითქოს მაშინ მოვდიოდი ჩელიაბინსკიდან, შევიცხადე და ვიტირე, ბორისი კი დააპატიმრეს...

– როდესაც მკვლელობა ჩაიდინე, „პოგრიბში“ რატომღა დაიმალე, ხომ შეგეძლო სახლიდან გამოსულიყავით და სხვაგან დამალულიყავით? – შეეკითხა გამომძიებელი.

– სხვაგან რომ დავმალულიყავ, ჩაურდულებული კარები უნდა გამეღო და გარეთ უნდა გამოვსულიყავი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეჭვს ბორისზედ აღარ იღებდნენ!

– ბორისი რაღას გიშლიდათ, რომ ციხისთვის გაიმეტეთ?

– ცოტა თუ ბევრად ისიც მიღობავდა გზას, შეყვარებული ცოლობაზე არ მთანხმდებოდა, და ბორისიც ჩვენი ოჯახის წევრი იქნებოდა.

– თქვენმა მეუღლემ იცოდა, რომ თქვენ მკვლელობა ჩაიდინეთ და მაინც თქვენ გამოგყვათ? იქნებ მკვლელობაც იმის შეკვეთით მოხდა?

– არა, არავითარი შეკვეთა არ ყოფილა, პირველად მან არაფერი იცოდა, როდესაც იმის სიყვარულში დავრწმუნდი, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ წამომცდა სიმთვრალეში.

– გამოძიებამ ჩელიაბინსკში შენი დაიკო არ დაკითხა? იყავი თუ არა სინამდვილეში მასთან?

– რა თქმა უნდა, დაკითხა, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებული მყავდა, როგორც უნდა ესაუბრა...

– ესე იგი შენმა დამ ყველაფერი იცოდა მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ!

– არა, მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა, შემდეგ გაიგო და ამ საქმის შესახებ ყველაფერი იცის!

გამოძიებამ ამჟამად მკაცრად განიხილა პიმენ მიშენკოვის მკვლელობის საკითხი და მიშა მიშენკოვი თავისი დითა და მეუღლით პატიმრობაში აიყვანა. დახეიბრებული, მაგრამ სიცოცხლეშენარჩუნებული ბორის მიშენკოვი, გივის მადლობელი დაურჩა და სიყვარულით გამოემშვიდობა ზონიდან გამოსვლის დროს, უკვე სრულიად განთავისუფლებული.

გივის მიმართ კი არც მადლობა ახდენდა დიდ გავლენას და არც უმადურობა. არ ემორჩილებოდა ქვეყნის დროთა

ტრიალს, რომელიც ბოროტმოქმედთა სამყაროსადმი იყო მიმართული, თვითონ შეადგინა კალენდარი, რომელზედაც მხოლოდ სასჯელში გასატარებელი დღეები იყო აღნიშნული და კრიალოსნებივით ნელ-ნელა მარცვლავდა დღეებს, არც არავის ბედნიერება ეხარბებოდა და არც არავის უბედურება უღრნიდა გულს, ისე კი... ბედნიერები სუფრასთან პატიჟობდნენ და უბედურები თავიანთ უბედობას სჩიოდნენ, გივი ძალაუნებურად ორივეგან ტრიალებდა, უბედოებს ლუკმას უყოფდა და ნუგეშს აძლევდა. ბედნიერებს თავისუფლებასა და მორჩილებას უნერგავდა. ასე მიიწურა მისი ახალი პატიმრობიდან ორი წელიწადი და დაიწყო მესამე... ზონაში ხმა დაირხა: „კავკასიიდან ეტაპი“* მოდისო“ – გაიხარა ქართულ ენას დაღირსებულმა – „იქნებ ქართველიც იყოს ვინმეო“ – გაიფიქრა და ახალი „ეტაპის“ დასახვედრად პურ-მარილით მოემზადა, მართლაც გაზაფხულის მიწურულს პატიმართა თავშესაფარს, სპეციალური ავტომობილი მოადგა... იმ დილით გივის სახე რომ ვინმეს დაეხატა,. რომელიმე ფერწერულ გამოფენაზე, მსოფლიო მხიარულების გამომხატველ ექსპონატად გამოდგებოდა.

პირველად ის შეეგება ზონაში შემოსულ მსჯავრდებულებს, რომელთა შორის ერთი ქართველი აღმოჩნდა – ხაშურელი ნოზაძე, ოთხი თბილისში გაზრდილი და დაბადებული სომეხი, რომლებმაც გივიზე გაცილებით უკეთესად იცოდნენ გრამატიკულად ქართული ენა. ოთხი აზერბაიჯანელი, დანარჩენი ჩრდილო კავკასიიდან იყვნენ – ლეკები, ადიღეელები და უმეტესობა ჩეჩნები. ყველანი ერთად ოცდათორმეტს ითვლიდა, გივიმ განურჩევლად ერისა, ყველანი მაგიდასთან მიიპატიჟა „ბრაგა“ ბლომად ჰქონდა დაყენებული და ლიუდას წყალობით პურ-მარილიც ბლომად მოეპოვებოდა. მაგიდები სასადილოში გააშლევინეს მზარეულებს, სანამ პურ-მარილის

* „ეტაპი“ – მსჯავრდებულთა გადაადგილება.

მისაღებად დაჯდებოდნენ, გივიმ შეამჩნია, რომ ერთ-ერთ სომეხს დანარჩენი სომხები და ის ერთადერთი ქართველიც კი თვალებში შესციცინებდნენ, სხვა კავკასიელები კი მაინც და მაინც არ აქცევდნენ ყურადღებას! გივის ეწყინა ქართველის გადაგვარება და სხვათა ქვეშევრდომობა, მაგრამ არ შეიმჩნია და არც არაფერი უთქვამს... ის სომეხი, რომელსაც დანარჩენები თაყვანისცემით ეპყრობოდნენ, გივისთან მივიდა და საკმაო აქცენტით შეეკითხა:

– ძმაკაც, ეს ზონა შავია თუ წითელი?

– ვერ გავიგე, რას მეკითხები, გინდ სომხურად შემეკითხეთ, თუგინდ ქართულად და გიპასუხებთ, მე რუსული ენა არ ვიცი! – უპასუხა გივიმ ქართულად.

– რუსეთში ვიმყოფებით და ქართულად როგორ ვილაპარაკო, ჰო, კარგი გავეცნოთ ერთმანეთს, მე სარქისა ვარ, ავეტისიანი. ზედმეტ სახელად „ჩორნას“ მეძახიან – სარქისამ ძალად დაამტვრია და დაამახინჯა ქართული ენა, რომ მახარობელს საძრახისი არ გამოეთქვა უცხო ენაზე საუბრისათვის, გივის გაეღიმა, ჰო, „ჩორნა“ მართლაც შესაფერის სახელად ჰქონდა მორგებული სარქისას. მუგუზალივით შავი იყო. ორ მეტრამდე სიმაღლის, ჩასუქებულ-ჩაპუტკუნებული და გაცნობისთანავე შეამჩნია გივიმ, რომ ამ ადამიანის სხეულში რაღაც მზაკვრული, პატივმოყვარული და თავის გადარჩენის ყოველგვარი სიეშმაკე იმალებოდა.

– იმას შეგეკითხე, ეს ზონა შავია თუ წითელი? – ქართულად შეეკითხა სარქისა.

– აბა რა ვიცი? ზოგისთვის შავია, ზოგისთვის – წითელი და ზოგისთვის კიდევ – მწვანე – უპასუხა გივიმ.

– შენ რომელს მიეკუთვნები?

– მე – თეთრკანიანებს!

– შენ ვისთან როგორ უნდა ილაპარაკო, არ იცი, ბიჭო? – გუნდს გამოეყო და ხმა აიმაღლა ქართულად ერთადერთმა ქართველმა საშა ნოზაძემ.

გივიმ მკაცრად გადახედა მოსაუბრეს, არაფერი უპასუხა, დანარჩენი ახლადმოსულები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ და რა ხდებოდა ვერაფერი გაეგოთ.

გივი შემობრუნდა და „სტუმრებს“ ანიშნა, დამჯდარიყვნენ, ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. თვეობით ნამგზავრებმა, მშიერ-მწყურვალებმა ხარბად დაიწყეს სანოვაგის განადგურება. გივიმ ალუმინის „კრუშკა“ „ბრაგით“ შეავსო: – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თანამემამულენო! გისურვებთ მოკლე დროში თავისუფლებას! – სიტყვა აღარ გაუგრძელებია. ხასიათგაფუჭებულს სახე ისე მოექუფრა, ახლა ნამდვილად სევდის გამომხატველ ექსპონატად გამოდგებოდა... მაგიდასთან დიდხანს აღარ გაჩერებულა, ბოდიში მოუხად სუფრის წევრებს და გარეთ გამოვიდა.

დანაყრდნენ და შეთვრნენ თანამესუფრეები, „ბრაგამ“ თავისი მოვალეობა შეასრულა. ზედმეტად ააყაყანა მაგიდა და თავი იჩინა, ვის ვისთვის რა უთქვამს ხუთი თუ ათი წლის წინათ.

– „ახლა ჩხუბს დაიწყებენ და მე დამბრალდება ყველაფერი“, – გაიფიქრა გივიმ და ფიქრი დამთავრებულიც არ ჰქონდა, სასადილოში ომი დაიწყო: ჩეჩნებმა სომხებზე გაილაშქრეს, მაგრამ მალე დაწყნარდნენ, რადგან მათ შორის ერთი ქართველი ეროვნებისა იყო.

რამდენიმე მილიონი წელიწადია, ადამიანი განაგებს სამყაროს. თუ საღვთო წიგნს, ბიბლიას დავუჯერებთ, ადამიანმა მოიპარა და იგემა ღვთისაგან ადამიანის საჭმელად აკრძალული ხილი – ცნობადი კეთილისა და ბოროტისა. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ადამიანმა ვერც ქურდობა ისწავლა და ვერც ცნობა ავ-კარგისა. ამ ტიალ წუთისოფელში მთელი უბედურების სათავე ის არის, რომ დღემდე ვერ გაურკვევიათ, რა არის ადამიანი და ვერც შეთანხმებულან ერთმანეთში, როგორი უნდა იყოს იგი, თითოეულს, რომელსაც ადამიანი ჰქვია და სინამდვილეში არაფერი არ გააჩნია ადამიანური, სწორედ ის ამტკიცებს, „ეტალონი ვარო“... როდესაც მეცნიერებას ვერ

დაუდგენია ადამიანის ადამიანური ნორმები, გივიმ როგორ უნდა შეიტანოს ცვლილებები დამნაშავეთა სამყაროში და ყველა სასჯელდადებული გააადამიანოს?

კავკასიელების მოსვლამ ზონა რაღაც ამოუცნობი მუხტით დაძაბა, თითქოს ბუნებასაც სიმძიმე დააწვა და საწვიმრად ემზადებოდა. რუსი გრძნობდა, რომ ახალი ბატონის სამსახური მოუწევდა და ძველი არ ემეტებოდა დასათმობად, ამიტომ გივისთან მოუხშირეს საჩივარს. გივი ყველას ამშვიდებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

როდესაც ზონა თითქმის დაცარიელდა და ყველა პატიმარი სამუშაოდ წაიყვანეს, გივისთან სარქისა მივიდა თავისი დაცვით – სამი სომხითა და ერთი ქართველით.

– მოდი, პირდაპირ საქმეზე ვილაპარაკოთ! – სუფთა ქართულით მისალმების გარეშე წარმოთქვა სარქისამ.

– ბრძანეთ! – უპასუხა გივიმ და ფეხსაცმელებზე თასმები შეიკრა, ყოველი შემთხვევისთვის თავდასხმის მოსაგერიებლად მოემზადა.

– იცი, „ზემლიაკ“? მე ამ ზონაში მოვედი, ჩემი მაგარი ბიჭობა მთელმა კავკასიამ იცის...

– მთელმა რუსეთმაც! – სიტყვა წამოაშველა ნოზაძემ.

– ჰო, მთელმა რუსეთმაც! – დაუმოწმა სარქისამ და განაგრძო, – ჰოდა, ეს ზონა მე უნდა ჩავიბარო, შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

– ჯერ ერთი, შენ აქ კი არ მოხვედი, მოგიყვანეს და მეორეც, მე ვინ მეკითხება ზონის ჩაბარება-გადაბარებას? გქონდეს, ბატონო, ვინ გართმევს? სულ შენ გქონდეს და მუდამ! დარდი არ იქონიო, არასოდეს არ შეგეცილები!

– თუ თანახმა ხარ, ამ ზონიდან სხვაგან უნდა გადახვიდე, ხომ გაგიგონია: „ერთ ბუნაგში ორი დათვი არ ცხოვრობს“.

– აქ მე საკუთარი ნება-სურვილით არ მოვსულვარ და ჩემს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, სახლში წავიდოდი! თუ საჭიროდ ჩათვლის ადმინისტრაცია, როგორც მომიყვანეს, ისე

წამიყვანენ. ჩვენ ხომ დათვები არა ვართ, ამხელა ზონაში, სადაც ათასამდე კაცი ეტევა, ჩვენც დავეტევით, შენც ისუნთქე ეს დამპალი ჰაერი და მეც შევისუნთქავ ჩემს ნაწილს, შენ რა ხელები შეგეშლება?

– კარგი, იყავ, შეღავათს გაგიწევ როგორც „ზემლიაკს“, მხოლოდ ერთი პირობით: ჩემს ბრძანებას ყოველთვის უყოყმანოდ შეასრულებ!

– ო, ო, ამას ვერ შეგპირდებით, მბრძანებელი არასოდეს მყოლია და ვეჭვობ, თქვენი ბრძანება ოდესმე შევასრულო!

– ვნახოთ! – მუქარით წარმოთქვა სარქისამ და ოთახიდან სიმაღლისმიხედვით გავიდნენ...

მუქარის შემდეგ ერთი კვირის თავზე, გივიმ წვერის გაპარსვა გადაწყვიტა, რადგან მეორე დღეს ლიუდას ელოდებოდა, ფანჯარასთან მაგიდა დადგა, ზედ სარკე და წვერის გასაპარსი მოწყობილობა დააწყო, ალუმინის ჯამით თბილი წყალი მოიტანა ჩამონაპარსი წვერის გასარეცხად. ააქაფა საპონი და... მხოლოდ სახის ნახევარი მხარე ჰქონდა ჩამოპარსული, ინსტინქტით უცხო მზერა იგრძნო, კეფის არეში წამიერი ზეწოლა განიცადა, რაც ქარის ნელ ქროლვას ჰგავდა, შემობრუნდა, უცხო მზერას თვალი შეასწრო, მხოლოდ ვერ იცნო, ის მყისვე გაუჩინარდა, გივის ყურადღება არ მიუქცევია, თავისი საქმე განაგრძო, მაგრამ ხუთ წუთსაც არ გაუვლია, ოთახში სარქისა თავისი ამფსონებით შემოვიდა:

ისევ სალმის გარეშე, შეშინების პროგრამით დაიწყო სარქისამ:

– შენ რა, ტო ლამაზდები? ნეტავი ვის ეპრანჭები ამ ტაიგაში?

გივის ნამდვილად არ ესიამოვნა სარქისას სტუმრობა. მაგრამ არაფერი უპასუხა.

სარქისამ გივის სიწყნარე შიშში ჩაუთვალა და კიდევ უფრო შეტევაზე გადავიდა.

– შენ რა ტო, ლამაზდები? ნეტავი ვის ეპრანჭები ამ ტაიგაში?

გივის ნამდვილად არ ესიამოვნა სარქისას სტუმრობა. მაგრამ არაფერი უპასუხა.

სარქისამ გივის სიწყნარე შიშში ჩაუთვალა და კიდევ უფრო შეტევაზე გადავიდა:

– შენ რა ტო, ხომ არ მემდური, რომ შემოვედი ხომ ხედავ, არ უნდა შემეგებო? აქით მაიხედე, მე მეჩქარება და საჩქაროდ გამპარსე!

– მოითმინე რა ცოტა ხანს, სარქის, დავამთავრებ გაპარსვას და შემდეგ შენ გაგპარსავ – აუღელვებლად უპასუხა მასპინძელმა.

– არა ტო, ბრიტვა დაიბლაგვება, ის კი არ კმარა დამცირებად შენი ნაპარსი ბრიტვით გავიპარსო?

– ახალი ბრიტვით მოგემსახურები, მხოლოდ ცოტაც მადროვე!

– არა-მეთქი! ადექი და გამპარსე! – იღრიალა სარქისამ და სკამს ფეხი გაჰკრა, რომელზეც გივი იჯდა.

– ჰო, კარგი, გემორჩილები! – გივიმ ნახევრად ჩამოპარსული წვერი შეიმშრალა და სარქისას სკამი გაუსწორა: – დაბრძანდი!

სარქისა დიდკაცურად ჩაჯდა სავარძელში და ყელი მოიღერა, რომ უფრო კარგად ამოეპარსათ.

გივიმ „პრიბორში“ ბრიტვა შეცვალა, საპნის ქაფი მოამზადა და დახელოვნებული ოსტატივით გაქაფა სარქისა, შემდეგ ფრთხილად და გემრიელად დაუწყო გაპარსვა. ხშირად რეცხავდა „პრიბორს“ ალუმინის ჯამზე და ერთი ცალ ნაპარსი თმაც კი არ დაკარგვია. მორჩა გაპარსვას, კომპრესი გაუკეთა და ოდეკოლონი აპკურა. შემდეგ მაკრატელი აიღო: „ულვაშს“ შეგისწორებო“ – უთხრა და თავი გადაუწია, მაკრატელი ოდნავ გაშალა და საყლაპავი მილი მაკრატლის პირში მოამწყვდია; მაკრატელი პატიმრებს ისე აქვთ ალესილი, თუ მოგესურვებათ წვერსაც კი ჩამოპარსავთ, ეს მათი საბრძოლო იარაღია.

– სარქის, დიდი სურვილი მქონდა თავისუფლებაზე გავსულიყავი, მაგრამ სავალალოდ შენისთანა პიდარასტები მიღობავენ გზას! ამოილუღლუღე, რას პოულობ ჩემს დამცირებაში? აჰა, გასაგებია, ძლიერს რომ დაამარცხებ, თავი უძლიერესად გინდა წარმოუდგინო მავანს და ხარკი გიხადონ? – მაკრატლის წვერი ღრმად ჩავიდა საყლაპავი მილის ირგვლივ მდებარე რბილ სისხლძარღვებში და სისხლმა მკერდი ჩამოუწუწა სარქისას.

– აი, ხომ ხედავ, სისხლი შენც ადამიანური გქონია! მე კი მეგონა შავი სისხლი თუ გქონდა. ტყუილად შეურქმევიათ შენთვის „ჩორნა“ – სარქისა ხმას ვერ იღებდა, იცოდა ერთი დაუფიქრებელი მოძრაობაც კი მაკრატლის პირებს შეაერთებდა და საყლაპავ მილს გადაკვეთავდა.

სარქისას ამფსონები გაკვირვებულები შესცქეროდნენ წინამძღოლის თვალების მოძრაობას აკვირდებოდნენ, რათა ამოეკითხათ მისი მოქმედების გეგმა. სარქისას თვალები კი ამოუცნობ ცდომილს ჰგავდა, რომელშიც: – შიში, სიბრალული და მწუხარება ჩაგუბებულიყო... გივისთან სიახლოვეს მისვლა ვერავინ გაბედა, ისევ ქართველმა იმარჯვა და:

– ახლავე გაუშვი, თორემ მოგკლავ!

– ახლოა მოიწი, ყურში რაღაც მინდა ჩაგიჩურჩულო ქართულად! – უთხრა გივიმ.

ვინ იცის ნოზაძე შეცდა თუ თავი გამოიჩინა უფროსის წინაშე, ჯიბეების ქექვით ნაბიჯი გადადგა და გივის მოუახლოვდა, ელვის სისწრაფვით ამოძვრა სარქისას ხორხიდან მაკრატელი, ასევე ელვის სისწრაფით დაესო საშა ნოზაძის შუბლს, რომელმაც თვალები გადაკვეთა, სახე ჩამოფლითა და მყისვე სარქისას ყელს დაუბრუნდა, ამ პროცესს თვალიც ვერავინ შეასწრო, მხოლოდ საშას ღრიალმა შესძრა მთელი ბანაკი.

– ჰო, კარგი არ მოგკლავ სიცოცხლეს გაჩუქებ, სარქის. არც მონად გაგიხდი, მხოლოდ გზიდან ჩამომეცალე, თორემ მეორე შემთხვევაში ვერ გადამირჩები, ახლა კი ეს შენი

წვერის ნაპარსი წყალი, რა თქმა უნდა, ცოტა ჩემი წვერიც ურევია შიგ, აიღე და დალიე, თორემ შევაერთე მაკრატლის პირები!

სარქისა უარის ნიშნად შეინძრა, მაკრატელი კი უფრო ღრმად წავიდა და საყლაპავი მილიც შეავიწროვა. ალბათ, ძნელია როდესაც საკუთარი თვალით უყურებ სიკვდილს და ხსნა ისევ საკუთარ თავს შეუძლია, ამიტომ სარქისამ ფრთხილად გამოსწია ხელი და ალუმინის თეფში მოძებნა, შემდეგ ორივე ხელით აიღო და დაეწაფა:

– არ შეისვენო! – წყნარად უთხრა გივიმ და მართლაც არ შეუსვენია სარქისას, საპნიან, ორნაირი წვერის ნაპარსი თმით სავსე, დაახლოებით ერთი ლიტრი წყალი შეუსვენებლივ დალია. გივიმ მაკრატელი გამოაძრო ყელიდან და უთხრა:

– „ერთ ბუნაგში რადგან ორი დათვი ერთმანეთს ვერ ეგუება“, ამიტომ გირჩევ, „ზაპრეტკაში“* გადახტე და თავს უშველო, თორემ ამ ბიჭებს რომ ვუყურებ, თვალის ჩაპაჭუნებას ელოდებიან და ადგილზე ჩაგქოლავენ (ბიჭები მართლაც შეგროვილიყო საშას ყვირილზე და მართლაც გივის სიტყვას ელოდებოდნენ). სარქისა ადგა, ლაზათიანად ჩაახვია წიხლი წაქცეულ ნოზაძეს, „რა გაღრიალებსო“ – უთხრა და გარეთ გამოვიდა, რომელმაც მართლა პირნათლად შეასრულა გივის დარიგება... საშა ნოზაძე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ადგილობრივი მედიცინა უძლური აღმოჩნდა მისი დაავადების წინაშე და მეორე დღეს ცენტრალურ საავადმყოფოში გადააგზავნეს. გივის საშა ნოზაძე აღარ უნახავს, თუმცა მისი ბედი ძალზედ აღელვებდა.

ადმინისტრაციას არ დარჩენია გაუგებარი გივის ახალი დანაშაული, მაგრამ არ დაუკითხავთ, რადგან კავკასიელებმა სულგრძელობა გამოიჩინეს და გივი დანაშაულში არ ამხილეს, ასეა თავისუფლებაზეც, ადამიანის უბედურებაზე აგე-

---

* „ზაპრეტკა“ – აკრძალული ზონა, სადაც გავლა არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში დარახი გესვრის!

ბული ბედნიერება ხშირად უბედურებით მთავრდება, ნუთუ ვერ დაეტეოდა ორი კავკასიელი ათასკაციან ბოროტმოქმედთა თავშესაფარში? თქვენ როგორ ფიქრობთ, დარბაისელო მკითხველო, განა ადმინისტრაციის მესვეურთ არ ეჯავრებათ ბოროტმოქმედნი, რომლებიც განმეორებით ჩადიან ბოროტმოქმედებას? ჯერ ერთი დანაშაულიც არ მოუნელებიათ და მეორეს ჩადიან, მესამეზე კი ფიქრობენ... წესრიგის დამცველებმა კარგად იციან, რომ ბოროტმოქმედთა სამყარო ბუდეა ბოროტებისა და იგი ამრავლებს ქვეყანაში ბოროტმოქმედებას. წესრიგის დამცველებს უხარიათ თავისუფლებაზე წესიერი ადამიანის გაცილება და გზას ულოცავენ... წესრიგის დამცველს არა ჰყავს პატიმარზე უახლოესი მეგობარი, ისე როგორც პატიმარს არა ჰყავს წესრიგის დამცველზე საშინელი მტერი. წესრიგის დამცველი პატიმრისაგან იგებს ზონის ავკარგს და ამით არის ძლიერი, ამიტომ მეგობრობს მასთან და იყენებს გარემოებისა და შემთხვევის შესაბამისად... ამიტომ არის მტერი წესრიგის დამცველი პატიმრისა, რომ ის ინარჩუნებს მეგობრობას, იყენებს კარიერის ასამაღლებლად გარკვეულ დრომდე. შემდეგ კი ის ყვავილი მოწყდება და „სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

პატიმრობას სიბრძნე არ მოაქვს ადამიანისათვის, და არც არის სანატრელი ის სიბრძნე, რომელსაც პატიმრობაში იძენენ და პირადი გამოცდილებით აგროვებენ, ასეთი ცოდნა აქლემის კუზსა ჰგავს რომელშიც ცხოველი ქონს აგროვებს. სიბრძნე უჩინო უნდა იყოს, პაწაწინა გასაღების ტოლი, რომელიც შუბლის ძარღვს გააღებს, სულიერი სიკეთის დასათესად... ასეთ სიბრძნეს პატიმრობაში ვერ შეიძენ, ამას თავისუფალი სამყარო ესაჭიროება და სულიერი მასწავლებელი.

ყოველი პატიმრობა წინდახედვაა და მეტი არაფერი, რომელიც ბოლოსა და ბოლოს გვშველის, ცოტათ თუ ბევრად თავი დავიძვრინოთ მომავალი ხიფათისაგან, ავცდეთ ბოროტს და თუ სურვილი გვექნება, მივბაძოთ კეთილს. რა თქმა უნდა,

პატიმარსა და თავისუფალ მოქალაქეს შორის სხვაობა უნდა იყოს ისე, როგორც სიკეთესა და ბოროტებას შორისაა, სხვაობა რომ არ იყოს, არც პროგრესი იქნებოდა, არც სიცოცხლეს ექნებოდა აზრი და წარმატება. სხვაობა კი მართლმსაჯულებისაგან უნდა წარმოიშვას, რამდენადაც სრულია და კანონიერი მართლმსაჯულება, იმდენად მაღალია სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანისა, ბუნებას ნურაფერს ვაბრალებთ, თვითონ ადამიანი ქმნის სამყაროში აუტანელ პირობებს და ამიტომ საჭიროებს კანონმდებელს, თორემ ბუნებამ კეთილისა და ბოროტების არა იცის რა.

ნურავინ ნუ დაიტრაბახებს, რომ დაზღვეული იყოს პატიმრის ხვედრისაგან, როგორც სიკვდილი, შეიძლება ასე გარდაუვალი იყოს პატიმრობა მასზედ, ვისზეც თავი დაზღვეული ჰგონია და აბუჩად იგდებს პატიმარს.

ყოველ ადამიანში თვლემს დამნაშავის დაუდგრომელი სული. ეს იმ შორეულ გარდასულ ეპოქათა ქვეცნობიერი გადმონაშთია, როდესაც საარსებო საშუალებათა მაძიებელი ადამიანი ხშირად ჩადიოდა პირადი სარგებლობისათვის კანონსაწინააღმდეგოდ. ჩვენი შორეული წინაპრები ბოროტმოქმედებას ძირითადად ხისა და ქვის იარაღით ჩადიოდნენ, მაგრამ განვითარდა პროგრესი. ადამიანმა რკინის იარაღის გაკეთება ისწავლა, შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღისა და, მოგეცათ ლხენა, ბოროტმოქმედები უფრო გაბედულად შეიჭრნენ დანაშაულთა სიღრმეში.

უდავო ჭეშმარიტება მაინც ის არის, რომ ადამიანისათვის ყველაზე დიდი მასწავლებელი დამნაშავეთა სამყაროა. მაგრამ იმ განსხვავებით, ვისაც ბედმა უმუხთლა, საკუთარი და თანამებრძოლთა სიცოცხლის ფასად სიბრძნის ნაწილი მომავალ თანამოსაქმეებს დაუტოვა და ჩვენ მხოლოდ წიგნების საშუალებით ვაღწევთ მცირედი ინფორმაციის მიღებას. რამდენიც უნდა ყვინთოს მარგალიტის მაძიებელმა ოკეანეში, ყველა მარგალიტს ვერ ამოიღებს... ასეა წიგნიც, მითუ-

მეტეს გასაბჭოებულ ქვეყანაში დაწერილი, სადაც ყოველი წიგნი შეკვეთით იწერებოდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ ის არის, რომ ადამიანები ცოდნის, მსოფლმხედველობის, გემოვნებისა და განწყობილებათა გამო ხშირად სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ერთსა და იმავე მოვლენას, მთავარი კი მაინც ერთია: რომ ჩვენს ცოდნით დახუნძლულ საუკუნეში რატომ არ მოიძებნება ერთი ისეთი კაცი, რომელიც თავისი სიცოცხლის ათ წელიწადს გაიმეტებდა ბოროტმოქმედთა სამყაროში გასატარებლად, რათა შეისწავლოს არა მარტო ბალახების, ქვების, ტილისა თუ რწყილის აგებულება, არამედ პატიმართა ორგანიზმისა და თავის ტვინის უჯრედების აგებულება.

გივი რომ მწერალი ყოფილიყო, ალბათ შეძლებდა ბოროტმოქმედთა სამყაროს ერთი რომელიმე ნაწილის აღწერას, რომელიც მთელ მის ახალგაზრდობაში გულივით ფეთქავდა, ხან აბობოქრებული, ხანაც წყნარად და მშვიდად... სამყარო, რომელიც მუდამ აფორიაქებდა, ის ჰარმონიას სხეულით გრძნობდა და ბოლოსდაბოლოს ღრმად შეისრუტა პატიმართა გრძნეული სიბრძნე.

ასეთ მშფოთვარე ადგილებში განვლო გივიმ სასჯელის ნახევარი და ერთ საღამოს მოულოდნელად შტაბში გამოიძახეს. დაღლილი კაცის იერით წარსდგა ჩიბატკოვის წინაშე და გამოძახების მიზეზი იკითხა:

– თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი თქვენს წინაშე, მოქალაქე უფროსო, რით დავიმსახურე დამერღვია თქვენი წყნარი და მშვიდობიანი ჰარმონია?

– ჩიბატკოვს გაეღიმა! „რუსული სუფთად უსწავლია, ჩემ ხელში გამოიჩიჩქნაო!“ – გაიფიქრა და გადაწყვიტა პირდაპირ საქმეზე ელაპარაკნა:

– გივი ნუთუ არ მოგწყინდა ამ ორომტრიალში ყოფნა, ცუდი გზა აირჩიე, მეგობარო, ახლა კი გიჭირს თავის დაძვრენა...

– სწორი ბრძანებაა უფროსო, ბოროტმოქმედთა გზაც ცუდია, სავალად სახიფათო და სიცოცხლისთვის უმოკლესი, მაგრამ რა ვქნა, ხიფათი ხანდახან ჩემს დაუკითხავად მეწვევა ხოლმე.

– არა, მაგ გზას არ გეუბნები, მე ადამიანთა გაადამიანებაზე მაქვს მხედველობა შეჩერებული, რომელსაც თვითონ ოცდაათი წელიწადია ვემსახურები და არა გამომივიდა რა, შენ კი გგონია, მიზანს მიაღწევ?

– რატომაც არა, უფროსო! დღევანდელი ჩვენი საპყრობილე თთქმის გამოსწორების გზაზეა დამდგარი, აქამდის თუ განთავისუფლების შემდეგ მომავალი დანაშაულის გეგმებს ადგენდნენ, დღეს კეთილსინდისიერი ცხოვრება გადაუწყვეტია პატიმართა უმეტესობას!

– პატიმართა უმეტესობას კი გადაუწყვეტია კეთილსინდისიერი ცხოვრება, მაგრამ სწორედ პატიმართა უმეტესობა ვერ ეგუება ზედამხედველს, არადა ცხოვრება ზედამხედველის გარეშე შეუძლებელია! აქ პატარებს ჩვენ ვყავართ ზედამხედველად. ჩვენ კიდევ ჩვენზედ მაღლა მდგომი და ასე თანმიმდევრობით როგორი ცხოვრებაც არ უნდა აიღო, თუგინდ წვეულების სუფრა, სადაც ადამიანი უზრუნველად გრძნობს თავს, თამადას ნიშნავენ ზედამხედველად, რომელიც იყენებს თანამდებობას და ბრძანებულებას. ასეა საერთოდ ადამიანის მოდგმა შეძლებისდაგვარად თანამდებობის მიხედვით მბრძანებლობენ ერთიმეორეზე და ბოლოს უფალი განაგებს ყველას ბედს! ადამიანი ჯერჯერობით ამოუცნობი მანქანაა თვით მეცნიერებაც უძლურია, შეიცნოს იგი?

– თუ ასე დარწმუნებული ბრძანდებით, უფროსო, რომ ბითურია ადამიანის შეცნობა და აღზრდა, რატომ ემსახურებით ასეთ სისტემას, რომელიც ადამიანის აღზრდას განაპირობებს?

– მე სამსახური მაქვს ასეთი, მე არ ვიყო, სხვა იქნება და მწამს ჩემზედ განუკითხავი! თუ ვამბობ ადამიანის ახლად აღ-

ზრდის შეუძლებლობას, ნამდვილად არ ვცდები, შენ იუნესკოს იცნობ?

– არა, არ ვიცნობ, ვინ არის ასეთი?

– იუნესკო ვინ არის კი არა, ორგანზაციაა, რომელიც საფრანგეთში არის დაფუძნებული. გაერთიანებული ერების სამყაროს მიერ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა. იუნესკოს წევრია 150-ზე მეტი სახელმწიფო და მათ შორის ერთ-ერთი საქართველოა! იუნესკოს მიზანია, ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა პატივისცემას! იუნესკოს ერთ-ერთ დიდ მიღწევად თავისი არსებობის მანძილზე „კაცობრიობის ისტორიის“ ექვსტომეულის შედგენა და გამოცემა ითვლება, ამ დიდი გამოკვლევის შესაქმნელად თვრამეტი წლის განმავლობაში მუშაობდა ათასი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენელი, მაგრამ კაცობრიობას მაინც არ მიაჩნია „კაცობრიობის ისტორია“ დამაკმაყოფილებლად, რადგან ვერ დაუმტკიცებიათ ადამიანის ვერც წარმოშობა და ვერც ადამიანის ადამიანზედ ბატონობის მიზეზი.

– მოქალაქე უფროსო, იმიტომ გამომიძახეთ, რომ ჩემთვის იუნესკო გაგეცნოთ?

– ჰო, ამიტომ გამოგიძახეთ, ადამიანთა გაადამიანებისათვის იბრძვი და თვითონ კი ადამიანური ცოტა რამ გაგაჩნია, ადამიანის ტანჯვაში ბევრ სიამოვნებას ნახულობ და სწორედ ეს არ არის ადამიანური! ასეთი ქმედებით შეიძლება, ბევრი შენში სიმამაცეს ხედავდეს, მაგრამ ცდებიან, ულმობლობა არ შეიძლება სიმამაცედ ჩაითვალოს!

– ვერაფერიც ვერ გავიგე, უფროსო, რისი თქმა გინდათ და რას მიპირებთ?

– ყველაფერი ბრწყინვალედ გაიგეთ და ისიც კარგად იცით, რომ ჩვენ შენი ფეხის ნაბიჯის ყოველი ნატერფალი

ვიცით! ახლა დრო მოვიდა და ვფიქრობთ შენს განთავისუფლებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომელი კეთილი ზრახვები მიგყვებათ ჩვენგან? ამის გამო ვშიშობთ რომ თავისუფლებაზე ის ულმობელობა გაგყვეს, რომელიც ჩვენთან შეიძინეთ...

– მოქალაქე უფროსო, აქ ახალს ვერაფერს ვერ შეიძენს ადამიანი... ალბათ, ეს მონაცემები მე დედის საშოდან გამომყვა, მემკვიდრეობით, თქვენ ხომ თვითონ მითხარით, „ასეთიაო ადამიანის ბუნება“, ადრე თუ გლადიატორები თავიანთი დაუნდობელი ბრძოლით მზერას უტკბობდნენ მაყურებელს ახლა უდიდეს განათლებას მივაღწიეთ და გლადიატორების ბრძოლა – კრივმა და კარატემ შეცვალა, თუმცა სხვაობა ძალზე ცოტაა. მე რა ცუდი ზნეც მჭირს აქაურ ცხოვრებას ნუ დააბრალებთ, ეს ყველაფერი ჩემი ხალხისგან მაქვს შთამომავლობით, მათ შემასწავლეს სიყვარულიცა და ულმობლობაც, თქვენ კარგად იცით, მე არავინ მიმიზიდავს გამოძალვის მიზნით, პირიქით, გაჭირვებულს ყოველთვის საკუთარ ლუკმას ვუყოფდი სიკეთესაც და თავდაცვით დანაშაულსაც მარტოდ ჩავდიოდი, ისიც მოგეხსენებათ, რომ შემეძლო ზონა ამემხედრებია, მაგრამ „ყველაზე მეტი ბრწყინვალება იმაში მდგომარეობს, რომ გააკეთო სიმარტოვეში ის, რასაც უმეტესობა აკეთებს მოწმეებით“ – თქვენ ბრძანეთ, რომ ჩემს განთავისუფლებას ფიქრობთ, რა თქმა უნდა, ჩემთვის დაუჯერებელია და თქვენთვის სულგრძელობა! თუმცა ორივე მხარისათვის კეთილი საქმეა, მაგრამ ამ უზარმაზარი სიკეთის სანაცვლოდ მე რა უნდა გავაკეთო?

– არაფერი, შენი საქმისთვის უკვე იზრუნეს.

– თქვენმა კეთილშობილებამ ერთი ისტორიული ამბავი გამახსენა: „თურქ სელჯუკებთან ბრძოლის დროს, ქართველ ლაშქართა სარდალი ბაღვაში ტყვედ ჩაუვარდა სელჯუკთა სულთანს თორღულ-ბეგს, რომელმაც ქართველ ერისთავს თავისუფლების მინიჭებისა და სიცოცხლის შენარჩუნები-

სათვის რჯულის შეცვლა და გამაჰმადიანება მოსთხოვა. მას ქართველმა სარდალმა უპასუხა: – „თუ ვაჭარი ხარ, გამყიდე; თუ მტარვალი – მომკალი, და თუ მეფე ხარ, გამისტუმრე ჩემს სამშობლოში მეფურად დასაჩუქრებულიო“.

თორღულ-ბეგს მოეწონა ბაღვაშის სიტყვა და უპასუხა: – „მე არ ვვაჭრობ შენისთანა ძლევამოსილი და სახელოვანი ვაჟკაცებით, არც შენი სისხლით ხელის გასვრა მიმაჩნია ვაჟკაცობად, რადგან ეს ბრძანება იქნება, რომელსაც ჯალათი შეასრულებს და არა პირისპირ ბრძოლა, მე მეფე ვარ და მეფურად გამისტურებიხარ“. – ღიმილით წარმოთქვა მეფემ და დიდად დასაჩუქრებული გამოისტუმრა სამშობლოში – მე ვიყენებ იმ ჩემი დიდი წინაპრის სიბრძნეს და იგივე მომიხსენებია თქვენთვის, რადგან მე დღეს ტყვე ვარ თქვენი, გთხოვთ მეფურად მომეპყროთ.

– ეგ ადრე იყო, სელჯუკების დროს, თუ არ ვცდები მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში, ახლა კი ტყვეების გამოსყიდვაა მოდაში. მაგრამ ამაზე უკვე შენმა მეუღლემ იზრუნა, რომელიც ალბათ შენი დაპროგრამებულია, თორემ რუსის ქალი ამდენს ვერ მოახერხებდა.

– არაფერიც არ ვიცი, მაინც რა მოახერხა ასეთი?

– როგორ არ იცი, გენერლის მეუღლეს ბრილიანტის ქვებით მოჭედილი შეუფასებელი დედა ღვთისმშობლის ხატი მიუძღვნა საჩუქრად და ასევე უძვირფასესი სამკაულები, გენერლის მეუღლე ფრიად გაკვირვებული დარჩა და სამაგიეროს გადახდა შენს განთავისუფლებაში მიაგნო... ასე რომ, შენმა მეუღლემ გენერლის მეუღლეს სთხოვა შენი პატრონობა, გენერლის მეუღლემ – გენერალს, ხოლო გენერალმა მე დამავალა შენი საქმეების შემოწმება და თუ ამით კანონი არ დაირღვეოდა – განთავისუფლებაც!

– ოჰ, ღმერთო ჩემო, რა კარგად ჰგავს რწყილისა და ჭიანჭველას იგავს...

– ჰო, იგავი – იგავია, მწერალმა შეიძლება იგავში გამოსა-

ხოს ცხოვრებისეული ფაქტები, შეიძლება შენც დაწერო შენს მოგონებებში ოდესმე იგივე, ვინ იცის...

– ეჰ, ჩემი მოგონებები აქ დაიწყო და აქვე სრულდება, ძალზე ღარიბულია.

– იქნებ მიტომ უფრო მომწონხარ, რომ თავის ქებას გაურბიხარ, ამიტომაც გადავწყვიტეთ შენი დროზე ადრე განთავისუფლება, შეამჩნევდი მსოფლიოში საყოველთაო განუკითხაობა იწყება... ეს არეულობის ბაცილა რუსეთშიდაც გავრცელდა და საქართველოშიდაც. მუსულმანური ქვეყნებით შემოფარგლულმა საქართველომ ყოველწლიური და ყოველდღიური ომებით დაუძლურებული, ასე რომ ათქვათ, რუსეთმა შეიფარა და მიეშველა, რევოლუცია და სამამულო ომის სიდუხჭირე ერთად გადავიტანეთ. არ ვიტყვი ჩვენი წყალობით-მეთქი, მაგრამ ამა სხვებიც ამბობენ... ქართველი ერი ფეხზე წამოდგა, წარმატებებს, რომელსაც აღწევდა, მხოლოდ თავისი მიღწევები ეგონა ყოველივე, ისე როგორც ცალთვალა ხარს, მთელი ველი თავისი ნახნავი, რადგან მეორე ხარისკენ თვალი არ ჰქონდა და მას ვერ ხედავდა, ასე რომ „თავისი“ წარმატებებით გაბოროტდნენ, დაავიწყდათ გასაჭირის დროს მშველელი და გადამრჩენი, დაიწყეს აშენებული ქვეყნის დანგრევა-განადგურება, ითხოვენ დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადებას და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას. მე მეშინია ამ ნაბიჯის გადადგმის! ყოველ ქართველს უმადურობად ჩაუთვლის რუსი, მათ შორის შენც პირადად და გამორიცხული არ არის შურისძიება. აგიჯანყდებიან და რადგან მტერი გყავს ძალზედ ბევრი – დაგამარცხებენ, მე კი მინდა, შენ აქედან დაუმარცხებელი წახვიდე! მოემზადე, მალე ალბათ სასამართლოზე წარგადგენ!

– წინასწარ მადლობას მოგახსენებთ და რადგან ტყვეების გამოსყიდვა არსებობს და არა შეწყალება, ჩემი მეუღლე თქვენი მეუღლისათვის იზრუნებს.

– წინასწარ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ არა ნაკლები უნდა იყოს გენერლის მეუღლის საჩუქარზე...

– ეს როგორ, უფროსო, საჩუქარი შერბილებული სიტყვაა, სინამდვილეში კი ქრთამს ნიშნავს და ქრთამი კი თანამდებობისა და ჩინის მიხედვით გაიცემა, პოლკოვნიკს – პოლკოვნიკის ულუფა უნდა მიუძღვნათ, გენერალს – გენერლისა და ლეიტენანტს – ლეიტენანტის!

– კარგი, კარგი, შენებურად იყოს, მხოლოდ არ დაგავიწყდეს რომ ლეიტენანტი აღარა ვარ!

– ვხუმრობ, პოლკოვნიკო! – თქვა გივიმ და საკმაოდ გახარებული დაბრუნდა ზონაში. პოლკოვნიკმა ჩიბატკოვმა და გენერალმა მოროზოვმა შეასრულეს დანაპირები, ორი კვირის შემდეგ გივი სახალხო სასამართლოზე წარადგინეს.

სასამართლომ პირველი სიტყვა გივის უშუალო ხელმძღვანელს უფროს ლეიტენანტს მოგილას მისცა!

– ბატონო მოსამართლენო! – დაიწყო მან, მე ტაბატაძის დახასიათებაშიც აღვნიშნე, რომ ტაბატაძე ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, დროზე ადრე განთავისუფლებას არ იმსახურებს, რადგან თითქოსდა სიმართლისათვის მებრძოლი, ყოველდღიურ ახალ-ახალ დანაშაულს სჩადის ზონაში, ზოგჯერ ისეთსაც კი, რომელსაც ადამიანი იშვიათად თუ მოიფიქრებს. იყო შემთხვევა, როდესაც გავარვარებული უთოთი დასწვა ბორის მიშენკოვი და საბრალო ხეიბარი განთავისუფლდა, შემდეგ სარქის ავეტისიანი აიძულა წვერის ნაპარსი დაელია, რომელმაც ჩვენი ზონა დასტოვა და დღესაც საავადმყოფოში იმყოფება კუჭის ოპერაციის შედეგად. ერთი თვის წინათ, რიბაკოვი, რომელიღ ტრაქტორისად მუშაობს, ბიკოვმა სცემა, მიზეზით: „შენმა ტრაქტორის ხმაურმა დამაყრუაო“. რიბაკოვმა ტაბატაძესთან იჩივლა და სთხოვა მტყუან-მართლის საქმე განესაჯა: ტაბატაძემ მოუხმო ბიკოვს და საკუთარი ხელით ყურები დააჭრა: „თუ დაყრუვდი და არაფერი გეყურება, ყურები რაღად გინდაო?!“ – ეს ბატონო მოსამართლენო, რაც თვალსაჩინო დანაშაულია ტაბატაძის მიერ ჩადენილი, თორემ ვინ მოსთვლის წვრილმან

დანაშაულებს, რომელსაც ჩვენი მესვეურები არ ახმაურებენ... ამასთან ერთად ტაბატაძე განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა ქალ-მასწავლებლებს, რომლებიც ზონაში შემოდიან და მის სიმპათიას იმსახურებს. ეს იმას ნიშნავს, რომ გარყვნილებისკენ უბიძგებს ჩვენს დედებსა და მეუღლეებს, იმის სანაცვლოდ, რომ ისინი თავდადებულ შრომას სწევენ პატიმართა აღზრდის საქმეში! ტაბატაძე ეტანება ალკოჰოლურ სასმელს, რაზედაც პირადად მყავს ხშირად შემჩნეული...

გივიმ ვეღარ მოითმინა იმ ადამიანისგან შეურაცხყოფა, რომელსაც თვითონ შემოჰქონდა ზონაში ალკოჰოლური სასმელი და ხუთჯერ მეტ ფასად ჰყიდდა, სასამართლოსთვის ნებართვა არ უთხოვია, გულმოდგინედ ფეხზე წამოიჭრა და უფროს ლეიტენანტს დაუპირისპირდა, მოგილას ტანში გასცრა. იფიქრა, გივი ყველაფერს იტყოდა, იმასაც კი, რომ თვითონ შემოჰყავდა ქალები მისთვის და დარბაზიდან გაქცევაც კი დააპირა... გივიმ სასამართლო კოლეგიას ბოდიში მოუხადა და მოგილას შეეკითხა:

– მოქალაქე უფროსო, თქვენ არასოდეს დაგილევიათ ალკოჰოლური სასმელი.

– რა თქმა უნდა, არა – არასოდეს! – მტკიცედ განაცხადა სამართალდამცველმა.

– არც სიმართლის დასაცავად გიბრძოლიათ არასოდეს?

– რა თქმა უნდა, არა! – ისევ მტკიცედ განაცხადა

– არც სუსტი სქესის ლამაზმანებისათვის მიგიქცევიათ განსაკუთრებული ყურადღება?

– ეს რა შეკითხვაა. რა თქმა უნდა, არა!

– ბატონო მოსამართლენო! – ახლა სასამართლო კოლეგიას მიუბრუნდა გივი და ხმამაღლა წარმოთქვა:

– რადგან ასეთი უმწიკვლო ადამიანი ბრძანდება უფროსი ლეიტენანტი მოგილა, გთხოვთ, ჩემს მაგივრად ის გაათავისუფლოთ ამ ჯოჯოხეთიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით!

სასამართლო კოლეგიის ყველა წევრს და დარბაზში მსხდომთ, ყველას ხმამაღლა გაეცინა, მოსამართლე იძულებული გახდა დაფიონისთვის შემოეკრა და სიწყნარე მოეთხოვა, თუმცა თვითონ სხვებზე ხმამაღლა იცინოდა. მოგილა სირცხვილისა თუ ნერვიულობისაგან წამოჭარხლებულიყო და თავი სირაქლემასავით ჩაემალა სკამებს შორის.

მოსამართლემ ტაბატაძის დამცველს, მედვედევს მისცა სიტყვა.

მედვედევი ნახევარ საუკუნეს გადაცილებული მამაკაცი იყო, სიმპათიური, ულვაშიანი, რომელსაც წაბლისფერ ულვაშში ქალმა შეპარვოდა და კიდევ უფრო სიმპათიურს ხდიდა. ადვოკატს როგორც ჩანდა ასანთის კოლოფზე აღენიშნა მოგილას ნასაუბრები და გადამრჩენი საგანივით ხელში ატრიალებდა:

– ბატონო მოსამართლენო, როგორც ბატონმა მოგილამ ბრძანა, ჩემს დაცვაში მყოფი გივი აკაკის ძე ტაბატაძე მართლაც საშიში ბოროტმოქმედი ყოფილა, რომელიც თავისუფლებას კი არა და ახალ სასჯელს ითვალისწინებს, გავარვარებული უთოთი ადამიანის წამება ეს ბორომოქმედება როდია, ეს სადიზმია ბატონებო! ყურების დაჭრა კი სხეულის მძიმე დაზიანებაა, რაც შეეხება წვერის ნაპარსის დალევას, ასეთი დანაშაული არც სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს და არც გამიგონია! მაგრამ ისმის კითხვა: სად იმყოფებოდა უშუალო ხელმძღვანელი, როდესაც ერთი თავზეხელაღებული პიროვნება ასეთ არგაგონილ დანაშაულს ჩადიოდა? შევეკითხოთ ბატონ მოგილას, თუ დაუწერია ერთხელ მაინც რაპორტი და მოუთხოვია ტაბატაძის დასჯა? მე ეჭვი მეპარება, ბატონო მოსამართლენო, თვითონ მოგილა ხომ არ უწევდა მფარველობას ტაბატაძეს და თვითონ ხომ არ ამარაგებდა ალკოჰოლური სასმელებით სუსტი სქესის მასწავლებლებს პატივისცემით ეპყრობაო“ – ნუთუ ეს დანაშაულია? ბატონო მოგილა, სუსტი სქესის ლამაზმანებითაც ხომ არ ამარაგებდა ტაბატაძეს?

მოგილამ ვერ მოითმინა ადვოკატის ესოდენ ენაწყლიანი ლაპარაკი და სასამართლოს მიმართა:

– ბატონო მოსამართლენო, პროტესტს ვაცხადებ, ბატონი ადვოკატი ყოველ სიტყვას ჩემს საწინააღმდეგოდ რომ ამბობს, რატომ არ კითხულობს, ტაბატაძეს საიდან მოჰქონდა ფული, როდესაც უზარმაზარ თანხას მიხდიდა ერთი ლამაზმანის მოყვანისათვის და ხუთჯერ მეტ თანხას – ლიტრ არაყში?

მოსამართლემ გაკვირვებით გადახედა მსაჯულებს, ადვოკატმა კი განაგრძო:

– დიახ, ბატონო მოსამართლენო: – „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკაო და თავის დასაკლავი დანა თვითონ გამოჩხრიკაო“, მე მხოლოდ ეჭვი გამოვთქვი უფროსი ლეიტენანტის ძლევამოსილებაზე და ეჭვი გამართლდა... ჩვენს პლანეტაზე მაცხოვრებელი მამაკაცი, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა ეტანება ალკოჰოლურ სასმელს, მაგრამ იზოლირებული ადამიანი იმით განსხვავება თავისუფლებაზე მყოფთაგან, რომ ეს უკანასკნელი მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ სიამოვნებას, თუმცა მოგილასმაგვარი წესრიგის დამცველები მსჯავრებულებს არაფერს მოაკლებს! ასე წარმოიდგინეთ, რომ ალკოჰოლთან ერთად არც ქალის ალერსს, ქალი კი მოგეხსენებათ არ არის ცხელსისხლიანი კავკასიელებისთვის და ეჭვიც არ მეპარება მოგილას სიტყვაში, რომ ტაბატაძე უზარმაზარ თანხას იხდიდა ქალთან ალერსში... კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ უჩვენა, რომ უმშვენიერესი ქალის დანახვაზე, მამაკაცის თავის ტვინის ქერქში ისეთივე ქიმიური რეაქცია ხდება, როგორიც ნარკომანის ტვინში მორიგი დოზის მიღების შემდეგ! ალბათ, კაცობრიობამ და მათ შორის მართლმსაჯულებამ გაითვალისწინა ეს გარემოება და მოგეხსენებათ, რომ ქალის სიყვარული სირცხვილად და დანაშაულად არ ითვლება!

რაც შეეხება რიბაკოვის დაცვას და ტაბატაძის მიერ ბიკოვის დასჯას, სრულ კანონზომიერებად მიმაჩნია! რადგან

უშუალო ხელმძღვანელზე მეტი მხარდაჭერა რიბაკოვმა ტაბატაძემ ნახა...

მოგილა კვლავ ფეხზე წამოიჭრა, ადვოკატს საუბარი შეაწყვეტინა და სასამართლოს მიმართა:

– პროტესტს ვაცხადებ, ბატონო მოსამართლენო და ბოდიშს ვიხდი ცრუ ჩვენებისათვის, რადგან მწამს, ადვოკატი მედვედევი ადვილად დაამტკიცებს, რომ ბიკოვმა, რა თქმა უნდა, ჩემი დახმარებით დავაჭერით ყურები ტაბატაძეს, მერე რა ყურები რომ აქვს, ადვოკატი იმასაც შეძლებს, რომ დაჭრილი ყურები თავის ადგილზე მიაბას დაზარალებულს.

დარბაზს ხმამაღლა გაეცინა. მოსამართლეს გაეღიმა.

– ბატონო მოსამართლენო! – სიტყვის გაგრძელება დააპირა ადვოკატმა, მაგრამ მოსამართლემ დაფიონს შემოჰკრა, რაც იმას ნიშნავდა „გეყო რაც ილაყბეო“ და სიტყვის გაგრძელების უფლება მედვედევს აღარ მისცა.

მოსამართლემ თანმიმდევრობით დაჰკითხა მოწმეები. ყველანი გივის მომხრეები აღმოჩნდნენ, ისინიც კი, რომლებიც მოგილას მიერ იყვნენ დაპროგრამებულნი თუ როგორ უნდა ელაპარაკათ, მაგრამ ყველამ უარჰყო მოგილას აზრი და გივის დაუჭირეს მხარი, ერთ-ერთმა მოწმემ კი ასე დააბოლოვა სიტყვა: „ჩვენო მეგობარო და გაჭირვებულთა გვერდით მდგომო გივი, თქვენ წახვალთ და ჩვენ ისეთი ადამიანის ხელში დავრჩებით, წვეთ-წვეთ გამოგვწოვს სისხლს შენი გვერდში დგომისათვის, მაგრამ ალალი იყოს შენზედ ჩვენი გასაჭირი, შენ იყავ ბედნიერი, ჩვენო მეგობარო!“ ორი საათის შემდეგ სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და გივი აკაკის ძე ტაბატაძე საკუთარი გვარითა და სახელით, საკუთარი ნივთებითურთ დარბაზიდანვე გაათავისუფლეს...

– „ალაყაფის კარები გამიღეთ“ – ბრძანა გივიმ და ეს თხოვნა შეუსრულეს, სწორედ აქ ელოდებოდა ლიუდა... სიხარულის ცრემლები ნაკადულივით ჩამოდიოდა ღაწვებზე

და ნიკაპზე კამარას ჰკრავდა... დიდხანს კოცნიდნენ ერთი-მეორეს, წესრიგის დამცველებსაც კი შეეხარბათ ასეთი ძლიერი სიყვარული!

ლიუდა ზონიდან სულ ასიოდე მეტრში ცხოვრობდა, დღეს გივის განთავისუფლებას ელოდა. საცხოვრებელი ბინა საზეიმოდ იყო მორთული. პურ-მარილიც ძვირფასი გაეკეთებიმა საყვარელ ადამიანს და დაბაში მაცხოვრებელი წარჩინებული პირებიც მოეწვია. აქ იყო გენერალიც და მისი ორი მოადგილე, ორივე პოლკოვნიკის ჩინით.

პირველად გენერალმა მიულოცა თავისუფლება. საღამოს საათები იყო, არავის არსად არ ეჩქარებოდა და შეიქმნა ნამდვილი რუსული გლეხური პურის ჭამა. მამაკაცი თითქმის ყველა ცოლებით იყო მოსული და ნამდვილი სენსაციაა მთვრალი რუსეთი! ნამდვილი დასამახსოვრებელი დროსტარება, სიმღერები, ცეკვა-თამაში...

– სამშობლო მეძახის, ლიუდა! უნდა წავიდე, მოვინახულო მშობლიური მხარე, მშობელი ხალხი და მალე დავბრუნდები, შემდეგ გადავწვიტოთ სად ვიცხოვრებთ... – მეორე დღესვე სამზადისს შეუდგა გივი.

– სწორედ მშობლიურმა მხარემ და მშობელმა ხალხმა გაგატარა მარწუხში. შენი ჭკუის სწავლებას მაინც არ დაადგა საშველი, ახლა კიდევ აიკიდებ იქ ახალ სასჯელს, შემდეგ თავს იჩენს ძველი და ახალი დანაშაული მაშინ კი შენი სახრჩობელიდან ჩამოხსნა მართლაც და გაჭირდება! ჩემს გარეშე ვერსადაც ვერ წახვალ, ახალ განსაცდელს თუ გვიმზადებს უფალი, სახრჩობელაზედაც ერთად ავიდეთ!

– არა, ლიუდა, პოლკოვნიკმა მითხრა, რომ „საქართველო განსაცდელშია, თავისუფლებისთვის იბრძვის. რუსეთიდან უნდაო გამოყოფა“ და მე იქ უნდა ვიყო. რომელი სხეულიც ჩემს სამშობლოს სტკივა, საქართველოს დროშით უნდა შევუხვიო ჭრილობა...

– მე ხომ შენი სხეულის ნაწილი ვარ, შენი სამშობლო განა

ჩემიც არ არის? ერთად წავიდეთ და ერთად შევუხვიოთ ჭრილობები ერსაც და ბერსაც...

– სახელმწიფო პოლიტიკური მოძრაობა და ბრძოლა ქალის საქმე არ არის, შენ შვილი უნდა გაუზარდო სამშობლოს, მე კი პირობას გაძლევ, სამ თვეში საღ-სალამათი დაგიბრუნდები!

– რაო? „ბრძოლა ქალის საქმე არ არის“? მაშინ ხომ იყო გურდზიმა, რომ მომაკვლევინე?

გივის გაეღიმა.

– ჰო, კარგი! მე შენთან ტკბილი საუბარი განვიზრახე და საუბარი კამათში გადაიზარდა, მაგრამ არა უშავს, შემდენ განვაგრძოთ, ახლა კი საუბრის პრაქტიკულად განხორციელებას შევუდგეთ!

გივიმ, რომ ხუმრობით განმუხტა სიტუაცია ლუდას გაეცინა, თან ისიც ეგონა, რომ სასურველ მიზანს მიაღწია და გახარებული გივის მუხლზე ჩამოუჯდა.

– დღეიდან არაყის დალევა იკრძალება ჩემს მიერ! – თქვა და სიტყვა საქმედ აქცია, მრავალი წლის განმავლობაში გივის არაყის წვეთიც არ გაუსინჯავს.

– ასეთი მთვრალი არასოდეს მინახიხარ! – უთხრა ლიუდამ, როდესაც ვახშამზე მიიწვია გივი და გივიმ კი საუზმე დაარქვა გაწყობილ სუფრას.

– მთვრალი ვიყავი, მე რა, ხომ არაფერი დამიშავებია?

– არა, დაშავებით არაფერი დაგიშავებია, მხოლოდ ბევრი იბორგე, გაწვალა ალკოჰოლმა და ბევრი გალაპარაკა, ბევრი ლაპარაკის დროს კი ადამიანმაც რაც ლამაზად არ უნდა ილაპარაკოს, ბოლოს მაინც სისულელეს წამოროშავს!

– მერე რამე ვთქი სისულელე?

– დღეს სადღაც წასვლას აპირებდი, გადაიფიქრე?

– არა, არ გადამიფიქრებია, ახლა გვიანია, დილას წავალ!

– გუშინდელი შენი ნალაპარაკები ალკოჰოლს მივაწერე. ესე იგი, ყველაფერი გახსოვს...

– რა თქმა უნდა, არაფერიც არ დამვიწყებია და იმას ვლაპარაკობდი მთვრალი, რაც უნდა მეთქვა სიფხიზლეში.

– ესე იგი, სიმართლეა, რომ ჩემს მიტოვებას ფიქრობ?

– ეს არ მითქვამს! რატომ მიგონებ?

– სამშობლოში უნდა წავიდე და შენ ვერ წაგიყვანო... აბა რაა სხვა მიტოვება?

– ლიუდა, როგორ ვერ გამიგე, რომ ახლა შენი წაყვანა უხერხულია. არ ვიცი რა ატმოსფერო სუფევს საქართველოში და მით უმეტეს ჩემს ოჯახში... წავალ, ვნახავ, გავაანალიზებ მომავალი ცხოვრების არსს, გადავხედავ სად და როგორ უკეთესად შევძლებთ ცხოვრებას და შემდეგ წაგიყვან, ან აქ, რუსეთში ავირჩევ რომელიმე ქალაქში საცხოვრებელ ადგილს...

– რატომ ირჩევ რუსეთში ცხოვრებას, საქართველოში შენი სოფლის გარდა აღარც სოფელი არსებობს და აღარც ქალაქი? მეც შენთან ერთად წამოვალ, მოვინახულოთ შენი სოფელი და შემდეგ კი სადაც მოგესურვოს, იქ ვიცხოვროთ.

– არა, ლიუდა. შემდეგ უხერხულია სოფლის მიტოვება და სხვაგან გადასახლება. ჩვენ, ადამიანები სინდის-პატიოსნებისთვის ვარსებობთ, და ხალხი თუ დაგვცინებს – „მიატოვეს სოფელი და გაიქცნენო“. – ხომ წყალში ჩაიყრება ჩვენი სინდის-პატიოსნებით ნამოღვაწარი?

– არსადაც არ გავიქცევი. იმ შენი ბავშვობის ნაფეხურებს დავკოცნი და იმ ეზო-გარემოს მოვუვლი, სადაც მამაშენს ბავშვობიდან ბოლო წუთებამდის უცხოვრია. მაშინ რაღას იტყვის ხალხი? – „გაუჭირდათ და მოვიდნენ“ – არავის არ გავუწვდი ხელს სამათხოვროდ, პირიქით, მე დავეხმარები ყველას!

– რატომ არ გესმის რომ მარტო მინდა წასვლა, რამდენიმე დღით!

– წადი, ისე ფარულად გამოგყვები უკან, ვერც გაიგებ!

– შენი ჭკუისაგან მჯერა, მაგრამ რად გინდა ასეთი კუკუმალაობანას თამაში?

– როდესაც ნებაყოფლობით არაფერი გამომდის, გამარჯვებისთვის სხვადასხვა ხერხი უნდა შევარჩიო, მე უშენოდ ვერცერთი დღე ვერ გავძლებ. შენ კი რამდენიმე თვით მპირდები განშორებას! არ იფიქრო, ცრემლით გაგაცილო, მართალია, ქალური სისუსტე გამაჩნია, მაგრამ შენ გამიშრე ცრემლი და შენ მასწავლე გასაჭირთან უცრემლოდ ბრძოლა! იცოდე, ვერ დაგთმობ, გივი! სადაც წახვალ, მეც იქ უნდა წამოვიდე! – გივიმ იგრძნო ქალის სიმტკიცე, მითუმეტეს ლიუდას ხასიათი კარგად იცოდა და თავი დამარცხებულად წარმოიდგინა, სხვა გზა არ დარჩენოდა, გამოსავალი უნდა მოენახა, მაგრამ როგორ? ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა გაპარულიყო. ამიტომ იმავე საღამოს საძინებელ ოთახში განმარტოვდა და წერილის წერას შეუდგა: (ეს წერილი, ფერშეცვლილი და დაცრეცილი, მაგრამ წასაკითხავად სრულყოფილად შესაძლებელი, ლიუდას ხელჩანთიდან არის ამოღებული).

„– ლიუდა!

ხომ იცი ქვეყნად არავინ არ გამაჩნია შენს გარდა და ქვეყანაც არ არსებობს ჩემთვის შენს გარეშე, მართალია, სიყვარული და სიძულვილი ახლოსაა ერთიმეორესთან მაგრამ ჩვენი მეორეს არსებობა გამორიცხულია! შენა ხარ ერთადერთი ჩემი სიყვარული და ბედის გამკითხავი, შენ თუ არ გამიგებ, ვინ გაიზიარებს ჩემს ვარამს ან სიხარულს? მითხარი, შენს გარდა ვის ვუყვარვარ, ვინ მდარდობს, ვის უხარია ჩემი სიხარული და ვის სწყინს ჩემი დარდი? არავითარი ბენიერება არ მწამს და არცა მწადია – უშენოდ, მართალია, დროზე ადრე დავაღწიე თავი შენი წყალობით იმ სატანჯველს, სადაც უვნებელი გვეგულვოდი და თავს ბედნიერად გრძნობდი იმ იმედით, რომ შენთან ახლოს ვიმყოფებოდი! დასრულდა ეს სატანჯველი, ახლა შენთან უფრო ახლოს უნდა ვყოფილიყავი! რა თქმა უნდა, რაღაცის დასასრული ახლის დასაწყისს ნიშნავს და ჩვენც ახალი ცხოვრება უნდა დაგვეწყო, მაგრამ როგორ მოვიქცე, როდესაც სამშობლოსადმი მოვალეობა და მისი

სიყვარული პირად სიყვარულსა და მოვალეობაზე ძლიერი აღმოჩნდა! ჰოდა დღეს უზღვავი მოვალეობის გრძნობითა და უზარმაზარი სიყვარულით სამშობლო მეძახის, მივდივარ და ჩემსავე მამულიშვლებს უნდა შევეჯიბრო სამშობლოს სიყვარულში! იქნებ იმ ადამიანებმა, ვინც ჩემს ზურგს იყვნენ ჩამოფარებული დღესაც დააპირონ იგივე, მაგრამ მე ხომ მათმა უზნეობამ გამოცდილება შემძინა! ვეცდები, ახლა აღარავინ ჩამომეფაროს და ერთი სიყვარულით გვიყვარდეს ის გრძნეული კუთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია! ლიუდა, შენ არ იფიქრო, რომ საქართველოზე შეყვარებული შენს სიყვარულს ვივიწყებდე, შენი პიროვნული სიყვარული სულ სხვაა, მე მასში სიცოცხლის გამამხნევებელ ძალას ვხედავ, მზიურ ბრწყინვალებას, აღმაფრთოვანებელ განწყობილებას, დაუშრეტელ ენერგიასა და ამქვეყნიური ბრძოლისა და ცხოვრების არსს...

დღეს ოცდაორი ივნისია, წელიწადის ყველაზე გრძელი დღე, შენც გთხოვ ამ დღესავით სულგრძელობა გამოიჩინო და მაპატიო გაპარვა იმ მოტივით, რომ ნებაყოფლობით წასვლას ვერ მივაღწიე! მომავალი წლის ოცდაორ ივნისს შენთან ვიქნები, თუ სიკვდილმა ხელი შემიშალა და პირობა ვერ შევასრულე, სულის ცოდვანიც მაპატიე და ოცდასამ ივნისს სანთელთან ერთად დაღვარე ცრემლი, სანთელის ცრემლივით სუფთა და უმანკო... ეს ბინა, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, გინდა გაყიდე, გინდა გაასაჩუქრე, მე შენ იქ დამელოდე, მამაპაპურ სახლში, სადაც პირველად გაგიცანი და სადაც შენი სისხლით ახლობლები მეგულვის.

შენი გივი".

წერილი აქ დაასრულა, დამთავრების ნიშანიც დასვა და გაპარვის ხელსაყრელ დროს დაელოდა. ხელსაყრელი შემთხვევა ვერ გამონახა, ლიუდა ხელკავგამოდებული დაჰყვებოდა მუდამ, ისევ რაღაც უნდა მოეფიქრებია და ერთ დილას ეუბნება:

– ლიუდა, პოლკოვნიკი ჩიბატკოვი მინდა მოვინახულო. შენ სადილის მზადებას შეუდექი, შეიძლება ისიც წამომყვეს და მალე დავბრუნდებით.

– რა მოგეპრიანა პოლკოვნიკის ნახვა, რა დაგრჩა მასთან სათქმელი?

– არაფერი, უბრალოდ მინდა მოვინახულო!

– მეც წამოვალ!

– მერე სადილს ვინღა გაგვიმზადებს?

– რომ დავბრუნდებით, შემდეგ გავამზადებ, დიდ დროს არ წამართმევს...

– რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე. ბავშვივით ნუ დამდევ, სირცხვილია ბოლოსა და ბოლოს!

– არა კი არ დაგდევ, ქალური გენები ცუდს მკარნახობს და მეშინია, გივი!

– შენ მშიშარა არასოდეს ყოფილხარ და ახლა თავს იკატუნებ! – უთხრა გივიმ და პასუხს არ დალოდებია, კარი გაიხურა, ქუჩაში გამოსულმა ავტომანქანას დაუწყო ძებნა და როგორც იქნა, ერთ ჟიგულის მფლობელს მოურიგდა.

ერთი საათი გავიდა, რაც გივიმ სახლის კარი გამოიხურა და აწრიალდა ლიუდმილა. ადგილს ვეღარ პოულობდა და უმიზნოდ დაიწყო ოთახებში სიარული. მაგიდასთან, სადაც გივი ორიოდე დღის წინათ რაღაცას წერდა და მაშინ ლიუდა ყურადღებას არ აქცევდა, ახლა იმ ნაწერზე ლარნაკი იყო დადგმული, გული შეეკუმშა და ცუდი გრძნობა დაეუფლა, შიშით წერილი ვერ აიღო, წინასწარ იცოდა, წერილში რაც ეწერებოდა... ქალურმა სისუსტემ სძლია და ცრემლები წამოსცვივდა... შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ზეწამოიჭრა, ხალათი გაიხადა, შარვალი და მოკლე სახელოიანი მოსაცმელი მოძებნა, ჩაიცვა და... ამ დროს გივი ავტომობილის უკანა სალონში ნახევრად წამოწოლილი იუდაზე ფიქრობდა. მძღოლი კი სიჩქარის გადაუჭარბებლად მიიკვლევდა გზას აეროპორტისაკენ, რომელმაც ოთხი საათი მოანდომა

ადგილამდე მისვლას. მძღოლს ანგარიში გაუსწორა და სალაროსკენ წავიდა ბილეთის შესაძენად. გივისთვის სულერთი იყო, საითაც გაფრინდებოდა, მხოლოდ ამ ქალაქს გასცლოდა დროულად. გაუმართლა, სვერდლოვსკი-თბილისის რეისი ტაბლოზე უკვე ციმციმებდა.

– თბილისის რეისზე ბილეთები გაქვთ? – შეეკითხა გივი ადმინისტრატორს, მაგრამ პასუხს მიიღებდა, მხარზე მსუბუქად ხელის დარტყმა იგრძნო, შემობრუნდა და გაშრა, მის წინ ლიუდა იღიმებოდა... ცრემლით თვალები დასწითლებოდა, ეტყობოდა ღიმილი ნაძალედევი იყო“:

– ნუ შეწუხდებით, თქვენი ბილეთი მერვე სალაროშია დაჯავშნული...

გივი გაშტერებული შესცქეროდა ლიუდას და მეტად დაუჯერებდა განგებას, რომ ეს მოჩვენება იყო და არა ცოცხალი არსება, ამიტომ ხმა ვერ ამოეღო და როგორც იქნა, ბოლოს ენის ბორძიკით წარმოთქვა:

– ლიუდა, ეს შენა ხარ თუ მოჩვენება?

– სული ვარ, რომელსაც ვერსად ვერ დაემალები, ძვირფასო! – ისევ ღიმილით წარმოთქვა ლიუდამ.

– ეს როგორ მოახერხე, წერილი წაიკითხე.

– არა წერილის წაკითხვის შემეშინდა, ვიცოდი იქ რაც ეწერებოდა, უბრალოდ, დრო აღარ დავკარგე იმის წასაკითხად, წერილის დანახვისას ძალზედ მომინდა შენი ნახვა და გამოთხოვება, ალბათ, მოვკვდებოდი, რომ არ მენახე, დიდება უფალს, მოგისწარი, აღარ გიშლი წასვლას, მე შენ თვითმფრინავის „ტრაპამდის“ გაგაცილებ და წადი! ძალად სიყვარული არ არსებობს, ვერც მოგიდგები, მართლაც ბავშვი ხომ არა ხარ, ხელჩაკიდებული გატარო! შენ არ იფიქრო, კარგი საქმე გამიკეთე, უზღვავი ქონების მფლობელი რომ გავხდი. ღმერთო ჩემო, არაფერიც არ მინდა, შენს სიყვარულს ვიფიცებ, მე ის დრო მერჩია, როდესაც საზრდოს მოპოვებაზე ზრუნავდა მთელი ოჯახი! სიმდიდრე საზიზღრობაა, თუ ის

ტკბილად არ იხარჯება საყვარელ ადამიანთან, მე მას ყველაფერს მთავრობას ჩავაბარებ, შენ თუ ჩემთან სამუდამოდ განშორება განგიზრახავს!

– არა, ლიუდა, წერილში ყველაფერი სწერია. მე შენ მიყვარხარ და ზუსტი თარიღიც მაქვს დასახელებული, როცა დავბრუნდები.

– ჰო, კარგი, აღარ დაგაყოვნებ! წადი, მართლაც დაჯავშნულია ბილეთი მერვე სალაროში! მომეცი შენი პასპორტი, მე თვითონ აგიღებ ბილეთს, იქნებ ხელბედნიერი ვიყო შენთვის, კეთილად იმგზავრო და ბედნიერი დამიბრუნდე!

გივიმ პასპორტი გადააწოდა და თვითონ რეგისტრაციის რიგში ჩადგა. თვითმფრინავში ჩაჯდომა დაწყებულიყო, დიდი დრო არ გასულა, ლიუდამ ბილეთი მოიტანა და გივისაც რიგმა მოუწია. ერთდროულად გადააწოდა პასპორტი და ბილეთი გივიმ რეგისტრაციისათვის მაიორის მუნდირში გამოწყობილ ოფიცერს. მაიორმა პასპორტს დახედა, შემდეგ გივის ჩააშტერდა თვალებში და მკაცრად წარმოთქვა:

– სასჯელი მოიხადე?

გივიმ არაფერი უპასუხა, ოცდახუთმანეთიანი უხმოდ შეაცურა პასპორტის ქვეშ. მაიორმა ოცდახუთმანეთიანი პასპორტითურთ გივისკენ გამოსწია:

– თქვენი პასპორტი არასრულყოფილია. ბილეთი დროულად ჩააბარეთ! – მტკიცედ წარმოთქვა ოფიცერმა.

– მაინც რა აქვს მიზეზი ჩემს პასპორტს? – დაინტერესდა გივი, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა მიზეზიცა და საბაბიც.

– პირველი ის, რომ ახლად სასჯელმოხდილი ხარ, სწორედ თქვენისთანები ცდილობენ თვითმფრინავის გატაცებას, რაც ხშირ შემთხვევაში მარცხით მთავრდება!

– მეორე მიზეზი რა არის?

– პირველი ის, რომ ახლად სასჯელმოხდილი ხარ, სწორედ თქვენისთანები ცდილობენ თვითმფრინავის გატაცებას. რაც ხშირ შემთხვევაში მარცხით მთავრდება!

– მეორე მიზეზი რა არის?

– პირველი მიზეზიც საკმარისია მაგრამ მეორე მიზეზიც არის, რომ არსად არა ხართ ჩაწერილი. ამ შემთხვევაში კი შენი პასპორტი ფარატინა ფურცელია და მეტი არაფერი! საუბარი დამთავრებულია! დროს ნუ მაკარგვინებ. მიბრძანდით სალაროში და ბილეთი ჩააბარეთ, ვინ იცის იქნებ ვიღაც ელოდება ამ ბილეთს! – გივიმ იგრძნო, რომ მაიორთან კამათი არაფერ შედეგს გამოიღებდა და რეგისტრაციის ადგილს გაეცალა.

ლიუდამ ბილეთი ჩააბარა, თვითმფრინავის აფრენას ათი წუთი აკლდა, გივიმ პირველი წარუმატებლობა იგრძნო და ხასიათი გაუფუჭდა, სამაგიეროდ, ლიუდა იყო გახარებული, არც დაუმალავს თავისი სიხარული:

– ნეტავი არც მატარებელზე გაგიშვებდნენ, ფეხით თუ გადაწყვეტ წასვლას, მეც წამოვალ და მთელი სიცოცხლე მოვუნდებით საქართველოში ჩასვლას.

გივიმ პასუხი არ გასცა, საუბრის თემა შეცვალა მხოლოდ:

– მგონი მომშივდა, მოდი ვისადილოთ!

იქვე აეროპორტის დარბაზში მდებარე კაფეში შევიდნენ, სანამ ოფიციანტი მაგიდას გააწყობდა, რადიომ შემზარავი ხმით გამოაცხადა – „რეისმა № 177, სვერდლოვსკი-თბილისი, ლაინერი ტუ-154, ტრაპიდან აფრენისას კატასტროფა განიცადა. ჯერჯერობით ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა უცნობია და კატასტროფის მიზეზი დაუდგენელი“.

– რაო? – გაიკვირვა გივიმ და ლიუდას თვალებში ჩახედა. ვიღას ახსოვდა მაგიდის გაწყობა და სადილის მოტანა, მთლიანად აეროპორტის თანამშრომლები გლოვამ მოიცვა, გივი რეგისტრაციის მაგიდას მიუახლოვდა, მაიორს წინ დაუდგა და გარინდული შეაცქერდა, ოფიცერმაც იცნო „დაწუნებული“ მგზავრი და წყნარად წარმოთქვა ორიოდე სიტყვა:

– მიმიძღვის ღვაწლი შენს გადარჩენაში! შენ ბედმა გაგიღიმა!

– დიახ! წარმოთქვა გივიმ და ის ოცდახუთმანეთიანი რამდენიმე წუთის წინ უკან რომ დაუბრუნა მაიორმა, ახლა ჯიბეში ჩაუცურა:

– ივახშმე და დალიე ჩემი გადარჩენის სადღეგრძელო!

მაიორმა ნაღვლიანი თვალებით შეხედა გივის, თითქოს ერთი-მეორეს ზომავენო, რამდენიმე წუთის განმავლობაში უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ გივიმ ხელი გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა და უხმოდ გაშორდა.

– შენ არასოდეს არ დამარცხდები, გივი! – შენ არა მარტო ღმერთის ანგელოზები, თვით უფალი გფარველობს! დღეს ისეთივე სასწაულით გადარჩი, როგორც მრავალჯერ!

– როგორც ყოველთვის, ალბათ დღესაც მოგიძღვის წვლილი ჩემს გადარჩენაში...

– არ ვიცი, მაგრამ რომ არ მენახე და თვითმფრინავის კატასტროფაში აღმოჩენილიყავი, ვფიცავარ შენს სიყვარულს, მეც შენთან დავიმარხებოდი!

– შენი ჭკუისაგან მჯერა, მაგრამ ახლა ის მითხარი, აქ როგორ მომაგენი ან ჩემზე ადრე როგორ მოხვედი?

– ეს ნაბიჯი გამოძიებას არ საჭიროებს. უბრალო არითმეტიკაა, შენი წერილი როგორც კი დავინახე, მივხვდი შენს ჩანაფიქრს, წერილის წასაკითხავად დრო არ დამიკარგავს, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ქუჩაში გამოვედი, რესტორნის ეზოში ავტომობილი „ასტონ მარტინი“ დავინახე, ფიქრის დრო არ იყო. გვერდით მინა ჩავამსხვრიე, საჭეს მივუჯექი, გასაღების მაგივრად გამტარები გადავაერთე და მთელი სიჩქარით გამოვუდექი შენს კვალს...

– საიდან იცოდი, რომ აეროპორტში ვიქნებოდი?

– აბა, სად უნდა ყოფილიყავი, შენ ხომ სამშობლოში აპირებდი დაბრუნებას? ჰოდა არც ისეთი გიჟი ხარ, მატარებლების სადგურში გაგეთია ღამე საქართველოსკენ მიმავალი მატარებლის ლოდინში.

– ახლა რაღას მიპირებ?

– ახლა წავიდეთ მატარებლის სადგურში კუპირებული ვაგონის ბილეთს აგიღებ და გაგაცილებ! მე მგონია, ლიანდაგიდან არ გადმოვარდება და მშვიდობიანად იმგზავრებ...

ახალი გეგმის დასახვით აეროპორტის ეზოში გამოვიდნენ:
– აი ჩემი „ატონ მარტინი“ – თქვა ლიუდამ და გივის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ავტომობილი დაანახა.

– აქვე უნდა დატოვო? თუ მატარელების სადგურამდე ვიმგზავროთ კომფორტით? – შეეკითხა გივი.

– მე ეს ავტომობილი საჭიროებისათვის გამოვიყენე. ახლა ნახავენ და პატრონს დაუბრუნებენ! ჩვენ კი ნებისმიერი ავტომობილით შეგვიძლია მატარელების სადგურამდის მისვლა – უპასუხა ლიუდამ და იქვე მდგარი ტაქსის კარი გამოაღო.

მატარებლების სადგურში ხალხმრავლობა იყო. თითქმის ყველა სალაროსთან რიგი იდგა, ლიუდა ერთ-ერთ სალაროსთან ჩადგა რიგში და მხოლოდ ერთი საათის შემდეგ აიღო ბილეთი, მატარებლის გასვლამდე კი დრო საკმაოდ დიდი ჰქონდათ, ამიტომ გადაწყვიტეს რესტორანში ესადილათ. საუკეთესო კერძებისა და ქართული კონიაკის შეკვეთა ლიუდამ მისცა მომტანს და სუფრაც სწრაფად გაიშალა... ლიუდა გივის შეაცქერდა, ქალურმა სისუსტემ სძლია. ნიკაპი აუკანკალდა და ცრემლები ღვარად წამოუვიდა, ალბათ, საკუთარი ცრემლების შერცხვა, სასმისი კონიაკით აავსო და სულმოუთქმელად გამოცალა, რათა ქალური სისუსტე ალკოყოლით დაემარცხებინა, გამბედაობა მოეკრიბა და საღი გონებით გამომშვიდობებოდა საყვარელ ადამიანს, კონიაკმა მიზანს მიაღწია. ლუდას თვალებში ცრემლი ამოშრა და ბოროტმა ნაპერწკალმა იელვა:

– გივი! – წარმოთქვა მან, ცოტა შეისვენა და განაგრძო – ბევრი განთავისუფლებულა საპყრობილიდან, ღირსეული სასჯედის მოხდის შემდეგ, მაგრამ ღირსეული ცხოვრებას ერთეული ეზიარა მხოლოდ, ციხის ადმინისტრაციამ არ იცის, არის ეს ერთეული, რმოელსაც ადამიანური ცხოვრე-

ბა შეუძლია, თორემ მას დროზე ადრე გაანთავისუფლებდნენ! არც მე ვიცი რას აპირებ გენ, რადგან როგორც ნებისმიერი ადამიანისა, შენი ფიქრიც ჩემთვის ამოუცნობია. ჩემი ფიქრი კი შენთვის არ არის დაფარული. მრავალჯერ ნათქვამს გიმეორებ, „უშენოდ არსებობა არ შემიძლია“. იცოდე, ღმერთი ჩემს ღალატსა და სიკვდილს არ გაპატიებს, რადგან მე შენთან უდანაშაულო ვარ ისე, როგორც შენი სხეულის ნაწილი! შენ თუ მოგიკლავს და ღმერთმა გაპატია, ეს იმიტომ, რომ სიმართლე იმარჯვებდა და არა შენი ვაჟკაცობა, ჩემთან კი მართალი არასოდეს არ იქნები და დამარცხდები! ახლა პირისპირ ვდგავართ და მითხარი, რას მიპირებ, არ შეგეშინდეს, ისტერიკებს არ ავტეხავ, როგორი მწარეც არ უნდა იყოს შენი სიმართლე.

გივიმ პასუხი დააყოვნა, გადაწყვიტა, სანამ სიტყვას იტყოდა, ლიუდას მოფერებოდა და წელზე ხელი შემოხვია, ლიუდამ ხელი უდიერად მოიცილა და თვალებით აგრძნობინა – „შეკითხვის პასუხს ველოდებიო“ – გივიმ იცოდა ლიუდას ხასიათი, ყველაფერზე ხელს მოაწერდა და რასაც გაიფიქრებდა შესრულებდა კიდეც! ამიტომ ტყუილიც კი ისე დამაჯერებლად უნდა ეთქვა, რომ ლიუდას იმის სიმართლეში ეჭვი არ შეპარვოდა, დრო არ ითმენდა ქალი საჩქაროდ მოითხოვდა პასუხს, ამიტომ წყნარად და დაუფიქრებლად წარმოთქვა:

– ლიუდა, მე შენ მიყვარხარ და არა მგონია, ჩემზე ძლიერად გიყვარდე! წერილში ყველაფერია მოთხრობილი!

– რატომ გამოიპარე?

– იმიტომ, რომ ნებაყოფლობით წამოსვლის წინააღმდეგი იყავი!

– წინააღმდეგობაზე მეტ ტრავმას წერილი რომ მომაყენებდა არ იცოდი? წერილის წაკითხვის დროს ვინ მეყოლებოდა დამამშვილებეი, ამაზე არ გიფიქრია?

– არა, მაგაზე არა...

– რატომ?

– იმიტომ, რომ მწამდა, შენ ვაჟკაცურად აიტანდი ჩემთან დროებით განშორებას.

– დროებით! – გააკრიტიკა გივის სიტყვა ლიუდამ – იქნება კი „დროებით“ შენთან განშორება? თუ შენი სიტყვა სიმართლეა, რატომ არ გინდა მეც შენთან ერთად წამოვიდე? მაინც რამდენი წლით არის დაგეგმილი შენი „დროებით“ განშორება?

– წერილში წერია და იცოდე, მე ჩემს სიტყვას არ ვუღალატებ! იქ რიცხვიც არის ნაჩვენები, როდესაც შენთან ვიქნები...

– მეც წამოვალ შენთან, გული ცუდს მიგრძნობს, შენ დაიღუპები ჩემს გარეშე!

– შენ ხომ მითხარი, რომ მე ანგელოზები მფარველობენ?

– დიახ, გითხარი და შენ გიცვნია ის ანგელოზი? ეს მე ვარ და შენ ეშმაკისგან ხარ დაბრმავებული, რომ ვერა მცნობ!

– კარგი ახლა, მთლად ნუ გაღმერთდები, თორემ შენცა გყავს მფარველი ანგელოზები და ხელს აიღებენ შენს მფარველობაზე...

– ჩემმა მფარველმა ანგელოზმა ხელი აიღო უკვე ჩემზე. ეს შენ იყავი, მტოვებ და მიდიხარ! – ლიუდას კონიაკის ძლევამოსილებამ ვერ უშველა, ისევ აევსო ცრემლით თვალები, გივის გული დაეწვა სიბრალულით და თითქმის იყვირა:

– კარგი, ბოლოს და ბოლოს რა გემართება, ხომ გეუბნები მოკლე დროში დავბრუნდები-მეთქი. შენ რისთვის მაყენებ შეურაცხაყოფას და მოღალატედ რისთვის მიმიჩნევ? ახლავე წადი, მეორე ბილეთიც იყიდე და ჩემთან ერთად წამოდი, შემდეგ ხომ დარწმუნდები, რომ სიკვდილის ბოლო წუთებამდე შენს გვერდით ვიქნები?!

– არა, არ წამოვალ, არც წამოსვლა მინდა ნაძალადევი და არც სიყვარული, შენს გადაწყვეტილებას არ უღალატო, თორემ შემძულდები! მუდამ პატრიოტად მინდა წარმოგიდგინო, სწორედ შენი გადაწყვეტილება მასაზრდოვებს შენს დაბრუნებამდის, რადგან სიცოცხლის უმთავრეს საგნად

მშობლიური ქვეყნის ბედნიერება გაგიხდია, რაც გიცნობ, მუდამ დაძაბული ხარ გონებრივი თუ ფიზიკური მუშაობით, თავდასხმის ან მოგერიების მცდელობით, ეს თავდადება ძალზედ სახიფათოა ჯანმრთელობისათვის აზროვნების ან ფიზიკური დაძაბვის დროს სწრაფალ იხარჯება ტვინის უჯრედებში არსებული გლუკოზის მარაგი, რომელიც ენერგიის წყაროს წარმოადგენს, გადატვირთვის შემთხვევაში უჯრედები იკეტება და ადამიანში მეხსიერების, აზროვნებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის დაქვეითებას იწვევს! ამიტომ გთხოვ და გიბრძანებ ჯანმრთელი დამიბრუნდე! – ლიუდა პასუხს აღარ დალოდებია, დანახარჯი გადაიხადა და ეზოში გამოვიდა, საუბარში საკმაო დრო გასულიყო, მოახლოვდა გამგზავრებისა და განშორების წუთები და მატარებლის მოლოდინში ბაქანზე დაიწყეს სეირნობა, უხმოდ მიმოდიოდნენ და ვინ იცის ამ მდუმარებაში რამხელა სევდა და ნაღველი იყო დაგუბებული, მდუმარება ჰორიზონტის წარმოსახვით ხაზსა ჰგავს, სადაც დედამიწა ცას უერთდება და რაც უფრო ვუახლოვდებით მას, უფრო გვშორდება. სწორედ მათი მდუმარება აახლოვებდა განშორების წუთებს და სევდაც ძლიერდებოდა, სევდას კი გარკვეული მანძილიდან უნდა უმზირო, ზოგის თვალებში მარტოოდენ ახლოდან თუ შეიძლება ჩამოწოლილი სევდის ამოკითხვა, ზოგიერთი თვალებში ჩახედვას არ საჭიროებს, შორი მანძილიდანაც შეიძლება მწუხარების შეჭირვება მართალია ადამიანებს არ უყვართ სხვისი ჭირ-ვარამის გაზიარება და თუ მაინც ეს რომელიმემ გამოავლინა, ეს დახვეწილი და შემპარავი პირფერობა იქნება, რომელსაც სიამოვნებით მიიღებს, ვისაც ეპირფერებიან, თუგინდ კიდეც იცოდეს პირფერობა და მზაკვრობა. ის მაინც მას იღებს, როგორც საკუთარი ღირსების ჯილდოს. პირფერი კი იმიტომ პირფერობს, რომ თავისი სამართლიანობა და გამჭრიახობა დაგვანახოს ამ ორი ადამიანის სეირნობაში, არც პირფერობა და არც გამჭრიახობა, არც სამართლიანო-

ბა და არც მზაკვრობა, აქ მხოლოდ ნაღდი სევდა ჩამოწოლილიყო ორივეს სულსა და გულში, რომელიც შავი ყორანივით ჩაფრენოდა გულის საგულეს და შეუბრალებლად ფლითავდა...

მატარებელი ჩამოდგა და სწორედ გივის ფეხებთან გაჩერდა ის ვაგონი, რომელიც ბილეთზე იყო აღნიშნული, ვფიქრობ, ვერცერთი მწერალი, ვერ აღწერს და ვერცერთი მხატვარი ვერ დახატავს გივისა და ლიუდას განშორების სურათს... ეს იყო ქალისა და მამაკაცის ქანდაკება შერწყმული ერთარსებად, დიახ, ქანდაკება რადგან სისხლი ორივეს გაყინვოდა და მწუხარებით ცრემლი გამშრალიყო. მწუხარებას დუმილით, მწუხარება სევდის სიმბოლოა, გულჩათხრობილი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი შიშიც აწუხებს, ალბათ, შიში ერთმანეთის დაკარგვისა, განშორების შემდეგ ვეღარ ნახვის. მწუხარებით ხშირად იკარგება თავშეკავების უნარი, თუმცა ეს ავადმყოფური სიკერპის ნიშანიცაა, როდესაც მწუხარების დროს საკუთარ გულს ასკდებიან და ნუგეშს ბუნებაში ეძებენ. ყველა ვერ ახერხებს ამას ის სჩადის, ვისაც მდიდარი შინაგანი სამყარო გააჩნია და მიზნის მისაღწევად, სულიერი სიმტკიცე და ფიზიკური ძალა ჰყოფნის.

მატარებლის გასვლა გამოაცხადეს, დაიძრა კიდეც, გივი მხოლოდ ახლა მოეგო გონს და ვაგონის საფეხურს შეახტა, ქანდაკებასავით ხელებგაწვდილი დარჩა ლიუდა, რომელიც ცხოვრებისეულ სიძნელეებს არასდროს შეშინებია, ერთი შეხედვით სადა და უბრალო ჩანდა, სინამდვილეში იდუმალი და გამოუცნობი, ხვაშიადს ოსტატურად ნიღბავდა ისე, რომ ძნელად თუ მიუხვდებოდა ადამიანი, დღემდე გულის სიღრმეში უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდა და ეს რწმენა ბევრ სირთულეს აძლევინებდა! ახლა კი დამსხვრეული მოეჩვენა თავისი ოცნება და გადაწყვიტა, მატარებელს ბორბლებში ჩავარდნოდა, მაგრამ როგორ ამოიცნო ახალგაზრდა მილიცელმა მისი განზრახვა?

– რას ჩადიხარ, შენი გულისთვის პასუხი უნდა ვაგო? ახლავე წადი აქედან! – თითქმის უყვირა მან და მკლავში ხელჩაკიდებულმა სადგურის შემოგარენს მოაცილა.

... გივის კუპეში შესვლა ვერ მოეხერხებია და ვაგონის ტამბორის ფანჯრიდან გასცქეროდა ეკატერინობურგის სანახებს, კაეშანი ისე მძლავრად დასწოლოდა გულზე, რომ სუნთქვას უშლიდა ასეთ მძიმე გარემოებაში არასოდეს უგრძვნია თავი. ის ყოველთვის გარემოცვაში თავს მეფედ გრძნობდა. ენერგიული, ამაყი და ხანდისხან ქედმაღალიც კი იყო, ხანდისხან – თავის სიძლიერეში დარწმუნებული ჯიუტი და ახირებულიც...

აგრესიული თვისებები გამოუვლინებელი ჰქონდა, რადგან მისით კმაყოფილ ადამიანთა გარემოცვაში იმყოფებოდა. მათთან მხოლოდ ჰარმონიასა და სიმშვიდეს აფრქვევდა, თითქმის ყველას უყვარდა, მშრომელ და პრაქტიკულად მოაზროვნე ადამიანებს, ახლა კი ყველასგან განშორებულად მიტოვებულად და მარტოკა გრძნობდა თავს. ვაგონის კარის სახელურს ჩაავლო ხელი – „გადავხტები და ლიუდასთან ვპოვებ სიმშვიდესო“, – გაიფიქრა, მაგრამ კარი ჩაკეტილი დაუხვდა, ვაგონის გამცილებელმა ახალგაზრდა ქალმა მხარზე ხელი მოუთათუნა: – ბილეთი წარმოადგინეთ, ახალგაზრდა! – უთხრა რკინიგზელის მუნდირში გამოწყობილმა ქალმა, გივიმ უხმოდ ამოიღო ჯიბიდან დაკუჭული ბილეთი და უხმოდ გაუწოდა. უნდოდა ისევ თავის ფიქრებს დაბრუნებოდა, მაგრამ – „კუპეში შენი ადგილი დაიკავეო“ – უთხრა იგივე ხმამ და თითქმის ძალად გამოიყვანა ვაგონის ტამბორიდან.

გივიმ კუპეში თავისი ადგილი დაიკავა, ქალმა ისევ მოაკითხა: ტახტლოგინზე თეთრეული დაუწყო და ჰკითხა:

– თბილისში მიდიხართ? – გივიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია „ალბათ მუნჯია“, გაიფიქრა ქალმა და ახლა ხელების დახმარებით უთხრა.

– თბილისში ომია, იქიდან აქეთ გამორბიან და შენ იქით მიდიხარ?

– ის ჩემი სამშობლოა, უნდა ვეცადოთ, ომი არ უნდა მოხდეს, მაგრამ თუ მოხდა, უნდა ვიბრძოლოთ! ისე, როგორც მეხანძრეები ცდილობენ არ მოხდეს ხანძარი, თუ მოხდა შემდეგ ყველა ცეცხლში მიძვრება, მეც ასევე უნდა მოვიქცე, რადგან სხვა სამშობლო არ გამაჩნია, სამშობლო ერთადერთია, რომელსაც ვერ აირჩევ, ის ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის!

ქალს გაეღიმა, ალბათ გაუკვირდა კიდეც მუნჯი რომ აალაპარაკა. და თითქოს სასხვათაშორისოდ წარმოთქვა:

– ქართველები მომწონს, ისინი სიყვარულსა და ნერვების დამაწყნარებელ სიმშვიდეს აფრქვევენ, მართალია აგრესიულებიც არიან, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ლამაზმანების წინაშე მუდამ ქედმოხრილნი და უმაღლეს დონეზე ვნებადამაკმაყოფილებლები არიან.

– თქვენ ხომ მეტი არაფერი გახსოვთ ღამეს ვნების დაკმაყოფილების ფიქრით ათენებთ და დღეს არყის დალევის ფიქრში აღამებთ. მიკვირს, მოაზროვნე ხალხიც არის თქვენს შორის, დიპლორმატები და სწავლულები, რომელთა რასის შეცნობა ძნელია.

– აჰ თქვენ გინდათ, რომ თქვათ, ჩვენ მოღალატე ქალები სხვა რასის შვილებს რუსებად ვასაღებთ?

– ჰოი, ღმერთო ჩემო, როგორი მიმხვედრი ხართ, იშვიაფთად თუ შეხვდება ადამიანი თქვენისთანა მომხიბვლელისა და გამჭრიახ მანდილოსანს.

– მე თქვენ მუნჯი მეგონეთ და კარგი იყო გამართლებულიყო ჩემი წინასწარმეტყველება. მწარე სიმართლეს ტკბილი სიცრუე მირჩევნია, შეიძლება ეს ცხოვრების დაუკმაყოფილებლობით ხდება, მაგრამ სიცრუე ხალხს მეტად იხიდავს, მართალია ლამაზი ბავშვივით უმწეონი არიან, სრუყოფილებას ებრძვიან, ეძებენ საიმედო საყრდენს, თუმცა ბავშვის ოცნებასავით ფრთებიც მალე ეკვეცება, მაგრამ მაინც ბედნიერები არიან ცრუ კომპლიმენტით. სიმართლის მთქმელებს ხშირად უჭირთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან, ამიტომ

მათთვის მარტოობა გარანტირებულია, რაც შეეხება თქვენს ბრძანებას, „დაუკმაყოფილებელი ვნება“, ეს მანდილოსანთა უმრავლესობის ხვედრია, მათ მადას ვერაფერი აცხრობს – ვერც სიმდიდრე და ვერც დიდება! თქვენ მამაკაცებს არ შეგიძლიათ გაიზიაროთ ქალთა ხვედრი, რადგან სრულყოფილებას მანდილოსანთა ბატონობაში ხედავთ, ის კი გავიწყდებათ, რომ ლამაზი სქესი სითბოსა და გულწრფელობას მოითხოვს, მე თქვენ მომხიბლავი და გამჭრიახი მიწოდეთ, განა არ ვიცი, რომ იცრუეთ? მაგრამ იმდენად მასიამოვნეთ, რომ შემიძლია საუკეთესო მგზავრად ჩაგთვალოთ.

– ტკბილი მოსაუბრე ბრძანდებით, თუ მიიღებთ ჩემს წინადადებას, შემიძლია ვაგონ-რესტორანში დაგპატიჟოთ, მგონია სუფრასთან მეტად აეწყობა ჩვენი საუბარი და საინტერესოც იქნება!

– სიამოვნებით მივიღებ ვახშმად თქვენს დაპატიჟებას, რადგან ამჟამად მორიგეობაში ვიმყოფები. საღამოს კი შემცვლიან და დილამდე თავისუფალი ვარ!

კარგი თანამგზავრი შეხვდა გივის. სამი მამაკაცი, სამივე მოსკოველი იყო, ტკბილი მოსაუბრე და ფრიად განათლებულნი. რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი გივი სტუმრად მიიღეს და კარგი მასპინძლობაც გასწიეს, რესტორანში არ გაუშვეს ადგილზევე გაშალეს სუფრა, რომელზედაც უხვად გაჩნდა სურსათ-სანოვაგე და საექსპორტო არაყი. სანამ ორიოდე სირჩას შესვამდნენ, თითქმის ყველა წყნარად იყო, მაგრამ მალე ალკოჰოლმა იმოქმედა და ერთ-ერთმა, რომელსაც მოკრძალებით ეპყრობოდნენ, ჰალსტუხი მოიხსნა და გივის მიმართა:

– არ არის აუცილებელი, თქვენ მიღებული გაქვს თუ არა უმაღლესი განათლება, ისეთი ერის წარმომადგენელი ხართ, რომ ნებისმიერი განათლებული ევროპელის გვერდით შეგიძლიათ მსჯელობა და კამათი.

– არ ვიცი, ბატონო, რა საკითხზე გსურთ ჩემთან საუბარი,

რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობას, ძლიერ ვერიდები...

– რატომ? პოლიტიკა ხომ ცხოვრებისეულია, რომელსაც საღი თვალით ხედავ დაშვებულ შეცდომებს და გსურს გამოასწორო!

– არა! პოლიტიკა ბინძურ თამაშად მიმაჩნია, რომელსაც დღეს ვაძაგებთ, შეიძლება ხვალ საქებარის ადგილი დაიკავოს და მტრად გადაგეკიდოს.

– მომწონს თქვენი არჩევანი, მოდი გავიცნოთ ერთმანეთი. მე მოსკოვის უნივერსიტეტის დეკანი გიორგი გრიგოლის ძე სახაროვი გახლავართ, – წარმოთქვა დეკანმა და ღონივრად ჩამოართვა ხელი გივის. იგივე გაიმეორა სახაროვის თანამგზავრმა, რომელიც ერთი საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი ივანე ალექსანდრეს ძე ივანოვი აღმოჩნდა, ხოლო მეორე იმავე ქარხნის რიგითი ინჟინერი ანატოლი ივანეს ძე რეპნიკოვი. გივი თავაზიანად გაეცნო ორივეს და თავი უხერხულად იგრძნო განათლებული ხალხის წრეში, მაგრამ გადაწყვიტა ან თავისი ციხეში შეძენილი სიბრძნე გამოევლინა, ან საერთოდ გაჩუმებულიყო, ჯერ კიდევ მისი მარჯვენა ხელი ხელში ეჭირა რეპნიკოვს, რომ შეეკითხა:

– თქვენ რა პროფესიის კაცი ბრძანდებით?

– მე – გივი დააბნია მოულოდნელმა შეკითხვამ, მაგრამ მალე გამოერკვა – მე საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ვცხოვრობ გივი აკაკის ძე ტაბატაძე.

– ძალიან კარგი, სოფელში მეტად განათლებული და პატიოსანი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე ქალაქში! – გივის ინტერესები დაიცვა დეკანმა.

– ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით ბატონო, – წარმოთქვა გივიმ. – სოფელში შეიძლება ცხოვრებისეული, დოვლათის შექმნის პრინციპები მეტი იცოდეს ადამიანმა, მაგრამ საზოგადოებრივი მოძრაობის წესების მცოდნენი ქალაქში უდაოდ მეტად არიან.

– არ გვინდა, ბატონო, ეს უთავბოლო მოძრაობა და ხოცვა-ჟლეტა, ყველამ შევქმნათ დოვლათი და ერთ მთლიან ოჯახში ვიცხოვროთ. ასე არ ჯობია? როგორ ფიქრობთ, ქართველები სწორად მსჯელობენ, რუსეთთან ძმობა რომ აღარ უნდა და დამოუკიდებლობა მოინდომეს?

– ბატონო გიორგი, მე ცუდს ვერაფერს მივჩერებივარ ამ მოძრაობაში, როგორც გითხარით, გლეხი კაცი ვარ და ნუ გეწყინებათ, ჩემებურად, გლეხურად ვმსჯელობ, მე სამი ძმა და ერთი და მყავს, საკუთარ მამაპაპისეულ ოჯახს გამოვეყავი და ცალკე დავსახლდი, მაგრამ კავშირი როდი დავკარგე საერთო ოჯახთან, მართალია, პირველად გამიჭირდა, მაგრამ მეტად გემრიელი იყო საკუთარი ოფლით მოწეული პური...

– როგორ, ერთად რომ გეცხოვრათ პურს გემო შეეცვლებოდა?

– ამბობენ, მსოფლიო ადამისა და ევასაგან არისო მოშენებული, ადამიანმა შექმნა საკუთარი სამეფო და ოჯახი, ალბათ, ასე წარმოიშვა კერძო საკუთრება და ცუდს ვერაფერს ვხედავ მსოფლიო გამრავლებისა და განვითარების გზაზე.

– როგორ რომ არ გავყოფილიყავით და ერთ უზარმაზარ ოჯახად გვეცხოვრა, უკეთესი იქნებოდა?

– რა თქმა უნდა, არა! უფროსობისათვის ქაოსი ატყდებოდა და ბრძოლა დაიწყებოდა ოჯახში!

– ახლა კი არ ბრძოლობენ? არ იღვრება განუკითხაობის სისხლი? ოჯახების გაყოფამ უშველა სისხლისღვრის შეჩერებას, თუ პირიქით, გაყოფის დღიდან დაიწყო ტომობრივი ბრძოლები, ფიზიკურად ვინც ძლიერი იყო, მას უნდა დამორჩილებოდნენ და ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ იმის სასიამოვნოდ! ეს ყოველივე იმ გაყოფასა და დაქსაქსვის დღიდან მომდინარეობს! რომ არ დავქსაქსულიყავით და ერთი საერთო ბერ მამისათვის დაგვეჯერებინა მე მგონია, უკეთესი იქნებოდა, ახლა ვერ გაიგებ ჩვენი მეფე კაენის შთამომავალია თუ აბელისა. ის ბრძანებს და ყველაფერს ვაკეთებთ იმის სა-

სიამოვნოდ! ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კოლიზეუმის გახსნის დღესასწაულზე ორი ათასი გლადიატორი და ცხრა ათასი ნადირი დაიღუპა, რომ მონათმფლობელისთვის ესიამოვნებინათ. ასი დღე გაგრძელდა ეს დღესასწაული...

– ჩვენ რას ვიზამთ, ბატონო, ასეთია ადამიანის ბუნება, როდესაც სიკეთე დაიბადა, მაშინ დაიბადა ბოროტებაც და ახლა ერთნაირად მრავლდება ერთიცა და მეორეც. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰეროსტატემ ანტიკურ სამყაროს ერთ-ერთი საოცრებათაგანი „არტემიდას ტაძარი“ დაწვა. რა თქმა უნდა, ჰეროსტატე სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ამით ბოროტება არ მომკვდარა. იმავე ღამეს ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა, ვისთვის გენიალური მხედართმთავარი და ვისთვის სისხლით გაუმაძღარი დამპყრობელი და თქვენ როგორ გგონიათ, დიდებასა და პატივს არ მიაგებდნენ მაკედონელს? ასე გამოჩნდა ვიღაც საქართველოში, ვისაც მაკედონელობა თუ არა მაკედონელისებური ქართველობა უნდა და ძირძველი ძმები ერთმანეთს ვეჯახებით, ძირძველი ძმებიო, ვამბობთ, მაგრამ არც ეს არის სწორი გამონათქვამი, არასოდეს ვყოფილვართ რუსეთის თვითმპყრობელობის ქვეშ ბედნიერნი, სამეფო ტახტზე მოკალათებულს ხშირად ავიწყდება ქვეშევრდომი და საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი სახელმწიფო, თუნდაც გენიოსების სამშობლო, მაინც ხიზანია ძლიერი ქვეყნისა და „ქვევიდან“ შეჰყურებს მფარველს. მე არ ვამბობ,. ყველა რუსის გენში ბატონობა იყოს გამჯდარი, ბევრი მყავდა ძმა და მეგობრად, ხინჯი ვერ აღმომიჩენია მათ ბუნებაში, მაგრამ „ოჯახი ხეიბრის გარეშე არ არსებობს“ და მაინცა და მაინც ეს „ხეიბრები“ ხვდებიან სამეფო ტახტზედ.

– ის „ხეიბრებიც“ ჩვენი არჩეულია, ხალხის რჩეული, მაგრამ მინდა ვაღიაროთ, რომ ხშირად შეცდომას ვუშვებთ არჩევანში, შესაძლებელია ერთი წარმოშობის იყოს რუსი და ქართველი, იქნებ მართლაც ერთი წინაპარი გვყავდა ადა-

მი და ევა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება კლიმატურმა პირობებმა შეცვალა, თქვენ ქართველებს, თბილ კლიმატურ პირობებში მოგიწიათ ცხოვრებამ, ბუნებაც თბილი, კეთილი და მტერთა ცოდვების მიმტევებელი გაქვთ. ჩვენ რუსებს ცივ კლიმატურ პირობებში მოგვიწია ცხოვრებამ, ბუნებაც ცივი გვაქვს! სუსხიანი და მიუკარები! არ არის გასაკვირი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვეგუებით, ღამურა და პეპელა ერთმანეთს ვერ შეეგუება, საქმე ის კი არ არის, რომ ორივეს ფრთები აქვს, არა! მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი სინათლეს ვერ ეგუება და მეორე სიბნელეს. ამიტომ, ალბათ ერთი მტაცებელია და მეორე გაზაფხულის მაუწყებელი. ლამაზიცაა და ყველასათვის სიხარულის მომტანი, მაგრამ მოკლე აქვს სიცოცხლის დღენი, მეშინია, რომ ყველა სიკეთის ბოლო მოკლე არ აღმოჩნდეს, ბევრი სიმართლის მაძიებელი ქვეყანა აღიგავა პირისაგან მიწისა, გაჰქრა მათი უძველესი კულტურა და დღეს არქეოლოგები თუ პოულობენ ოდესღაც ძლიერ ტომთა ძვლების ანაბეჭდს.

– ბატონო გიორგი, მთლად უძლურ პეპლად ნუ ჩათვლით ქართველებს, განათლებული კაცი ბრძანდებით და გაიხსენეთ ალექსანდრე დიუმას სიტყვები: „ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონო“ – გვიყვარს დათმობა, მაგრამ თუ საქმეს კეთილ დასასრული არ უწერია, ბრძოლის ველზე სიკვდილიც საგმირო საქმედ მიგვაჩნია!

– ესეც ვიცი, არა ერთი ქართველის თავდადება შემისწავლია მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან. ძლიერი და სასიყვარულო ერია, მეგობრისთვის თავდადებული, მესაიდუმლე, გამტანი და სტუმართმოყვარე. ბევრი მყავს ქართველი მეგობარი და ვამაყობ კიდეც, მაგრამ ერთი ნაკლიც გაგაჩნიათ, გიყვართ ქედმაღლობა, ბრძოლა თანამდებობისათვის, სხვის ქვეყანას კეთილსინდისიერად ემსახურებით, როდესაც საკუ-

თარი სამშობლო ჭაობში იძირება, თქვენში გაბჯენილია „მე“ და ამაყობთ წარსულით, „ჩვენ ეს ვიყავით, ჩვენ ესა ვართ“. გავიწყდებათ, რომ პირველი ცივილიზაცია დიდი ხანია დაიღუპა. კი ბატონო გვჯერა, რომ იყავით, მაგრამ შეინარჩუნეთ თქვენი წარსული? ვინა ხართ დღეს?

მაპატიე, თუ ერის ზნეობას შევეხე, მაგრამ თქვენი საუბარი სოფლელი კაცის საუბარს არ ესადაგება და კიდევ მეტი დაიმსახურე, როგორც მატყუარამ. ახლა კი ქართული ღვინით დავლოცოთ ჩვენ-ჩვენი ერი, – გიორგიმ ჭიქები ქართული ღვინით შეავსო და საუბარი გააგრძელა, – მართალია მე ქართველი არა ვარ, მაგრამ როგორც ქართველი ისე ვაფასებ ქართულ ღვინოს! ზოგიერთი ფრანგული ღვინოს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მე კი არა! ღვინო უნდა იყოს ქალივით მიმზიდველი, ანგელოზივით სუფთა და სიყვარულივით ტკბილი, ეს სამივე თვისება ქართულ ღვინოში აღმოვაჩინე, გაუმარჯოს ჩვენ ერს და ქართულ ღვინოს!

სადღეგრძელომ მხიარულება შემატა სუფრას, განიმუხტა პოლიტიკური დაძაბულობა და ტკბილმა საუბრებმა მოსკოვამდის გასტანა.

მატარებელი მესამე დღეს დილით ადრე შევიდა მოსკოვში, ერთმანეთს მისამართები დაურიგეს ახლად გაცნობილმა მეგობრებმა და გულკეთილად გამოემშვიდობნენ. გივიმ გზა გააგრძელა საქართველოსკენ... „სახლში არავინ მელოდება“, გაიფიქრა და მიმართულება დედაქალაქისკენ აიღო, საქართველოში თითოეულ მოქალაქეს სუნთქვაზე ეტყობოდა დაძაბულობა, გივიმ უხვად შეიძინა სურსათ-სანოვაგე ყუთებით ჩატვირთა ტაქსში შამპანური და კონიაკი, შემდეგ ტაქსის მძღოლს მისამართი მისცა და ახლო ნათესავის კარს მიადგა. გულთბილად შეეგებნენ დიდმა და პატარამ ყველამ გაიხარა მისი ნახვით.

– რატომ წუხდებოდით ამდენ ხორგასო! – შეიცხადა დიასახლისმა და საკუჭნაოში მიუჩინა ბინა ყოველივეს.

არა უშავდა, კარგად ცხოვრობდა გივის ნათესავი და კმაყოფილების ღიმილი აუთამაშდა სახეზე. მოიკითხეს ერთი-მეორე, ნიკამ ციხის ამბავი გამოკითხა გივის, გივი კიდევ თბილისის ამბით დაინტერესდა და საუბარი დიდხანს გაუგრძელდათ, დიასახლისი კი სამზარეულოში ფუსფუსებდა.

– სანამ დიასახლისი ვახშამს გაამზადებდეს, წამოდი, ქალაქში გავიაროთ, ცხრა აპრილისა და სამოქალაქო ომის შედეგს გიჩვენებ! – შესთავაზა მასპინძელმა გივის.

– სიამოვნებით! – დათანხმდა სტუმარიც და ფეხით გაუყვნენ რუსთაველის გამზირს.

ყველაფერი გადამწვარი და დანგრეული, ქალაქში დენთის სუნი ტრიალებდა, ქაშუეთის ეკლესიას ჩაუარეს. გივიმ სურვილი გამოთქვა უფლისათვის სანთელი აენთო და ეკლესიაში შევიდნენ, წარმოსადეგი, მოკლედ თეთრწვერშეკრეჭილი მღვდელი მწუხრის ლოცვას კითხულობდა, სანთლები აანთეს, ლოცვას მოუსმინეს და შემდეგ გადაწყვიტეს მღვდელს გასაუბრებოდნენ.

– მამაო, თუ შეიძლება აღსარება მიიღეთ, მინდა ცოდვები მოვინანიო, შემინდოთ და მაზიაროთ! – მიმართა გივიმ მოძღვარს.

– მოდი, შვილო, ჩამაბარე აღსარება, ხვალ დილით აქ უზმოდ მოდი და გაზიარებ! – უთხრა მოძღვარმა და ოლარე (წმინდა კალთა) თავზე წააფარა. მოძღვარი შეკითხვებს აძლევდა, გივი პასუხობდა. სულ მთლად გადმოალაგა თავისი ცოდვები, რაც გაახსენდა, მაგრამ ჯერ მეოთხედიც არ ჰქონდა ნათქვამი, მოძღვარი შეკრთა და ოლარე თავიდან მოხსნა.

– არა, შვილო, ვერ გაზიარებ, ჯერ წლების მანძილზე ლოცვებით უნდა შეიმსუბუქო ცოდვები და შემდეგ ვნახოთ.

– კიდევ კარგი, ბოლომდის არ მოგისმენია აღსარება, თორემ ეკლესიაშიც არ შემომიშვებდით – გაეღიმა გივის.

– არა, შვილო, ეკლესიაში შემოსვლას როგორ დაგიშლი. შენ კი არა, გუშინ თოფს რომ ესროდნენ ამ ეკლესიას, დღეს

ამავე ეკლესიის კართან დგანან და მათხოვრობენ, უფალმა ასე ინება მათი დასჯა და მე რა უფლება მაქვს აქედან განვდევნო?

– თოფს რად ესროდნენ უფლის სასახლეს, რას ემართლებოდნენ?

– არ ვიცი, აი ხომ ხედავ ნატყვიარებს, თავზე მცვიოდა ნაკურთხი ქვების ნამსხვრევები კარების თავზე რომ წმინდა გიორგის ხატი ასვენია, იმასაც მოხვდა ტყვია. გინდ დამიჯერე, გინდ არა, სისხლმა გადმოწვეთა ხატიდან, მაშინ გავმწარდი, ხატს ვერ შევწვდი, რომ გადავფარებოდი, ხელები გავშალე და კართან დავჯექი, ამით თითქოს მთელი შენობა ჩავიკარი გულში და გადავეფარე, ღმერთმა დამიფარა, თავზე მეყრებოდა ქვების ნამსხვრევები და ტყვიები ყურებთან წიოდა, მე კი ვნატრობდი მათ მოხვედრას, მაგრამ არ მეკარებოდა.

– რამ განაპირობა ყოველივე ეს?

– არ ვიცი, ალბათ, ვიღაცას ვიღაცისთვის უნდა ესიამოვნებინა!

– ეჰ, შვილო ჩემო, ხალხი გარდაქმნა სამოცდაათწლიანმა ათეიზმმა, ჩვენი მოვალეობაა, ისინი შემოვაბრუნოთ, ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ, ზოგიერთი თავისუფლებისათვის ბრძოლას თოფის სროლაში ხედავს და სამიზნეს არ მიჩერებიან, საით ისვრიან ტყვიას, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ღმერთის ნებაა ყოველი, მანვე დაანახა ხალხს ბრძოლის შედეგი, ამით სარწმუნოება მეტად განმტკიცდა და მორწმუნეებმა დაინახეს, რომ საჭიროა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, გამოვლინება და ურთიერთგვერდით დადგომა, არა განდეგილებად, ქვაბში დაყუდებულ, უდაბნოში გაქცევად, როგორც ეს უწინ ხდებოდა, არამედ აქტიურ მოქმედებაში, როგორც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ ქრისტეს სჯულის სიწმინდისათვის,. დღეს სარწმუნოების გათიშვაში და დაშლაში დამნაშავედ უნდა გამოცხადდეს ყველა და არა რომელიმე რელიგია ან სექტა, ყველა ქრისტიანს მართებს

გადაგვარებული ქრისტიანის შემობრუნება ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ და კვლავ შეკავშირება. ქრისტეს მოვლინება და მკვდრეთით აღდგომაც თავდადების, ზნეობრივი სიწმინდის, აქტიური მოქმედების მაგალითად უნდა მივიღოთ, რადგან აღარ შეიძლება ცხოვრების მიწიერი ნაწილის უარყოფა, მორწმუნემ უნდა იზრუნოს არა მარტო საკუთარი სულის ხსნაზე, არამედ გადაგვარებულ მოძმეთა გადარჩენაზეც. თითოეულმა მორწმუნემ ქრისტეს მიბაძოს, მუდამ გვახსოვდეს, რომ ქრისტე ჩვენთვის ეწამა.

– თქვენ მამაო, სიბრძნეს აფრქვევთ და ჭეშმარიტებას ღაღადებთ, მაგრამ რატომ არ გამოიჩინეთ თავდადება და მსგავსი რად არ იქადაგეთ ათეიზმის ხანაში?

– მოვლენებს დაველოდე, ასე იყო ქრისტეს განაჩენი. დღეს მე იმის შთაგონებით ვღაღადებ და ჩემი ენით ცხრა აპრილის ტრაგედია და სამოქალაქო ომის სიმწარე ვიწვნიეთ. ამას არ დაგვაჯერა უფალმა, ახალი განსაცდელი მოგვიმზადა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით!

– რაო, მათ რაღა უნდათ მოძღვარო?

– შენ თუ გინდა დამოუკიდებლობა, ჩვენც გვინდაო და საქართველოსგან გამოყოფაზე აჯანყდნენ!

– წავიდნენ და იყონ თავისუფალი, საიდანაც მოსულან, ტერიტორია ხომ საქართველოსია?

– აგრე კითხე მათ ხელისუფლებას – „ტერიტორია ჩვენია და ქართველები არიანო ხიზანი ჩვენი“ – გაიძახიან ქვეყნის გასაგონად და თითქმის დაარწმუნეს მსოფლიო.

– ეჰ, შვილო ეგ ხალხი ის ხალხია, სულმნათი ილია რომ ამბობს: „... არ გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“...

– ნუთუ არავინ გამოჩნდა პატრიოტი, რომ სათავეში ჩაუდგეს ქართველი ერის სამართლიან მოძრაობას?

– როგორ არა, გამოჩნდნენ! და მიკვირს, საიდან მოიყვანეს ამდენი გიჟი და ნარკომანი, რომლებიც ზურგში ებრძვიან

უიარაღო მოსახლეობას, მოსწონთ ავტომატური თოფის კაკანი და ამშვიდებთ მშვიდობიანი მოსახლეობის შეშინებული თვალების ცქერა.

– ესე იგი, არ არის გამოსავალი, ერი უნდა დაიღუპოს?

– გამოსავალს ევროპის ქვეყნებში დაუწყეს ძებნა, დახმარება სთხოვეს სხვადასხვა ქვეყნებს და მათ შორის ამერიკასაც, რომ სცნონ საქართველოს მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

– არ არის სწორი გადაწყვეტილება, მე რამდენიმე წლით წინათ ტუნგუსებთან მომიწია ცხოვრებამ, მათ ასეთი ჩვეულება აქვთ: მასობრივი შიმშილის ან ეპიდემიის დროს მიდიან ბელადთან და ემუქრებიან: „ახლავე მოგკლავთ, რომ ღმერთს ან წინაპართა სულებს შეატყობინო ჩვენი გასაჭირიო“ – რა საჭიროა შენი სამშობლოს შინაურ საქმეში სხვა ქვეყნების ჩარევა? ნუთუ თვითონ არ შეგვწევდა ძალი, სახელმწიფოს შინაური საქმე ჩვენვე მოგვეგვარებინა?

– არ ვიცი შვილო ჩემო, მე მღვდელი ვარ და ვცდილობ საეკლესიო საქმე მოვაგვარო, მაგრამ ქრისტეს არ აუკრძალავს ჩემთვის სიმართლისათვის ბრძოლა, თუ საჭირო იქნება, მტლად დავეფინები ჩემს მამულსა და მამულიშვილებს.

– მომწონხარ, მოძღვარო, ყოველი სიტყვა მოსაწონია შენი. თუ ცოდვების მონანიება შევძელი, თქვენ ჩემი მოძღვარი მინდა იყოთ, გავიცნოთ ერთიმეორე, რა გქვიათ მოძღვარო?

– ღვთისაო! მაგრამ ვიყო თქვენი მოძღვარი, ნაჩქარევი ოცნებაა. ჩემი მრევლი მე კარგად უნდა ვიცოდე, ლოცვებით უნდა მოაღწიოს ჩემამდის, თქვენ კი ჯერჯერობით ჩემთვის მთლად უცნობი ბრძანდებით!

– რომ გამიცნოთ, აღსარებასაც ამიტომ გაბარებთ!

– გაცნობისათვის განა ეს საკმარისია? მაგრამ კარგი, რადგან მეც გული გადავშალე თქვენთან, ვიტვირთავ შენს ცოდვებს და გაზიარებ, აბა მოდი, გადამიშალე გული და ჩა-

მაბარე აღსარება – უთხრა ღვთისომ და გივის თავზე ოლარე ისევ გადააფარა, დიდხანს პუტუნობდნენ თავითავს მიდებული მღვდელი და ცოდვილი, შემდეგ, როგორც იქნა, დასრულდა კითხვა-პასუხის და ცოდვების მონანიების წუთები, ახლა კი ხმამაღლა უთხრა მოძღვარმა:

– შვილო ჩემო, სიცრუე იუდას მიერ ქრისტეს ამბორია და აღსარების დროს ამძიმებს ცოდვას, შენ ისეთი საიდუმლო გამანდე, რომლის მსგავსიც არ შეიძლება მომხდარიყო და ვერ გადამიწყვეტია, გიშუამდგომლო თუ არა უფალთან, გახსოვდეს: აღსარება, იგივე მონანიება, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოებათაგანია, მორწმუნეებზე ზემოქმედების ძლიერი იარაღი, ცოდვების განდობა მღვდლის წინაშე, რომელიც უფლის სახელით შეუნდობს, რაკი აღიარებს და ინანიებს, ითვლება ქრისტეს მადლად, რომლის წყალობითაც ადამიანი თავისუფლდება ცოდვათა სიმძიმისაგან და ახლად იშობა როგორც ნათლობისას ამიტომ სინანულის აქტი, ზნეობრივ სისპეტაკზე მაღლა დგება. საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას ცვლის პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე. სინანულის გარეშე ვერც ზნესრული ადამიანი იხსნის სულს და ვერც მღვდელი, ღმერთის მსახური, როდესაც სულის ხსნაზე გვაქვს საუბარი, მაშინ რწმენას ვაყენებთ მორალზე მაღლა, და ჩვენ უკვე ვგრძნობთ ღმერთის მფარველობას, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, თუ სიცრუე ითქვა აღსარების დროს, ცოდვები დაგიმძიმდება და ღმერთის მიერ გაძლიერებულ ცოდვათა ზეწოლას იგრძნობ მფარველობის მაგიერ...

– მამაო ღვთისო, რისთვის დამჭირდებოდა თქვენთან მეცრუა და მეთქვა ეგზომ ძნელად მოსანანიებელი ცოდვები? მე სიმართლე მოვახსენე უფალს!

– კარგი ვიტვირთავ შენს ცოდვას, ხვალ მოდი! გაზიარებ!

გივი და ნიკა ეკლესიიდან გამოვიდნენ, კიდევ ერთხელ გადაისახეს ჯვარი და ფეხით გაუდგნენ გზას, შორს არ ცხოვ-

რობდა ნიკა და შორი გზაც რომ ჰქონოდათ გასავლელი, მაინც ფეხით წასვლას ირჩევდა გივი. რადგან ასეთი სიმსუბუქე არასოდეს უგრძვნია, როგორც ახლა აღსარების განდობის შემდეგ...

– ნეტავი რა გქონდათ ამდენი საჩურჩულო, მოვკვდი შიმშილით! – წარმოთქვა ნიკამ და მადიანი ნერწყვი გადაყლაპა.

– შენი არ ვიცი და მე მართლაც მაგრად მომშივდა. მთელი დღე ლუკმა არ გადასულა ჩემს პირში – გამოეპასუხა გივი.

– მერე რატომ არ გაგაძღო მღვდლის ლაქლაქმა? ნეტავი შენს გუნებას, თუ მაგათი გჯერა რაიმე?

– სიტყვები შეარჩიე იცოდე, არავის ვაპატიებ ღმერთის ძაგებას!

– ღმერთს არც ვაძაგებ და იმაზე მეტადაც მწამს, შენ რომ მღვდელს ეჩურჩულებოდი. მომკალი თუ გინდა, არა მწამს მღვდელი ძმაო, ყველა გამოძალვაზეა მაგენი.

– შენ არა გაქვს უფლება განიკითხო მოძმენი და მით უმეტეს მღვდელი, თუ გწამს ღმერთი, მღვდელიც უნდა იწამო და ეშმაკიც.

– აბა როგორ მოვიქცე გივი, მე ახლა ველარ გარდავიქმნები, როგორ პირობებშიც ვარ აღზრდილი, ისევ იმ იდეებს უნდა ვემსახურო. შენ კარგად იცი, თუ საიდან არის ჩემი ფესვები ჩემს წინაპრებს ღმერთიც სწამდაც და მღვდელიც საკუთარი ჰყავდათ, მაგრამ არცერთმა არაფერი მომიტანა, ძმაო, აი ეს შენი ნათესავი რომ არ შემხვედროდა ცოლად, ნამდვილად წყალწაღებული ვიქნებოდი.

– მადლობა ღმერთს, მაგით თუ მაინც ხარ კმაყოფილი – უთხრა გივიმ და სადარბაზოსაც მიადგნენ. საჭმელების მადააღმძვრელი სუნი ტრიალებდა სახლში „რატომ დაიგვიანეთო“ – საყვედური წარმოთქვა დიასახლისმა და სუფრის გაწყობას შეუდგა, მაგრამ გივის ხასიათი მოეწამლა, მის გამოცდილ თვალს არ გამოპარვია ოთახის გაწყობილობა, პირველადი ელფერი დაჰკარგვოდა სახლს, კარადაში რა-

ღაც-რაღაც ნივთები გამქრალიყო, ასე გასინჯეთ, ბროლის ჭურჭელიც კი, აღარსად ჩანდა მოოქროვილი დანა-ჩანგლებისა და ძვირფასი ნივთების შესანახი ყუთები: – „გადამალეს? ესე იგი, ეშინიათ არაფერი მოვიპარო“ – გაიფიქრა გივიმ და მაგიდას მიუჯდა. ნიკა მართლაც მოშიებული მგელივით ეკვეთა საჭმელს. დიასახლისმა კი საუბარი გაუბა ნათესავს:

– როგორ ხარ, ბიჭო, რამდენი ხანია აღარ მინახიხარ. სიმართლე გითხრა და აღარც მეგონე ცოცხალი, მე თვითონ აღარ ვიცი, რამდენჯერ გამოგიტირე...

– დააცადე ქალო, საჭმლის ჭამა კაცს, რა წარსულით გამოუჭედე ყურები! – შეუტია ქმარმა დიასახლისს.

– არა, აღარ მშია, – წარმოთქვა გივიმ – მადლობა ღმერთს, მოთმინების უნარი მასწავლა ციხემ.

– ოო, ციხე, ციხე, რა გქონდა მაინც ბიჭო ამხელა დანაშაული, მთელი ახალგაზრდობა ციხეში რომ გაატარე?

– ჩემო დაიკო, იცი რას გეტყვი? ჩემი ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ ქართველად დავიბადე და ასე მგონია, მსოფლიოში ყველაზე დიდი სინდის-პატიოსნება გამაჩნია და ყველაზე დიდი სიყვარული შემიძლია.

– არა მგონია, სიყვარულსა და პატიოსნებას რაიმე კავშირი ჰქონდეს ციხესთან! – ღიმილით წარმოთქვა დიასახლისმა, მაგრამ ღიმილი სახეზე შეეყინა, რადგან ნიკამ მთელი ხმით დაიყვირა:

– რაღა მოგივიდა, ადროვე, ქალო, ადამიანს ლუკმის გადაყლაპვა – შემდეგ ჭიქები კონიაკით შეავსო. სადღეგრძელო წყნარად წარმოთქვა და ერთბაშად გადაჰკრა.

– ჰე, დალიე, რაღას ელოდები, მადას გაგიხსნის! თქვა და ჭამა გააგრძელა.

– დალოცვილი იყავით! დაგლოცავთ, მაგრამ ვერ დავლევ. მე საერთოდ არა ვსვამ – თქვა გივიმ და ჭიქა ხელის ზურგით გასწია გვერდზე.

– როგორ თუ არა სვამ, აბა რისთვის მოიტანე ამდენი ნობათი, ვერ გამიგია.

– ეს იმის საზღაურია, რაც საქართველოდან არასდროს არაფერი მიმიღია არავისგან.

– ჰო, მაგ საქმეში კი ვართ დამნაშავე, მაგრამ ან ჩვენ რა გვქონდა?

– ჩემზე მეტი ყველას ყველაფერი ჰქონდა! – გივიმ საათს დახედა, – უჰ, მაგვიანდება, ბოდიში, უნდა დაგტოვოთ!

– როგორ თუ უნდა დაგვტოვო, სად აპირებ წასვლას. – გაწიწმატდა დიასახლისი.

– დარჩენას რაღა აზრი აქვს, რაღაც-რაღაცეები მინდოდა მომეპარა და თქვენ უკვე გაგინათხოვრებიათ! ჰე, კარგად ბრძანდებოდეთ! – წყნარად წარმოთქვა გივიმ და კარი გაიხურა.

თითქოს უკაცრიელ ქუჩაში მარტო აღმოჩნდა, პატიოსანი ადამიანი ყველა ერიდებოდა გარეთ გამოსვლას, ათასი შეიარაღებული გარეწარი დაძრწოდა, დრო იყო ასეთი. ავტომანქანები არ მოძრაობდნენ, თუ რომელიმე თავზეხელაღებული გამოჩნდებოდა, არ აჩერებდა, იძულებული გახდა ფეხით წასულიყო, მაგრამ სად. თვითონაც არ იცოდა და უმისამართოდ გაუყვა ქუჩას. რადგან მხოლოდ შეიარაღებული ხალხი დადიოდა ქუჩაში, მზის ჩასვლის შემდეგ გივიც შეიარაღებული ეგონათ და ერიდებოდნენ, მაგრამ შეიარაღებული ადამიანის სიარულიც სახიფათო იყო, რადგან იარაღისთვის ჰკლავდნენ ზურგში ნასროლი ტყვიით.

ქაშუეთის ეკლესიას გაუსწორდა, დაინახა და გონება გაუნათდა. მართალია, ეკლესია დაკეტილი იყო, მაგრამ აქ მაინც შეიძლებოდა ღამის გათევა, რადგან ღამის მთეველები, მათთვის განკუთვნილ ადგილზე ბლომად იყვნენ და გულმხურვალედ ლოცულობდნენ. გადაწყვიტა ღამისმთევლებს შეერთებოდა, სადაც მანდილოსნები ჭარბობდნენ, ელოცა, თვითონაც გაეთენებია ღამე უფლის ლოცვაში და დილას

მაინც აქ იყო მოსასვლელი ზიარებისათვის, ზეპირად იცოდა „მამაო ჩვენო“, დაიჩოქა, ღაღადჰყო ლოცვა და ხატს ეამბორა. მის გვერდით ქალი ლოცულობდა, მთლად შავ თალხებში შემოსილი, ღმერთმა შემინდოს თუ რამეს არასწორად ვამბობ, ქალი არაამქვეყნიური სილამაზის იყო, იმისი უნაკლო სახე შავ სამოსში ისე გამოიყურებოდა, როგორც უკუნეთ ღამეში მხოლოდ ერთი ვარსკვლავის გამობრწყინება ცაზე! „არ შევცოდო სილამაზის ცქერით“, გაიფიქრა გივიმ და სამლოცველოს კუთხეში დადგომა გადაწყვიტა, მაგრამ ქალის ხავერდოვანი ხმა შემოესმა:

– არ ისმინოს ღმერთმა შენი ლოცვები, რადგან ერის მოღალატე ხარ, სად იყავი მაშინ, შვილს რომ მიკლავდნენ?

ყველამ გაიგო, რომ სიტყვები გივის მისამართით იყო ნათქვამი, ამიტომ გადაწყვიტა ამ ქალთან ან თავი უნდა ემართლებინა, ან კიდევ აქაურობას საჩქაროდ გარიდებოდა, შემობრუნდა, ქალს წინ დაუდგა და წყნარად უთხრა:

– გისმინოს უფალმა, რაც ჩემს მიმართ ბრძანეთ ქალბატონო, თუ რაიმეში ვიყო დამნაშავე,

– ცხრა აპრილს სად ბრძანდებოდით? – შეეკითხა ქალი.

– ციხეში! – მოკლედ უპასუხა გივიმ.

– ჰო, მაშინ მაპატიეთ! აქ დიდი ტრაგედია დატრიალდა და ახლა რამდენ ქართველ ვაჟკაცს დავინახავ, ყველა მოღალატე და შვილის მკვლელი მგონია.

– დიდი დრო გვაქვს, ჩვენ ხომ ღამე უნდა ვათიოთ, მომიყევით როგორ მოხდა ეს...

– მე ვერაფერსაც ვერ გეტყვი, ისტორია იტყვის თავის სათქმელს, აქ მხოლოდ ღმერთთან სასაუბროდ მოვედი, როგორც ყველას, საყვედური მინდა ვუთხრა უფალს, შეეძლო და რატომ არ დაიფარა ჩემი ერთადერთი შვილი, რად გადამიშენა უშვილძიროდ. მე ხომ დიდ მორწმუნეს მეძახდა მთელი უბანი, ვინ მოთვლის, რამდენი დღე გამითენებია უფალთან საუბარში და მაინც...

ქალს ცრემლები მოაწვა, თავი ვეღარ შეიკავა და სულის აღმაშფოთებლად აქვითინდა. – ღმერთი დიდია, ქალბატონო, იქნებ გარდაცვლილი ანგელოზად მოევლინოს თქვენს ოჯახს და უფალმა მოგცეთ მაგიერი შვილი...

– მაგიერი არ არსებობს, ჩემო ბატონო, მაგიერი, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ პირველი დავიწყებას მიეცეს! ეს კი არასოდეს მოხდება!

– ღმერთის ნებაა, ქალბატონო, ყოველი: ის ხომ ჭეშმარიტებაა სიკეთე და სილამაზე, ზებუნებრივი არსება, უფალი, უზენაესი ღვთაება, რომელიც ფლობს უმაღლეს გონებას, აბსოლუტურ სრულყოფილებას, ის არის სამყაროს შემქმნელი და მმართველი, ყოვლისშემძლე უბრძნესი, უმშვენიერესი და უკვდავი ძალა, რომელიც უშუალოდ ერევა მის მიერ შექმნილი სამყაროს ცხოვრებაში. ჰოდა, მოუსმინე მას და არა მოკვდავთ.

– რა კარგად საუბრობ, მაგრამ რა გამიკეთა შენმა უმშვენიერესმა არსებამ? შენ და შენი ყოვლისშემძლე არსება ადამიანთა მომაკვდინებელი ძალაა და მეტი არაფერი.

– სიტყვები შეარჩიე, ქალბატონო, შეიცან ღმერთი და ეშმაკი, განასხვავე კეთილი ბოროტისაგან, ღმერთი არასოდეს ყოფილა მკვლელი, ის გვიფარავს განსაცდელისაგან მხოლოდ ჩვენივე ხელშეწყობით. მაპატიე, თუ მწარე სიმართლე გითხრათ, ბავშვს რა ესაქმებოდა მიტინგზე. სად ბრძანდებოდით თქვენ, დედა ამ დროს?

– საზიზღარო, საქმეც ეს არის, რომ ვერ ხვდები, თუ რა უნდოდა ახალგაზრდობას მიტინგზე, რა უნდოდა და მათი მშობლების დაშვებული შეცდომების გამოსწორება უნდოდა! ჩვენ რომ გვებრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად და მოგვეპოვებინა, ჩვენს შვილებს აღარ დაჭირდებოდა ბრძოლა, ახლა მათ მეტი გზა აღარ დარჩენიათ, უნდა იბრძოლონ, რათა თავიანთი შვილები გადაარჩინონ სისხლისღვრას, უნდა იბრძოლონ, რადგან ჩვენზე მეტი გამბედავები

და ძლიერები არიან! ღმერთო, როგორ არ არსებობს! არ არსებასთან არ ვარ მოსული განსაკითხავად, მაგრამ რადგან ყოვლისშემძლეა, ხომ შეეძლო დავეფარე ამ ტრაგედიისაგან? თქვენ გელაპარაკებით და ღმერთი ისმენს ჩემს საუბარს.

– იქნებ სწორი ბრძანდებით, მაგრამ მრევლიც ისმენს, თქვენს საუბარს, თქვენი ქადაგებით ხალხს ნუ წაართმევთ საყრდენს, რადგან ღმერთი საყრდენია. თქვენ ნამდვილი რწმენა არასოდეს გქონიათ, თორემ მას შვილის დაკარგვით არ დაკარგავდით. ნამდვილი რწმენა მხოლოდ ამაღლებულ ადამიანებშია და ამაღლებულ საგნებს ეხება. ღმერთის იდეების შინაარსი მდგომარეობს ადამიანის არსებობის წარმოსახვაში. რის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდება, დამოკიდებულია ღმერთის ნებაზე.

– მეც იგივეს ვამბობ, განა სხვა რამე ვთქვი? ვიცი ადამიანის თავისუფალი ნებისყოფაც უფალზეა დამოკიდებული, ბედი და ხსნაც ღმერთის ნებაა, ასე რომ თავისუფალი ნებაც ღვთაებრივს ექვემდებარება, ღმერთი დაბადებამდე განსაზღვრავს ადამიანის ბედს, ყველაფერი ამ ნებით ხდება, უზენაესის ნება მიუწვდომელია მოკვდავთათვის. ვიცი ასეა და რატომ ამომარჩია უზენაესმა, მხოლოდ მე აღვგვილიყავი პირისაგან მიწისა ამა სოფლიდან?

– აქ ღმერთი არაფერ შუაშია, ქალბატონო! თვითონ ადამიანი ამსხვრევს ღმერთის მიერ ბოძებულ სიკეთეს, ეს სულაც არაა უზენაესის უშუალო ნება, გვახსოვდეს, ეშმაკიც დიდი უფლებებით სარგებლობს, რომლის ქმედებაშია: ომის საშინელებანი, შიმშილი, მკვლელობები და სხვა ბოროტებათა არსებობა.

– მაშინ ღმერთის ძლევამოსილება სადღაა, თუ ასეა, ეშმაკს ვევედროთ, რომ დაგვიფაროს გასაჭირისაგან... მე უკვე ვესაუბრე ღმერთს შენი სახით, მან ყველაფერი მოისმინა, ახლა წავალ დამშვიდებული, – თქვა ქალმა და წავიდა.

გივი დიდხანს იდგა გამოშტერებული ქალის მოქმედებით. შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოეგო და ჩაიდუდუნა:

– „გამწარებული დედაა, ღმერთო, შეუნდე შეცოდებანი, რამეთუ არ იცის რას მოქმედებს. შეუნდე! თქვენ ხომ განსახიერება ხართ ყოველი სრულყოფილებისა და ადამიანთა არსებობაც ხომ სრულყოფილებაა, ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, ყველაფერი მიზანშეწონილია და კანონზომიერი. რაც მოხდა და რაც მოხდება, მხოლოდ შენი ძლევამოსილებით აიხსნება“.

შეუმჩნევლად გაილია ღამე, გათენდა. გივიმ მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა და შიმშილი, მაგრამ საზიარებლად ხომ მშიერი უნდა მისულიყო? გაიღო ეკლესიის კარები, მობრძანდა მღვდელი და ნელ-ნელა მრევლით შეივსო ეკლესია. ჯერ წირვა ჩაატარეს, შემდეგ გარდაცვალებულთა სულები მოიხსენიეს და როგორც იქნა, დადგა ჟამი ზიარებისა. პირველად მამაკაცები გაატარეს და დადგა გივის რიგიც:

– ჰო, შენგან აღსარება მიღებული მაქვს. დღეს ხომ არაფერი გიჭამია? – შეეკითხა მოძღვარი.

– არც გუშინ, მამაო, – უპასუხა გივიმ.

– ზიარების შემდეგ არ წახვიდე! მოდი ჩემთან! – უთხრა ღვთისომ და პატარა კოვზით საზიარებელი სითხე ჩაასხა პირში, გივი დაემორჩილა მოძღვრის ბრძანებას და დაელოდა ყოველგვარი ცერემონიალის დასასრულს. მოძღვარმა მზერით მოძებნა დარბაზში და თვალით ანიშნა, მასთან მისულიყო, მივიდა, პირველად ხელზე და შემდეგ ჯვარზე ეამბორა ღვთისოს.

– მე თქვენ გითხარით მხოლოდ დღეს არ გეჭამა, გუშინ რატომ იშიმშილეთ? – შეეკითხა მოძღვარი.

– არა, ისე, არ მინდოდა!

– ნუ ცრუობ, სიმართლე მითხარი!

– ახლაც აღსარებას ხომ არ გაბარებთ, შემიძლია ყველაფერი არ ვთქვა...

– კი, ეს შენი ნებაა, მაგრამ გამენდე, იქნებ ფული არა გაქვს და ამიტომ შიმშილობ, მე მაქვს პატიმართა ხელგასამართავი ფული და გიწილადებ...

– არა, მამაო, დიდი მადლობა. ფული მაქვს, სალაპარაკოდაც არა ღირს. ნათესავთან ვიყავი, მასთან ცოტა უკმაყოფილება მომივიდა და ასე დავრჩი მშიერი!

– შვილო, დღეს მე შენ გაზიარე, ესე იგი, მეორედ დაიბადე, ჩემს მრევლად რომ ადამიანი მივიღო, კეთილი გზა აირჩიოს საცხოვრებლად. შენ დიდი წარსულის მქონე ხარ, დღეს წარსული და მომავალი ერთმანეთს ეჯახება, რა თქმა უნდა, ძნელია წარსულთან განშორება და ახალი ცხოვრების დაწყება, მესმის ეს მთელი ცხოვრების გარდატეხაა, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლება, უნდა უარყო წარსული, დავიწყებას უნდა მისცე ყოველგვარი სისაძაგლე და ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელიც მხოლოდ სიკეთესთან იქნება დაკავშირებული...

– ვეცდები მამაო, გავამართლო თქვენი ზიარება!

– თქვენ არა მარტო სულიერად უნდა გარდაიქმნათ, არამედ მორალურადაც, მორალი დროის პროდუქტია, მიწიერი და არა ციური, რომელიც ყოველივე არსებულის, განვითარების საფუძველია. ამიტომ ღმერთთან ერთად უნდა შეიცნო ბუნებაც, რა თქმა უნდა, ბუნება ყოვლისშემძლე არაა, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთის დახმარებით შეიძლება ის სასარგებლოდ გამოვიყენოთ, ახლა გემშვიდობები, აბა შენ იცი, არ გამაწბილო თუ რაიმე შეფერხება განიცადო ცხოვრებაში, მომაკითხე.

გივი გულთბილად გამოემშვიდობა მოძღვარს და მრევლში გაერია, ეკლესიიდან გარეთ გამოვიდა, მათხოვრებს ხურდა ფული დაურიგა და სასადილოს დაუწყო ძებნა, კარგად გვარიანად ისადილა, კონიაკიც დააყოლა და თავისი მშობლიური სოფლისაკენ აიღო მიმართულება, საღამოვდებოდა როდესაც უბანში შევიდა. აქ მხოლოდ ერთი გვარი, გივის ბიძაშვილობა ცხოვრობდა, ახალგაზრდობას „ბირჟაზე“ თავი შეეყარა და მასლაათობდნენ, ყველამ გაიხარა გივის დანახვით, მოხუცებ-

მა იცნეს. ახალგაზრდობამ ვერა, მაგრამ ყველას გაგონილი ჰქონდა მისი სახელი და სუყველამ გულთბილად მიიღო. დიდ-ხანს ისაუბრეს, რამდენიმემ დაპატიჟა კიდეც, მაგრამ დიდი მადლობის შემდეგ ყველა უარით გაისტუმრა და მამაპაპურად სახლის კარი შეაღო, მამა აღარ ელოდა... მისი გარდაცვალე-ბის ამბავი ციხეში გაიგო, შეიცხადა და წვერიც ატარა ერთი წელიწადი, თითქოს მოქარვებული ჰყავდა, მაგრამ ახლა იმი-სი საწოლი ცარიელი რომ დაინახა, გული ამოუჯდა და დიდ-ხანს იტირა, შემდეგ მამისეულ ცივ ლოგინში ჩაწვა და ამდენი ხნის ნატანჯს მწარე მოგონებებში ჩაეძინა...

დილით წვიმამ გამოაღვიძა. სახლშიც ისე წვიმდა, რო-გორც გარეთ. ადგა, სახლში შეათვალიერა, სახურავი ზღუ-დეზე დაწოლილიყო. ამ დროს მეზობელი ქალის ლაპარაკი მოესმა, ბავშვს არიგებდა:

– შენ იცი, ვინ დაბრუნდა ციხიდან? არ დაგინახო იმასთან გავლილი, თვალი გეჭიროს სახლზე და საყოლიებელზე, თო-რემ ხომ იცი, არაფერს გაუშვებს გასაფუჭებელს და მოსაპა-რავს.

– სწორია, სწორი! – დაუმოწმა ქმარმა. ბავშვი კი გაკვირ-ვებული უსმენდა მშობლებს და ვერ გაეგო, თუ რა დანაშაული მიუძღოდა სოფელთან ციხიდან დაბრუნებულ ადამიანს.

ცოტა ხნის შემდეგ გივიმ „აგიტატორ“ მეზობელს დაუძა-ხა:

– იაკინთე!

იაკინთეს თითქოს არ გაუგონია, წყნარად შეაღო სახლის კარი და სახლში შევიდა. გივიმ რამდენჯერმე კიდევ გაიმე-ორა ძახილი და იაკინთემ რომ იფიქრა, აღარ მომეშვებაო, შეშფოთებული ხმით გააგონა:

– ბატონო! აქ ხომ არავინ იძახის?

– ჰო, მე გეძახი, იაკინთე, ცოტა ხანს გადმოდი ჩემთან!

– ბოდიში, ტელევიზორი მქონდა ჩართული და ვერ გავი-გონე შენი ძახილი. რისთვის მეძახი, ხომ მშვიდობაა, კაცო.

– ადამიანის ფერი დაკარგვოდა, რადგან ეგონა, რომ გივიმ ცოლთან მისი საუბარი მოისმინა და ახლა საჩხუბრად ეძახდა.

– იაკინთე, შენ ბიჭო ბიძაშვილი ხარ ჩემი, ერთმანეთის მეტი ახლობლობა რაღა შეიძლება. ჰოდა, დახმარება მესაჭიროება...

– აბა, სად მცალია, გივის ვენაცვალე...

– შე კაცო, გეკითხა რა გასაჭირი მადგა!

– ჰო, მართლა მაინც რა გინდოდა?

– არაფერიც არ მინდოდა, იაკინთე. თავისუფალი ხარ, ბოდიში რომ გაგაცდინე!

გივის სახლის კარიც არ გამოუხურავს, ეკლესიისაკენ წავიდა, რომ მამის საფლავი მოენახულებინა, მაგრამ ასიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, ნათავმჯდომარები და შემდეგ ნაციხარი გურამი შემოხვდა წინ. მართლაც გულით გაუხარადა გურამს გივის დანახვა. თვალებზე შეატყო, თუ როგორ აუკიაფდა ნაპერწკლები და გულში ჩახუტების შემდეგ გურამი შეეკითხა:

– რავა, ჩუმად შემოპარულხარ სოფელში, ახლა საით მიდიხარ ბიჭო?

– სწორედ შენსა მოვდიოდი, გურამ, ერთ საქმეში უნდა დამეხმარო, როგორც ძმას და მეგობარს!

– შენი ხმალი და ჩემი კისერი, რაც გინდა, დამავალე, შეუძლებელს შევძლებ შენი გულისთვის, ძამიკო, მაგრამ გზაზე მოსაუბრე ხალხი არა ვართ ჩვენ, წამოდი ჩემთან მარანში ჩავჯდეთ და ტკბილად ვისაუბროთ!

– არა, ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მარანში დასაჯდომად არ მცალია, აქვე მომისმინე, რა უნდა გითხრა: ხომ ხედავ, დავბრუნდი, ჰოდა ჩემი დაბრუნება მინდა ვაუწყო კეთილ ნათესაობას, ესეც რომ არ იყოს, მამაჩემის გარდაცვალება უნდა აღვნიშნო, სურვილი მაქვს ამ ჩემს ეზოში სუფრა გავშალო და ვაპურმარილო მტერ-მოყვარე, მინდა შენ იყო ამ

საქმის თავკაცი და გამგებელი. ფულზე საუბარი ნუ იქნება, გახარჯე, რამდენიც მოგესურვოს.

– მე შენი მესმის, მაგრამ არიან ღირსი მუქთა პურ-მარილზე იქეიფონ?

– ამას ნუ განვიკითხავთ, აი შენ პირველი საჭიროებისათვის სამი ათასი მანეთი, გახარჯე შენი შეხედულებისამებრ და პურ-მარილი გაკეთდეს არნახული.

– სამი ათასი რა ამბავია, სამას კაცზე მეტი ხომ არ გეყოლება?

– გახარჯე, გურამ, გახარჯე ხომ იცი, ახლა პროდუქტი ძვირი ღირს და ნუ იწუწკებ, უხვად იყოს ყველაფერი.

– მაინც ბევრია და მაინც!

– თუ ბევრია, გქონდეს კაცო და შემდეგ დავიანგარიშოთ!

– კი ბატონო, იყოს ნება შენი! – თქვა გურამმა და სიტყვა საქმედ აქცია. იმ დღესვე გაიჭიმა სეფა გივის ეზოში და მოიწვიეს მზარეულები თავიანთი ოფიციანტებით, მეორე დღეს სამზადისს მოუნდნენ, დაიკლა უამრავი ფრთოსანი და ჩლიქოსანი, შეიწვა, მოიხარშა და მართლაც არნახული პურ-მარილი გამზადდა. მესამე დღეს მოწვეული სტუმრებით გაიჭედა სეფა და შეიქნა პურობა საკადრისი მეფეთა, დათვრნენ ყველამ აფირისტული სიყვარული გამოხატა გივის მიმართ. – „ნეტავი რომელ ციხეში იჯდა ეს ხალხი, სად ისწავლეს ამხელა აფირისტობა?“ – უკვირდა გივის. მაგრამ კიდევ მეტად გაუკვირდა, როდესაც მთვრალი იაკინთე დაუდგა წინ და უთხრა:

– შე კაცო, საქეიფოდ თუ მეძახდი, ვერ მითხარი? ამისთანა პურმარილისთვის დროს როგორ ვერ გამოვნახავდი? მერედა ეს ამდენი ფული გურამს რომ ჩაუყარე ხელში, ღმერთი არა გწამს? დახმარება მე მინდა, გურამს რად უნდა დახმარება? შენ ბიჭო მე რა უნდა მომატყუო, ვიღაც ბობოლა გამოშიგნე ხომ? არ თქვა ახლა, არაო, აბა, საიდან გქონდა ამოდენა ფული? არ თქვა ახლა – ციხეში ფულებს არიგებენო. კარგი

ბატონო, მოგცეს, მაგრამ გადასაყარი ფული მოგცეს? ამდენი მშიერი ხალხის დაპურება, ჩემო ძმაო, რამ განაპირობა? არ გეწყინოს და მე ამას გავიკითხავ...

– წადი ახლა შენ აქედან, იაკინთე, არ მინდა შენი სიკვდილით ხალხს ჩავამწარო სადილი!

– კარგი ბატონო, აბა ვნახოთ, მეჩემები ხომ?! აი, ხალხო, ხომ გესმით, მეჩემება, მოწმეებსაც ვნახავ მე! – რაც ძალი ჰქონდა გაჰკიოდა იაკინთე და ეზოდან გადადიოდა.

„პირველი სიმართლის მთქმელია იაკინთე!“, შეიქნა ხალხში ჩურჩული, „მაგას რომ ვერაფერს გამოაპარებ, იცის და მოკალი თუ გინდა“. გივის ესმოდა ხალხის ჩურჩული და ეღიმებოდა, გაახსენდა გურამის სიტყვა: „არიან ღირსი მუქთა პურ-მარილზე იქეიფონ?“ – მართლაც არ ყოფილან ღირსი!

ის დღე დააღამეს და ღამე გაათენეს ღრეობაში. მაგიდაზე თავჩამოდებულებს ეძინათ, გამოიღვიძებდნენ და ისევ სვამდნენ.

დილით გივიმ სტუმრებს გამოუცხადა: – პურ-მარილი ვისაც რამდენი უნდოდა, წაეღოთ! – ამის თქმა იყო და მოხდა სენსაცია, ზოგი უბეში იყრიდა ხორცს, ჯიბეებში ისხამდნენ წვნიანს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ეჩხუბებოდნენ ვინ მეტს წაიღებდა, გივი უყურებდა ამ სასწაულს და ერთიმეორეს ადარებდა ამ „თავისუფალ“ სამყაროსა და იმ ჯოჯოხეთურ ადგილს, რომელსაც „ბოროტმოქმედთა სამყარო“ ერქვა. რა თქმა უნდა, იქ შიმშილი მძვინვარებდა, მაგრამ ამხელა თავხედობა არასოდეს ენახა, რამ განაპირობა, „თავისუფალ სამყაროში“ ასეთი განუკითხაობა შიმშილმა თუ სიხარბემ?

შიმშილი ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც თან სდევს სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს, საკვების უკმარისობა, კვების რაციონში შემავალი სიცოცხლისათვის აუცილებელი კომპონენტების სიმცირე ან უქონლობა, რომელსაც მოჰყვება სიცოცხლისათვის საშიში შედეგები – ინფექციური, ფსიქი-

კური და ნივთიერებათა ცვლის მოშლილობასთან დაკავშირებული დაავადებათა სიხშირე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ჩამორჩენა და შემდეგ ნაადრევი სიკვდილი. ასე რომ, შიმშილს უშუალო კავშირი ჰქონია ტვინის უჯრედებთან და არ არის გამორიცხული ფსიქიკური აშლილობა გამოეწვიოს. ვისაც არ სჯერა, იმდღევანდელი წვეულების შედეგი იხილოს...

სიხარბე კი ეთიკის კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს ზნეობრივი გრძნობის სპეციალურ უნარს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ თვითკონტროლისა და თვითგანსჯის ფენომენი, რომელიც არ ეთანხმება საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნებს, ადათსა და ტრადიციებს, მოვლენებსა და პასუხისმგებლობას სხვა ადამიანისა და კოლექტივის წინაშე, მასში მკვდარია მორალური კმაყოფილებისა და სიხარულის ემოციები, არღვევს მორალის მოთხოვნებს, ღალატობს მოვალეობას და ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან კოლექტივს, ცდილობს მიისაკუთროს სხვისი დოვლათი. ან საერთოდ გაანადგუროს, რათა „არა აქვს თვითონ, არ ჰქონდეს სხვას“, მას არ ქენჯნის სინდისი და არ გააჩნია უნარი. გაკიცხოს საკუთარი თავი, მას მხოლოდ გააჩნია თვითგანსჯის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც მხოლოდ სიხარბის პიროვნულ და ზნეობრივ შეგნებას ემყარება, ამრიგად, სიხარბე, სამართლიანობის ზოგადსაკაცობრიო გრძნობის გამოხატულების წინააღმდეგია. ამდენად, მასში ან არ დაბადებულა და ან მკვდარია საზოგადადამიანური ფენომენი, რაც სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის გრძნობის სიკვდილი ადამიანური მოვალეობის წინაშე.

გივის შეხედვით, ამ ადამიანების ორგანიზმში გამჯდარია მხოლოდ სიხარბე, რომლებმაც აამუშავეს შიმშილის მექანიზმი, რათა თავიანთი საქციელი შიმშილს დააბრალონ, ვინაიდან შიმშილი მეტად კეთილშობილური მოვლენაა, ვიდრე სიხარბე.

– არა, ამ ხალხთან ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ მამაპაპისეული ბუხრის გაციებაც არ შეიძლება, არ მაპატიებენ წინაპართა სულები – ფიქრობდა გივი და აშლილ სუფრას უყურებდა, რომელიც ნაფრონტალს ჰგავდა.

სეფა აახვიეს, ავტომანქანაზე დატვირთეს და წავიდნენ, მხოლოდ ახლა მივიდა გურამი გივისთან და წინ დაუდგა, რამდენიმე ხანს გარინდული შესცქეროდა, თითქოს ყველას მაგიერ თავს დამნაშავედ გრძნობდა. გივიმ შეატყო და მხარზე ხელი მოუთათუნა გამხნევების მიზნით.

– ო, ჩემო ბატონო, ეს არის ადამიანი, ვინც ნახე და მათი შემოქმედება კი ეს – რასაც მიჩერებიხარ! – ნაძალადევი სიწყნარით წარმოთქვა გურამმა და აბობოქრებული უმადურობისაგან მოწოლილი ცრემლი მოიწმინდა.

– არა უშავს, ყველაფერი კარგად დასრულდა, ჩემო გურამ, მე შენზე დიდი მადლობელი ვარ – გივის ხმა ხავერდოანი იყო...

– კარგი და ცუდი ვიცი, ჩემო გივი, რაც არის, მაგრამ, რა ვქნა, ჩემი რჩევა არ შეისმინე, შენ შენი არ დაიშალე, ხომ ასეა? ახლა მოდი აქ, ძმაო და ანგარიში გავასწოროთ. აი, რვეული, აქ წერია დანახარჯი, მარილში რომ ათი კაპიკი მივეცი, ისიც კი წერია აქ, საერთო ხარჯმა ათას ას ოცდაჩვიდმეტი მანეთი შეადგინა, დანარჩენი ფული აქა მაქვს და აი ჩაიბარე.

– მოიცა, მოიცა, ფულის გადმოცემას ნუ ჩქარობ, ერთი თხოვნა კიდევ უნდა შემისრულო.

– თუ შენი თხოვნა ხალხთან კავშირს ეხება, მაპატიე და ვერ შევასრულებ!

– არა, ჩემი თხოვნა ერთ პიროვნებას ეხება, რომელსაც, იმედი მაქვს, შეარჩევ! ხომ ხედავ სახლის სახურავი ჩამონგრეული არის. ხელოსანი მონახე ისეთი, ვინც შეძლებს ამის გაკეთებას.

– კარგი, მაგას დღესვე მოგიძებნი, ეს სამსახური არ არის ძნელი. – თქვა გურამმა და სადილის ასეთად წარმართვის

შემდეგ მაინც დარცხვენილი გავიდა ეზოდან. გივი კი სასაფ-ლაოზე წავიდა, რომ გარდაცვლილი მშობლების საფლავი მოენახულებინა... დიდხანს იყო მშობლების სურათის წინ და-ჩოქილი და გარინდებული, ხმას არ იღებდა, იგრძნო ტანზე თითქოს ჭიანჭველები დაესია, გამოფხიზლდა და არა თავისი მოსაზრებით, თითქოს ვიღაცამ უკარნახა და წარმოთქვა:

– მამა, მე მოვედი, დავბრუნდი ჯანმრთელი საკუთარი სა-ხელითა და გვარით, მაპატიე, მამა თუ ცოცხალს ვეღარ მო-გისწარი და შენს დაღუპვაში წვლილი მიმიძღვის!

გივის თითქოს ვიღაც გამოეხმაურა. მიიხედ-მოიხედა, სასაფლაოზე ცოცხალი არსება არავინ ჩანდა, მიხვდა, რომ თავის ტვინში რაღაც ახალი დაიბადა და იმ უარყოფით თუ დადებით თვისებებთან ერთად გარდაცვლილთა სულთან ურთიერთკავშირის დამყარება შესძლო, რომელიც აქამდის არასოდეს განუცდია და ახლა გამოუვლინდა გარდაცვლილ მშობლებთან საუბრის დროს, მან გარკვევით გაიგონა მამის წყნარი და ხავერდოვანი ხმა:

– ვიცი, შვილო, რომ დაგვიბრუნდი, გუშინ მეც ვიზეიმე თქვენთან ერთად!

გივის გააჟრჟოლა, აქამდის ეჭვი არ ეპარებოდა სულის არსებობაზე, მაგრამ ასე ნათლად თუ გაიგონებდა გარდაც-ვლილი ადამიანის ხმას, ამის წარმოდგენა ნამდვილად არ ჰქონდა, სული აქტიური მამოძრავებელი ძალაა ადამიანში, ქრისტიანულ საზოგადოებაში მან უზარმაზარი ძალა დაიმკ-ვიდრა, რადგან ეს არის უკვდავი ძალა, რომელიც ხელს უწ-ყობს ადამიანის მოქმედების განვითარებას. წარმოდგენა სუ-ლებზე არა მარტო ქრისტიანულ სარწმუნოებაში, არამედ ნე-ბისმიერ რელიგიაში სარწმუნოების განუყოფელი ნაწილია, სულის უკვდავება ერთ-ერთი მთავარი მცნებაა ქრისტიანულ დოგმათა შორის, მასზე აიგო იდეალიზმი, სადაც მტკიცდება, რომ ადამიანში დამოუკიდებლად ცხოვრობს სული, რომელ-საც შეუძლია სხეულთან გამოყოფა, ამაზე არის დამყარებუ-

ლი საიქიოს მცნება, ჩვენთვის მიუწვდომელი და ღვთაებრივი თვისებების მატარებელი. სულებთან კავშირის დამყარება მხოლოდ ღვთიურ, გამორჩეულ ადამიანებს თუ ძალუძთ, ამიტომ გივიმ ღმერთს მადლი შესწირა და მამას შეეკითხა:

– ბევრი ტანჯვა მოგაყენე, მამა, ხომ არ მემდური?

– არა, შვილო, ასეთია შენი ბედი, მე არ შემიძლია იმის შეცვლა.

– დედა სად არის?

– აქ არის შვილო, ჩემთან ერთად, შენს საუბარს ისმენს, ტირის და შენს ხმას ეალერსება.

– რაღა ატირებს, ხომ დავბრუნდი!

– სიხარულით ტირის, შვილო!

– კარგია, რომ ორივენი აქა ხართ, მე ისევ უნდა წავიდე, რას მირჩევთ?

– სად უნდა წახვიდე, ბიჭო, განა ცოტა იარე?

– არა მამა, ახლა საქართველოს უჭირს, ჩემი წვლილი უნდა შევიტანო სამშობლოს გადარჩენაში.

– არა, შვილო, არსადაც არ წახვიდე, ნუ წაშლი ჩემს ეზოგარემოს და მემკვიდრე დაუტოვე შენს სულს მოსახსენიებლად.

– გაუშვი, წავიდეს, სადაც სხვისი შვილებია, იქ ჩემმა შვილმაც იბრძოლოს! – ეს უკვე დედის ხმა იყო, გივის თვალები აუწყლიანდა და ხმის კანკალით წარმოთქვა:

– სადა ხარ, ადამიანო, სიზმარში მაინც მეჩვენე. პატარა დამტოვე, არ გენატრები მაინც? მე შენ ყოველთვის მჭირდები ცოცხალიც და მკვდარიც, მასწავლე რამე, დედა!

– შენ ჩემზედ კარგი მასწავლებელი გყავს, უფალი გმფარველობს, შვილო შენ ეხლა მალე წახვალ ღმერთის გზით. ორიოდე სიტყვას შენც იტყვი საქართველოს გადასარჩენად, არ შეგეშინდეს (თუმცა შენ შიში რა არის არ იცი), ისევ საღსალამათი დაგვიბრუნდები, მხოლოდ მომისმინე, რასაც გეტყვი: ჩემს ნამზითვ კარადაში ცხვრის მატყლით მოქსოვილი

შალის პერანგია. ჩემი ხელებით არის შვილო მოქსოვილი, დედის სითბო ჩავაქსოვე შიგ, არასოდეს არ შეგცივდება, არც დაგცხება. მკერდზე ქრისტეს ჯვარი ამოვაგვირისტე, ის კი განსაცდელისაგან დაგიფარავს, ტყვია არ მოეკარება შენს სხეულს, მაგრამ მთლად ჩვენი იმედი ნუ გექნება, ხანდისხან თავი აარიდე ხიფათს, განსაცდელს რომ დაეძებ, როგორია არ გამოგიცდია იმის სუსხი? როგორც განსაცდელს დაეძებ, ასევე ბედნიერება ეძებე დღეიდან და ბედნიერებასაც ისე შეეგებე, როგორც განსაცდელს ეგებებოდი! ჰო, სულ მავიწყდებოდა: პერანგი შიშველ ტანზე ჩაიცვი, ახლა ჩვენ გვაგვიანდება, შვილო და წავალთ, ვეცდები, ამაღამ სიზმარში გინახულო.

– არა, დედა, ცოტახანს ნუ წახვალ, მესმოდეს შენი ხმა! გახსოვს? პატარას აქ რომ ჩამეძინა, შენს მონატრებულს? ნეტავი იცოდა, როგორი თბილი იყო ეს მიწა მაშინ, მამამ ქვეყანა შეძრა, ეგონა მკვდარი ვიყავი, მაგრამ არა, არ ვკვდები, ხომ ხედავთ?

– მუდამ შენი იმედი მქონდა შვილო, ფიზიკურად ხარ ძლიერი! შენს მსგავსს ვერცერთი მოკვდავი ვერ შესძლებდა, მაგრამ მაინც თავს გაუფრთხილდი, ბიჭო! – ეს უკვე აკაკის ხმა იყო.

– ნეტავი იცოდეთ, როგორ ამაფორიაქეთ, აქედან წასვლა აღარ მინდა, აქ დავწვები თქვენს გულზე და დავიძინებ!

– არა, შვილო, ვიღაცას მთვარელი ეგონები და სირცხვილი, ახლა წადი, იქ, სახლში ხალხი გელოდება, წასვლის დროს გამოიარე, ლოცვა-კურთხევას გაგატან თან.

– ამაღამ ხომ მოხვალთ? – თითქმის ყვირილით წამოიძახა გივიმ, მაგრამ არავინ გამოეპასუხა, როგორც ტელეფონზე იცის ხოლმე, ისე გაქრა მათი ხმა – „ნეტავი შეიძლებოდეს კავშირის აღდგენა“. – გაიფიქრა და აფორიაქებული წავიდა სახლისაკენ.

სახლში მართლაც ელოდებოდნენ. გურამს სახლის შემკეთებელი ოსტატი მიეყვანა, მორიგდნენ თანხაზე, მაგრამ უნ-

დობლობა გამოხატა ოსტატმა და ფულის წინასწარ მიღება მოითხოვა, – გურამი გაწიწმატდა.

– სად გაგიგონია ასეთი რამე? თევზი წყალში ვინ დააფასა, – უყვირა ოსტატს. – თუ გაკეთება არ გინდა, თავი დაანებე, ქვეყანა უმუშევარია, სხვას მოვძებნი...

– კარგი, კარგი გურამ, ნუ ნერვიულობ, თანახმა ვარ, მივცემ წინასწარ ფულს – თქვა გივიმ. მხოლოდ ნამუშევარი მომეწონოს და დროზე დაასრულოს თავისი საქმე,. მორიგდნენ, მოილაპარაკეს და საქმეს დილიდან უნდა შედგომოდა ოსტატი, გივიმ ფული მიუთვალა და მხოლოდ შემდეგ დასხდნენ პურის საჭმელად, გურამმა ღვინის დალევაზე უარი განაცხადა, გივი მიზეზს შეეკითხა, მან კი აგრესიულად წარმოთქვა“

– ასე იქცევი, ხალხს ეჭვში აგდებ, თითქოს სადღაც მოგეხვეტოს ფული ან ვიღაც მოგეკლას, მისი ქონება მიგეთვისებინოს და ახლა ფანტავდე მუქთად შეძენილს. მხოლოდ მე ვიცი, როგორი წვითა და დაგვით არის შეძენილი პატიმრის ფული, არ მინდა ამისი გაკეთებული არაფერი, ვინ გაიგონა წინასწარ ფულის გადახდა, მე მგონია, კაცი ვარ და კაცურ სიტყვას ვაძლევ, დაამთავროს სამუშაო და მიიღებს თანხას, „რატომ არ სვამო“, მეკითხები, იმიტომ არ ვსვამ, რომ კაცი ვარ და არაკაცებთან არ ვსვამ ღვინოს!

ოსტატს არ მოეწონა გურამის სიტყვა, მაგრამ იმხელა თავხედი გამოდგა, რომ მისი ლაპარაკისთვის ყურადღება არ მიუქცევია და მარტოდ-მარტო ლაზათიანად გამოთვრა. ამაზე გურამი მთლად გაცოფდა, „შენ მთვრალი ხარ და უნდა გაგაცილო“ უთხრა ოსტატს. მართლაც გააცილა. გივი დასაძინებლად ემზადებოდა, გურამი რომ მოვიდა, ხელები გასისხლიანებული ჰქონდა.

– ეს რა ქენი, ბიჭო, იმიტომ გააცილე, რომ გაგელახა? – უსაყვედურა გივიმ.

– აბა ოჯახში ხომ არ გავლახავდი არაკაცსა და თავხედს, კიდევ არ მინდოდა, რომ გამელახა, მაგრამ იცი რა მითხრა:

„თქვენ რომ ადამიანები იყოთ, ვირის აბანოშიც არ მოხვდებოდით და თქვენ მტერი გენდოთო“,. მერე კი გვარიანად შევდექი და ფულიც წავართვი, აი ფული აგერ არის. ხვალ მე მოვიყვან ოსტატს და თუ კაცი ხარ მე მადროვე მორიგება. მაგან ძალიან მოხია, მაგის ნახევარი ფასიც არა ღირს ამ სახლის შეკეთება.

მეორე დღეს, სანამ გურამი მოიყვანდა ოსტატს, სამი პოლიციელი მოადგა გივის სახლს, რომელთანაც თან ცხვირ-პირდამტვრეული ოსტატი ახლდა.

– აი, ბატონო, ამან და ამის მეგობრებმა მცემეს და ფულიც წამართვეს – უთხრა პოლიციის ლეიტენანტს ოსტატმა.

– შენ წუხელი სიზმარი ხომ არაფერი გინახავს? საიდან გქონდა ფული, ან ვინ გნახა, რაც აქედან წახვედი? – შეეკითხა გივი.

– ფული ხომ შენ მომეცი, სახლი უნდა შემეკეთებია! – უპასუხა ოსტატმა.

– ნუ იტყუები, ხალხი შეცდომაში ნუ შეგყავს, მე შენთვის არავითარი ფული არ მომიცია, ან რისთვის უნდა მომეცა წინასწარ, ვერ გამიგია. შენ ძმაო, მარტოდმარტო დათვერი და წახვედი. ალბათ გზაზე დაიმტვერი და მე მაბრალებ. კარგი ღვინო რომ მოგართვი, დალევის ნორმა ვერ გაიგე და შიგ ღორივით ჩაწექი?

– ესე იგი, შენ ჩემთვის ფული არ მოგიცია?

– რა თქმა უნდა, არა!

– მაშინ ბოდიში, ალბათ, მართლა დავეცი სადღაც.

– მე შენ მოგცემ ბოდიშს! – კბილების ღრჭიალით წარმოთქვა პოლიციის ლეიტენანტმა, – აქ ბოდიშის სათქმელად ამომიყვანე? შენი დღენი ხალხის შპიონობასა და დაბეზღებაში გაგიტარებია, შე არაკაცო, შენი ადგილი სწორედ ციხეში არის, იქ გასწავლიან ჭკუას და კარგად გვარიანადაც შეგტენი სასჯელს ცილისწამებისათვის!

გივიმ პურმარილზე შეიპატიჟა პოლიციელები, მაგრამ უარი თქვა ლეიტენანტმა და გივიც აღარ მიძალებია, შიშობ-

და გურამმა არ მოგვისწროს და არაფერი წამოცდესო. ლეიტენანტმა ოსტატი ხელის ჯიკავით ჩააგდო ავტომანქანაში და წავიდნენ, არ გასულა დიდი დრო, გურამიც მოვიდა და ახალი ოსტატი მოიყვანა.

– აბა ვანო, შეაფასე ამ სახლის შეკეთება და შეუდექი საქმეს. – უთხრა გურამმა ოსტატს.

– ჩემი დახმარებით ვიმუშაო თუ თქვენ მომეხმარებით? – იკითხა ვანომ.

– ჩვენი დახმარებით და თქვენი ხარჯით – მოკლედ უპასუხა გურამმა.

ვანომ სახლს შემოუარა, შემდეგ ზედ სახურავზე ავიდა და ზღუდენი შეამოწმა.

– ყველაფერი დასაცვლელია, კარგ შრომას საჭიროებს და თუ გული არ დაგწყდებათ ამდენი უნდა ამის შეკეთებას – პირველი ოსტატის გარიგების ნახევარი დააფასა ვანომ.

– კარგი თანახმა ვარ, ფული წინასწარ გინდა თუ შემდეგ? – შეეკითხა გურამი.

– არა, როგორ გეკადრებათ, ფულს წინასწარ არ ვიღებ, დავამთავრებ, ჩაგაბარებთ, თუ მოგეწონებათ ჩემი ნაშრომი, საფასურიც გადამიხადეთ და თუ არა, კარგად ბრძანდებოდეთ...

– კარგი კაცი ჩანხარ, ჩემო ვანო, მოდი ახლა გაცნობის პური ვჭამოთ და ხვალიდან შეუდექი საქმეს.

– არა, გმადლობთ რა პური ვჭამოთ, ჯერ რა გავაკეთე პურის ჭამის ფასი? – იუარა ვანომ, მაგრამ აღარ მოეშვნენ და ძალისძალად დაალევინეს სამი ჭიქა ღვინო, მეორე დღეს ოსტატი საქმეს შეუდგა. გივიმ გურამს ჩააბარა ოჯახის უფროსობა და დედის ნამზითვი კარადა გამოაღო, შიგ მართლა ეკიდა თოვლივით თეთრი პერანგი, რომელსაც გულზე სისხლივით წითელი ჯვარი ჰქონდა ჩაქსოვილი. გივის მახსოვრობაში ეს პერანგი აქ არასოდეს ყოფილა „საიდან გაჩნდა? ნუთუ სულებს შეუძლიათ ფიზიკური შრომა?“ „დიდება

უფალს, დიდი საიდუმლოებით აქვს ქვეყანა მოცული“, გაიფიქრა და შიშველ ტანზე ჩაიცვა, რაღაც არაადამიანური სიმსუბუქე იგრძნო, ღმერთს მადლი შესწირა და გასამგზავრებელ სამზადისს შეუდგა. დილით ადრე, როდესაც მამლებმა პირველად იყივლეს, მოიგდო მხარზე პროდუქტით გატენილი აბგა და გზას გაუდგა, პირველად ეკლესიაზე გაიარა, ილოცა, შემდეგ მშობლების საფლავზე დაიჩოქა და დიდხანს ესაუბრა. მათ თითქმის უწინასწარმეტყველეს, რა ხიფათიც გადახდებოდა თავს, ლოცვა-კურთხევა გაატანეს და გზა დაულოცეს, რაიონამდე ავტობუსით იმგზავრა. აქ კი ყველგანმავალი ავტომანქანა დაიქირავა, მდინარე ყვირილას სანაპიროს აუყვა სათავისაკენ, მდინარე ყვირილა ერწოს ტბიდან გამოედინება, ერწოს ტბა კი ოსეთის ავტონომიაში მდებარეობს, რომლის ფართობი 0,31 კმ2 უდრის, სიღრმე სამი მეტრიდან 19 მეტრამდე მერყეობს და ზღვის დონიდან 1700 მეტრზე იმყოფება, აქედან გადადის გორი-ონის საავტომობილო გზა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეს ადგილები მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველებით, ამას ამტკიცებს არქეოლოგიური გათხრები და ადრინდელი ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლები.

1917 წლის რევოლუციის ხანაში აქ ჩასახლდა ოსების მოსახლეობის დიდი ნაწილი და 1922 წლის 20 აპრილს ქართველების დახმარებით შეიქმნა ოსეთის ავტონომიური ოლქი, ისტორიულ ტერიტორიაზე შემოსახლებულმა უცხოელებმა, კომუნისტური ათეიზმის დახმარებით, დაიწყეს წარსული კულტურის განადგურება...

გივიმ მდინარე ყვირილის სანაპიროზე მდებარე ერთადერთი დაუნგრეველ ეკლესიამდე, სინაგურამდე მიაღწია, შეისვენა, ილოცა და ღამე აქვე გაათია, დილით კი გზა განაგრძო. უნდოდა ვინმეს შეჰყროდა, მაგრამ თითქოს პირი შეჰკრეს და ადამიანი კი არა, მხეციც არ შეხვედრია, ასე მარტოობაში გაიარა წონა, დაათვალიერა იქაური მღვიმეების ღირსშე-

სანიშნაობა, ნახანძრალისა და ნანაღმარი ტერიტორიების მიხედვით ეტყობოდა, ამ ადგილებში ომის ქარცეცხლს უკვე გადაევლო. მალე გაშორდა დანგრეულ, გადამწვარ და უკაცრიელ ადგილებს და სოფელ ქასაგინამდე მიაღწია, რომელიც მდინარე ღრამულის ხეობაში მდებარეობს. სულ ცოტა ხნის წინათ ეს სოფელი მესაქონლეობის მეურნეობით იყო განთქმული, ამჟამად ომის ქარცეცხლით აღარც საქონელი ჩანდა, აღარც მწყემსები, გივიმ სოფლის მახლობლად, ტყეში ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის ქასაგინის ეკლესიის ნანგრევები შენიშნა და გულმაც იქით გაუწია, ეკლესიის მახლობლად ხანძრის შედეგად დამწვარი და გადაბუგული სკოლის კედლები დაინახა. დამწვარ სკოლის კედლებში დანგრეული ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები შენიშნა და გული გაეწურა, ეკლესიას ნახევარწრიული ფასადი ჰქონია და ესეც სკოლის მშენებლობისათვის იყო გამოყენებული. სკოლის შენობის მახლობლად ეკლესიიდან გადატანილია და აღმართულია ორი დიდი მთლიანი ქვის სვეტი, ორ-ორმეტრი სიმაღლისა, პროფილირებული კაპიტელითა და ბაზისით. ერთერთ სვეტზე დგას ქვის ჯვარი, რომელიც ეკლესიის კედელში ყოფილა ჩართული. ეკლესია შემოსილი ყოფილა სუფთად გათლილი კვადრატული ქვით, მდიდრულად შემკული ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმებით და ცხოველთა გამოსახულებებით, მრავალ ქვაში ამოტვიფრულია და სულჩადგმულია ღვთის მსახურთა გამოსახულებანი, ამ ერთი ისტორიული ძეგლის განადგურებას გაუძლებდა მორწმუნე ადამიანის გული, მაგრამ მთლიანად ასეა განადგურებული და მიწასთა გასწორებული ძველი ქართული კულტურს ისტორიულ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე...

საღამოვდებოდა. გივიმ აქვე გადაწყვიტა ღამის გათევა და ეკლესიის ნანგრევებში ცეცხლი დაანთო, ღვთისმშობლის გამოსახულებით მოჩუქურთმებული ქვა შენიშნა, აიღო, მტვრისაგან გადაწმინდა და ბალიშად დაიდო. იმ ღამეს ტკბილად

ეძინა, დედა ღვთისმშობელი იფარავდა ალბათ, ასე გემრიელად არც მამისეულ ლოგინში არ სძინებია. დილით ციოდა. თოვლიანი მთებიდან მონაბერი ქარი ჰქროდა, გადაწყვიტა, ცეცხლი დაენთო, ცოტა გამთბარიყო და გზა ცხინვალისკენ გაეგრძელებინა, მაგრამ გაუგებარ ენაზე საუბარი შემოესმა და ნანგრევებიდან გამოვიდა. სამი კბილებამდე შეიარაღებული კაცი დაინახა, მათაც შენიშნეს ეკლესიის ნანგრევებთან მდგარი ფიგურა. სამივემ ერთდროულად მოიხსნა მხარზე გადაკიდებული ავტომატური თოფი და სამივემ ერთად შეჰყვირა გივის დამტვრეული რუსულით:

– ხელები ასწიე და ნანგრევებიდან გამოდი!

გივის ხელები არ აუწევია, მაგრამ ნანგრევებიდან გამოვიდა.

– კიდევ ვინ არის აქ? – იკითხა ერთ-ერთმა.

– მარტო ვარ! – უპასუხა გივიმ.

– იარაღი გაქვს? – შეეკითხა ისევ ის ხმა.

– არა!

– აქ რას აკეთებ?

– ეს რა შეკითხვაა, მწყემსი ვარ და ქართველი, საქართველოს ტერიტორიაზე ვიმყოფები.

– საქართველოს ტერიტორია იყო, ახლა ჩვენია, ოსების – ამ სიტყვებით მეომრებმაც ამოათავეს შელმართი და გივის მიუახლოვდნენ. ერთ-ერთმა ასაკით ყველაზე უფროსმა, ყველაზე მაღალმა და ყველაზე სიმპათიურმა მეომარმა გივის თვალი თვალში გაუყარა, თითქოს უნდოდა, თვალთა ნასროლი ნაპერწკლებით დაეწვა, შემდეგ ავტომატური თოფი ძირს დააგდო, გამოექანა და გივის გადაეხვია:

– შენ ხომ გივი ხარ, ბიჭო, ტაბატაძე! ვერ მიცანი? მე არჩილი ვარ, მუზაევი! – აღტაცებული არჩილი თვალებში შეჰყურებდა გივის.

– ვერა, ვერ გიცანი, ძმობილო, ასეთი მეგობარი არასოდეს მყოლია!

– როგორ ბიჭო თუ ვერ მიცანი, აღარ გახსოვს ურალის ლაგირები? მე ხომ შენი გადარჩენილი ვარ, სიცოცხლით ვარ შენგან დავალებული, ნუთუ არ გახსოვს, შიმშილით ფარული სისხლისდენა რომ დამეწყო, სისხლიც გადამისხი რამდენიმეჯერ და საკუთარ ლუკმასაც მაძლევდი! ის მაინც გაიხსენე, კირაკოსიანი, რომ მკლავდა და შენ წამით დაასწარი, შორიდან ესროლე დანა და მას ჩემი მოსაკლავი, ჰაერში აღმართული დანა ძირს დაუვარდა.

– კი, ეს მომენტები მახსოვს, შენ კი არ მახსოვხარ, თუ არ ვცდები, ის არჩილ მუზაშვილი იყო!

– ჰო და მე ვარ ბიჭო, ის არჩილ მუზაშვილი!

– არა და მუზაევი ვარო?

– რა ვქნა ბიჭო, დრომ მოიტანა ასე, მუზაშვილობა იმიტომ მივიღე, მეტი გასაქანი და მეტი პრივილეგიები მქონებოდა ცხოვრებაში!

– რა გასაქანი გინდოდა, შენ ხომ მძღოლი ხარ, ვინ გავიწროებდა, ოსის გვარით იქნებოდი თუ ქართველის გვარით, მძღლად მუშაობას ყოველთვის შეძლებდი, როგორც ჩანს, თავს აჩვენებდი ქართველებს მეგობრად, გულში კი მტრობა გქონია.

– რას იზამ ძმაო, ცხოვრება იყო ისეთი და სხვა გზა არ იყო, უნდა მოვრგებოდი, ახლა ცხოვრება დადგა ასეთი და უნდა მოვერგო.

– ეჰ, ჩემო ძმაო, ცხოვრებას კი არ უნდა მოერგო, ცხოვრება უნდა მოირგო, თორემ ღმერთმა ავის გადახდაც იცის და კარგისაც. შენი მოღალატური ქმედებით ერი არ უნდა შეარცხვინო, თორემ შთამომავლობა დაგწყევლის!

– ვერ გამიგია, რა არის დასაწყევლი და დასაძრახი, თავისუფლებისათვის იბრძოლოს ადამიანმა, დანაშაულია?

– არა, თქვენისთანა ბრბოსაგან დანაშაული არ არის და არც თითოეული პიროვნება არ არის დამნაშავე თქვენს შორის, დამნაშავე ქართველები არიან, რომ ვერ შეძლეს თქვე-

ნი გაადამიანება, თქვენ თავისუფლებისთვის კი არ იბრძვით, ტერიტორიისათვის იბრძვით და იცით ვის ებრძვით? მასპინ-ძელს, ვინც სტუმრად მიგიღოთ, სახლი მოგცათ და დაგაპუ-რათ, ახლა საკუთარი სახლიდან აგდებთ მასპინძელს და მისი სისხლით შებღალულ სახლში გადაგიწყვეტიათ ცხოვრება.

– რას იზამ, ძმაო, ასეთია ადამიანის ბუნება, ამერიკელები თუ ინდიელთა ტერიტორიაზე ცხოვრობენ, თავს სრულებით არ გრძნობენ უბედურად!

– მართალია, ისინი ინდიელთა ნამოსახლარზე ცხოვრო-ბენ, და არა მასპინძელთა ნამოსახლარზე, თქვენ თუ თავი-სუფლებისათვის ბრძოლა გადაგიწყვეტიათ, გვითხარი, ვის ებრძვით და ჩვენც ამოგიდგებით მხარში! შენ ხომ კარგად იცი, სამაჩაბლო საქართველოს ძირძველი ტერიტორია არის, აი სოფელი ერწო. უამრავია ნასოფლარ-ნასახლარები, ციხე-თა ნაშალი ქონგურები, გაღმერთებული წმინდა ადგილები. აი, ძეგლებით დამშვენებული ქორშევარდენიც. ამ არემარეში აუგია სასახლე არჩილ მეფესაც! აქვეა მისი განსასვენებელ – „ნაკორნ“ – საიდანაც წარმოდგა სოფლის სახელწოლე-ბაც – ნადოკრა – აი, მოუსმინე რას საუბრობს ეს ქასაგინის ეკლესიის ნანგრევებიც, აქ უომია აღმაშენებელს! მას ერქვა თავისუფლებისთვის ბრძოლა! საკუთარ ტერიტორიას ათა-ვისუფლებდა მტერთაგან. თქვენ კი ღმერთი არ გაპატიებთ ნამოქმედარს...

– კარგი რა, ვის უსმენ არჩილ, ხომ ხედავ კარგი მომზადე-ბული აგიტატორია, ჩააძაღლე, სანამ არ მოუწამლიხარ – წა-მოიყვირა ერთ-ერთმა მებრძოლმა და თოფი დაუმიზნა გივის, მაგრამ არჩილმა მოასწრო, ხელი აუკრა თოფს და ტყვიებმა ისედაც დანგრეული ეკლესიის კედლები ჩამოანგრია.

– შე ნაბოზარო, ვის ესვრი ტყვიას? – კბილებში გამოსცრა არჩილმა და ელვის სისწრაფით აართვა თოფი, ეს რომ მესამე მებრძოლმა დაინახა, არჩილს დაუმიზნა იარაღი, მაგ-რამ აქ გივიმ იმარჯვა და ისე ძლიერად დაჰკრა მუშტი შუბ-

ლში, რომ მებრძოლი გულწასული დაეცა და კარგა ხანს არ მოსულა გრძნობაზე, მეორე მებრძოლი, რომელსაც არჩილი შეება, არ დაიბნა, ქარქაშიდან დანა დააძრო და მკერდში უმიზნა არჩილს, მაგრამ არჩილმა დანას მკლავი შეაგება და ფეხებში ფეხი გამოჰკრა, მებრძოლი ამოტრიალდა, მკერდით დანაზე დაეცა და აღარც განძრეულა... სანამ გივი გონს მოეგებოდა, არჩილმა პისტოლეტი ამოიღო და გულშეწუხებულ მებრძოლს ტყვია შუბლში დააჭედა, რომელმაც კეფა გაანგრია და შემზარავი დასანახავი იყო სისხლში არეული ტვინი.

– წამოდი, არჩილ, ნუ უცქერი ამ საძაგლობას! – უთხრა გივიმ და ნანგრევებში შეიყვანა.

– არ დამძრახო გივი, ვიცი შენც ასე მოიქცეოდი, შენც იგივეს გააკეთებდი ჩემს გადასარჩენად, რაც მე გავაკეთე! ნუ გაგიკვირდება, შენი სისხლი მაქვს ძარღვებში, ბიჭო! ოჰ ნეტავი დასალევი მქონდეს რაიმე, რომ გამოვითიშო, დღევანდელი დღე ძალზედ მძიმე გათენდა ჩემთვის!

– მე მაქვს დასალევი! ეს შემთხვევა რომ არ მომხდარიყო მაინც უნდა აღგვენიშნა ჩვენი შეხვედრა – უთხრა გივიმ. ცეცხლს შეუკეთა. გააძლიერა და ჩანთას თავი გადახსნა. ამოალაგა პური, ძეხვი, კონსერვი და ლიტრიანით ჭაჭის არაყი, დაილოცნენ, ადღეგრძელეს ამ უკულმართ დროს ერთმანეთის შეხვედრა, შემდეგ „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარია“ – თქვა არჩილმა და ნათელი შეუთვალა ჯერ კიდევ თბილ მიცვალებულებს, არაყმა მოგონებები აუშალა ყოფილ მეგობრებს, არჩილს ჯერ კიდევ არ დაწყნარებოდა ნერვები, არაყს ლუკმას არ აყოლებდა, რომ ჩქარა დამთვრალიყო და დათვრა კიდეც, შემდეგ გულისამრევად დააბოყინა და თქვა“.

– შენ მართალი ხარ, გივი, როგორც ყოველთვის, – „ობოლს ჰკითხეს, ვის გააუპატიურებო და ვინც გამზარდაო“, ისე მოსდით ოსებს! მართლაც საქართველოს დიდების ქვეშ

გავიზარდეთ, მუდამ მეგობრები ვიყავით, ახლა კი მოსისხლე მტრებად ვიქეცით, რატომ? რამ განაპირობა ეს?

– არ ვიცი არჩილ, არ ვიცი, მე კი მინდა ისევ მეგობრულად ვიცხოვროთ!

– მე კი ვიცი, აქ ვიღაც მესამე პირი ეშმაკის როლს თამაშობს, ეს „ვიღაცა“ ან ქართველების მტერია ან ოსების, მაგრამ ვერცერთმა მხარემ ვერ შეიგნო რომ „ვიღაცა“ საერთო მტერია, ვისაც ჩვენი მეგობრობა შურს და გათიშვა უნდა, აწყობს ჩვენი ომი, რადგან კარგად იცის „გათიშე და იბატონეს“ პრინციპი. ჩვენ, ძმაო, გვეყო ბრძოლა და ხეტიალი, მე სახლში მივდივარ, შენ რას იზამ, აგრძელებ ბრძოლას?

– ჰო, მე ვაგრძელებ! პირველ რიგში შერიგების პოლიტიკას ვეწევი და თუ არაფერი გამომივიდა, სამშობლოს ერთიანობისათვის ვიბრძოლებ!

– ჩემს იარაღს შენ გაჩუქებ, მე მაინც უნდა გადავაბარო! მხოლოდ ერთი პირობით, ოსებთან არ ირძოლო! არ მინდა ჩემი ნათესავი შემოგაკვდეს ვინმე და მე შენი მოსისხლე მტერი გავხდე! ისე ჩვენში დარჩეს და ეს ტერიტორია ჩვენ გვეკუთვნის, ამაზე მეტიც, ოსები რომ არა, აღარც საქართველო იქნება! დიდი ღვაწლი და ამაგი მიგვიძღვის ქართველებზე, ჯერ იყო და განათხოვარი ქალი თამარი შეირთო ცოლად დიდმა მხედართმთავარმა დავითმა, მისი დამსახურებაა მაშინდელი საქართველოს ძლიერება და ქრისტეს სჯულის განმტკიცება საქართველოში, რამეთუ სწორედ მან ჩამოიტანა ჯვაროსანთა ლაშქრობიდან ქრისტეს ჯვარის ნაწილი.

– ვინ დაგაპროგრამათ ასე, ერთ ადამიანს შეეძლო ერის გადარჩენა?

– დიახ, ერს ბელადი უნდა, წინამძღვარი! აი იმ ცხვრების ფარას ხომ ხედავ, მთის ფერდობზე რომ შეფენილა, მასაც ჰყავს წინამძღვარი – ვაცი, ცხოველთა სამყაროშიაც ასეა მიღებული და ბუნებაშიაც, ქართველებთან გავიზარდე, გვარიც მივიღე ქართული და ქართველებისთვის არასოდს მიღალა-

ტია, თუ ფეხის ხმას ავყევი და ავისხი აბჯარი, ეს სისხლის ყივილია, მოძმეთა სისხლმა დამიძახა. ებრაელები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში შემოვიდენ საქართველოში და ოცდაექვსი საუკუნე ქართული ადათწესებით ცხოვრობდნენ, მაგრამ როდესაც დაუძახა მოძმე ხალხის სისხლმა, ერთ მუშტად შეიკრნენ და სამშობლოში გაერთიანდნენ! ასეთია, ძმაო, ყველა ადამიანი, შენც ასეთი ხარ, ვიცი მე, ქართველები არ ყოფილან ჩვენთან ცუდ ურთიერთობაში, რაც მართალია – მართალია, არ ვყოფილვართ შეზღუდული, მაგრამ არც ჩვენ ვართ ვალში ქართველებთან, ყველა ოსი თავდადებული მებრძოლი საქართველოსთვის იბრძოდა, მათ შორის: სანაყოევი, გაგლოევი, ჯათიევი და მართალია, სტალინმა თავი ქართველად აღიარა, მაგრამ ოსი იყო ნამდვილად!

– თუ თვითონ აღიარა ქართველობა, შენ საიდანღა იცი რომ ოსი იყო?

– ვიცი, ის ჯუღაევი იყო!

– შენ ახლა მთვრალი ხარ, არჩილ და რას ჩერჩეტობ თვთონაც არ იცი!

– ჰო, თუ სიმართლე თქვა ადამიანმა – მთვრალია და თუ არა – უვიცი!

გივის გაეღიმა, ალბათ სათქმელიც აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ სასაუბრო თემა შეცვალეს და კიდევ დიდხანს ისაუბრეს. საღამომდის დაჰყვეს ერთად ყოფილმა მეგობრებმა, ხოლო საღამოს ერთმანეთს გულთბილად გამოეთხოვენ, განიარაღებული არჩილი თბილისისაკენ წავიდა, შეიარაღებული გივი კი კვაისისკენ და ონში ჩავიდა, ონიდან – ამბროლაურში და ქუთაისში დარჩა ერთი კვირა. დაღლილმა დაისვენა, ძალი მოიკრიბა და აფხაზეთისკენ წასასვლელ სამზადისს შეუდგა.

... ცაიშში შლაგბაუმი იყო გაკეთებული, სამხედრო მოსამსახურეები იდგნენ და არავის ატარებდნენ არც აფხაზეთისკენ და არც აფხაზეთიდან – საქართველოსკენ. გივი კი უკანონოდ იყო შეიარაღებული და ვინ გაატარებდა? ამიტომ ხერგილის

გვერდის ავლა გადაწყვიტა და მდინარე ხობის წყალს აუყვა საწინააღმდეგო მიმართულებით, გადაიარა ზუგდიდის ზეგანი და ჭუბერხინჯში ჩავიდა, შემოაღამდა. დაბას განერიდა და ღამე ტყეში გაათია, დილით ადრე გალში ჩავიდა, ქალაქს გვერდი აუარა და მდინარეს აუყვა სათავისკენ, იმ იმედით, რომ სადღაც პარტიზანების ბრიგადას წააწყდებოდა და ერთად იბრძოლებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. მდინარის სანაპიროზე შეუსვენებლად იარა რამდენიმე საათი. გალიდან სროლის ხმა ისმოდა, სწორედ ეს ხმა არ უნდოდა გაეგონა და ამიტომ უფრო ღრმად მიიწევდა ტყის გულისაკენ. ერთ ადგილზე ჩანჩქერი მოეწონა. აქ გადაწყვიტა შესვენება, ჩანჩქერის ნაპირას მდელო ხასხასებდა, ისეთი სილამაზე იყო, ვერცერთ პანორამაზე ვერ ნახავდით მსგავსებას, აქ მტერი თუ მოყვარე აუცილებლად შეისვენებდა. დატკბებოდა აქაური სილამაზით და შემდეგ გააგრძელებდა გზას. გივიმ ცვარიან ბალახს ხელი გადაუსვა. თბილი იყო მიწა, ბალახიცა და ცვარიც. სწორედ ცვარით და არა ჩანჩქერით დაიბანა პირი, შემდეგ ბალახს მიეფერა და წაიდუდუნა:

მოდი, ბალახო და ჩემთან ერთად
გაიზიარე მწარე ფიქრები
ადრე თუ გვიან გულზეც ამოხვალ,
მაგრამ მაშინც თბილი იქნები!

ვინ დათვლის, ბალახო, რამდენი უღირსი ადამიანი თელავს შენს სამშვენებს და რამდენი ღირსეულის სისხლით იბანები... მებრალება ამ სილამაზის შემქმნელი. ნუთუ ცრემლიანი თვალი არ უყურებს ამ სამშვენისების შებღალვას?

მართალია, ჩანჩქერი ხმაურს ახშობდა, მაგრამ გალიდან სროლის ხმა მაინც ისმოდა, გივიმ ჩანთიდან საბრძოლო იარაღები ამოალაგა და გააწყო, ორგანიზმი უგრძნობდა, რომ აქ ვიღაცას გადაეყრებოდა. მზე ამოვიდა, პირველად ბრილიანტების მთასავით აბრიალდა ცვარი მინდორზე, მაგრამ მალევე ჩააქრო და გააშრო მზის მხურვალებამ. გივიმ მინდორზე

საქართველოს რუქა გაშალა, ადვილად მოძებნა, სადაც იმ-ყოფებოდა, ავტოკალამი ამოიღო და ჯვრით აღნიშნა, შემდეგ ჯვარი ავისმომასწავებლად მოეჩვენა და წაშალა. რუქაზე რუსეთის მხრიდან ხოჭო შემოცოცდა, გივიმ ამ ხოჭოსი არც სახელი იცოდა და არც გვარი, რატომღაც ტანკს მიამსგავსა, მართლაც ტანკივით შავი იყო, ცხვირი ტანკის ზარბაზნის ლულასავით ჰქონდა შინ წამოშვერილი, ორი საცეცი კი ტან-კზე დამაგრებულ ტყვიამფრქვევს მიუგავდა, „ტანკა-ხოჭო“ შეარქვა, რომელმაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადმოაიარა ტუაფსეს უღელტეხილი, დაუსვენებლად „გად-მოცურა“ შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნაწილი და სოჭში შე-მოიჭრა. აქ ცოტა ხანს შეისვენა და შემდეგ გზა აღმოსავ-ლეთისაკენ განაგრძო, ადლერს მიუახლოვდა, ყურადღებაც არ მიაქცია სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელ წითელ ხაზს და საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა. გამოიარა მნიშვნელოვანი ნაწილი, გადმოჭრა სოხუმის ცენტრალური ქუჩა და გაგრაშიც გაისეირნა. სულის მოსათქმელად შეჩერ-და, ერთმანეთს წაუსვა „ტყვიამფრქვევი“ წინა საცეცები. სწორედ ამ დროს „შენ აკლდი კიდევ საქართველოსო“ – კბი-ლებში გამოსცრა გივიმ და ქალაქის აღმნიშვნელ წითელ წერტილს ცერა თითით დაასრისა, შემდეგ წკიპურტით ჩან-ჩქერისაკენ მოისროლა და თვალი გააყოლა, ხოჭომ თავზე ქალის აჩრდილს გადაუფრინა, ის ნუკრის შეშინებული თვა-ლებით მოიწევდა წინ ჩანჩქერისაკენ, წაბლისფერი თმა ლა-მაზად ჩამოშლოდა და ამ წაბლისფერ ტევრში უნაკლო სახე მზესავით ანათებდა. გრძელი კაბა ეცვა, მთლიანი, ყელამდე შეკრული. ღმერთო ჩემო, სულაც არ ყოფილა აუცილებელი მკერდის გაშიშვლება, როგორც დღეს დადის ქალიშვილთა უმეტესობა, რომ მამაკაცთა ყურადღება და მიზიდულება დაიმსახურონ. ეს ყელამდე შეკრული კაბა ელფერს მატებდა და მკერდის მიზიდულობის ძალას აორმაგებდა. მუხლის ზე-მოთ კაბა გარღვეოდა, ხელის გულით ცდილობდა შიშველი

ადგილის დაფარვას, რაც ნაკლებად გამოუდიოდა. შავ კაბაში კი შიშველი ადგილის გამოჩენა, რაღაც სასწაულმოქმედი ჩანდა... ქალმა გვიან შენიშნა მინდორზე წამომჯდარი გივი, შეკრთა და შეჩერდა, ალბათ აქ არავის ელოდა. დაიბნა და ვერ გადაეწყვიტა გაქცეულიყო თუ არა, გივიც გაშტერებული შესცქეროდა, პირველად მოჩვენება ეგონა, მაგრამ ქალმა დაილაპარაკა:

– ვინა ხარ, აქ რას აკეთებ? – ქალის ნამტირალევ თვალებში რისხვამ გამოკვესა.

– ადამიანი ვარ, მაგრამ თუ თქვენ ბოროტი სული ხართ, უმჯობესი იქნება გამერიდოთ, რადგან ვერაფერს დამაკლებთ იცოდეთ, ქრისტეს მფარველობის ქვეშ ვიმყოფები!

– მაშინ ქრისტიანულად შემომფიცე, რომ დად მიმიღებ და ძმობას გამიწევ, როგორც თვითონ ვარ უმწეო, თავდაცვის იარაღიც ასეთივე გამაჩნია, სიტყვა, ცრემლი და ბოლოს თავგანწირვა! ვიცი, ვაჟკაცები ქალზედ არ ძალადობენ, ხართ ვაჟკაცი, გენდოთ?

– თუ ადამიანი ხარ და არა ფერია ან ეშმაკი ადამიანის სახე მიღებული, შენ თვითონ შემომფიცე, რომ დობას გამიწევ! მე კი ჩემი მხრიდან ძმობას შემოგფიცავ თუ გიღალატო, ღმერთმა მიღალატოს!

– ამინ! ახლა კი აღარ მეშინია შენი, ვაჟკაცები სიტყვას არ ღალატობენ! – წარმოთქვა თვალებში შიშგამკრთალმა ქალმა და გივის ხელი გაუწოდა – კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, მე დაი და შენ ძმა! – მეგრული კილოკავით თქვა მან.

– ჰო, ასეც იყოს, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა! – თქვა გივიმ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო აზრზე ქალის ამ უკაცრიელ ადგილზე შეხვედრით. თითქოს ამ ორიოდე სიტყვით დამთავრდა მათი შეხვედრის ცერემონიალი, თითქოს სათქმელი ორივეს ამოეწურა და დარცხვენილი შესცქეროდნენ ერთურთს, მაგრამ ბოლოს ქალმა იმარჯვა ისევ:

– მე გვანცა მქვია! შენ!

– მე გივი! – ენის ბორძიკით წარმოთქვა წარმოთქვა თავისი სახელი.

– ჰოდა ახალშობილო ჩემო ძამიკო გივი, რას აკეთებ შეიარაღებული და მხართეძოზე წამოშოლილი ამ მდინარის სანაპიროზე?

– ვინმე პარტიზანებს მინდა შევუერთდე, ვის ვებრძოლო, ადგილობრივი ადამიანის დახმარება მესაჭიროება, რომ გავარჩიო მტერი და მოყვარე!

– ალბათ ღმერთმა მომიყვანა შენთან, მეც ერთგულ მებრძოლს დავეძებ, ერთად ვიბრძოლოთ და-ძმური ძლიერებით საქართველოს სადიდებლად, მე აქ ყველა ბილიკი ვიცი, მტერს და მოყვარესაც კარგად ვარჩევ!

– რას ამბობ, გვანცა! მე შენთან ვერ ვიბრძოლებ! შენ არ უნდა ნახო ადამიანის სიკვდილი, ომი და ბრძოლა ქალის საქმე არ არის სახლში წადი, შვილები აღზარდე, ასე მეტ სამსახურს გაუწევ სამშობლოს!

– არსადაც არ წავალ! აი ამ ჩანჩქერში გადავეშვები და შენს თვალწინ დავამთავრებ სიცოცხლეს! მე აღარაფერი დამრჩა დასაკარგავი, სიცოცხლე დამრჩა მხოლოდ და ამასაც უმიზნოდ შევწირავ გაუგებრობას, როგორც მრავალი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, ნუ მოეფერები, ძმაო, ჩემს სათუთ გრძნობებს, მე უკვე ვიხილე სიკვდილი, თვალებში ჩავხედე და მისი მრისხანება დიდხანს მისუსხავდა სხეულს, არ მინდა მოგიყვე ჩემი წარსული და გავამძაფრო შენი გრძნობები, მხოლოდ ერთს გთხოვ, თუ საქართველოს პატრიოტი ხარ და ნამდვილი მებრძოლი, გვერდიდან არ მომიცილო და თუ მოვკვდე, მხოლოდ აქ საქართველოს კურთხეულ მიწაზე დამასაფლავე.

– შენ მატყუებ, თუ გავიწყდება, ქალი რომ ხარ და შენი აზრის განხორციელება კი არა, ფიქრიც შეცოდებაა, შენ ომში გასვლით, შეურაცხყოფას აყენებ ქართველ ვაჟკაცებს, შენ კარგი დედობა გასწიე, კარგი მებრძოლები კი ჩვენ ვიქნებით!

– არა, გივი, არ გეგონოს დედობის ტიტულითა და სიცოცხლის შენარჩუნებით კარგ სამსახურს მიწევდე! მე დედა არასოდეს გავხდები, მეშინია ჩემი შვილი უზნეო ქართველს არ დაემსგავსოს, სიცოცხლე კი ამ ფიქრის შემდეგ დავამთავრე, რადგან უშვილო ქალი მკვდარი!

– გვანცა, ჩემო დაიკო, ბევრი ჭირ-ვარამი მაქვს გამოვლილი. შენი წარსულის მოსმენა ვერ შემაძრწუნებს, მომიყევი, რამ გაგანადგურა ასე სულითა და ხორცით, რომ სიცოცხლესაც კი არარაობად მიიჩნევ, რომელიც ყველა ასაკში ესოდენ ტკბილია.

გვანცა გაირინდა, სადღაც ფიქრებში ჩაიძირა, ასე იყო რამდენიმე წუთს, შემდეგ გივის პირისპირ ჩამოჯდა მინდორზე და წყნარი ხმით წარმოთქვა:

– კარგი, მოგიყვები, მხოლოდ შემოკლებით, მეტისმეტი შეკითხვებით არ შემაწუხო, მე გოგი დანელიას ერთადერთი ქალიშვილი ვარ, გვანცა. ჩემი მამა დამსახურებული ექიმი იყო, დედა – პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ალბათ, დედის გენები გამომყვა და მეც ამიტომ ავირჩიე ფილოლოგობა, წარჩინებით დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი.

ბავშვობაში, როგორც ყველას, მეც მყავდა გულისსწორი. რენო ხოჭოლავა. ისიც გალში ცხოვრობდა და ერთად დავამთავრეთ საშუალო სკოლა, მე, პირველსავე წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები, რენომ სცადა, მაგრამ უშედეგოდ და აქვე ჩარჩა ქალაქში, როგორც შემდეგ გავიგე, თევზზე ბრაკონიერობით გვარიანი დოვლათი დააგროვა და ფულის სიყვარულმა სწავლის ოცნებაზე სამუდამოდ ააღებინა ხელი! მიუხედავად მისი გაუნათლებლობისა, პირველ სიყვარულს ვერ ვუღალატე და გადავწყვიტე ცოლად გავყოლოდი... ჩემი მშობლები ჩვენი შეუღლების დიდი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა, მშობლების დაუკითხავად გადავდგი ეს ნაბიჯი, ცოლად გავყევი რენოს და იმ დღეს

დამთავრდა ჩემი თავისუფლება. იმ დღიდან სრულ მონობაში აღმოვჩნდი, ამ ამბავს საყოველთაო არეულობაც დაერთო, ათასი რჯულის გადამთიელმა, მოყვრის სახითა და ტკბილი სტყვით შემოსულმა, საქართველოს მტრებმა აფხაზი სეპარატისტების დახმარებით, თითქოსდა დამოუკიდებლობის საბაბით, უსტატუსო და ყოველგვარ მიზეზს მოკლებული ძმათამკვლელი ომი დაიწყეს! მათი მსხვერპლი გახდა ათი ათასობით ადამიანი – ქალები, ბავშვები და მოხუცები, განადგურდა რამდენიმე სოფელი და კულტურის ძეგლები, სეპარატისტებმა შეუტიეს არა მარტო მეოცე საუკუნის დასასრულს, არამედ ყველა განვლილ საუკუნესაც, მათ გადაწყვიტეს ადამიანებისათვის წაერთმიათ ახლანდელიც და მომავალიც, დიახ, წარსულიც უნდა განადგურებულიყო, რათა მომკვდარიყო საუკუნეების მიღმა ხელუხლებელი კულტურა.

რენომ ომის დაწყების პირველსავე დღეს აისხა აბჯარი და ბრძოლაში ჩაება, ყველას გვეგონა, რომ საქართველოს მთლიანობისათვის იბრძოდა და გვეამაყებოდა კიდეც, მაგრამ მალე იჩინა თავი მისმა ავკაცობამ და ქალაქში სირცხვილით თავი აღარ გამოგვეყოფოდა, ჩვენი ქალაქი პატარაა, თითქმის ყველა ვიცნობთ ერთი-მეორეს და ავ-კარგსაც უსიტყვოდ ვკითხულობთ ერთმანეთის თვალებში.

ერთ საღამოს ომით დაღლილი რენო გამოგვეცხადა ოჯახში. მამაჩემი წინააღმდეგი იყო, სახლში შემოეშვა. – „სამშობლოს მოღალატეს ჩემს სახლში რა ესაქმებაო“ – უთხრა და კარი ჩაუკეტა – „კარგი, აბა, ვნახოთ“ – დაგვემუქრა და წავიდა, მეორე დღეს სამი ამხანაგის თანხლებით გვეწვია, კარი შემოამტვრიეს, ჩემი დედ-მამა სავარძელზე დასვეს და რენო შეეკითხა:

– რა უფლებით გამაგდეთ სახლიდან, მიპასუხეთ, მე ხომ კანონიერი ქმარი ვარ გვანცასი!

– სამშობლოს მოღალატე ჩემი შვილის ქმარი არასოდეს იქნები! – მტკიცედ უპასუხა მამამ. – შენი ვაჟკაცობის დამა-

დასტურებელი ცნობა მივიღე გაგრიდან, ცენტრალურ სტადიონზე, მსოფლიოს დასანახად, ქართველების მოკვეთილი თავებით ფეხბურთი გითამაშია. ყოჩაღ შენს ვაჟკაცობას! მაგრამ ვინა ხარ შენ მითხარი ბოლოს და ბოლოს, რა რჯულისა ხარ, ადრე ხოჭოლავები ქართველები იყვნენ, ახლა ვინა ხარ, გამაგებინე! იქნებ გვარიც მოპარსული გაქვს, ისე როგორც სხვა მრავალი ნივთი თუ ფული...

– კარგი, კმარა! – იღრიალა რენომ – უვიცებო, თქვენ რა იცით, რა არის სამშობლო! სამშობლო ფულია და არა მიწა, როგორც თქვენ მიგაჩნიათ, მერე რა, რომ ქართველის მოკვეთილი თავით ვითამაშე ფეხბურთი, რაში მდებ ბრალს? შენ იცი თუ არა, რომ ვერცერთი ფეხბურთელი ვერ აიღებდა იმდენ ფულს ჩვეულებრივი ბურთის თამაშით, რამდენიც მე მომცეს! ახლა წინადადებას გაძლევთ, ჩემთან ერთად იბრძოლეთ აფხაზეთის მხარეზე, თორემ აქვე ჩაგაძაღლებთ სამივეს!

მამაჩემმა ვეღარ მოითმინა, ზეზე წამოიჭრა:

– გარეთ გაეთრიეთ! ხვალიდან მე ვიბრძოლებ თქვენს გასანადგურებლად... – მამაჩემს სიტყვა დაუმთავრებელი დარჩა, რენომ ავტომატური თოფის მთელი სავაზნე დაცალა მის მკერდზე, მამას მივვარდი და გადავეფარე, უკვე გვიანი იყო, მაგრამ შველას ვხედავდი თუ ჯერ კიდევ იმის თბილ მკერდს მივეფარებოდი! ამ დროს კიდევ გაისმა თოფის კაკანი და დედაჩემი დაცხრილეს! მასთან აღარავინ მიმიშვა... თმაში ჩამავლეს და ეზოში გამომათრიეს, რენოს ერთ-ერთმა ამხანაგმა სახლის იატაკზე ბენზინი მოასხა და ასანთი გაჰკრა. რენომ თავი მაღლა ამაწევია და ყვირილით მითხრა

– აი, უყურე, როგორ იწვის შენი სამშობლო, შენი მშობლიური კერა! მე შენ გასწავლი, როგორც უნდა ქმრის მორჩილება. მოიტანე, სად არის შენი დიპლომი, რომელმაც ჭკუიდან შეგშალა, სიგიჟეს განათლებას ეძახი! ის კი არ იცი, განათლება ძალმომრეობაშია, მე შენ განათლების დამადასტურებელ დიპლომს საკუთარი სურვილით შეგაჭმევ! ახლა

კი ჩემთან წამოხვალ და იბრძოლებ ჩემს გვერდით! ომი დამთავრდება, გავიმარჯვებთ და შემდეგ ჩაგაძაღლებ.

ამის თქმა იყო და ავტომანქანაში ისე ჩამაგდეს, როგორც უსულო სხეული, სახლი ნელნელა იფერფლებოდა და მასთან ერთად ჩემი მშობლების გვამებიც, რისი ღირსიც არ გამხადეს, რომ მეტირა. მეზობლებმა დაინახეს, რომ ჩემი სახლი იწვოდა და მომავალში იგივე თავის თავზე წარმოადგინეს, ამიტომ შეიარაღებული მეზობლები თავს დაესხნენ ბანდიტებს და სროლა აუტეხეს. კარგად ჩასაფრებული მეზობლები ბრწყინვალედ იბრძოდნენ, ბანდიტები კი უმისამართოდ ისროდნენ ტყვიას. მე არეულობით ვისარგებლე, უჩუმრად გადმოვხოხდი ავტომობილიდან და სიბნელეს შევერიე. დიდხანს მესმოდა სროლისა და აფეთქების ხმა. როგორც შემდეგ გავიგე, მეზობლებს ორი ბანდიტი მოუკლავთ, რენოსა და ერთ მის თანამოსაქმეს ღამის წყვდიადით უსარგებლიათ და გაქცეულან, ქალაქში ჩემი გამოჩენა არ შეიძლება, ვიცი რენო არ მომასვენებს, ამიტომ გადავწყვიტე ტყეს შევაფარო თავი და პარტიზანული ბრიგადა ჩამოვაყალიბო.

– მწარე ისტორია გადაგხდენია თავს, პარტიზანულ ბრიგადაში პირველი ჩამწერე, თუ შეიძლება! – უთხრა გივიმ, რომელსაც შურისძიების ნაპერწკლები სცვიოდა თვალთაგან.

– ჰო, ასეც იყოს, მაგრამ პირველ რიგში თავშესაფარი ვეძებოთ, აქ სადღაც სტალაგმიტებით დამშვენებული გამოქვაბული მეგულება, ის აღმოვაჩინოთ, ღამის სადგომი ვიქონიოთ და მგონია, პარტიზანების შეგროვება არ გაგვიჭირდება – გვანცა მდებარეობის დათვალიერებას შეუდგა, მდინარეს სათავისკენ აუყვნენ, მცირე მანძილი გაიარეს და გვანცა კლდის ნაპრალში გაუჩინარდა, გივიც ფეხდაფეხ უზარმაზარ მღვიმეში აღმოჩნდნენ... გივი გაოცებული პირდაფჩენილი შეჰყურებდა სტალაგმიტებით მოჩუქურთმებულ დარბაზს, შემდეგ თითქოს თავისთვის წყნარად წარმოთქვა:

– კარგად გცოდნიათ ეს ადგილები, საოცარი მღვიმე აღმოაჩინეთ!

– აქ ვარ გაზრდილი, ძალზედ მიყვარს ბუნება. მე და მამაჩემი თითქმის ყოველდღე ვსეირნობდით ამ მიდამოებში...

– ჩემო გენერალო, პარტიზანული რაზმის უფროსო, თავშესაფარი აღმოჩენილია, საბრძოლო იარაღი მზადყოფნაში მაქვს. მიბრძანე, გინდ საომრად წავიდეთ და გინდ სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცების მოსაწვევად, რომ ღირსეული ადამიანებით შევავსოთ ჩვენი რაზმი.

– დღეს დასვენება მიბრძანებია! ხვალ დილიდან შევუდგეთ საქმეს – თქვა გვანცამ და ხმელი ფოთლებით ლოგინის გაწყობას შეუდგა. ქალაქიდან სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა. ჟამიც მწუხრის დგებოდა, მზე გორაკებს ეფარებოდა და რატომღაც სროლისა და ბინდის დრო მწუხარებას აორმაგებდა: – „ყოველ ჩვენგანს აქვს გენიის მოძალების წამი, – თქვა გივიმ – და აი, ვიღაც გარეშანი თოფის ჩახმახზე თითის შეხებით გვიკლავს ამ უძვირფასეს წამს“.

– ჩვენ სილამაზისა და სიამოვნების წამს გვიკლავს, ცოცხლები ვართ და შევტრფით ბუნების სილამაზეს, მაგრამ იმ თოფის ლულიდან კივილით ამოვარდნილი ტყვია რას მოიმოქმედებს, ვიცით? გარეშანი გენიოსს კლავს იმიტომ, რომ გენიოსმა თავის დროზე შეიბრალა გარეწარი და საშოშივე არ მოკლა, ეს მადლის საზღაურია, ის კლავს სიკეთისათვის...

გივიმ ჩამომავალი მზის სხივზე მოძრავი ლანდი შენიშნა, ტუჩთან თითი მიიდო და გვანცას დაანახა, შემდეგ ავტომატური თოფი აიღო და მოძრავი აჩრდილის მიმართულებით წავიდა, „ეცადე, არ შემოგაკვდეს“, – უჩურჩულა გვანცამ. გივი აჩრდილს ზურგიდან მოექცა, მაგრამ აჩრდილიც ფრთხილი აღმოჩნდა. დროზე შეამჩნია გივის აჩრდილი, ხეს ამოეფარა და თოფი შემართა, ახლა თვითონ გივი აღმოჩნდა დაუცველი და მიუსაფარი, მაგრამ აჩრდილმა როდი გაიმეტა სატყვიედ ვაჟკაცი! დასავლური, რუსული აქცენტით შესძახა:

– დააგდე იარაღი, თორემ გესვრი!

გივიმ მომარჯვებული თოფი მხარზე გადაიკიდა და ხელები თავზე დაიწყო. აჩრდილი სამალავიდან გამოვიდა და თოფ-მომარჯვებული მიუახლოვდა გივის.

– ვინა ხარ და აქ რას აკეთებ? – შეეკითხა აჩრდილი.

– ეს რა შეკითხვაა, მე რას ვაკეთებ საკუთარ ოჯახში? – გაიკვირვა გივიმ, – თვითონ რას აკეთებ აქ, თუ სტუმრად ხარ მოსული, კეთილი იყოს შენი მობრძანება და თუ მტრად მოსულხარ, მესროლე, რაღას აყოვნებ!

აჩრდილს გაეღიმა: – პარტიზანი იქნები. ტანსაცმელი მეტყველებს შენი. სწორედ თქვენ დაგეძებდით! – წყნარად წარმოთქვა მან და თოფი მხარზე გადაიკიდა.

– კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, მე ქართველი ვარ და გივის მეძახიან! – უთხრა გივიმ.

– კეთილი იყოს თქვენი დახვედრა, მე უკრაინელი ვარ, ჟიტომირელი, ვალერი კრავჩენკო, კეთილი სურვილებით მოვსულვარ და ომში აღმოვჩნდი.

– წამობრძანდით, ჩვენი რაზმის უფროსს გაგაცნობთ! – უთხრა გივიმ და წინ გაუძღვა სტუმარს.

პისტოლეტშემართული გვანცა გამოქვაბულის წინ შეეგება სტუმარს და როდესაც გაიგო, სტუმარი კეთილი განზრახვით მოსულიყო, მხოლოდ მაშინ დაუშვა იარაღი.

– ნუ დამძრახავ, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ! – უთხრა გვანცამ ვალერის – რა ვქნა, მოყვრად მოსულმა მტერმა მასწავლა ასე! ხანდახან საკუთარ თავსაც ეჭვის თვალით მივჩერებივარ და მრცხვენია, როდესაც შეცდომას აღმოვაჩენ ხოლმე. კიდევ და კიდევ ვერ მასწავლა ცხოვრებამ ჭკუა, მოგვიყევი, უკრაინელო ძმაო, როგორ მოხვდი საქართველოში ამ ცოდვა-მადლის განკითხვის დროს? იქნებ შენც დაქირავებული მკვლელი ხარ ისე, როგორც მრავალი სხვა, შეგიძლია მოგვატყუო, რომ კეთილი სურვილებით ხარ მოსული, ჩვენ ხომ ყველაფერი გვჯერა, ქართველებს! ჩვენი მოტ-

ყუება მთლად ადვილია, ამისათვის საჭიროა, ერთი ღიმილი მხოლოდ და ქართველს შემოთავაზებულ პურ-მარილზე არ უთხრა უარი...

– ქალბატონო, თქვენ შეგიძლიათ ტყვედ ჩამთვალოთ, მაგრამ არა გაქვთ უფლება, შეურაცხყოფა მომაყენოთ! მე, როგორც თქვენს მეგობარს მოვახსენე, თქვენი სარწმუნოების ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი ვარ, უკრაინელი, ქალაქ ჟიტომირიდან ვალერი კრავჩენკო! მიზიდავს მოგზაურობა და სათავგადასავლო ისტორია, ამიტომ ერთი წლის წინათ გადავწყვიტე საქართველოში მემოგზაურა და თან სტალინის სახლ-მუზეუმი მომენახულებინა. ჩავაწყვე მოგზაურობისათვის აუცილებელი ნივთები აბგაში და საქართველოს ტერიტორიაზე შემოვაბიჯე, გაგრაში ერთი ზანგივით შავმა პოლიციელმა დამაკავა. ჩანთა შემიმოწმა და ჩემდა გასაოცრად შიგ ჰეროინი აღმომიჩინა!

– როგორ თუ შენდა გასაოცრად?

– როგორ და პირველად ჩხრეკის დროს დავინახე თუ როგორია ჰეროინი. მე ის თხევადი მასა მეგონა და ფხვნილი ყოფილა...

– რა ინტერესი ჰქონდათ, რომ ნარკოტიკი შემოგაპარეს?

– ეს დღემდე უცნობია ჩემთვის, ფაქტი კი მხოლოდ ერთია, რომ ნარკოტიკის გავრცელებისათვის დამაპატიმრეს და დრანდის ციხეში მომათავსეს, დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ ომი დაიწყო. ციხის კარები აფხაზებმა გაგვიღეს და ყველანი გაგვათავისუფლეს იმ პირობით, რომ აფხაზების მხარეზე ვიბრძოლებდით. დაგვირიგეს იარაღი და ჩავებით ბრძოლაში... მაგრამ არ ვიცი, რა ბრძოლა გადავიტანეთ და ვინ ვის ებრძოდა. მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობას ვესხმოდით თავს, ვკლავდით, ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს და ვწავდით საცხოვრებელ სახლებს, ყველაფერი ეს გულს მირევდა, მაგრამ ყოველგვარ სადიზმს გადააჭარბა, როდესაც გაგრის ცენტრალურ სტადიონზე ქართველების მოკვეთილი

თავებით ფეხბურთი ითამაშეს, იმ დღესვე გამოვერიდე ჩემს რაზმს და გამოვიქეცი იმ განზრახვით, რომ აფხაზების წინააღმდეგ ვიბრძოლო...

– მხოლოდ ამიტომ გადაწყვიტე ქართველების მხარეზე იბრძოლო? – შეეკითხა გვანცა.

– ჰო, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე! სიმართლე ომშიდაც უნდა ბრწყინავდეს და მშვიდობის დროსაც! ისე, როგორც მშვიდობას, ომსაც თავისი კანონები აქვს, უკრაინელმა ხალხმა ომის მეტი რა იცის, რომელი საუკუნე დამთარდა ისე, რომ არ გვეომოს? მსოფლიოში ყველაზე მრისხანე ომად მეორე მსოფლიო ომია ცნობილი, სახელი გაითქვა თავისი კრემატორიუმებით, სადაც ათასობით ადამიანი იფერფლებოდა, მაგრამ ისტორიაში არ არის ცნობილი, რომ საბჭოთა ხალხის მოკვეთილი თავებით ფაშისტებს ფეხბურთი ეთამაშოთ... ამით მტერი გამარჯვებას კი არ ზეიმობს, როგორც თვითონ წარმოუდგენიათ, პირიქით, მასიურ ხალხთა სიძულვილს სთესავენ! მსოფლიოს ხალხების თვალში ის მოკვეთილი თავი მეტ სიყვარულს იმსახურებს, ვიდრე „გმირი“ მოკვეთილი თავით მობურთავე!

ვალერი კარგი ორატორივით საუბრობდა და გივიც გვარიანად ჩააფიქრა. სიჩუმე ჩამოწვა გამოქვაბულში, მხოლოდ რომელიღაც სტალაგმიტიდან ჩამოვარდნილი წვეთი არღვევდა მყუდროებას.

– შენ იცი, ის რაზმი სადაც დგას, რომელიც ასეთ მხეცურ ომს აწარმოებს? – საკმაო ფიქრის შემდეგ შეეკითხა გივი ვალერის.

– როგორ არ ვიცი! ვიცი ის შენაერთი სადაც დგას, თუმცა ყველა შენაერთი ერთი და იგივე სულისკვეთებით იბრძვის, ყველა ერთი და იგივე ნარკოტიკული მირონით არის მონათლული.

– წავიდეთ, გვანცა! შევებრძოლოთ მტერს, ჩვენ უკვე სამნი ვართ! – უთხრა გივიმ, მას კი გაკვირვების პეპელა დაეჯდა ბაგესთან, მწარედ გაიღიმა და

– სამი კაცით აპირებ რაზმის შებრძოლებას?

– მე არ მითქვამს გამარჯვებას ვაპირებ-მეთქი, ჰო, შებრძოლებას ვაპირებ! – გივის ხმა მტკიცე იყო.

– ვხედავ, ომი გწადიან, მაგრამ სურვილი გამარჯვებას ვერ მოგიტანს და უმიზნო თავგანწირვა მტერს გაგვიცინებს, ამიტომ ჩვენი რაზმი უნდა შევავსოთ ნაღდი მებრძოლი ქართველებით, წავიდეთ. მე ვიცი, ვინ სად იმყოფება და ჩვენთან მოვიწვიოთ საომრად.

სიტყვა ითქვა და ორი შეიარაღებული დამცველი გაჰყვა გვანცას. შუაღამე გადასული იყო, ყოველ გზაჯვარედინზე და სახლის კუთხეში ჯარისკაცები დარაჯობდნენ. გვანცამ შეუმჩნევლად განვლო რამდენიმე ქუჩა და ერთი მიწურის კარზე დააკაკუნა, ხმა არავინ გასცა, მეორედ დააკაკუნა და წყნარად შესძახა – „გვანცა ვარ“, კარი მყისვე გაიღო და შავწვეროსანი, შავ ნაბადში გამოხვეული კაცი გამოჩნდა.

– სად დახეტიალობ ამ შუაღამისას, გოგო? – წყენით უთხრა შავწვეროსანმა.

– აბა შენსავით ჩავჯდე მიწურში და ველოდო, როდის გამომარჩევენ დასახვრეტად? – უპასუხა და მიწურში შევიდა.

– ახლა მომისმინეთ! – განაგრძო მან – რა გაჩერებთ აქ დღე და ღამე გამოკეტილებს?

– თქვენ გელოდებოდით გვანცა! – დარცხვენით წარმოთქვა შავწვეროსანმა და მეზობელი მიწურის კარიც გაიღო, საიდანაც ოთხი შეიარაღებული ვაჟკაცი გამოვიდა.

– სულ რამდენი ხართ აქ? – დროებითი მყუდროება ისევ გვანცამ დაარღვია.

– რვა! – იყო ერთდროული და მოკლე პასუხი.

– აისხით აბჯარი და ახლავე ჩემთან წამოდით, თქვენთან საკმაოდ ვარ მოლაპარაკებული, ახსნა-განმატება აღარ არის საჭირო თუ ვის ვებრძვით და რისთვის ვიბრძვით!

არავის შეკითხვა არ დაუსვამს, ყველამ მოძებნა თავისი ზურგჩანთა, შიგ სურსათ-სანოვაგე და სხვა აუცილებელი

ნივთები ჩააწყვეს. აისხეს საბრძოლო იარაღი, გაეხვიენ შავ ნაბადებში და შავ ღამეში გაუჩინარდნენ...

დაღლილ-დაქანცულები გამთენიას დაბრუნდნენ გამოქვაბულში. გამოქვაბულის შემოსასვლელთან დარაჯად დადგომა გივიმ იკისრა, დანარჩენებმა ტკბილად დაიძინეს. თერმეტი მებრძოლისაგან შედგებოდა გვანცას რაზმი! ეს პარტიზანთა მოძრაობისათვის უზარმაზარი ძალა იყო, თუმცა მეთაური კიდევ აპირებდა კარგი მებრძოლებით რაზმის შევსებას, გივის რომ არ დაძინებოდა, სადილი მზადებას შეუდგა. ბიჭები ალბათ შემწვარი ხორცის სუნმა გამოაღვიძა, თორემ კიდევ დიდხანს იძინებდნენ და რადგან სადილი მზად იყო, მადიანად შეექცნენ. გვანცამ საღამოს განსახორციელებელი გეგმა შეიმუშავა და ვალერი კრავჩენკოს მოუხმო.

– ვალერი, შენ ხომ იცი რომელ რაზმშიც იბრძოდი, ჩვენ შეგვიძლია თუ არა თავდასხმა განვახორციელოთ იმ შენაერთზე?

– ის შენაერთი კი არა მთელი ბატალიონია, ტანკებითა და ბეტეერებით შეიარაღებული, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის მეომრებით დაკომპლექტებული, მართალია, იქ დისციპლინა მოშლილია და თავდასხმა ადვილად შეგვიძლია განვახორციელოთ, მაგრამ მაინც სიძნელესთან არის დაკავშირებული, ჩვენი მცირე რაზმის გამო.

– საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნიდან როგორ არის მეომრებით დაკომპლექტებული, ქართველებიც მათ მხარეზე იბრძვიან?

– უმეტესობა ქართველია და კარგად გაწვრთნილიც! აფხაზები იმდენ სისაძაგლეს არ ჩადიან, რამდენსაც ქართველები თავიანთი მოძმეების მიმართ! სარწმუნოებაშეცვლილი ქართველები ანადგურებენ თავიანთ ათასწლოვან კულტურას, სწვავენ თავიანთი შრომით აგებულ სახლებს, ჰკლავენ მშობლებსა და შვილებს... სწორედ სხვებთან ერთად ქართველებიც იყვნენ „საზიზღარი ფეხბურთელები“ გაგრის სტა-

დიონზე! თითო ვლასოვი* ღმერთმა არ გამოგვილია... ალბათ, აქაც სათავეშია ვიღაც მოღალატე, გაწვრთნილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ ქართველების გაუწვრთნელი მცირერიცხოვანი არმია იბრძვის, რომლებმაც უკან დახევის ტაქტიკაც კი არ იციან. მე მამა-პაპათაგან ქართველებზე შეყვარებული ადამიანი ვარ და ბრწყინვალედ ვიცი მათი წარსულის ისტორია, თუ როგორ სწავლობდნენ ხუთი წლის ასაკიდან თითქმის ყველა ცივი იარაღით ბრძოლას, 19 სახეობის ჭიდაობას, 4 სახეობის კრივს, მათ შორის თვალახვეულს, 5 სახეობის ხმალაობას, 23 სახეობით შუბის ხმარებას, 15 სახის ცურვას... ყველა ეს წვრთნა სამხედრო ხელოვნებისთვის გამოიყენებოდა, რომელიც გამარჯვების ცეკვა-თამაშით სრულდებოდა! დღეს რატომ წაიშალა ეს ტრადიციული წვრთნა, სწავლა-განათლება? არც თუ შორეულ წარსულში, სამამულო ომის დროს, წვევამდელი ფრონტზე გაწვევამდე სწავლობდა თოფის დაშლა-აწყობას და მის გამოყენებას, დღეს კი ბატალიონი ისეთი ქართველებით დაუკომპლექტებიათ, რომლებსაც თოფი საერთოდ არა აქვთ ნანახი, ბოდიში, მგონი დიდზე შევტოპე! აზრადაც არ მომსვლია ქართველების შეურაცხყოფა, რომ მეღიარებინა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მე პირადად ქართველებზე შეყვარებული ადამიანი ვარ. თქვენთან ვიბრძოლებ და თუ დავიღუპები, ახალ ათონში დამასაფლავეთ იქ, სადაც პირველი ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელი წმინდანის ნეშტი განისვენებს.

– რანი ვიყავით, წარსულს ჩაბარდა! სიამაყე შემოგვრჩენია წარსულით და ახლა წარსულსაც გვინადგურებენ, თუ აწმყოს გადარჩენას ვერ შევძლებთ, იქნებ წარსული და მომავალი გადავარჩინოთ! ამ საღამოს მივიღოთ პირველი საბრძოლო ნათლობა! გვასწავლე ბრძოლაც და გზაც, გაგვიძეხი

---

* ვლასოვი – გენერალი საშობლოს მოღალატე, რომელმაც ორი არმია გადაიყვანა ფაშისტების მხარეზე მეორე მსოფლიო ომის დროს.

წინ, გამარჯვების გზით გვატაროს უფალმა! – უთხრა გვანცამ და ბრძანება გასცა საომარი აღჭურვილობა აესხათ.

... ტყის ბილიკით ხუთი საათი იარეს შეუსვენებლად. შემდეგ ვალერიმ შეაჩერა პარტიზანთა ჯგუფი და დაბლობში განლაგებულ გარნიზონზე მიუთითა, შეჩერდნენ, ათიოდე წუთი ითათბირეს, ვალერიმ მებრძოლები შეარჩია განკარგულება გასცა, ვინ რომელი მხრიდან უნდა შესულიყო მტრის ბანაკში და რა უნდა მოემოქმედებინათ, ღამის ორი საათი შესრულდა და ელვისმაგვარი თავდასხმა განხორციელდა მტრის ბანაკზე. ზედიზედ ფეთქდებოდა ტანკები და ბეტეერები, საცხოვრებელი კარვები და ყაზარმები, ბანაკში პანიკა შეიქმნა, ტყვია კი განურჩევლად ცელავდა ყველას. ცოცხლად დარჩენილი ბანაკის მესვეურნი გონს მოეგნენ და ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ. გვანცამ არ ადროვა მტერს ძალის მოკრება და მწვანე მაშხალა გაისროლა, რაც უკან დახევას ნიშნავდა. პარტიზანებმა მყისვე ტყეს შეაფარეს თავი და ნახევრად გაჟლეტილი ბანაკი დატოვეს ბრძოლის ველზე.

მტრის ბანაკიდან პარტიზანებმა დიდძალი საბრძოლო იარაღი და ტყვია-წამალი წამოიღეს. არცერთი დაჭრილი, თერთმეტივე საღ-სალამათი დარჩა...

სამი საათის მგზავრობის შემდეგ დაბა ოქუმის მიდამოებს მიუახლოვდნენ. გათენდა კიდეც და სროლის ხმა შემოესმათ ოქუმის მხრიდან. გვანცამ პისტოლეტი შემართა და უხმოდ გაიშვირა იმ მიმართულებით, საიდანაც სროლის ხმა მოისმოდა, დაბლობში ჩამოვიდნენ და დაინახეს ქართველი მებრძოლები თუ როგორ გაურბოდნენ მტრის მცირერიცხოვან რაზმს. ისინი ელვის სისწრაფით ახტებოდნენ ორმეტრიან ღობეებს, ხელიდან უვარდებოდათ თოფები და სხვა საომარი აღჭურვილობანი. გარბოდნენ, მაგრამ ტყვია ეწეოდათ მაინც...

– ეს გითხარით, ბრძოლა არ უსწავლებიათ, უკან დახევაც არ იციან საბრალოებმა! – თქვა ვალერიმ და ბრძანა: – „მტერს მე შევაჩერებ, თქვენ უკნიდან მოექეცით, რკალში გამოიმწყვ-

დიეთ“ – ვალერი მოხერხებულ ადგილზე მოიქციეთ, რკალში გამოიმწყვდიეთ“ – ვალერი მოხერხებულ ადგილზე ჩასაფრდა და მოულოდნელად ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი დაიკვესა, მტერი არ ელოდა ქართველების შემობრუნებას, დაიბნა და უკან დახევა დაიწყო, მაგრამ აქ გვანცას რაზმმა გადაუკეტა გზა და ბოლოს იძულებული გახდნენ, ხელები აეწიათ.

თვრამეტმა მებრძოლმა იარაღი დაჰყარა, მათ შორის იყვნენ დაქირავებული მკვლელები, რუსები, სომხები და კაზაკები, რომელთაც წინ დაუდგა პისტოლეტშემართული გვანცა:

– ვინ ხართ, რა გინდათ, რისთვის მოსულხართ? – ქალის ხმა გამწარებულ კივილს ჰგავდა.

– ჩვენ მებრძოლები ვართ! – ამოღერღა ერთ-ერთმა თვალებში შუქჩამდგარმა ქერა ახალგაზრდამ,

– ვის ებრძვით ან რისთვის იბრძვით, იცით?

– ბრძოლა ბრძოლაა, თქვენც ხომ იბრძვით?

– ჩვენ სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით, თქვენ მის გასანადგურებლად!

– სიკვდილი სიკვდილია, რაც გინდათ ის დაარქვით, გავიმარჯვებთ და ჩვენც იგივეს ვიტყვით, რომ ჩვენ ვიბრძოდით სიცოცხლის გადასარჩენად და თქვენ კი მის გასანადგურებლად!

– არ შეგრცხვებათ სიცრუის?

– ოჰ, ამომივიდა ყელში თქვენი ქათინაურები, სირცხვილი, ნამუსი, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა და სხვა! ადამიანის მოკვლის არ გვრცხვენია და ტყუილის თქმის შეგვრცხვება?

– გვიანია თქვენი სიკვდილით დასჯა! თქვენ საშოში უნდა განადგურებულიყავით, მხეცებო! ახლაც სიამოვნებით დაგხვრეტდით, მაგრამ უფლებას არ მაძლევს კაცთმოყვარეობის გრძნობა. გაგიშვებთ იარაღაყრილთ, რომ კეთილსინდისიერ შრომას დაუბრუნდეთ თქვენსავე სამშობლოში!

– ჰე, პატივცემულო მასწავლებელო, აქ პედაგოგიკის გაკვეთილი არ არის, აღმზრდელობითი საგანი გვასწავლო – წა-

მოენთო თოფმომარჯვებული პარტიზანი თენგიზ აბრახამია, – აქ ომია, დაუნდობელი ომი! ჩვენს წინაშე სისხლისმსმელები დგანან! მათ ვერცერთი პედაგოგი ვეღარ აღზრდის და ქრისტეც ვერ შეუნდობს შეცოდებას! ჩემი დაიკო საკუთარ ეზოში თხილს აგროვებდა, რომ დაიჭირეს, აწამეს და მოკლეს! არცერთი ძვალი არ ჰქონდა დაუმტვრეველი. მათ შორის ხერხემალი და თავის ქალაც კი! ვენები გადაჭრილი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლი სიამოვნებით დალიეს... აი ასეთი ნაწამები მომყიდეს ჩემი და ათას დოლარად და ვინ იყო ეს იცით? აი ეს! (თენგიზმა თოფის ლულა მიაშვირა ერთ-ერთ ტყვეს) მიუხედავად იმისა, რომ ნიღბით სახე ჰქონდა შებურული, თვალებით ვიცნობ. შენ კი ასეთი ადამიანის აღზრდა განგიზრახავს! არა, მე მას ისეთივე სიკვდილით მოვკლავ, როგორითაც ჩემი და მოკლეს!

სიტყვა და საქმე ერთი იყო, თენგიზმა ისეთი გამეტებით მოიქნია თოფის კონდახი, რომ ტყვეს თავი მკერდამდის გაუპო, შემდეგ ელვის სისწრაფით შეაბრუნა თოფი და ტყვიის რიგი დანარჩენ ტყვეებს დაუშინა. თოფმა ოცდაათი ჰილზი ააფეთქა. თენგიზმა ახალი სავაზნე მოარგო თოფს და ამჟამად გვამები დაცხრილა, შემდეგ სახელოთი ოფლი მოიწმინდა და მქუხარე ხმით წარმოთქვა:

– „ეს თვრამეტი შენი სულის მონა, ჩემო დაო! თუ ცოცხალი დავრჩი ორ ამდენს კიდევ ელოდე!“ – პარტიზანებმა ქუდები მოიხადეს, დახვრეტილებს პატივი მიაგეს. გვანცას ნერვებმა უმტყუნა, ქალურმა სათნოებამ თავი იჩინა და ბავშვივით აქვითინდა...

ერთი სიტყვაც არავის დაცდენია, შემდურებულებივით დაბრუნდნენ გამოქვაბულში.

პირველმა წარმატებამ გაათამამა და ახალ-ახალ ოპერაციას გეგმიანად და ღრმად მოფიქრებულად აკეთებდნენ.

ერთ საღამოს გვანცამ სამი მებრძოლი შეარჩია – „მალე დავბრუნდებითო“ – თქვა და წასასვლელად ნაბიჯიც კი გა-

დადგა, მაგრამ გივი წინ გადაეღობა: – საით გაგიწევია, ქალ-ბატონო, ამ მცირე რაზმით?“.

– რენო ხოჭოლავას სახლს უნდა დავმართო იგივე, რაც ჩემს საცხოვრებელ სახლს დამართეს!

– სადაც ერთი, იქ ყველანი ჩვენც მოვდივართ! – განაცხადა გივიმ.

– არა, ამ ოპერაციას ხალხმრავლობა არ სჭირდება, ჩვენც თავისუფლად გავართმევთ თავს, მაგრამ თუ მე ვერ დავბრუნდი, რაზმს შენ უხელმძღვანელებ! – თქვა გვანცამ, მომღიმარი სახით გადახედა თავის მებრძოლებს და წავიდა.

– ვინ იცნობს რენო ხოჭოლავას? – შეეკითხა გივი თანამებრძოლებს.

– მე ვიცნობ! – წარმოთქვა ვაჟა ხოფერიამ.

– იცი, სადაც ცხოვრობს?

– ეშმაკმა იცის, სადაც ახლა ცხოვრობს, მაგრამ... სახლი კი ვიცი, სადაც ცხოვრობდა.

– აბა, ადექით! ყველანი შეუმჩნევლად გავყევით უკან გვანცას, დავიცვათ! ხიფათს არაფერს გადაეყაროს! – თქვა გივიმ და მებრძოლებმაც უყოყმანოდ აისხეს საბრძოლო აღჭურვილობა, მართლაც შეუმჩნევლად გაჰყვნენ გვანცას რაზმას და როდესაც ერთ-ერთ სახლში კივილი შეიქნა და ცეცხლის ენამ სახლის სახურავი გალოკა, ისევ უკან გამოყვნენ გვანცას...

მხოლოდ მესამე დღეს იყნოსა რენომ თუ ვისი ნამოქმედარი იყო ეს ოპერაცია და შვეულმფრენით დაიბომბა ის ადგილები, სადაც პარტიზანები იყვნენ თავშეფარებულნი, ნაცარ-ტუტად იქცა ის მიდამოები, მაგრამ გამოქვაბულს კი ვერაფერი დააკლეს, დაბომბვიდან მეორე დღეს დაქირავებული მკვლელების რაზმი შეესია ტყეს, მაგრამ პარტიზანები ვერ აღმოაჩინეს, წავიდნენ, თითქოს ყველაფერი დაწყნარდა პარტიზანები ახალი ოპერაციისათვის ემზადებოდნენ, გივიმ ტყეში მცირერიცხოვანი რაზმი შენიშნა. ეჭვგარეშე იყო, რომ

პარტიზანებს ეძებდნენ და თოფი ფეხზე შეაყენა, მაგრამ გვანცამ შეაჩერა – „არ ისროლო!“

– ახლა კი არა, სამი დღით ადრე უნდა გვესროლა და ის რაზმიც უნდა გაგვენადგურებია, რომლებიც ჩვენს განადგურებას ცდილობდნენ!

– ახლა არ ისროლო, არ მინდა ჩვენი თავშესაფარი აღმოაჩინონ! – თქვა გვანცამ და ხმის გამაძლიერებელი რეპროდუქტორიდანაც გაისმა ლევიტანისებური* მტკიცე ხმა:

– „გვანცა მიჩქუ სი გარჩქილე ჩქიმი, სოდგარენ ათაქ რექ დო მიჯინექ, მა გიძახქ, ირკოჩიში დო ირფელიში გასაგონო მოკო თქუენი. მას სი ლორვილუნქ, ლორჭუნქ დო ორჭკომუნტ! მა რენო ვორექი, გიჩქუდას, ჩქიმი ნარაგადას წყარ ვაგდე! მტკიცე! უცადი თიშ შესრულებას“.**

ყველამ გაიგონა რენოს დაქადნება, რომელმაც ერთი და იგივე რამოდენიმეჯერ გაიმეორა ხმის გამაძლიერებლით.

გვანცას სახეზე აღუწერელი სიძულვილი გამოეხატა:

– არაკაცი! – წარმოთქვა მან და ზიზღით გადააფურთხა: ამ დღის შემდეგ თითქმის ყველაფერი დაწყნარდა. გვანცამ ადგილსამყოფელი გამოიცვალა, მეტად უსაფრთხო და კეთილმოწყობილი მღვიმე აღმოაჩინა. აქედან ხელის გულივით ჩანდა საავტომობილო გზატკეცილი და თავდასხმაც რამდენჯერმე მოაწყვეს მტრის კოლონიაზე. ერთ საღამოს გვანცამ გადაწყვიტა, იური ქარდავას ოჯახი გაენადგურებია, პიროვ-

---

* ლევიტანი, იური ბორისის ძე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყელობის სახელმწიფო კომიტეტის დიქტორი. ჰქონდა განსაკუთრებული ტემბრისა და გამომსახველობის ხმა, სამამულო ომის წლებში (1941–1945) კითხულობდა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს და სხვა. ლევიტანის ხმა თავზარს სცემდა ფაშისტური გერმანიის მებრძოლებს. ჰიტლერმა სპეციალური პრიზი დააწესა იმ პირთათვის, ვინც ლევიტანის ენას მიუტანდა.

** გვანცა, ვიცი შენ გესმის ჩემი, სადღაც აქ ხარ და მითვალთვალებ. მე კი გეძახი, მთისა და ბარის შესაჯერებლად ვაცხადებ: ადამიანთა, მხეცთა და ნადირთა გასაგონად ვაღიარებ: მე შენ მოგკლავ, შეგწვავ და შეგჭამ! მე რენო ვარ იცოდე შენ, ჩემი სიტყვა მტკიცეა! ელოდე შესრულებას! (თარგმანი მეგრულიდან).

ნებისა, რომელიც რენოს ახლდა გოგი დანელიას სახლის გადაწვაში და რომელიც რენოსთან ერთად სადღაც მიიმალა... გვანცა სამი მებრძოლით გაუდგა გზას, მაგრამ გივიც, როგორც ყოველთვის, ფარულად გაჰყვა უკან მთლიანი რაზმით.

რენოს სახლის გადაწვის შემდეგ იური ქარდავა ყოველდღე ელოდებოდა გვანცასაგან შურისძიებას, რენო კი გვანცას ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა, ამიტომ ორივე „რაინდი", თორმეტკაციანი დაქირავებული მკვლელების რაზმით, იური ქარდავას სახლს დარაჯობდნენ. სწორედ ეს რაზმი იყო ეზოში განლაგებული სპეციალურ თავშესაფარ ბუნკერებში, როდესაც გვანცას სამკაციანი რაზმი გამოჩნდა, მკვლელებმა გვანცას სახლში შესვლა ადროვეს და რკალში მოიმწყვდიეს პარტიზანები, ამ დროს გივიც გამოჩნდა თავისი რაზმით და ატყდა სამმხრივი სროლა, თითქმის სამი საათი გაგრძელდა ბრძოლა, შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა, ცოცხლად დარჩენილმა მკვლელებმა უკან დაიხიეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

გივიმ თავისი რაზმით ფრთხილად დაათვალიერა ეზო, აქ სახლის ფანჯრებთან რვა დაქირავებული მებრძოლის გვამი იპოვეს. მათ შორის იური ქარდავა. ფრთხილად შევიდნენ სახლში. აქ სამი პარტიზანის გვამი აღმოაჩინეს. გვანცა კი არსად ჩანდა, ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი ვერ იპოვეს, ეჭვგარეშე იყო, რომ ცოცხლად დარჩენილმა მკვლელებმა გვანცა გაიტაცეს... გივიმ ბოლო სურვილი შეუსრულა გვანცას, ცეცხლის ალში გაახვია იური ქარდავას სახლი და ოთხი ადამიანით ნაკლები რაზმით ტყეს შეაფარა თავი, მეორე დღიდან ყოველგვარ ბრძოლაზე აიღეს ხელი პარტიზანებმა, მხოლოდ გვანცას კვალს დაუწყეს ძებნა. მეორე აზრი არ არსებობდა, გვანცა რენო ხოჭოლავას გატაცებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ მისი კვალისთვის რომ მიეგნოთ, პირველ რიგში რენოს კვალი უნდა მოეძებნათ. გივიმ ვაჟა ხოფერია და ლაშა ბუკია გაგზავნა რენოს თავშესაფარის დასადგენად, რადგან პირადად მხოლოდ ეს ორი პარტიზანი იცნობდა ხო-

ჭოლავას, სხვები კიდევ სხვა მიმართულებით გაგზავნა და შეიკრა წრედი, თავშესაფარში მხოლოდ გივი და ვალერი კრავჩენკო დარჩნენ.

დღეები გადიოდა, გვანცას ასავალ-დასავალი კვლავ ჯადოსნური ნისლით იყო შემოსილი, მხოლოდ პირველი სექტემბერს მოვიდა ცნობა „გვანცას გვამი გალის პირველი საშუალო სკოლის ეზოში ასვენიაო“ – სწორედ აქ ასწავლიდა გვანცა მომავალ თაობას ქართულ ენასა და ლიტერატურას და გამორიცხული არ იყო, მკვლელს გვამი აქ დაესვენებია.

გივიმ საჩქაროდ აისხა საბრძოლო იარაღი და შვიდკაციანი ბრიგადით გალისაკენ გასწია. პირველი საშუალო სკოლის კართან მართლაც ესვენა გვანცას უსიცოცხლო სხეული. ის მასწავლებლებითა და მოსწავლეებით გარემოცუკლი იყო... ამ სურათის დანახვაზე გივიმ სიფრთხილე დაჰკარგა და სკოლის ეზო უმოკლესი გზით გადაჭრა და სკოლის შენობის სახურავიდან ავტომატური თოფის კაკანიც გაისმა. საჩქაროდ იქვე აშენებული გათბობის ჯიხურს შეაფარეს თავი პარტიზანებმა, მაგრამ ორი მებრძოლი მაიც გამოაკლი მათ რიცხვს,. ორი მასწავლებელი და ოთხი მცირეწლოვანი მოსწავლეც გვანცას ცხედრის ახლოს დაეცნენ. თოფის სროლა სკოლის სახურავის სამი მხრიდან ისმოდა. ესე იგი სამ მებრძოლს შეეფარებია თავი სკოლის შენობისათვის და კარგადაც შენიღბულიყვნენ. გივიმ ბრძანება გასცა, სროლა არ შეეწყვიტათ ბანდიტების მისამართით. თვითონ კი ლაშა ბუკიასა და ბესო ეხვაიას თანხლებით სკოლის სახურავისკენ გაქანდა, კიბეზე აირბინეს და სანამ სხვენში ავიდოდნენ, გივიმ თანამებრძოლებს უთხრა:

– თქვენ იმიტომ წამოგიყვანეთ, სახით იცნობთ რენო ხოჭოლავას ის აუცილებლად ცოცხლად უნდა ჩავიგდოთ ხელში.

სხვა წინადადების თქმის დრო აღარ იყო, სამივენი ელვის სისწრაფით აძვრნენ სხვენში. მკვლელებს ყურადღება სკო-

ლის ეზოსკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ამიტომ სხვენში ასული პარტიზანები ვერ შენიშნეს. „დაჰყარეთ იარაღი!“ – დასჯექა ბესო ეხვაიამ და ავტომატური თოფის ჯერი ფეხებთან მიუშვა მკვლელებს, შემობრუნდნენ განცვიფრებულებმა იარაღი დაჰყარეს, მაგრამ რენო ხოჭოლავა არ დაიბნა, ხელყუმბარა გახსნა და ბესო ეხვაიას მკერდზე გაარტყა, აფეთქების ძალამ სკოლის სახურავი აანგრია და ბესოს გვამის ნაფლეთებიც თან აიტაცა... ლაშა ბუკიამ ვერ აიტანა მეგობრის დაღუპვა და ორი ბანდიტი იქვე ჩაცხრილა, ცოცხლად დარჩენილმა რენო ხოჭოლავამ დანა იშიშვლა და გივის პირისპირ აღმოჩნდა. გამჭოლი მზერით თვალი თვალში გაუყარეს ერთი-მეორეს და რენომ დანა აღმართა კიდეც. გივიმ დაინახა – „არ ესროლო“ – ეს ერთი სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, გივი სიკვდილისაგან ეხსნა, რენო შემობრუნდა, რომ დაენახა თუ ვის უნდა ესროლა, წამიერი ყურადღების მოდუნება და გივის ნახტომი ერთი იყო, გაისმა მხოლოდ ყრუ დარტყმის ხმა. რენო დაეცა და ეს დაცემაც საკმარისი აღმოჩნდა მისი დაბორკილებისათვის.

გივი და ლაშა სახურავიდან ჩამოვიდნენ. ჩამოიყვანეს დაბორკილებული რენო და გვანცას ცხედართან მივიდნენ, გვანცას გვერდით ორი მასწავლებელი და ოთხი მოსწავლე ესვენა. მათ ცრემლი შეყინოდათ თვალებზე:

– მოგწონს შენი ნამოქმებარი? – კბილების ღრჭიალით შეეკითხა ლაშა რენოს.

– ცოტაა! – თქვა რენომ და მთებს შეხედა, გრძნობდა, რომ მათ უკანასკნელად უყურებდა...

გივიმ გვანცას ცხედარს დახედა, ეტყობოდა, რომ წამებით მოეკლათ, მას სახეზე ტანჯვა შეჰყინვოდა, პირი რაღაც ქაღალდებით ჰქონდა ამოტენილი, გივიმ ამოალაგა პირიდან ფურცლების ნაფლეთები და უნდოდა წარწერა წაეკითხა, მაგრამ რენომ ამოილუღლუღა:

– მაგის დიპლომია, ჯავახიშვილის უნივერსიტეტისა! მაგ დიპლომმა შეშალა ჭკუიდან, თავის ნება იყო, აღარავის ჯე-

როდა, თავისი უქმი, ფუჭი ცოდნით თავი ძლევამოსილი ეგონა და თავისი ცოდნის დიპლომმა დაახრჩო კიდეც!

გივიმ არაფერი უპასუხა, პარტიზანებს მოუხმო, უკვე სამი გამოკლებოდა მათ რიცხვს, შემდეგ სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს სთხოვა მიცვალებულებისთვის მიეხედათ და რენოს მიუბრუნდა:

– გვანცა ხელში აიყვანე და ჩვენთან წამოდი!

– ვიცი, მაინც განწირული ვარ, აქვე მომკალით, მაგრამ თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, თქვენს მხარეზე ვიბრძოლებ და რასაც მიბრძანებთ, იმას გავაკეთებ, – ნიკაპის კანკალით განაცხადა რენომ. გივის კიდევ მეტად შეეზიზღა გამოძრომის მძებნელი და ერის მოღალატე მხეცი. ამიტომ ბრძანება გაიმეორა:

– გვანცა ხელში აიყვანე და ჩვენთან წამოდი!

– ბორკილები მიჭერს, შემხსენით! – სთხოვა რენომ.

– ბრძანება შეასრულე, სანამ ბორკილებს ენაზე დაგადებდეთ! – უთხრა ლაშამ და სიცოცხლის შენარჩუნების იმედით გაბრუებულმა რენომ გვანცას გვამი ხელში აიტაღა, მკლავებზე გადაიწვინა და პარტიზანებთან ერთად გზას გაუდგა. საღამო ახლოვდებოდა, გამოქვაბულში რომ მივიდნენ, ოთხი პარტიზანიღა დარჩენილიყო თერთმეტიდან, გივი, ვალერი, ლაშა და ვარდენ თორია. გივიმ ხის ფესოზე მიაბა ბორკილით რენო და ლაშასა და ვარდენს მოუხმო:

– ბიჭებო, თხოვნა უყოყმანოდ შემისრულეთ, გამოქვაბულში კოცონი დაანთეთ, შეიძლება ცოცხლად დავწვათ რენო.

– ა? რას ამბობ, გაგიჟდი? – წამოიძახა ვარდენმა.

– გაგიჟდებოდა, აბა რა, რაც მაგას გაჭირვება აქვს ნანახი, რკინაც ვერ გაუძლებდა არა თუ ადამიანი – დაუდასტურა ლაშამ.

– არავითარი სიგიჟე, რასაც გიბრძანებთ, შეასრულეთ! – ახლა უკვე მტკიცედ წარმოთქვა გივიმ.

ვარდენმა გივის თვალებში შურისძიების ნაპერწკალი შენიშნა, შეკამათება ვეღარ გაბედა და კოცონის დანთებას

შეუდგა, მალე დანაკვერცხალდა ცეცხლი და გამოქვაბულში აუტანელი სიცხე ჩამოწვა. გივიმ რენო აუშვა, ბორკილები შეხსნა და უთხრა:

– გახსოვს, ხმის გამაძლიერებლით რას შეგვპირდი, მხეცთა და კაცთა შესაჯერებლად?

– მახსოვს! – საკმაო დუმილის შემდეგ უპასუხა რენომ.

– ჰოდა, ვაჟკაცი ყოფილხარ, გვანცა მოკალი, მაგრამ შეწვა დაგვიწყებია და აბა ჰე, ცეცხლი ღუზღუზებს, შეუდექი საქმეს.

– არა, ადამიანი არასოდეს არ შემიწვავს! – იუარა რენომ.

– ჰე, გვანცა გააშიშვლე და კარგად შებრაწე, თორემ შენ შეგწვავ ცოცხლად მაგ მუგუზლებზე! – ბოროტი ნაპერწკლები დააკვესა თვალთაგან გივიმ...

რენო გველისაგან მონუსხული ბაყაყივით შეუდგა საქმეს: გვანცა გააშიშვლა, შემდეგ ნაკვერჩხლები გაშალა და ხელებიც არ აკანკალებია, ზედ გვამი დააწვინა, შემდეგ გარშემო ცეცხლი შემოუნთო, კარგი მზარეულივით უტრიალებდა ირგვლივ გვამს, რომელმაც საზიზღარი სუნი გამოსცა და გაჟღენთა ატმოსფერო, ადამიანის სხეული მთლად ქონი ყოფილა...

– მზად არის! – თქვა რენომ და მოწყალების თვალით შეხედა გივის.

– აიღე და მაგიდაზე დაასვენე! – ბრძანა გივიმ და სახელდახელოდ შეჭედილ ფიცრულ მაგიდაზე მიუთითა. რენომ კურტაკის სახელოები წამოიწია, რომ ხელები არ დაწვოდა და გვამი მაგიდაზე დაასვენა.

– ყოჩაღ! შენ ორი ოპერაცია პირნათლად შეასრულე, ახლა მესამეც უნდა შეასრულო, ჭამე გაძღომამდე! – რენოს ტუჩები და ნიკაპი აუკანკალდა, მაგრამ გივიმ „ნაგანის“ ლულა დაანახა და იმანაც მოგლიჯა, შეჭამა ერთი ლუკმა, შემდეგ მეორე და ისე შევიდა აზარტში, ალბათ სიამოვნებდა კიდეც. გივის გულის არევა დაეწყო და ძლივს მოითქვა სული.

შემდეგ ლაშას უთხრა: – ცეცხლს შეუკეთეო!“ – და არაადამიანურად იღრიალა:

– კმარა! აი თურმე სად არიან მოძმეთა ხორცის მჭამელნი! – ნახევრად შეშლილი, რენოს მივარდა, ხელები ამოუგრიხა ზურგს უკან და ზედ ბორკილები დაადო, შემდეგ წვივებზე შარვალი ამოუწია და ფეხებიც დაბორკილა. ლაშას უზომოდ დაეყარა შეშა ცეცხლზე და უსაშველოდ გიზგიზებდა კოცონი. გივიმ მხოლოდ ხელი უბიძგა რენოს და ამ უკანასკნელმაც ცეცხლში მოადინა ზღართანი. დაყვირება სცადა, მაგრამ ამაოდ. პირველად დაიკლაკნა, თითქოს ალს აჰყვა სხეული და შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, გოგირდის ალის მსგავსად იწვოდა და გოგირდის სუნს გამოსცემდა...

– გავერიდოთ! შეიძლება სუნმა მოგვწამლოს! – თქვა გივიმ და მდინარის ნაპირს დაუყვა. ერთ ადგილზე შეჩერდა, იქ, სადაც ბალახი ბიბინებდა და ჩანჩქერი ხმაურობდა... აქ გაიცნო პირველად გივიმ გვანცა, აქ შეისვენა დაღლილმა, აქ აუხსნა ბალახს სიყვარული და ახლა აქ გადაწყვიტა გვანცას დასაფლავება, რომელიც ესოდენ მოყვარული იყო თავის მშობლიური მიწა-წყლის, აქ კი უხვად იყო ორივე.

ოთხმა მეგობარმა დანებით გაჭრა საფლავი. მუქით ამოყარეს მიწა, ღრმად, ძალიან ღრმად გაჭრეს, რომ მხეცს ან მხცის ინსტინქტის მქონე ადამიანს არ დაერღვია გვანცას სანუკვარი ძილი.

გივიმ საკუთარ ქურთუკში გაახვია გვანცას სხეული, ფრთხილად ჩაასვენა, მზის სხივებით გამთბარ მიწაში და მუჭით მიაყარეს მიწა დუდუნით:

– „მსუბუქი იყოს შენზედ დაჭრილი მშობლიური მიწა“.

შემდეგ თოფები გაისროლეს, ამით მიაგეს უკანასკნელი პატივი მის უკვდავ სულს და ყველაფერი დასრულდა.

იდგა ოთხი ვაჟკაცი და არ საუბრობდნენ, რცხვენოდათ, რომ პარტიზანული რაზმის უფროსი ერთადერთი ქალი სიკვდილისაგან ვერ დაიფარეს...

მყუდროება სატანჯველად იქცა, ვიღაცას რაღაც უნდა ეთქვა, რომ ჰაერში ჩამოწოლილი მძიმე მუხტი გაანეიტრალებია და ლაშამ ყველას დაასწრო წინასწარ მოფიქრებული აზრის გამოხატვა:

– მე წავალ, – თქვა მან – რაზმი ახალი მებრძოლებით შევავსოთ, მთლად თავდადებულ ბიჭებს მოვიყვან, კარგ მონადირეებს!

– ჰო, კარგი იქნება, გვანცას კაციჭამიების ბატალიონი უნდა გავუგზავნო, ასე ვარ შეპირებული და ჯერ მხოლოდ ერთი გაუგზავნეთ! – თქვა ვარდენ თორიამ.

გამოქვაბულში დაბრუნდნენ, აქ ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, ვინ იცის, როდის გამოიდევნებოდა ამაზრზენი შემწვარი ხორცის სუნი. რენოს გვამი უკვე დაფერფლილიყო, ძვლებიც კი, მხოლოდ კუჭი და საშარდე ბუშტი ბოლავდა... სხვათა თავშესაფარი მოძებნეს და „მე წავედი“ – თქვა ლაშამ, მართლაც წავიდა და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა რვა პირტიტველა ბიჭით, რომლებიც კარგა გვარიანად იყვნენ შეიარაღებულნი, თავშესაფარი მოაწყვეს და ერთი ხეირიანი ოპერაციის განხორციელებაც ვერ მოასწრეს, 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა... ცრემლად დაიღვარა პატარა პარტიზანული რაზმის ყველა წევრი...

– მართალია სოხუმი დაეცა, მაგრამ ჩვენ არ ვნებდებით, ახლა დაიწყება ნამდვილი პარტიზანული ბრძოლები! – თქვა ვარდენ თორიამ.

– არა, ჩემო ვარდენ! – უთხრა გივიმ – ძნელია განათლებულ კაციჭამიებთან ბრძოლა, მით უმეტეს, როდესაც ისინი თანამედროვე საბრძოლო იარაღით არიან შეიარაღებულნი. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი ვერ შესძლებს სოხუმის დაბრუნებას, მე მგონია, აქ რაღაც პოლიტიკური თამაშია და არა ომი! დღეს ვისაც ვებრძვით და მტყუანი გვგონია ის ხალხი, შეიძლება ხვალ ორდენებით დააჯილდოვონ და სანანებლად გაგვიხადეს მათ წინააღმდეგ მოძრაობა! ამიტომ მაპატიეთ, მე

პირადად ვწყვეტ ბრძოლას...

– მეც უნდა დავუბრუნდე ჩემს სამშობლოს და ამ უაზრო მკვლელობებს თავი უნდა ავარიდო! – თქვა ვალერიმ.

– მაშინ დავიშალოთ დროებით, – თქვა ლაშამ – ცოტა სული მოვითქვათ, დავისვენოთ, გასაჭირის დროს ერთმანეთს დავუკავშირდეთ და ბრძოლა განვაახლოთ...

მისამართები გაცვალეს და თვალცრემლიანი გამოეთხოვენ ერთმანეთს მეგობრები, გივიმ ვალერი კრავჩენკოს საზღვრამდის გაცილება გადაწყვიტა, რომ გზაზე ხიფათს არაფერს გადაჰყროდა. რუკა გაშალეს და მარუხის უღელტეხილისკენ აიღეს გეზი.

მარუხის უღელტეხილთან პატარა ტბა არის ცრემლივით წმინდა და კამკამა, მაგრამ ძალზედ ღრმა... ამაზე მისი ლურჯად მოლივლივე ტალღები მეტყველებს, მისი ფართობი ერთი ჰექტარიც არ იქნება და ალბათ ამიტომ არცერთ რუკაზე არ არის აღნიშნული და არც არავინ იცის სახელი მისი, აქ ამ ტბის მახლობლად გასული საუკუნის ორმოციან წლებში ფაშისტური გერმანიის მთელი ბატალიონი იდგა, ახლაც ეტყობა მათი ნაკვალევი, გამარჯვებით გათამამებულები კავკასიამდის მოვიდნენ. მათ 42 დღეში აიღეს ბელგია, ჰოლანდია და საფრანგეთი. მაგრამ ჩვენი დამარცხება ვერ შეძლეს და გამარჯვების სურვილით 1000 დღეში კრახით დაუსრულდათ. აქ მდგომმა ბატა ლიონმა როდესაც გაიგო დიდი რეიხის დამარცხება, საბრძოლო იარაღები ზემოთხსენებულ ტბაში გადაყარეს და თავიანთ სამშობლოს მიაშურეს... გივის გაახსენდა ეს ისტორიული მომენტი, თავი დამარცხებულად იგრძნო, განიარაღდა და ყველა საბრძოლო იარაღი, უბრალო დანაც კი ტბაში გადაყარა... მას ვალერი კრავჩენკომაც წაბაძა და განიარაღებული მეგობრები ზუსტად რუსეთ-საქართველოს საზღვართან გამოეთხოვენ ერთი-მეორეს...

გივი აფხაზეთის ბარს აღარ დაბრუნებია, სვანეთის მთებით წამოვიდა და თვითონაც აღარ ახსოვს, როდის დაბრუნ-

და მამა-პაპისეულ მშობლიურ სოფელში, სახლი გურამის წყალობით კარგად შეკეთებული დაუხვდა, გაიხარა, წყალი აღარ ჩამოდიოდა და ლიუდასთან გამგზავრების სამზადისს შეუდგა; ოქტომბრის შუა რიცხვები იყო, ჩააწყო მგზავრობისათვის აუცილებელი ნივთები, სახლის კარი გამოიხურა, ჯვარი გადასახა და ჭიშკართან მარცხნივ, წაღმა შემოტრიალდა... ამ დროს ფეხებთან რუსული წარმოების მსუბუქი ავტომობილი „ჟიგული“ დამუხრუჭდა, საიდანაც საჩქაროდ ლიუდა გადმოვიდა და კისერზე ჩამოეკიდა...

ახლა კი ნაღდი კვამლი ამოვიდა მამისეულ ბუხარში... ბუხართან ფოსტლებში ფეხწადგმული გივი წარსულის გადასახედში იცქირება და ოცნებობს მემუარების დაწერაზე...

CHAPIDZE GARI

ETERNAL SOUL

DETECTIVE

რედაქტორი: – ლია მარტაშვილი
მხატვრული რედაქტორი: – მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: – ნაზიბროლა კაპანაძე
დიზაინერი: – გვანცა მახათაძე

გამომცემლობა – „კოლორი“